


1522
2008

13
საქართველოს
საგარეო
აღმართმცოდნეო
სამსახური

რეტენატუნა და სეროვნება

N11
11/2008



აბოშის

ვაჟა ოთარაშვილი

იზა ორჯონიძე

აწილბა

დინაშაჭურულის

ნანა ნითელაშვილი

ოტია იოსელიანი

პუხიკა

ნოდარ გამისაშვილი

ქინთა

შსაჭურულის

ოლიკო ჟღანტი

ჯიბსონ ხუნდაძე



ოცნება და ახსნა

ჯადოსნური ხეობა



მთები

ლიტერატურა და ხელოვნება

N11(35)



11/2008

ISSN 1512-3189

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
vaja otarashvili
Literature And Art

დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი
მდივანი

დავით კახაბერი

რედაქტორი

ვერიკო სამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

ჯიბსონ ხუნდაძე

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი
მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;

(+995 32) 31 70 47;

(+995 99) 25 60 14.

E-mail: litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

Web: www.litandart.com.ge

ვისთვისაც ქვირფასია

ჟურნალი

„ლიტერატურა და ხელოვნება“

გთხოვთ, შეგვეწიოს!

ს ა რ ა ვ ი

წილის, ლოგო

- | | |
|------------------------|--|
| 3. ვაჟა ოთარაშვილი | ლექსები |
| 7. ნანა წითელაშვილი | ცხემლები ზვიპახოსებზე
(ხომანი. დასაწყისი) |
| 13. იზა მიხონიძე | ლექსები |
| 17. გიორგი შეხვაშიძე | შენიხული ცხვაში |
| 24. ვეჩიკო ზამთარაძე | ლექსები |
| 27. ხმუხუ ბუჩიძე | უცხო მხედარი |
| | დრამატურგია |
| 35. ოტია იოსელიანი | თქმა მახთლისა...
(დასასხელი) |
| | სიმღერა |
| 48. ბენჰაჰე შინდუ | სხვა (დასაწყისი. თაგმნა
ბელა სუხუდაძემ) |
| | ჟურნალი |
| 54. ბადუხ ხაჭველიშვილი | ქაბუა ამიხეჯიბის ხომანის
"გიორგი ბინეინვალეს" შესახებ |
| 57. ანდო ბუაჩიძე | სულიერი საჭეჭლე |
| 60. ბაჩანა ბიგვაძე | შე და ქაჩამოტი |
| 61. ვახტანგ ჯავახიძე | "გვიანი გაზაფხულიც –
გაზაფხულია!" |
| 61. თეიმურაზ დოიაშვილი | ლექსი _ სიცოცხლის განზომილება |
| 62. ნანი თახჩინიშვილი | სტეფან მალაჩმეს ესტეები
ქართული სიტყვის წილში |
| | წილი |
| 66. ოლიკო ელენტი | სად იქნებოდა შედეჯიბი? |
| | მუსიკა |
| 71. ნოდარ მამისაშვილი | საღამუხში ადუხებული ფენომენი |
| | მსაჯურობა |
| 74. დავით ანდიაძე | "ხმ ეს მიწები სხვა მიწებია" |

„მოგორივ უფალო, ხამშობლო, ერთიჲ ქვეყანაზედა!“

რადვიელ ერისთავი

საქანსუდგეცაით სსჭქით:
ქაზუა ავირქიზი, ზახანს ზრუვაძე,
ერას ზრუხენიშვიდი, პაყადას ვიანშვიდი,
ნათიდას ურუშაძე, ჭანსუდი ჩანჩქიანი, თდიიქი ძეგონევი,
თამაშ ჩხენქედი, ვივი ჩრქოლდი.

ქურონალში რეკლამის
განთავსების მსურველებმა
დაარეკეთ 899 25 60 14



ქურონალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



26045

ვაჟა
თარაძე

ვასუპტი კოტატივილის სსოვნას

წავიდა დიდი ფოლკლორისტი,
დიდი მაცნობარი...
როგორ უნდოდა სიკვდილითაც
დროსთვის გაესწრო...
ასე მგონია,
„ვეფხისტა და მოყმის“ ბაღადა,
მან გადაწერა მყინვარწვერთან —
უფლის კარადა...
არ ავიწყდებათ ქალბატონებს
მასთან ვალსები...
ხალხური ლექსის
და თარგმანის მასტერკლასები...
კასპს და კავთისხევს
როცა რუსის ტანკი ბულრავდა...
კელაპტრიშვილის სალამური
დაისს უკრავდა...
თბილისს ბომბავდნენ...
პანთონის შერჩი ამალას...
მანდ ველარც ტკივილს,
ველარც ცრემლებს
ველარც დამალავ...

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
არქივი

3

არ შავებინდეს, საქართველოვ!

ვერ დაგვანოქებს
ვერა რუსი, ვერა ურჯულო,
ქართლის ქედებო,
ბარბაროსთა გადარუჯულო!
ყველა გორაზე
წინაპართა წმინდა ძელებია,
კი არ მომკვდარან,
ომით დალილით წასძინებიათ...
იბერთ ველები,
როცა გმირთა სისხლს
ვერ იშრობენ...
იცოდეთ, მაშინ
ცრემლი სცივია
დედაღვთისმშობელს...
ყველა საყდართან, მონასტერთან
გალობს ხანძთელი:
არ შეგვინდეს, საქართველოვ!
ღმერთით გასძელი..

წერილი ქვიხათვი

უშენობით მოდის ღამე ნაღველთა,
მაგონდება ერთად ყოფნის წუთები...
ვლოცულობდი და სანთლებად დაღვენთა
მონატრებამ სახე — ნასათუთევი...
გახსენება მაგ რძისფერი ტანისა
ძველებურად ურუანტელით ამავსებს...
აქ მესვევა ჯარი ჩინვის ხანისა
და მწვდებიან მაღლა, ქართულ ალამზე...
ივერთ მოდგმას სხვანაირი სული აქვს,
სულერთია სიცოცხლეც და სულეთიც...
უშენობით გული დაისრულია
და ურიცხვი მტერი მიჩანს სულერთი...

სიტყვებად სულის ნაწილებს ვძერწავ,
ნელ-ნელა ვაცმევ
ფურცლების ჯავშანს...
და ქალაღს, როგორც ანბანის ზენარს
ვეუსწორებ...
ფრთხილად ვუსინჯავ მაჯას...
ფურცელზე სიტყვით აგებულ ქალაქს,
ველარ დაანგრევს ვერარა ძალა...
მე უფლის მაღლი სიტყვებად დამაქვს,
წინაპრის სიბრძნეს
ფურცლებზე ვმაღავ...
როდესაც ომი სამყაროს არყევს —
სატანის ენით ქვემეხნი ჰყეფენ...
მტრის ჯარს
ფურცლების არმიით ვარღვევ,
და იბრძვის სიტყვა — ღეთიური მეფე...

მიდიან ძველი ბოზები,
ძველი ყოჩებიც მიდიან...
ძუძუებს წლები მოზღღენ —
უამს სულ ფეხებზე ჰკილია...
ქრებიან ძველი დარდები
სადღეგრძელოთა ჯიგრიდან...
დროსა სცოდნია დარბევა —
ტყვიების დახლა მიჯრითა...
მიდიან ძველი სატრფონიც,
წვეთენ წარსულში ნამიდან...
რჩება ჩემი ხმის გამგონი
ვინმე თუ ყველა ნავიდა?!

როგორ იღვევი სიყვარულო,
როგორ იღვევი —
დამცირებული, ჩანაცრული
და ნავრიღვევი...

ჩნდება მანძილი —
დისტანცია ორთა შორისა
და სიყვარული აღარ არის უკვე ორისა...
ამ სიცივეთი და ყოფითი სიმარტოვეთი,
ნაცნობ ნავსადგურს,
ვით ხომალდი ისე სტოვებდი...
თუ გაგონდება ის პირველი პეემაწები
ან მთვარის შუქზე
მოლაპლაპე ბასრი დანები...
აღარ უნდისარ, აღარა სწვავ,
აღარ ავიჟებ
და გძულს ასაკი...
შეუძახებ თავსაც: ნადი შე!..
ვითომ იღვევი სიყვარულს,
ვითომ იღვევი —
გადაქანცული, ნაღვიწვევი
და ნავრიღვევი...

როდესაც ლალატს დააპირებ —
სხვასთან დანოლას...
მოგაგონდეს, რომ
შენმა მკერდმა დარდი მანოვა...
როდესაც სხვასთან მოგიწდება
კოცნა-ფერება,
გახსოვდეს, როგორ შემათრთოლეს
შენმა ხელებმა...

გიორგი სააკაძის

შენი თვალები ავსილი სევდით,
ქართლის ცას ნეტა როგორ იტევდა?..
და ალღუმების ქრონიკებს წერდი,
მესაიდუმლე ბრძოლის კლიტეთა...
ვინ გაგაძევა შენი ქვეყნიდან?
ვინ ამოგძირკვა ნოსტეს კოშკიდან?
არა გჩვეოდა სკამი გეყიდა,
ბედს ატარებდი ბუდეშომილთა...
და ვაჟიშვილის მოკვეთილ თავზე,
ძვირფასი იყო მინა ქართველთა...
სახელი შენი, კვლავ შურიტ ავსებთ,
მზის სხივად ხმაღს რომ ამოსანთელდა...

ქრისტეს ერთბაშო!

შენ ხარ მამლუქი
ქრისტეს ჯარიდან...
ბრძოლაში მომაკედავი
შეიძლება დაენანო ვინმეს,
მაგრამ თითსაც კი არ გაანძრევს
შენი გულისთვის...
ვინ თქვა აუღი?
უფლის გარდა
ყველამ სარმა გამოგლო ჩუმად...
ქრისტეს ერთგულო,
გძიძვნის და გარბევს
მტერი ურიცხვი...
განა ჩაუქი...
ორპირი და მზაკვარი მუდამ...
რა ცოდვა გქირდა:
ასე რატომ დაგსაჯა ღმერთმა...
ქურდობისათვის, მრუშობისათვის,
ამპარტავენობისათვის,
ოქროსმოყვარეობისათვის,
სიცრუისათვის...
უნდა გაიხრწნა, როგორც ლაზარე,
რომ აღსდგე მკვდრეთით —
მთავარია, გწყალობდეს ღმერთი...
ღრო სწრაფად გარბის,
სულის ლაზარეთს —
ზეცას უნდა მიაყურადო...
ერო ნატანჯო,
დაჩეხილო, მაგრამ გულადო!..

ისე აურჯოლებთ ნიაგზე ჩრდილებს,
რომ საკუთარი ტანით ვიფარავ...
ბებერი თუთა თუ შემომჩივლებს,
ნაღველს — ნღვებით რომ შემოიჯარა...
ამ უთქმელობით ლამის დაგუმწვდე,
ლამესთან კავშირს ქარილა აბამს...
დანაპირები გაქრა საუნჯე
და ჩემს ცალუღელს მივათრევე ლაბა...

838 ზგუჟი

სტუდენტობის შეგონებები

გახსოვს: „პიენოი ბარი“,
ანდა „სპარტაკას ბუტკა“...
„მათ.ანალიზში“ ორი —
ალიკა გვრჩება უკან...
ოფიცინტის მიერ
ამოკითხული სია...
ვაგ ზლის ბაქანი მღვრიე
და თითქოს ისევ: გვშია...
„ბიძია თომას ქობი“, —
სტიპენდიათა წყარო...
და რესტორანის ბული,
ათ-ათ მანეთად ვხარობთ...
ქიშია — მარილმჭავა,
ქლორატით სავსე შტოფი,
„ისტმატი“... ლემონჯავა,
„მირ-2“-თან მდგარი ჭოფი...
და სპი-ს მე-6 კორპუსს
იცავს კათედრა „მას“-ის,
ჭიკარტას თვალთა ფოკუსს
კვლავ ელანდება „კვასი“...
ეპ! სტუდენტობის წლები,
ულამაზესო დღენო!
გიგონებთ, გული მწყდება —
გიაე, გელავ და ბენოვ!...
მეხსიერებას ჩარჩეს,
ზურავ და ჩემო სანდრიკ,
იქ ლაგოდების ჩანჩქერს
აკრული თემოს კადრი...
წლებს კი თავისი მიაქვს,
ეკარგავთ სოხუმს და გაგრას...
ჯოხთაბერიძე ვიას
საფეთქლებს თეთრი დაჰკრავს...
ჯვარი გვენეროს ბიჭებს,
ეს საუკუნეც გავძლოთ...
21-ის ვიწყებთ,
ჩემო ძვირფასო საძმოვ!

ბოლოს ომსაც კი ეჩვევი,
მერე ეჩვევი მტერსაც...
რუსო, შენ აღარ შეგრჩება,
ქართველი კაცის კენესა!
კავკასიონთან დაუცდა
სუყველა მომხდურს ფეხი,
გახსოვთ, სულმნათი ქაქუცა,
მტრისთვის დამტყდარი მეხი...
ხან ეკლესიებს გვინგრევდით
ერს, გადაქცეულს მითად...
დედაც ვატირეთ მავათი —
გადაჯიშებულ სკვითთა!..

ვერ დაგვიწყე და ახლა ვხვდები,
როგორი თბილი ყოფილხარ მაშინ...
მას მერე ბევრჯერ ჩაყვითლდნენ მთები,
შენ თითქოს დარჩი მეთუ კლასში...
ისევ გაცილზე... გრძელი გ ზა გვიადვს,
თეთრ დღეებიდან დღევანდელ დღემდე...
ვერ გადავივლით იმ ბენვის ხიდებს,
უკანასკნელად რომელზეც შევდექ...
ქრიან ქარები... შენ გეშინია
და სინანული გეტყობა ხმაში...
მომავლის დაფა გადაშლილია,
შენ ისევ დარჩი მეთუ კლასში...

„გავინდობა ძვირფასო,
კარალეთის დღეები...“
გალაკტიონი

გახსენდება ძვირფასო,
კარალეთის ბალები...
ერთ საღამოს დაბომბეს
უცბად და ხელაღებით...
გადამწვარი სახლები,
გამურული თახჩები...
რუსის ჯარი — ახვრები,
არ მოვიფივარ — აქ ვერჩები...
საოშარი შიარი,
და გამშრალი ცრემლები...
ქართლო, ცეცხლში ბრიალებ,
შენ კი შემოგვევლები!..
ყველა შენ შეგესია,
ივერიაე, რას იზამ?!
ეხლა გინდა მესიად
ჯარი სააკაძისა!..
გახსენდება ძვირფასო,
კარალეთის ბალები...
რა მხეცურად გადაწვეს
უცბად და ხელაღებით...

შარლატანავო!

გთხოვთ, გააგრძელოთ ჩემი გინება,
რადგანაც გული გვესებათ ბოლმით...
მე კვლავ ვაშენებ... დემერტმა ინება,
მეფის ნასუფრალს თქვენ ისევ ლოღნით...
გთხოვთ, გააგრძელოთ ჩემი გაკილვა
და ღრენას თავი არ დაანებოთ...
დამტყნარ მეძავთა დარად აკივლდეთ,
ჩემო ძვირფასო შარლატანებო...
აბა, თქვენ იცით, ჩხელეტიან მტრებო,
შურით აივსეთ ისევ კუჭი, რომ
მონელებში სული გავძვრებათ,
მაგრამ ხანდახან რომ მოუჭიროთ...

ქართულ ნასოფლარებზე
ჩამოსახლდნენ ოსები
და საყდრის ნანგრევებში
შეკრთნენ ანგელოსები...
წინაპართა ნიშებო,
ბერო ჰაპავ, გამწყრალო,
ეხლა როგორ გიმეველოთ
ცხრაძმულავ და ცხრა წყაროვ...
ქარი, როგორც ფრანგული,
სხვილოს ციხის კედელთან
რეკდა, ზმაჩაჟანგული...
თუმცა ბევრჯერ ეკვეთა
ქონგურებს და გალაგანს,
აღყას მაინც არ ხსნიდა,
მტერი თავის ქალადან
სისინებდა ყასიდად...
ამილახერის ამალამ
თვალწინ ჩაიქვითინა...
მკითხა პაპის აზრდილა
რისთვის მოკვდი, ვისთვისა...
ქართულ ნასოფლარებზე
მომღიმარი ოსები
და საყდრის ნანგრევებში
კენესენ ანგელოსები...

**ქაღნაფიცს—
ტარიელ ხარხელაურს**

ნეტა შენ ჩემო ტარიელ,
დედას რომ ჩაეხუტები...
სახლი არა გაქვს ცარიელ,
მშობლიურ სითბოს უტყვი...
ეჭ, ქაღნაფიცო მგლისმუზლავ,
ნაღველთან მაინც უმწეოვ,
შენი ლექსებით მიუხვალ
შვილს — ბნელი ამოუმზეო...
ვერკვლის ციხეზე არწივნი
ერთად გჯავრობენ მამა-შვილს...
შენ გენაცვალე, გამწირე
მაგ პოეზიის ლადარში...
აილე, სიმწრის დალიე,
დარდების დასაკუტები...
ნეტა, შენ, ჩემო ტარიელ,
დედას რომ ჩაეხუტები...

ხეები ხორუმს ცეკვავენ ქარში,
ჩახვეულები ხმელი ხელებით...
მიჭიხინებდა ქურანა რაში,
თავდავინყებით და გახელებით...
მზე ჩადიოდა და მენამული
სარტყლით შეეკრათ გორებს შუბლები...

როგორც ქალწულის სახე აღმურით,
ანითლებული ჩანდნენ ღრუბლები...
მიჭიხინებდა უმხედრო რაში,
(გორების იქით სიკვდილი თვლემდა...)
ხეები ხორუმს ცეკვავენ ქარში,
ქარს აყოლებდნენ ფოთლების სევდას...

„ვეფხისტყაოსნის“ ქვეყანა

ეჭ, ავთანდილის სიბრძნეო,
სიფიცხე ტარიელისა...
მამულის ცრემლი ვიგრძნეო,
მშვიდი ძილი არ მეღირსა...
იმდენი ქაჯი მესევა,
ციხე-კოშკს გააქვს ზანზარი...
მე სალამურის კვნესა ვარ,
ტკივილით გადანაბზარი...
ივერთა გონის ბიბლიავ,
უფალმა რისთვის შეგვყარა...
თუ რუსთაველის სიბლია
„ვეფხისტყაოსნის“ ქვეყანა...

ჩემი ცხოვრება იყო სიზმარი —
ხან ვმწყვრობდი და ხანაც ვჭორობდი...
ჩემი სიცოცხლე იყო სიზმარი
და აღარ მახსოვს როდის ვცხოვრობდი...
ისე მომიკვდა დედა უტკრად,
რომ ვერ ავიხსე მასთან ფერებით...
მას მერე თითქოს ფეხი დამიცდა,
დავალ დარდისგან განახლები...
ჩემი ცხოვრება სიზმარი იყო,
ხან ვჭორობდი და ხანაც ვმწყვრობდი...
რაჭომ ვეგონა, ხანდახან ბრიყვო,
ვარსკვლავს სწვებოდი ხის კენწეროთი...

(პასუხი მ...ს)

ძვირფასო,
თქვენ რომ არ მიცნობთ ვიცი
და ვინ ვიყავი,
მიხვდებით როცა,
მოხვალთ სურათთან
სანთლის ლაციციო
და შესანდობარს
აღავლენთ ლოცვად...
თქვენს ხვალეს მოკლავს
უჩემოდ ყოფნა,
სიყვარული რომ შერჩა მაჭორად...
ო, მამატიეთ,
დაგნამათ ოფლმა
თუ თვალებიდან ცრემლმა გაჟონა?..



ნანა

ჭითე აშვილი

სხედები ხვიახოსებზე

რომანი

(დასაწყისი)

ნანყვეტი „უცნობი აფხაზი გოგონას დღიურიდან“.

14 დეკემბერი

“ვუცდით ვერტმფრენს. ურიცხვი ხალხი ირევა. ემზადებიან გასაფრენად. ზოგს უხარია, ზოგს ეშინია, ზოგს კი კილო ცრემლი მოსდის, ეზარებათ ახლობლების მოშორება, მეც ვიცრემლები, რაზე არ ვფიქრობ, მაგრამ მთავარი საფიქრალი მაინც ჩემი ქალაქის მოშორებაა.

ოი! ღმერთო გემუდარები და გვედრები 18 წლის აფხაზი ქალიშვილი, შენ შეიბრალებ და შეინყალებ ქართველი და აფხაზი

ერი, მოსზე ეშმაკი, რომელიც თესავს მათ შორის შულს და სიძულელი, დაუბრუნე ხალხს ის ნდობა და სიყვარული, რაც საუკუნეების მანძილზე უტარებიათ. აპოენინე ორთავე მხარეს იმდენი გონიერება, რომ გამოიცილონ ნამდვილი მტერი და მოყვარე. ქართველის სისხლით მოსკრილია დღეს აფხაზი მეომრის უღვაში და აფხაზის სისხლით ფერს იკარგავს ქართველთ სინდისი.

ოოო! ღმერთო ჩემო! შენ შეისმინე დედათა კენესა, ბავშვთა ცოდვისაგან ლამის ატირდეს კავკასიონი. მამების ოხვრით შექანებულან მთები და ზღვები, ჩადენილ ცოდვას ვერ ჩამორეცხავს დიდი რონი.

ღმერთო უფალო, შენ გამიზარდე მე ჩემი ნიკო, შენ დამიტოვე ნიკო (ქართველი. ნ.ნ.) ცოცხალი, შენ შემინახე ჩემი თემური, სოსო, ვარლამი, თეონა, ნონა, მადონა, შალვა, ბიძინა, ლელა, ილონა და სხვა მრავალი. შენ დაიფარე დალუპვისაგან საქართველო და მზე—აფხაზეთი!

„ო! ღმერთო, ისმინე ვედრება ჩემი“.

ოი უფალო, ღმერთო გამჩენო ამქვეყნიერი ცოდვებისა და მამაო ჩვენო ზეციერო, პატრონო—მწყემსო ყოველთა მიწიერთა. რა შეგცოდა ღმერთო, მოდგმამ კაცთამან ეგეთი, რომა განადგენე ერთმანეთისა სისხლის მსმელად და ხორცის მჭამელად. რა შეგცოდე, ღმერთო, მე უბედურმან ასეთი, რომა ერთმანეთის ხელით დამიხოცო უნდა ჩემი საყვარელი ძმა ნიკო და თემური.

მე და ჩემი ძუძუმტე ნიკო ერთ კვირაში დავიბადეთ. ერთი თვისაც არ ვყოფილვარ, როცა უფალმა ნამართვა დედაც და მამაც, მე და ჩემი უფროსი ძმა თემური დავრჩით ობლად. მე და ნიკოს დედა — შურას მკერდი და-ძმურად გავციყვია... მომწონდა ერის სიღინჯე და თავდაჭერა, ახალგაზრდებისაგან უფროსების პატივისცემა, მიხაროდა, რომ მე ვითვლებოდი როგორც საქართველოს მოქალაქედ, ისე აფხაზ ქალიშვილად, და არ ვფიქრებდი რომ არასოდეს, დღევანდელი დღე მოენსრებოდა ჩემ საამაყო კუთხეს. ღმერთო, შენ დაუბრუნე ის ნდობა და სიყვარული ორ, მსოფლიოს ყოველ კუთხეში საქებ და სადიდებელ ორ პატარა ერსა“.

(18 წლის აფხაზი, უცნობი გოგონა დაიღუპა, ვერტმფრენთან ერთად, მასთან ერთად პატარა ობოლი ქართველი ბიჭუნა ნიკო, მისი შვილობილი).

ჩემს წინ დღეს დღიური, ქართულად ნაწერი ჩანანერებით, ის აფხაზ 18 წლის უცნობ გოგონას ეკუთვნის, შეიძლება ითქვას აფხაზ

"ანა ფრანკს". გოგონას, რომელიც ქართულ ოჯახში გაიზარდა თავის ქართველ ძუძუმტეებთან. მისი სახელი უცნობად დარჩება და აქაც ღვთის ნებაა, რადგან მასშია განთავსებული „страдать собою“-ა. ის ქართველია და აფხაზი, ის ადამიანია, მომავლის ადამიანი, მომავლის უბინოება და დედა.

რას ეჩივები ახალს, საოცარს, თუკი ვიციკვი, რომ ჩემი ცნობიერების მთავარი მუხტი სიყვარული იყო, სიკეთისა და მშვიდობის არსით. ეს გზა სიხარულისაც იყო, ამიტომაც, — სევდით გაჯერებული. რამდენი მიეჭინეს რომ „ცხოვრება ის არ არის, რასაც ვხედავ“; რომ „ეს ყველაფერი ნამეტანი ვარდისფერია“... იქნებ... ალბათ ესეც იყო დიდი მუხრუჭი მწერლობისაკენ სავალ გზაზე. აი, სწორედ ეს ცრემლის, გულისტიკვილის საგუბარად იქცა, რომელმაც გზა მონიფულობაში ნახა. ასე ნაწივად ბავშვობა, ყმანვილქლობა. ახლა? ახლა ვიღომები და მაღლობელი ვარ, რადგან ჯიუტად ვრჩები ძველ პორტრეტად ამ ახალ ინტერიერშიც.

სტრიქონები, რომლებსაც ახლა მიეყვებით, აღსარებაა იმ ადამიანისა, რომელიც ეროვნული მოძრაობიდან მოდის, რომელსაც ამ მოძრაობის კარგიც და ცუდიც, უფრორე სიტკობა და ბაღღამი, მთელი თავისი სიმამფრით განთავსდა, უმძიმესი მსხვერპლშენიროვით. მერე რაა, რომ ვერ ხედავდა სიბინძურეს და ანგარებას, ვერ ხედავდა ყველას ერთად, ერთ სიბრტყეზე, — ამას მტრედის ფრთები უნდა და ვინ მისცემდა მას?... ვინ მტყვივს ახლა, რატომ ეძლევა უხეშს სილაღე და სიხარული, უნაზესს — სევდა და ცრემლი?

აქ ორი პასუხია, შეძლება მეტიც. მე ერთს ვირჩევდი მაინც. იქნებ ამ არჩევანი-თაც მოვდივართ ამქვეყნად, ისინი, ვისაც კი არ ერეკებიან, არამედ საკუთარი ნებით მი-დგან „ეკლეს გვირგვინის“ მოსაპოვებლად, ამ გზაზე უმდვიე მზეა, და კვიპაროსებზე დაბ-ნეული შანი — ღვთის ცრემლი უმდეები შეი-ლის მოსაპოვებლად.

... ახლა გავლილია გზა. თითქმის შეფასე-ბულია, გადაფასებულია ღირებულებებიც. გადანანილებულია, გადახარისხებულია ადამიანები ცოცხლებად და მკვდლებად. მე მათ შუაში ვდგავარ გახლეჩილი და ვცდილობ გა-მართლება, გამთელება მოვუძებნო იმ დღე-ებს, იმ რწმენის გოდოლს, რადგან მეშინია, ყველაფერი ერთ სიბრტყეზე რომ დავინახო... ნაწილოდი ამ გზით? მეშინია, ვაითუ „არა“... მაშინ რა ფუთხრა მეუღლეს, ძმას, ბიჭებს... და აქვე მოდის მეორე კითხვა: სად არიან? რა იციან? ახლა ხომ იციან უკვე, რომ... ამ კითხ-

ვების იქით კი ჩიხია. მიმწყვედელი ვარ და თვალბზე ხელბმეფარებულს მესმის ძახი-ლი: „პასუხი, პასუხი, პასუხი“.. ყურებს და-ვებსობ, მაგრამ რაა... ვხედავ მათ სახეებს, თვალბებს, ღმილს... და ისევ ძახილი: „პასუ-ხი!“..

მინდა გავანგროო კედელი, რადგან ისინი იქით არიან, და გვირდ მათთან, პასუხი ხომ იქ არის. სხვანაირად მიჭირს, სხვაგვა-რად ვერ „დაგბრუნდები“, სხვაგვარად არ ყოფილა ჩემი ადგილი არც ცოცხლებში, არც მკვდრებში.

და კითხვა, ვინა ვარ, ცოდავში შობილი? და მეტი არააფერი? სად არის ჭეშმარიტება — ხსნა?

“ნეტარ არიან მშვიდნი,
რამეთუ მათ იხილონ სასუფეველი”

შემეცნებული ცოდავა... ალბათ ის, რაც განუხებს, თავს გახსენებს, არ გტოვებს, მოს-ვენებას არ გაძლევს, რადგან თუ არ გტოვია, როგორ გამრთელდები, როგორ იგრძნობ მი-ტყეების ნეტარებას. ან თავად როგორ მიუ-ტყევე ამ სიმძიმის ალუქქელად.

ძნელიაო და ძძიმე, ამიტომაც, ალბათ, უფლისაკენ სავალი გზები. გზები განწმენ-დის. რომ მიუტეგო, უნდა დამშვიდდე, შთაი-გონო და შთაგონო. დამდაბლდე, შეიყვარო გულისყურით, სულის სარქველით, სხვანა-ირად ძე ხორციელი ვერ გამოვა ამპარტაგ-ნობის ხანძრიდან... ამაღლდე და ამოზიდო ისიც, ვინც დაეცა თავისი მძვინვარებით. აქ გადის სულიერი წონასწორობის ზღვარიც თავის უფლისა, ამაღლებისა... “ფები დამად-გით“... და ისიც, იქნებ, რაც ხელთუქმენია, მაგრამ შენი. ეს არის მინა, ღირსება შენი მის მემკვიდრეობითობაშია და შენი თავისუფლე-ბაც მის ეროვნულ კერძობაშია.

... “ფები დამადგით გულზე ყოველთა“... რამეთუ, ვიდრე მინად ქცეული სხეულის დაშლილი ნაწილაკები ტერფიდან — თხეამ-დე შემოვა სულსა და ცნობიერებაში, ნეტარ იქნება სული, რომელმაც იხილა სასუფევე-ლი.

ჩვენი უბედურება, ისეთივე ერთადერთი, როგორც მინა აფხაზთა და ქართველთა, საძ-ვალე, ალბათ იმაშია, რომ რომელიღაც ვარ-სკვლავის „ვარდნისას“, ჩვენ დავიჯერეთ, თუ დაგვაჯერეს, რომ ჩვენი თანაცხოვრება შემთხვევითობა იყო, უმინო პრელუდია, ფუგაში განუვითარებლად, სადაც ჟღერს, შარშონულად განვითარებული პოლიფო-ნია, საერთო თანაცხოვრების კანონზომიერი

კანონებით, ჩვენი ყოფა, ჩვენი კულტურა, და, არა მხოლოდ ჩვენივე — საკაცობრიო ღირებულებათა საგანძურისთვისაც.

ჩვენი კულტურის ჩასახვის, განვითარებისა და გაუცხოების — ნგრევის (არამც და არამც კედომის, რადგან კულტურა რჩება ქვემოთ, ფრესკაში, ამ, ნატურე, მორტი-ში) საბედისწერო დიალექტიკაში დევს უდიდესი გამოცდა: იყო ეს კულტურა, ერთიანი თანაცხოვრების ეს ისტორია, საკაცობრიო ღირებულებათა დიალექტიკურ წრეში — ჭრილში განსაჭერეტი? და თუ არა, მაშინ გარდუვალია სიკვდილი. აი — ომი აფხაზეთში; თავისმობეული, ნღებით ვიღამუცვლში ჩანთხეული ბოღმით, სიცრუით, ღალატით, ბეცის ხელისცეცებით დანთხეული ცეცხლი. ომი აფხაზეთში, ჩემთვის და იმ ადამიანებისათვის, ვინც ამ აღსაჩრებამ დიპტია, ყველაფერი, ამის გამოსაცდელად იყო.

სხემახი ზიჯახოზაზი

ჯერ ისევ ბნელა, განთიადი შორიდან ეპარება. აღმოსავლეთით, ცის ნარინჯისფერიდან შეფარვით იკვეთებიან კონტურები. ჩამუქებული, "ნაბადნამოსხმული, შეთქმული მხედრები" — კვიპაროსები შიშსა და მოლოდინის ამრიალებზე. შორიდან ისინი ტალღების ტლაშუნი. კიდევ უფრო შორს, ღამის ფრინველი აფართხუნდება და დამეულ ფიქრებს ფრთებს მიაფერთხავს. ფეხის ხმა ჩამეხსი. ვდგები. აივანს მივადგები. სუნთქვას შემიკრავს ნიავი. ქვევით მხედრები მივადგები დაღმართს. მათი მზიარული გადაძახილი გამამხნევენს. მიღეულ მთვარესავით მიჭერიტინებს მნიფე ნარინჯი. კიდევ უფრო შორს სროლაა. ომია. ქვევით, ეზოში, ბიჭები გროვდებიან, ერთმანეთს ელაბუცებენ, თავს ინონებენ. ყოყლოჩინობენ. აგინებენ ვილაცას, იქადნებიან, სივარეტით იხრჩობენ თავს და მანდარინებით დატენილ ჯიბე-უბეებს სახედაცხარელები იჭარბილებენ?

ინათებს. ახლა ჰორიზონტზე ზღვა მოჩანს. მოლიცლიცე, სხივდაყრილი, მშვიდი და არხეილი. სიძლიერეში დარწმუნებული და მოლოდინით გალურსული.

— ღმერთო, გავვითენე მშვიდობის დღე! — შევთხოვ უფალს და ოთახში ვბრუნდებ.

სინათლეს ვაჭრობ და ჩაცმული მივწვები სანოლზე... ვხედავ ოთახის კუთხეში რაღაც ნათებას, ეს ჩემი ორუელია. ვხედავ, როგორ გამოიკვეთება სივარეტი. მერე ტკივილს ვგრძნობ... ირღვევა, იყოფა ჩემი სხეული და სივარეტი დგას ქალი ბედნიერი, უზრუნველი და სხივდაყრილი. მივიღის ოთახს

რა ნაცნობია ყველაფერი, ღმერთო, ეს ხომ ჩემი ცნობიერებაა... რამდენჯერ ყოფილა აქ. ამ ოთახში, სასტუმრო ინვენტარის სპეციფიკური პეროვნებით, ღამეული ჩურჩულით, ჭრტების შეკვივებით, ზღვის ტალღების კენჭებზე ხრიალით გაჯერებულ ოთახში. გამჭვირვალე ფარდებს მიღმიდან მოჭვინოტივ მთვარის ნათებით, ნაძვების ნებოვანი სურნელებით გაბრუნებული თვალდაუჭული ისევ ვეტოტები მოგონებების ამ "კვიპაროსს", როგორც კენწეროში მნიფე ნაყოფის მაცდურ სიტკოსს. მაგრამ ყველაფერი ახლა ასე მძაფრად რომ ფეთქავს, როგორც მაგაზე ამოვარდნილი პულსი, სადღაც ძალიან შორსა და აღარაფერი, ხსოვნის და რეალობის ამ ორ სასტუმრო ოთახს დროსა და სივრცეში ახლა საერთო არ გააჩნია. აორთქლებული წყალგამყოფი. მაგრამ ჩემი განანამები სული ჯერ ისევ წარსულით ცხოვრობს, და ისე ჩაქვდილა ერთმანეთში წარსული და რეალობა, როგორც შიღშია განათავსებული მშობლები, მათი სულების მატერიალურ სხეულში არსებობის დასტურად.

ნამოვიწვევ სანოლზე ხელბეგანვდილი, მინდა შევერთხის ამ ქალს, ისევ შევერწყა, ვკითხო... მინდა თვალბეგში ჩავხედო. მისი სილაღე წინ მედობება და დასნეულებულ სულს აღარ მიკარებს. არ მიშვეს იქ, სადაც მხოლოდ მისი საუფლოა, მისი დრო წარსულადან. ახი ვივლით, ალბათ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შუაგახლეწილი, ერთმანეთისაგან გაუცხოებული ნეტარებისა და უბედურების ნაზავი.

— არ გძინავს — იკითხავს ლადო და მაგიდის ნათურას აანთებს. ქალს არ სურს შეანუხის და ცდილობს თავი მოიშინაროს. სუნთქვას იხშობს.

— ვიცი არ გძინავს, მეც არ მეძინება. ბალიშს ვიმაღლებ, ნამოვჯდები და ზურგით ვეყრდნობი სანოლის კიდეს. ლადო სანოლზე ჩამოჯდება, მაგიდის უჯრას გამოსწევს, სივარეტის კოლოფს ამოიღებს.

— სივარეტიც ვათავებულა, რა მოიცდის დილაშდე! — ნამოვჯდება და ფარაჯას მოიხურავს. აივნის ღია კარიდან დილის სუსხი შემოუჭროლებს ოთახს.

— გაზაფხულია და მაინც როგორ ცივა, მივხვარავ კარს.

— მიხურე, რაღაც მეც შემცივდა.

ლადო სკამის ზურგზე გადაკიდებულ სვიტრს მომანოდებს — ჩაიცვი, ან მოიხურე. ნახე ერთი, სივარეტი ხომ არ დარჩათ ბიჭებს, მანდ იდო უჯრამი.

— ოჰო, ერთი ცალია, ნახევრად ჩამწვარი.

— კოროლევსკი ბიჩოკი — ახლა ფასდაუ-

დებელი სიმდიდრეა — ლადო ნამწვს მოუკიდებს, სათვალეს გაიკეთებს, დამაცქერდება. დიდხანს, დიდხანს მიყურებს ღიმილით და მერე მხრებზე გაბზეულ თმას ამიკრფის, კეფაზე დაშიშავრებს.

— რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ გაშლილი თმა არ გიხდება. აი, ასე მოშინოს, მეტ სოლიდურობას გმატებს.

— ასაკსაც, არა?

— ასაკს არა, სიბრძნეს, დიდებულებას, სოლიდურობას—მეთქი.

— კი, ბატონო, სიბრძნე რომ გეთქვა, დიდებულება, კი, ბატონო. შეიძლება ქალს ასაკი შეახსენო... სოლიდურობა...

— რას იზამ, კარგო. სიბრძნე უასაკოდ არ შეიძლება.

— შეიძლება, იტყვი ქალი სევდით თვალზე ცრემლმომდგარი.

— რანაირად, მიბრძანეთ ერთი, რანაირად? — ლადო შეეცდება სიტყვის შემსუბუქებას. ეზობი ბიჭები ახმაურდებიან. ავტომატების ჩხაკუნი გაისმის, ერთმანეთს აქილიკებენ. ნიავს ცალკეული სიტყვები ამოაქვს, „სვანს ჰკითხეს...“ და ატყდება ტყაპატყუპი. ლადო კარს გამოაღებს, ფარდას გადასწევს, აივანზე გადადგება.

— თქვენ, რა, არ გძინავთ? — ჩასძახებს ბიჭებს.

— დილა მშვიდობისა, ბატონო ლადო, გაგაღვიძეთ — ამოსძახებენ ბიჭები.

— მე? არა.

— ქალბატონ ნანას სძინავს? — ხმას დაუნევენ ბიჭები.

— უკვე აღარ სძინავს, — რაო, რა სთქვაო სვანა?

— სვანებს ვუჩვენებ ამათ...

ეს დილარია, ხმაზე იცნობს დილარს ნანა და გაღვიძება.

— რატომ ბრაზდები?

ეს ბაჩუკია, სმენას დაძაბავს ნანა.

— აბა, სულ კახელებზე ხომ არ უნდა იციანო?!

ეს გაორგია, იცინის, ავიწყდება ომი რომაა, თავს ჩაუვიდებს ნანა და კეფაზე შეკრული თმა ჩამოიშლება.

— ბატონო ლადო, ფორთოხლებს ამოგიტანთ, რაა.

— თქვენ მიირთვით, ნახე რამდენი ხართ.

— გუშინ იმდენი ვჭამეთ, კბილებში გვაჭრიალებს.

— დილარას თავი უკვე ფორთოხალი გვგონია.

— ფორთოხლის თავი ვოზია, ხის თავს — ბურღლუნებს დილარი.

— ეეე, ხელები დაიმოკლე; — ტყაპატყუპზე ხვდება, რომ ბიჭები ერთმანეთს ეძიძილავენბიან.

— შენ კიდევ მეტყვი, სიბრძნე უასაკოდ შეიძლება? — ლადო ოთახში შემობრუნდება — ჩახედე, რა ამბავში არიან. ამათვის არც ომია, არც სისხლის ღვრა, შენ კი მეუბნები, სიბრძნე უასაკოთო... მათთვის ეს საშინელება, ომი კი არა, ომობანაა.

— შენ გინდა მითხრა, რომ მათ არ ესმით ამ ომის მნიშვნელობა? რა, განა ხის ცხენჯობა ბიჭები ნაკლებ გმირები არიან თავისი არსით? განა ის ბიჭები ესენი არ არიან.

— რა თქმა უნდა, მაგრამ ამ ბიჭებსა და იმ ბიჭებს შორის, ხის თოფებით რომ დარბოდნენ და "არბევდნენ" მტრის ბანაკებს, სასაზღვრო ზოლიც გადის, ასე არაა?

— რა თქმა უნდა, დრო.

— დრო, დიახ. დროა მათი ფიქრები, ფიქრები დროს მიდევნებული ცნობიერება, რეალობა.

— ესე იგი, მაინც ასაკი, — გაიცინა ლადომ და ნანას თმაზე გადაუსვა ხელი — რატომ გაშინებს ასაკი. შენ ჯერ ისევ ისეთი მშვენიერი ხარ, განსაკუთრებით ცეცხლის ხაზზე, იტყების გვერდით.

— სწორედ ბიჭების გვერდით ვგრძნობ ასაკს...

— კარგი, ერთი.

— ჰო, ჰო, მაგათ როცა ვუყურებ, შიშის ზარი მცემს.

— რატომ, ვითომ?

არაფრის შიშიარა აქვთ, ისე მიიწვევენ მიზნისკენ, არაფერს ერიდებიან. მუშინია, ხომ არ არის ეს ჯიქურობა მათი გაუცნობიერებელი, ბავშვური ალტყინება და არა გააზრებული, მიზანიმართული ხარჯვა სიცოცხლისა, რომელიც მონიფულ ასაკში მშვიდდება, ინავლება, ან სრულიად ქრება და იმ ერთგვარ, სასუიმო-სააღლუმო მუნდირად იქცევა, რომელიც საველე ტანსაცმელს არ ენაცვლება.

— მუნდირი ღირსებაა, — ლადომ მხრებზე ჩამოცურებული ჟაკეტი შეუსწორა და საჩვენებელი თითები საშხრებებივით დაუნყო მხრებზე, მერე ჩამოშლილი თმა ისევ კეფაზე აუკრიფა. — ხომ გითხარი, ასე უფრო გიხდება.

— მუნდირი მაშინ არის ღირსება, როცა ღირსებას მოსავს.

— ვერ გაგიგეთ, ქალბატონო, — ჩაიქირქილა ლადომ.

— რა ვერ გაგიგე — თმა ჩამოიშალა ნანამ — სააღლუმე მუნდირამდე საველე ტანსაცმელია, ოფლით, დენტით და შეიძლება სის-

ხლის წვეთებითაც გაულენთილი. ის განიჭებს ღირსებას, სააღლუმე მუნდირამდე ჯერ ის უნდა გაიციეთოს, და შეიძლება არა ერთი და ორი.

ქალს თვალები აუცრემლდა, ნამოფდა, აივანზე გავიდა და მოაჯრის გადაეყვდა.

— ჰო, კარგი, კარგი, — ლაღო ფეხდაფეხ მიჰყვა, უკვე განათებულიყო. შემოდგომა, სადღაც იქნებ ნაადრევი, აქ უკვე დაქალე-ბულიყო, მომნიფებულიყო, ტანი შევესო, მკერდი შევესებოდა, ნაყოფის სიმძიმით გაზნექილი მიმოარბევდა სავსე თეძოებს ლოყებ-დაჭირბულილი, თვალთა სინოტივით და რძე ჩამდვარი მკერდით, მშობიარობის თვეში ჩამდგარი ამყადა დასცქეროდა თავის სისაგ-სეს, ჯანმრთელი, გამოტანჯული ნაყოფის მოლოდინში.

— ნახე, რა სილამაზეა! — ხელი მოხვია მხარზე ლაღომ. ნანამ ჩამოვარდნილი ცრემ-ლი მოინმინდა სახიდან.

— კარგი, ნუ გადაირევი, ხომ არ შეიძლე-ბა ყველაფრის ასე განცდა.

— განცდა ან ყველაფრისა შეიძლება, ან არაფრის, არ არსებობს განცდების გან-საკუთრებული კატეგორიები. მით უმეტეს დღეს, ეს შენც კარგად გესმის.

— გინდა, ზღვაზე ჩაეიდეთ, შაა, — დაე-კითხა ლაღო — გინდა?

— შენ რა, — თვალი გაუშტერა ნანამ ჰო-რიზონტს — ისევ ძველი დრო გგონია?

— გახსოვს, ასეთ დროს ზღვაში ისევ შე-მოდიოდი, წყალი თბილი იყო, ხავერდვანი, გახსოვ? — ისევ ჩაეკითხა ლაღო და ქალის მდგომარეობიდან გამოეყვანა სცადა.

— მახსოვს. — უმასუხა ნანამ, ჩამარ-ცვლით — როგორ მიყვარდა წვიმის წვეთები ზედაპირზე, ნემსებივით რომ ჩხვლეტდა კანს, ალაგ ზნებდა, თითქოს ზღვა სიყვარულის სა-რეცელი იყო — თავდავიწყებულ ალერსში, ნელი ტორტმანით რომ პასუხობდა სიყვარუ-ლის უნაზეს იმპულსებს.

— ოჰო, — ლაღომ უკან დაიხია და ნანას თვალებში ჩახედა. — ეგ შენ ჩემთვის არასო-დეს გითქვამს.

— არ მითქვამს, იმიტომ, რომ ეს ყველა-ფერი ისეთი ჩვეულებრივი რამ იყო, ყოველ-დღიური, როგორც ერთხელ კურთხეული ქორწინება ორი უზომოდ მეყვარებული ადა-მიანისა, რომლებსაც ისე შემოეპარებათ სი-ბერე, ვერც კი იგრძნობენ. მათი ცხოვრება ერთი ვაბმული, უწყვეტი თანხმობაა. მათი დრო, წუთებისა და წამების ერთობლიობა კი არა, უკვდავებაა. თაობები მიდიან და მო-დიან მათში. მათ გარშემო იცვლება გარემო,

ცხოვრება, ისინი კი მშვიდად ესწრაფვიან და-სასრულს, რადგან ნამდვილი საგანე, ძვალ-თშესაყუდი, ის მინაა, ის საყრდენი, რომელ-საც ვერცერთი გამოცაცლის. მიდიხარ, მიდიხარ შორს, სიღრმისკენ, და იცი რომ უკან დაბრუნ-ებული ვეხტვემ მინას იგრძნობ. სხეულს მი-ანდობ მის სიმყარეს და ნეტარებით აღვსილი სული შემოიმსხვრევს დროისა და სივრცის რეალობას. ახლა ეს ყველაფერი ტორტმა-ნებს. ქარიშხალმა უკვე აპყრა ტალღები და მიჯრით მოერეკება ღვარცოფს. ფეხებეშ მი-ნას გაცლის. ნამოძარტვას ვერ ასწრებ, ისე გირტყამს ზურგიდან. აქორრილი, აღზევე-ბული, ცხვირ-პირით გახეთქებს ნაპირს. მე-რე ზარ-ზეიმით ჩალოკავს ნაპირს, ცოცხალი დაღუსე შეატოვებს კენჭებს. მერე ისევ და ისევ უკან მოხედვის საშუალებას არ გაძლევს. ახ-ლა მთავარია შემოტევებს შორის მონახო წუთი, იქნებ ნამი, რომ უყვლო და სძლიო. მზისგან გამთბარ ნაპირზე აასწრო, და ისე გახედო ამ საშინელებას, ურჩხულს, როგორც სიზმარს თავდაღნეული, საყვარელი ადამი-ანის მკერდში პოოვებს სიმშვიდეს და რვა-ლობის ნეტარებას. აი, ასეთია ახლა ჩემთვის ზღვაც და ცხოვრებაც. ამიტომაც შიშის ქარი მიტანს, როცა ამ ბიჭებს ვუყურებ. რა იციან მათ ამ "თავაგლეჯილ ზღვასთან" ჭიდილი, ცხენჯობებით თუ ხის თოფებით უყვლავენ ცხოვრების ვერაგობას? ან, იქნებ რეზინის გაბერილი ტექსტურებით გამოცურავენ და სხვასაც გამოიყვანენ ამ ზნეობაამღერული მორევიდან.

ტელევიზიის დერეფნებში შეშფოთებუ-ლი თანამშრომლები მიდი-მოდიოდნენ. დრო და დრო ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ დე-რეფის კუთხე-კუნჭულებში. შეთქმულე-ბივით დღმდნენ. ისეთ სიმარტილეს უმაღა-დნენ ერთმანეთს, რომელიც ყველამ იცოდა, იმ რწმენით, რომ მხოლოდ უფლისთვის გან-დობილი, მოკვდავთათვის დაფარული, ათას-წლეულებით ნალოლიავები მოლოდინი — თავისუფლება ამ სიწმით შეიძლება ესხნათ, მოთმინებით დაელახვრათ მოსალოდნელი უბედურება, რომელიც სულ რაღაც ორმოც-დარვა საათში უნდა აღსრულებულიყო.

— ნახედიო, — ლაღომ კინოკამერა მობლუჯა ილღიაში და მანიშნა — არაფერი სთქვაო.

მთავრობის სახლთან ტროტუარზე ხალხი იყო შექუჩებული. ფრიალებდნენ ქართული დროშები. თეთრი ტილოები ჩოხოსანი, მშვე-ნიერი ქართველი რაინდის, წმინდა გიორგის, სისხლის ფერით დაწერილი — "აფხაზეთი

საქართველოა", "გავთრიეთ, ოკუპანტებო", "თავისუფლება საქართველოს"; "შიმშილობის მე-15 დღე",

— ვინ არის ეს კაცი? — გადაუჩურჩულა ერთმა მეორეს.

— რომელი? — ჩურჩულითვე იკითხა ქალმა.

— აი, ის, — და კაცმა ხელით აჩვენა ჩოხოსანზე.

— ეგ, ქაქუცა ჩოლოყაშვილია.

— ღმერთო! — ქალმა თვალი მოაზარა მთავრობის სახლის წინ რამდენიმე წყებად, კიბეებზე ვანოლილ ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს — დაგვიფარე, ღმერთო, გადმოხედე ამ ბავშვებს, აარიდე უბედურება, ღმერთო, ულხინე და ხელი მოუმართე საქართველოს.

თავშეყრილმა ხალხმა ზურგი იბრუნა, შუაზე გაიყო და გზა მისცა მომავალთ, რომლებსაც წინ ორნი მოუძლოდნენ. როგორც ნიავი გადაუვლის ამოუფუტულ ჯეჯილს, ეგრე გადაუფრთხილა ერთმანეთზე მიკრულ, ერთმანეთის იმედად შეკრულ ხალხს ალტაცებამ, შეარხია, შეაფრთხოლა.

მოსულეებმა კიბეებზე აიარეს. მოშიშმილე გოგო-ბიჭები წამოდგნენ, ტაშითა და ყოყონით შეეგებნენ.

— საქართველო, სა-ქარ-თვე-ლო, საქართველო! — შეიკრა და შეითქვა ძაბილი.

— მეგობრებო, დგება დიდი ხნის ნანატრი დრო, რომელსაც მრავალი გმირი შეენიწრა. საქართველო დამოუკიდებლობის კარიბჭესთან დგას. იმსხვერვა იმპერიის საშინელი

ქაჯეთის ციხე. დღეს თქვენ შემოგვურებთ წინაპრების განამებული სულელები და მოგინოდებენ, წინ მიგიძღვიან.

— თქვენი ჭირიმი, ბიჭებო — თვალზე ცრემლი ჩამოინმინდა ჩემს გვერდით მოხუცმა კაცმა. — რას მოვესწართო, — გადაულაპარაკა გვერდით და თითქოს ყელს მომსკდარი ასწლულების ბალღამიც ამოაყოლა.

— თუ შეიძლება, ცოტა ჩაინიოთ, — ლადომ ხელით გასწია მის წინ მდგარი კაცი, და კამერა ჩართო.

— მოდი, გენაცვალე, მოდი. ამაზე უკეთეს რას გადაიღებთ, აი, აქეთ ჩამოინიეთ, აქედან ყველა გამოჩნდება, მოდი.

— მეგობრებო!... მეგაფონი ხელიდან ხელში გადადიოდა. ხალხი თავის თავს აღარ ეკუთვნოდა, ერთმანეთში ყვირილი, სიცილი, ჩუმი სლუკუნი, ერთმანეთში არეული, საოცარ სიამაყეს აღვიძებდა და ეს აღტყინება ზებუნებრივ ძალებს უხმობდა. შეკრული მუშტები, ყოველ შეძახილზე — საქართველო!

— მძვინვარე ბიძგით სხლტებოდნენ ზევით, ათასწლოვანი სიძულვილის, ჩაკლული სიამაყის, გადახვენილი გენის, მიწაში ჩათქვირული მტყენების ჯავრისსაყრელად ცხვირპირში ურტყამდნენ ასწლულების ბალღამსა და სილაჩრეს. თითქოს პირველად გაუსწორეს თვალი თავისუფლებას შელენილ ადამიანებს, პირველად იგრძნეს, რომ ათწლულობით ნატარები შიში თუ გულდედლობა ახლა უკან იხევდა და გზას უთმობდა არჩევანს.

გუგუნებდა დედო ზარი.

გაგრძელება იქნება





თბილისი

ორჯონიძე

ხსანი ლექსები

აპი სიზმარივით

*ტენიანი თანატოლებისადაგი
ნაბეჭადი საუკუნის შემდეგ*

ნითლად ლუოდა კრამიტი
ალაგ და ალაგ ნაბზარი,
კარგი დღე იყო, უღრუბლო,
მოლალურივით მწყაზარი.

ასკილმა შემომანათა,
მკერდზე შეპელა ეკონა...
გულამოსკვნილი გეძახდით,
ქვა გავაღვიძე, მეგონა...

არაეინ შემეზმინა,
არაეინ შემომეგება,

ეგებ ქორნილში ილხენდით,
ჭირის პურს ჭამდით ეგება?

იქნებ სხვა სოფელს მოვედი?!
ტრემლი თავს გადამივიდა...
მეძალეობოდა ნაღველი
იობის ეშმაკივითა...

გულნატკენისაგან

ალარც კი ვიცი, რა გითხრა,
ან გითხრა რამე თუ არა...
ისეთი სიტყვა ნამოცდა,
გულს ზვავედ გადაუარა...

მონყალე ღმერთმა შეგინდოს!
მე ველარ გემეგობრები...
ხსოვნის სარებზე ხმებიან
მოღალატეთა გოგრები...

მე ხელი არ გამისვრია,
თავად მოიჭრეს თავები,
რაც იყვნენ ბედაურები,
ის შქონდათ მოსართავები...

იქნებ ეს ჩემი ტკივილი
არც იყო გამოსაჩენი...
რად, გულს რად მიცარიელებს
დღეთა მიწურულს გამჩენი?!

იდილიური ესპიზი

ჩასძინებია დიდედას
(მძინარს უტოკავს წარბი!)
პანია მორგევი წართისა
ძველ ხალიჩაზე გარბის,

მისდევენ ჩემი ცინდლები
წინ-წინ გავარდნილ გორგალს,
სადღაც წიკნიკებს საათი,
კუნძი ბუხარში ბორგავს,

შემთბარი კომშის სურნელი
ასდის ხახალს და ხონჩას,
სარკმლიდან თბილი ოქტომბრის
ჭრელაჭრულები მოსჩანს...

ერთი თუ გული გიპოვეს,
გინდაც ყოფილხარ შიშველი!
რა უფარდელად შეგაბეს
ყელს შენი აკვნის გიშერი...

გაქრა ვით ბზობის ყვავილი
ანდამატები ოცნების...
ცვარად იცრება ღრუბელი,
სწუხან სამარის ბორცვები...

გზა — უკანმოუქცეველი,
სხვის დასანახად ხალისი...
ერთი თუ გული გიპოვეს,
მაშინ ხარ შესაბრალისი...

მთვარიან ღამით

ერთად შეყრილხართ, ქალებო,
რა დაგაძინებთ ამ ღამეს!
ისე დამარხეთ მართალი,
თვალის არ დაახამხამეთ...

თქვენს თარგზე მოჭრილს არა ჰგავს,
არც პირს ამოსდის შაქარი,
იქნება ისიც კი იცის,
რომ ჯოჯოხეთი აქ არი...

რას ერჩით?! გველი შეგინვათ?
გულს გართმევთ უფლისწულისას?
იქნებ ღვთის ხელი ატყვიო
და ამან გაგაგულისათ?

საღამოს ჩაი

ჩვილი კარაქი, ყველი,
ქაფქაფა რძე და ხილი...
ძილისგუდასთვის ყვითელ
ფურცელზე პნკარი ნყვილი:

„ცომი არ იცდის, შვილო,
ამჯერ უჩემოდ ქამე!“
რა იქნებოდა, ღმერთო,
დამეინყებოდა რამე,

რა მოხდებოდა, გულო,
განრიდებოდი ნაღველს,
ნაინანატრი ქვეყნის
კარს მერამდენედ ალბე

და არც გადარდებს ღამე
როდის აუშეებს ქარებს...
თაფლის ნვეთივით დნება
ფინჯანში სახვე მთვარე...

წუგუზინის მაგიარ

კაცი გამოიგონე,
კარგიც დაბრალებ!
მაგრამ ჭკუა ვინ მისცათ
შეყვარებულ ქალებს...

ნეტავ უფლის საქმეში
არ ჩაგეყო ცხვირი...
სად ფეხს ერთხელ ნამოჰკრავს,
იქით აღარ გაივლის
ჩვენებიანთ ვირი!

ივნისის ისხარი

ამ წუთს ცხელი ზაფხულის
თავისმამ გადაიარა.
ცას ენიენ მერცხლები.
ბანზე დასხდნენ მტრედები.
სახლის კედელს აკრული
ახასხასდა ხვიარა.
მეც კი გამოუხალისდი, —
ღუარს ფეხებში ვედები,

მოაქვს ცაცხვის ყვავილი,
ახალგამოტანილი,
ფეხშიშვლები დარბიან
უბნის გოგოცუნები,
თბილისური ეზოდან
მცემს სურნელი ვანილის...
წყალმა ზიდოს ნალველი —
მომხამველი გუნების...

ღაერისია

მონამლულს სუნთქავ ჰაერს,
მონამლულს გასმევს წყაროც...
რა გეშველება, სახლო,
ძველ საძირკველზე მდგარო?

აღარ გჭირდება ჭკუა,
აღარც გაძლების ღონე,
ვერ შეაყვარე, ვერა,
თავისუფლება მონებს...

შენ, დიდი ხანძრის შემდეგ,
ნაცარდაყრილო თავზე,
რა გეშველება, სახლო,
ქრისტეს მკვლელებით სახვე?

სოფლად, დიდი კაკლის ჩრდილში, მოულოდნელ სტუმარს ვხასპინძლოვ

მოსვედი! ალბათ, მოგქანცა სიცხემ,
ეფემერული სახელის ხვეჭამ...
მუსაიფს მუდამ მოკითხვით იწყებ,
არაფერს დალეე, არაფერს შეჭმ...

ისევ ისა ხარ — პირქუში სახლი,
უსარკმელო და კარაფიცრული,
ძალღივით მგელი, მგელივით ძალი,
მარადი მგზავრი, შინ არ მისული...

ერთხელ გექებე ვით სიზმრის განძი,
ოცნებით აქვე ახლოს ჩაფლული...
ვერ მოერია ჩვენ შორის მანძილს
ვერც მარტოობა, ვერც გაზაფხული...

მოხვედი! თითქოს სადმე ახალი
ნოე ჩორკნიდეს ჩემთვის კიდობანს...
ექვით დაშლალე, დარდით დამლალე...
გული ვანს ითხოვს, სული—მშვიდობას...

მე უნინ სიკვდილს გავყვები მკაში!
აქ კი... თავისი ბუნების წესით
ლულუნებს მტრედი, ჭახჭახებს შაში
და ვარდზეც ისევ ბულბული კვნესის.

ციტატა ნარსულიდან

სიყმანვილის წიგნები
კალმებით ვაცვვალეთ...
შენი — არ დაიბრუნე,
ჩემი — არ მოვიკითხე...
შენ ჯერ მეფე გაგინყრა,
მერე — მეფისნაცვალი,
როგორც მეხის დაცემა,
ისე მახსოვს იგი დღე...

მაშინ მოვკვი პირველად!
ნახევარ საუკუნის
წინათ გამეტებული
ახლა რალად გიგონებ?!
მესმის ჭადრის ჭრიალი,
მესმის ქარის ზღუქუნი
და ის დაუეინყარი
სხვისი ოთხი სტრიქონი:

„მივდიოდით მხარდამხარ
და დრო გვეუარესა,
ან არ ვიცი, სადა ხარ
და რომელსა მხარესა“.

პაემანი საიქიოში

შენც კი მეგობრისათვის
არაფერი გეთმობა!
(ისე უცებ მომიკვდი,
სამომ ვერც კი გაავო...).
თუკი აღარ არსებობს
უღალატო ერთობა,
ისევ შენ გამიმეტე,
მე არ ძალმიძს, ამიგო!

ხსოვნა ტირიფს დაგირგავს,
იასამანს ახარებს
და ყოველ გაზაფხულზე,
მანამ გავძლებ დროული,
მინა არ მოაკლდება
ჩემს საფლავებს ახალი...
იცი, როგორ მიყვარდით,
იცი, როგორც მოეუვლი...

მერე... მოვა მოყვარე
(შევხედეთ საიქიოში),
მოვა ნრფელი გულით და
სიყვარულის თანხლებით
და თუ არ დამცდენია
ერთი სიტყვაც რიოში,
დაფასდება ყოველი
ჩემგან ხელშენახები...

დაუნდობელი ლექსი

წელს უეცრად გავვითლდნენ
ბზები ჩემი დარგული...
მზე უწყალოდ მოგვექცა,
წვიმაც აღარ მოვიდა...
ვცხოვრობ თაემსეაფარში
ფიქრში გადაკარგული,
ვინმე, ზრდილობისათვის,
თუ მიკითხავს შორიდან...

გული დუმს და არ ვნუხვარ
(სხვაგან ცელქობს ამური!).
თბილი და იშვიათი
დათვლილია ნაშები...
გადმოფინა ზამთარმა
მთებზე სიასამური...
მნუხრზე, მნუხრზე მეძახის
დიდი ზარი სამების...

მოულოდნელი აღმოჩენები

მოიყოლა შემოდგომაში
უფშური და ქარცივი...
დაებრძენდი და მოვიწყინე,
გულის ფრიალს არ ვჩივი...

ქვიჯა სადაც მოვისროლე,
წყლით სავსეა როდინიც!
ველარ შევთხზავ გაზაფხულებს
სასწაულის ლოდინით,

ველარ, ველარ გამაბრუებს
თბილი ღამის სურნელი...
ღმერთო, რა უბედური ვარ —
აღარა ვარ სულელი!

პატარა პიესა

ველი... უნდა დამიძახონ,
უნდა შემეხმიანონ...
უკვე კარგად, უკვე ახლოს
ისმის წვიმის პიანო...

ვითვლი ტაქტს და სამუდამოდ
შეუვსებელ პაუზებს...
ნეტავ იმას, ვისაც თვალებს
შეების ცრემლი აუვსებს...

დედულეთში

გამხმარა ჩვენი ტკბილი კუხურა.
კვალიც არსად ჩანს ეკლიან ზღუდის...
მასხოვს ფანჩატურს ჩალა ვხურა
და იქ კაქკაქი ცოვრობდა ქურდი...

გაკრიალებულ ფოთოლზე კაკლის
ნერწყვით ეკიდა მუხლუხო მწვანე...
და ყანჩავლიანთ პატარძლის ნაკლზე
დიდხანს ხუმრობდა კვიმატი ვანო...

რუ კი, სახლის წინ, კვლავ მიჩხრიალებს
ჩქარი, წყალ-ცივი და უდრტვინველი
და სარს წამოცმულ ბორბლის ტრიალით
ციცქნა წისქვილით ხარობს წინველი...

მზე გადასულა საწიერს მიღმა,
ვანშამდე ჩაის მივირთმევე მოცვის...
ღამის პეპელას, მინაზე მიმხმარს,
უნწყალოდ სცივია ფერიც და ხორციც...

მუღარა

ეიცი, არ ეშველება
არაფერი ჩემს ნაღველს...
გამომჭამა გულგვამი,
ბოლო სამანს მივედი...
ვერსად ჩემი კერიის
ვხედავ ცეცხლის შემნახველს...
გავერანდა მამული,
გაცამტყვრდა იმედი...

პირველად ვარ უძლური,
ვერაფერი ვილონე!
შა და... ჩამოიქცევა
დაბზარული თავანი...
ვიდრე უფრო შემზარავს
ვნახავ და გავიგონებ,
ღმერთო, უნინ მაღირსე
სამუდამო სავანე...

გოლგოთიდა ჩემს მეგობრებს პეხშიანები

ნუ გენაღვლებით, მეგობრებო,
კარგად ვარ, კარგად!
მაგარი ძაფით რაღაცას ვქსოვ,
რაღაცას ვქარგავ,

არა მიჭირს რა,
აი, ტკბილი ვაშლიც გავთაღე,
კვლავ ვუხარი ნაფცქვენს
მოყურადეს და მოთვალთვალეს

და ვით ჩამცხრალი ქარიშხალი,
გავცქერი გავლილს...
მოსჩანს მოლურჯო გორაკები
ნელ-თბილი ნავლის,

რომელიც თავსხმამ
ნაცარწმინდად აქცია უკვე...
ალაგ მზე ადგას
ნარვალებს და მტკაველა შუკებს,

სადაც ქათათებს
გადარჩენილ ზეცის ნაღები,
ცრემლის მარილი
და უჭკნობი სევდის ბაღები

და საყვარელი მინა,
სადაც თქვენ მეგულებით...
ნუ გენაღვლებით,
აღარ მტკივა ხელისგულები...



კობორევი
შერვაშიძე

შენიხანი სხვახი

მარიამობის წინა დღე იყო, როდესაც გა-
დაუწყვიტეთ, ცხვარი გვეყიდა. ვიფიქრეთ,
საქმეს წინ წავიგდებთ, ცხვარსა და "პრი-
პასებს" წინააღმდეგ შევიძინებთ, ზედ მარი-
ამობას რომ არ მოგვიწიოს ქვაბებითა და
აბღავლებული პირუტყვით რახარუხი-თქო.
ამ საქმის, ანუ "დიდი გახსნილების", უს-
ტაბაში მე გახლდით, რადგან თუ საქმეს
ერთხელ ითავებ, შემდგომ მასში აღარავინ
შეგვიცილებს. ჩემს შემთხვევაშიც სწორედ
ასე მოხდა. რამდენიმე წლის წინ მოვიფიქრე,
მარიამობადადესასწაულს ცხვარი დაგვეკლა
და მარხვა ჩაქაფულით გავგვესწლიებინა.
ეს აზრი მეგობრებმაც მოიწონეს და ჰოდა,
მიდი და მიხედო. მეც ავიდექი და მიხედე.
ჩამოვყავალიბე სტრატეგიული გეგმა, მოხ-
აზე კულტურულ-შემეცნებითი გასვლის
მარშრუტი და შევადგინე "სმეტა". იმათაც
მაღაადეც, რა კარგი ბიჭი ხარო, მანქანა და

ფულის აგროვება ჩვენზე იყოსო. ასე ვაჩ-
და ერთგვარი ტრადიცია, რომ ყოველ წელს,
მარიამობას, ცხვარს ვკლავედით და ვქეიფობ-
დით. ამას ისიც დაერთო, რომ სხვადასხვა
მიზეზთა გამო, მე ერთ ჩათქმულ ცხვარს
ჩემნილ ვყიდულობდი და ვუშვებდი ხოლმე,
ხოლო მეორეს კიდეც საზიაროდ ვიძენდით
და ვქაფავდით. ანუ ვყიდულობდით ორს,
ერთს მე ვუშვებდი და მეორეს კი, საზიაროს,
ვკლავედით. რალა თქმა უნდა, მე განსაცდელი
არ მელეოდა წლიდანწლამდე და ჯიქურ ცხ-
ვრის შეწირვით ვებრძოდი ამ ჩემს წინააღმ-
დეგობებს, ხოლო მეგობრებს მადა ხომ არ
წაუხვებდობდათ ყოველი გახსნილებისას და
ამიტომაც, საქმეც სულ წინ მიდიოდა. აქედან
გამომდინარე, ყოველ მარიამობას, მშვენიერი
კულტურულ-განმაცდობელი ღონისძიება
გამოგვედიოდა. კულტურულში იგულისხმე-
ბოდა სალოცავში მისვლა და ცხვრის გაშვე-
ბის რიტუალი, ხოლო განმაცდობელში, თავა-
დაც მიხვდებით — ჩაქაფული.

ამ კულტურულ-განმაცდობელ მოვლენა-
თა მიმდინარეობა კი შემდეგნაირი გახლდათ:
ოცდარვაში დილაადრიან ავიყვებოდი,
ასე თხუთმეტ კაც-ქალ-ბავშვამდე და დატ-
ვირთული მანქანებით მივემართებოდი სა-
ლოცავისკენ. გზად რომელიმე სამწვადეში
შევივლიდით და წინასწარ შეთანხმებულ
ყასაბს დაუტოვებდით საზიაროდ ნაყიდ ცხ-
ვარსა და ტარხუნით გატენილ ქვაბებს. ყას-
აბი კი, რალა თქმა უნდა, გარკვეული თანხის
საფასურად, დათქმულ დროს გვახვედრებდა
ერთ ქვაბში სამწვადესა და მეორეში კიდეც
ჩაქაფულს. ამის მერე, მეორე ცხვარს მი-
ვარბენინებდით ეკლესიისკენ, რათა შეწირ-
ული გავგეშვა და ჩვენ კი მოგველოცა. მი-
ვადგებოდი ხოლმე უნახავთა ურდოსავით,
რომელიმე ქალაქგარეთ მდებარე საყდარს
და ხმაურითა და ყაყანით მოვილოცავდით
იქაურობას. მე ჩემს შეწირულ ცხვარს სამჯერ
შემოვატარებდი წალმა-უკულმა ეკლესიას და
მერე ჰაიდა, ეგრევე ვილაცის კუჭგასახარე-
ბლად ვუშვებდი. რაც შეეხება, წალმა-უკულმა
სიარულს ეკლესიის გარშემო, ეს იმით იყო
განმარობებული, რომ სულ მერეოდა სწორი
მიმართულება, ანუ რომელი მხრიდან უნდა
დამერტყა წრე ეკლესიისათვის და ამიტომაც,
ძირითადად კარგი ექვსი წრის შემოვლა მიწ-
ვედა ფუტებგარჩულ ცხვართან ერთად. კუ-
ჭგასახარებლად კი იმიტომ ვუშვებდი, რომ
შეგხსნილი თუ არა თოკს ამ ჩემს "ცოფავთა
საზღაურს", ის უმაღ ვინმე უცხო მამაკაცის
მკლავებში აღმოჩნდებოდა ხოლმე და მა-
ლობის მოქმელიც არავინ გახლდათ. მერე კი

26015

საქართველო
პარლამენტი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყო ბევრი სანთლების დანთება, ღმერთო შენ შეგვიწყალებს ძაბილი და უღამაზესი ხედებით ტკობა. ბოლოს, ერთად შეკრების მრავალი უმედვეგო მცდელობის შემდეგ, როგორც იქნა, თავს ვიყრიდით მანქანებთან და გვზს ვიღებდით ზემოხსენებული სამწვადისაკენ, სადაც გველოდა უგემრიელესი ჩაქაფული და ახალდაკული სამწვადე. იქ მისულნი კი, ვდებდით იმ უშველელ ქვაბს საბარგულში და გადავდიოდით წინასწარ შერჩეულ საქეიფო ადგილზე, სადაც იყო წყალი, ჩრდილი და ბევრი შეშა. მერე კი იწყებოდა "დიდი გახსნილება" და ჩვენც გვიანობამდე ვკვებუნებდით. ვამოხინებდით მწვადებს, ვმღეროდით უცნობ-ნაცნობ სიმღერებს, უზომოდ გვცამდათ ლოინოს და საერთოდ, ძალიან ვხალისობდით. ამ ვერზეც თითქოს ვყვავდებოდით სწორედ ასე უნდა მომხდარიყო, როგორც წინა წლებში, მაგრამ, ერთი რამ კი მაინც ხინჯად მქონდა გულში, რაც მოსვენებას არ მძალედედა. მთელი მარიამობის მარზეც ისე შევინახე, რომ ეკლესიაშიც კი არ მივსულვარ, აღსარება-ზიარებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მეც ასე უმსგავსოდ, იმის მაგივრად სინანულში ჩავვარდნილიყავი და ცოდვებზე მეფქირა, მარიამობის დღესასწაულის წინა დღესაც კი ჩაქაფულზე დეარდობდი და წინასწარ მადააღძრული ნერწყვებს ვყლაპავდი. და ალბათ სწორედ აქ მივქარე კიდევ, რადგან...

იმ დღეს, ანუ მარიამობის წინაღღეს, დღიდანავე ძალიან ცხელოდა. ჩრდილიშიც კი იფლი სახეზე სულ ნურწურით ჩამოგვდიოდა, მაგრამ ჭამა-სმის გულისთვის კაცი რას აღარ აკეთებს და არც ჩვენ ვიყავით გამოხაკლისი. ჯერ ბაზარი და ტარხუნის ამბები მოვითავით და შემდეგ კი პირუტყვის საყიდლოდ წავედით. ისეთი ლამაზი ცხვარი შევარჩიეთ, ცქერით ვერ გაძლებოდი, მაგრამ, აბა, მარტო ცქერა რას გვიშველიდა ხორცს დანატრებულებს. ავდექით და ეგრევე საბარგულში მოვათავსეთ ეს ჩვენი ჯერ ვერჩაქაფულად ქცეული მეგობარი და აგარაკისკენ გავსწიეთ, საიდანაც, მეორე დღისით, უნდა დაგვეწყო "დიდი გახსნილების" რიტუალი. ვერ გეტყვით, იმ წელს არაფერი მქონდა ჩათქმული, თუ უბრალოდ ფული დამენანა, მაგრამ მეორე, გასაშვები ცხვრის ყიდვას კი თავი ვიპარადე. ვიცი, უზიარებელი ვრჩებიდი იმ მარზეში და თითქოს სინდისს ქენჯნას რომ გავქცეოდი, ცხვრის გაშვებაზეც უარი ვთქვი. აბა, ეგ რა მორწმუნეობა იქნებოდა, ახლა დიდის ამბით ცხვარი გამეშვა და მე თვითონ კიდევ ეკლესიაში ერთხელაც არ ვყოფილიყავი

ვი ნამყოფი. მერე ჩემი ცოლის ყბიდან რაღა ამოვიდოდა, შენ თუ ევგეთი მაგარი მორწმუნე ხარ, ეკლესიაში გველო და ზიარებოდი, ამ ცხვრებს ვცდი დარბენინებ წინ და უკანო. მოკლედ, ვფიქრობდი ნაკლები მეფიქრა ამ ჩემს მანკიერებებზე და მეტი ყურადღება დამეთმო ჩაქაფულისთვის. სწორედ ამ ყურადღებიდან გამომდინარე, ვინაიდან და რადგანაც, საბარგულში მოთავსებულ ცხვარს აუცილებლად უნდა მოეწელებინა საკვეცი და შემდეგ შიშისაგან თვალებგაფართოებულს უშირობოდ უნდა "გადაეკურკლა" იქაურობა, მეგობართა უმადლესმა საბჭომ ამ საქმისთვის გამოყო ერთი დაფეხილი და ეგონებ, ასაკითაც ჩვენზე უფროსი ავტომობილი. შედეგად კი ის მოხდა, რომ აგარაკზე ასვლისას, მაღლა და მიხვეულ-მოხვეულ გზებზე მოძრაობისას, ეს ჩვენი სულაც ვერნაქები მანქანა გაჯავრდა, თუ გაჯორდა და წყალი ააღწა. იმ ხვამში ახლა ჩაის დასაყენებლად არავის გაცხელოდა და დაფუნეთ ლოდინი წყლის გავლენას, "იქნებ თავზე მაინც გადავივლოთ-თქო". გამმოვედით გახურებული ავტომობილიდან და გზისპირა ჩრდილში მივეყარეთ. ვილაცამ თქვა, ისე ცხელა, სუნთქვა ჭირს და სწორედ ამ სიტყვებზე საბარგულში ჩავეტილი ცხვარი გაძახებდა, რომელსაც სიმართლე ითქვას და კარგა ხანია კრინტი არ დაუძრავს. ვიფიქრე, ცოდოა და საბარგულს მაინც აუფხდი, არ გაიგუდოს ეგ უბატრონო-მეთქი. არა, მართალია, ამ ჩვენს ახალ მეგობარს, დიდხანს ცხოვრება მაინც აღარ ენერა, მაგრამ მწვადლებში ხომ არ ვიყავით, დაკელის მაგიერ, გაგვეგუდა. ავდექი და საბარგული გაფხენი, მაგრამ თურმე იმ სამგლეს ფეხებზე თოკი გახსნოდა და რომ ავხადე "ბავაუნის", ცხვარი ფეხზე დამდგარა არ დამხვდა?! უკანა ჩლიქები იქვე მოთავსებულ ქვაბში ჰქონდა ჩაყრილი და დაბნეული ბლაოდა. შევწუხდი, ამ დრამატული სცენის შემხედვარე, საწყალმა, ალბათ, უკვე წინასწარ იცის თავისი უკანასკნელი ნაცსაყუდელის შესახებ-მეთქი და გადაწყვიტე, ქვაბი მანქანაში გადამეღო, რათა ჭურჭელი საბოლოოდ არ ნაბილწულიყო ცხვრის კურკლისაგან.

სწორედ იმ დროს, როდესაც მე ქვაბს ჩავაფრინდი ორთავ ხელით და მის ამოღებას ვლამობდი, ამ ჩვენმა ყოჩაღმა ცხვარმა, არც აცოდა, არც აცხელა და პირდაპირ ჩემი ილღის ქვეშიდან ისეუპა გზატკეპილზე. ატყდა ერთი ყვირილი, ცხვარი გაიქცა, დაიჭირეთო, მაგრამ რად გინდა?! მანქანა ზედ გზის პირზე იდგა და იქ კიდევ საკმაოდ დატვირთული

მოდრაობა იყო. ჩვენმა "ცხვარქაფულმა" კი, ეს ამბავი ეტყობა არ გაითვალისწინა, ან უბრალოდ უგულვებელყო და გადმოხტა თუ არა, უმალ მანქანას შეუვარდა ბორბლებზე. როგორ? როგორ და დახტა თუ არა ასფალტზე, დაადო თავი და ევრევე ზევით გაგზავნა. იქიდან კიდევ მანქანა მოპქროდა, არცთუ პატარა სისწრაფით და ეს ჩვენი გაქცეული ტუსალი, სულ მცირე სამ მეტრზე ისე გასტყორცნა, რომ მუხრუჭებიც კი არ უხმარია. ცხვარმაც, გამოცდილ ტანმოვარჯიშესავით, ჯერ ორი ვირტუოზული მალაყი შეასრულა ჰაერში და მერე, ცოტა უკეთ რომ დაშვებულყო მინაზე, უეჭველი უმალლეს ქულაგბა დაიმსახურებდა თვალბგაფართოებული უიურის წვერთავან. სამწუხაროდ, ბეჭებზე დაენარცხა და ბეეო... ამოიგმინა. ჩვენ კიდევ, ვგრეთ ნოდებუი უიურის წვერები, ვიდექით ასე პირდაფრწინლები და შეეცქეროდით ამ სპეცეფექტებით გავერებულ ეპიზოდს, სანამ ეს ჩვენი ცოდვით საესე ცხვარი ისეე არ წამოხტა ფეხზე და ახლა უპვე თავვეფ არ დაეშვა?! ეეეოო... თითქმის ერთდროულად აღმოხდა ყველამ, მაგრამ ჯერ სად ვიყავით, რადგან ეს ზომ მხოლოდ ჟურნალი იყო და ნაღდი ფილმი კიდევ წინ გველოდა. აბა, თქვენ ჩვენი სახეები უნდა გენახათ, როდესაც ახლა ქვემოდან მომავალმა მანქანამ წყვიტა მოკუნტრუმე ბეეკას და გზისპირა ბურქებში მიაგდა. ამ ამბის შემხედვარეთ, სიმართლე ითქვას, დაფრწინილი პირები კიდევ რამდენიმე სანტიმეტრით ჩამოგვეწელა და აღბათ, აუტანელი სიცხე რომ არა, თავი ნაღდად კინოში გვეკონტრობდა. აშკარა იყო, რომ ჩვენი შეუპოვარ ჩლიქისანს მძლოლებში არ უმართლებდა და გონებ, იმ ნუთას, ისეე ყასბის დანიანი ხელი ერჩინა, იმ გვემას, რაც მას იქ უნია. სანახაობით თვალსაზრისით კი, ეს ყველაფერი იმდენად ეფექტური გამოდგა, რომ მე პირადად, ისიც მომეჩვენა, თითქოს ცხვრის ჰაერში ფრენის სცენები ოდნავ შენელებული და განელიიც იყო. აი, ზუსტად ისე, მძაფრსიუეტტიან ფილმებში რომ არის ხოლმე. მაგრამ ყველაზე სახალისო, აღბათ, მაინც ავტიონციდენტის მონაწილე მძოლები გაფიქრებული სახეების ხილვა იყო, რომლებიც ადვილზე გათავდნენ, სანამ მიხვდებოდნენ, რას დაარტყეს. დაიხოცნენ საწყლები, ვიდრე გაიაზრეს, რომ თერთი ქულა, რომელსაც დაეჯახნენ, არა ღრუბელი, არამედ ჩვეულებრივი ცხვარი იყო. აბა, ღრუბლის გატანა იქნებოდა ახლა ასეთ გვალვაში?! ჰოდა იმათაც, რა მოვიდნენ გონს, ეგრევე გადმოცივიდნენ თავიანთი ავ-

ტომობილებიდან და თვალღერება დაუსწყს საკუთარ ფოლადის რაშებს, აქაოდა, რამე ხომ არ დაუშავდათო. ჩვენ კი, ძალიან დაბნეილენ, რატომღაც ზედ შუა გზაზე ვიდექით და მანქანების პატრონებს ვარწმუნებდით, რომ ინციდენტი ჩვენი კი არადა, თავნება ცხვრის ბრალი იყო და მკედარი პირუტყვი კიდევ, ნაღდად ვერ ანახლავდებოდა ჩამტვრეული "ფარების" საფასურს. ვერ გეტყვით, რამდენ ხანს მოგვინევდა, შემოხსნებულ უხერხულ სიტუაციაში ყოფნა, რომ უეცრად, ვიღაცას არ დაეყვირა, ეს მართლა სამგლე ნახე რა დღეშიაო. თითქმის ერთდროულად ყველანი ბურქებისკენ შევეტრიალდით, სადაც რაღაც ჯერ შერხა, მერე თავი გამოყო, მეეეო... დაიბღვლა და ბარდებიდან თავის დაღწევა სცადა. სასწაულია პირდაპირ, მაგრამ ეს ისეე ის ჩვენი ცხვარი იყო.

ჰე, ბიჭო, დაიჭირეთ ვინმემ ეგ ოხერი-მეთქი, შევეყვირე და ბარდებში გახვეული ცხვრისკენ ვისკუპე. ეტყობა, ამ ჯერზე, იღბალი უკვე მის მხარეს იყო, რადგან მე ჯერ კიდევ ჰაერში ვიყავი, ცხვარმა რომ ბარდებს თავი დააღწია და ტყეში მიმავალ ბილიკს დაადგა. მაგრამ არ მესიამოვნა ბურქებში თავით გარქობა, მაგრამ რალას ვიზამდი? ომში დაჭრილივით ამოვიგმინე, ბიჭებო, ჩემს თავს ნუ დაეძებთ, ცხვარს გამოუდექით-მეთქი. მანქანასთან მდგომი ოთხკაციანი რაზმიდან კი საამა ხმამალბი სიცილი დახვსო, ერთი შენიც და მერე იმ დამპალი ცხვირსაცო, ხოლო მეორე ორმა, მარტო ცხვრისო და ზღაზენით გამოუდგნენ პირუტყვს. სანამ ისინი ბილიკს მიუყვებოდნენ, ვიფიქრე, მე გზას მოვჭერი მეთქი და ბარდებში დავიწყო ფორთხალი. ძლივს დავძლიე საკმაოდ მოზრდილი ფერდობი და ბორცვზე რომ ავძვეერი, ისეთი დაღლილი ვიყავი, ფეხზე ძლივს ვიდექი. გზა მართლაც მოვჭერი, თუმცა კი — უმედეგად. ცხვარმა ისეე სულ რაღაც ნამტივს გამასწარნა და ახლა ჩემგან ზუთიოდ მეტრში იდგა ქანდაკებასავით. მდეგრები არსად ჩანდნენ და ამიტომ, კვლავ მე მომიწია დადევნება. მოვიკრიბე რაც ძალი და ღონე მქონდა და გამოუვდექი. მიუხედავად იმისა, რომ ცხვარი საკმაოდ ახლოს იყო ჩემთან, გადაადგილება იმდენად მიჭირდა, რომ ჩვენს შორის არსებულ დისტანციას ვერაფრით ვამცირებდი. აუტანელი სიციხისაგან ფეხებს ძლივს მოვათრეედი და სუნთქვა მეკვროდა. მცირე მონაკვეთში, ისე ძლიერ დავიღალე, რომ რამდენჯერმე ისიც კი გავიფიქრე, ნაწივდეს ერთი მაგისიც-მეთქი, მაგრამ ყოველ ჯერზე ცხვრის სიახლოვე მხიბლავდა. ცხ-

ვარიც, როგორც კი მასზე დევნის შეჩერებას გადაწყვეტილი, თითქოს განგებ, ჩერდებოდა ხუთიოდ მეტრში, ტრიალდებოდა და იწყებდა ბლავილს მიეყოლო... ამის შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ის ვარბოდა და მე მივსდევდი. მე ვჩერდებოდი და ისიც ხუთიოდ მეტრში დგებოდა. მესამე ჯერზეც რომ იგივე გააკეთა, უკვე სერიოზული ეჭვი გამიჩნდა, მგონი, ეს ცხვარი რაღაცას მიჩალიჩებს და სადღაც გადასავარდნში მივყავარ-მეთქი. ეს ფიქრი ძალიან არ მესიმოვნა, თუმცა კი, ამჯერადაც ჯადოსნურად იმოქმედა ჩემზე ცხერის სიახლოვემ და მეც კვლავ მივყვი. ამ სრბოლას კი დასასრული არ უჩანდა. ბოლოს ისე გავითიანე, რომ თუ არ ვაღივლებდი, ნამდვილად აღარ მეგონა. აბა, როგორი საქმეა, თაკარა მზეში და თანაც აღმართზე სირბილი?! ვერაფერი შესაშური. არადა, თავის წილი, არც ის ცხვარი მეშვებოდა "სტიმულის ვარიანტიში". ბოლოს, კიდევ ერთხელ რომ გამიჩრდა წინ, ხუთმეტრიანი დისტანციის აღსადგენად, გულმა აღარ მომიბინა და შევაგინე, წადი შენი პატრონის დედაც-მეთქი. იმან კიდევ მიეყოლო... და ყურები აბარტყუნა. პო, შენ-მეთქი. რა გინდა, რას გადამკიდებხარ, თუ გაქცევა გსურს, წადი და გადაიკარგე, მე რაღას მკლავდ ამ უაზრო სირბილით-მეთქი. ის კი ისევ სადუმდა და თავს მრავლის-მეტყველად აქანცარებდა. მე ფეხზე დგომის თავიცი აღარ მქონდა და ეგრევე მუხლებზე დავეცი ენაგადმოდებულნი. მორჩა, აღარ შემიძლია-მეთქი. ვგრძნობდი, რომ ცოტაც და გული წამოვიდოდა დახუთულობისგან. გონებაში კი ისევ ის წელანდელი აზრი ამომიტივტივდა, მე მგონი, ამ ცხვარს, მართლაც სადღაც მივყავარ-მეთქი და უფრო მეტად დავეითრგუნე. მცირე პაუზის შემდეგ, იმედით გაეპარე თვალს ცხვრისკენ და თქვენ წარმოიდგინეთ, რა უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა, როდესაც გაგხედე და ის ისევ იქ, ჩემგან ხუთ მეტრში იდგა. მორჩა, აღარსადაც აღარ წავალ-თქო, გადავწყვიტე და მინაზე წამოვხვექი. შენ კი, თუ ეგრე გულით გინდა, იმეტი მანდ და მელოდე, როდეს დავისვენებ-მეთქი. სწორედ ამ დროს ჩემი ძმა წამომადგა თავზე და დამხზალა, რას შვები შექმეა, ცხვარს რატომ არ იჭერ, აგერ არა დგას ეს დედა მო... ო. პოდა, აბელი ძმაო და შენ თვითონ დაიჭირე, აღარ შემიძლია, ის ჩაქვთული მარტო მე კი არ უნდა ვჭამო-მეთქი. იმანაც, ერთი შენიცო, ხელი ჩაიქინა და მიჰყვა ჩემს მწვალბეგლს.

ცხვარი კი ისე არხეინად წაკუნტრუსდა, თითქოსდა, ის არ ყოფილიყოს ორჯერ მანქანადანარტყამი და საბარგულში ნაქანჭყ-

არები. სანამ გაიქცეოდა, ერთი კი შემოტრიალდა და რაღაცნაირი ნაწყენი მზერა მტყორცნა, ვითომცდა, სულ ევა ხარ შეჩემო. მოც ავდექი და მზერითვე ვუპასუხე, აბა, რომელი კენილი მორბენალი მე მნახე, შე მართლა შეჩემისა-თქო. ეს ტელეპათიური დიალოგი მალევე დასრულდა, რადგან ჩემი ძმაცა და ცხვარიც თვალს მოუფარნენ. სამაგიეროდ, ჩემი მეგობარი გამომჩნდა ჰორიზონტზე, რომელიც დაოთხილი მოხობავდა და დუფებს ყრიდა. რაღაცნაირი დანაშაულის გრძნობა გამიჩნდა, როდესაც გავიაზრე, რომ ჩემი უაზროდ ჰუმანური საქციელის გამო, ამდენი ადამიანი იტანჯებოდა. მივხვდი, რომ რადგან მე შეუეთენოდა საბარგულის გახსნის იდეა, ამიტომ, შედეგებზეც მე უნდა მეგო პასუხე. შენ მანდ იყავი-მეთქი, დღის ამბით შეეძახე დაოთხილ ძმაცაც და რის ვაი-ვაგლახით წამოვდექი. მე მგონი, ის გზის გაგრძელებას საერთოდაც აღარ აპირებდა, მაგრამ ჩემი სიტყვებით დაიმედებულნი, უფრო შვებით წამოგორდა დაბალი ზუსქის ძირას. მე კი ლასლასით გაუყვივი ბილიც და ხელების უშნო ქნევით სველი მაისური გავიძირე. რა იქნება, ახლა ამ მოსახვევს ვაგვდე და იქ კი, ჩემი ძმა და მის მკლავებში მოქცეულ ცხვარი ვიხილო-მეთქი, მაგრამ წურას უკაცრავად. ოციოდ მეტრში, მარტო ჩემი ძმა დაეინახე მინაზე გართხმული ყოველგვარი პარტნიორის გარეშე. რას შერები, ცხვარი სად არის-მეთქი? იმან კიდევ, მომწყნე ერთი თავიდან, მაგისი და შენიცო. რალა მექნა, ამკარად ყველა ჩვენ, ანუ მე და ცხვარს, გვაგინებდა და გვადანაშაულებდა. სიმართლე ითქვას, მგონი, ვიმსახურებდით კიდევ და ალბათ, ამიტომაც, რაღაც მანქანებით შთაგონებულმა, ძალ-ღონე მოვიკრიფე და გზა განვაგრძე. უკვე აღარანაირი იმედი არ მქონდა, ცხვარს როდესმე თუ დავენოდი, რომ უკვებ ჩემს წინ არ ამოისევტა პატარა ბორცვზე შემოდგარი?! მართალი გითხრათ, სულაც არ გამხარებია ახლა მისი ხილვა, რადგან მივხვდი, რომ სრბოლა გაგრძელებოდა და ეს კი ნაღდად არ იყო ჩემთვის სასიამოო ამბავი. ვუყურებ და ვხედავ, რომ დგას ეს ჩემი "ცოდებების საზღაური" იმ ბორცვზე და ბლავის გამეტებით. ძალიან გაებრაზდი და ბოლო-ბოლო, არ იტყვი, რა გინდა-მეთქი?! უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ ამ ცხვარს არანაირი კავშირი არ ჰქონდა ბედის ირონიასა და იღბალთან. ის, ის სულ სხვა განზომილებიდან იყო მოსული და ამკარად რაღაც მისიას ასრულებდა ჩვენს პლანეტაზე, მაგრამ პირადად მე რას მიქადადა, ამას ჯერაც

ვერ ვხვდებოდი. ცხვარმა მასუხად ისევ დაიბლაგვლა, ვითომცდა, მომყვითო და ბორცვის უკან მიიმალა. მავრა გამიტყდა, რადგან ეგრევე ცარიული ქვაბი, დამჭიწნარი ტარხუნა და ამჭავებულები ტყემალი წარმომიდგა თელანინ. რაღაცნაირად გული დამწყდა, რომ ფუჭად ჩაივლიდა "დიდი გახსნილების" რიტუალი. ამან საერთოდ ამრია და მეც დაუფიქრებლად დავავლე ხელი იქვე დაგდებულ ქვას. "კენის" ცოდვით შეპყრობილმა ნაბაჯს ეუმატე და სიმართლე გითხრათ, ჩემთვის, ალბათ, აღარანარი აზრი აღარ ჰქონდა, ცხვარს ცოცხალს შევიპყრობდი, თუ მკვდარს, რადგან ეს უკვე პრინციპის ამბავი იყო.

ბორცვზე რომ ავედი, ქვა მოვიმარჯვე და მსხვერპლს დავუნყე ძებნა. სამსუხაროდ, თუ სასიხარულოდ, ის იქ აღარ დამხვდა. ამან ცოტა არ იყოს, დამაბნია; როგორ კაცო, ბაბა, ხუთმეტრიანი დისტანციამეთქი? თუმცა კი უფრო დიდი იმედგაცრუება წინ მელიოდა, რადგან კარგად რომ შევათვლიერე იქაურობა, აღმოჩნდა, ჩემს წინ მიმავალი ბილიკი სამმა იყოფოდა. ციადე დავავადე ხელიდან ქვა და ჩაფიქრებული ჩამოვჯექი იქვე. მაშინ ნეტავ რისთვის ეს ყველაფერი? ნუთუ შესაძლებელია, რომ ცხვარმა ჯერ ფეხებზე თოკი მოიხსნას, მერე მანქანას შთააგონოს, წყლის ადუღება და მე კი საბარგულის გახსნა, შემდეგ ორი ავარიული სიტუაციის შექმნა, მთლიან ჯამში ექვს მეტრამდე შაერში ფრენა და კილომეტრამდე აღმართში სირბილი, თანაც ბოლოს, მდევრების ხელიდან დასლტობა და სამშვიდობოს გასვლა-მეთქი? ამ მხარე ფიქრებში ვიყავი გართული, როდესაც ჩემი ძმა და მეგობარი წამომადგნენ თავს. გაოგნებულებმა მკითხეს, რა ხდებოდა? აბა, მერე რეცი-მეთქი. იმათ, როგორ თუ არ იციო? აი, ეგრე, აქამდე ვედი და მერე გაქარა-თქო. აუპო... თითქმის ერთდროულად ამოვიტყმინეთ სამივემ და სიგარეტს მოვუკიდეთ და სამშვიდებლად. ყველას ერთი კითხვა გვანუხებდა — ახლა რაღა გვექნა? ცოტა ხანს ვისაუბრეთ და ბოლოს ორ წინადადებაზე შევიჯრდით: "რა გაუძლებს დანარჩენების დაცინება და უჩაქაფულო მარიაშობასო". მერე კი მანქანის სიგნალის ხმა გაისმა და ჩვენც თითქოს გამოვფხიზლდით. ეტყობა, ავტომობილში წყალი განელეხულიყო და დაბლა დარჩენილი მეგობრები გვეძებდნენ. აქა ვართო, შესაძება ჩემმა ძმამ და ყველანი წამოვდექით, რათა გზისკენ დავმეხებულებოყვით. მაგრამ, უეცრად, ზედ თავზე, ზარების რეკვა შემოგვესმა და ადგილზე ვავშუმდით. ურუანტელმა დამიარა სხეულში და ყელში

ეკლიანი გორგალი მომეზჯინა. სადღაც გავიწილი ფრაზა, "პაკაისა გრემნიკ", ამომიტიტივდა თავში და გამახსენდა ჩემგან უღირსად შენახული მარხვა. ადგილზე ვავძვავდი და საფეთლები ამენვა, აი, თურმე საით მივყავდი იმ ჩემი ცოდვით საესე ცხვარს-მეთქი?! საშინელი სინანულის განცდა დამეუფლა და ლამის ავტირდი. უმაღ მივხვდი ჩემს შეცდომას და ვივარქინე, როგორ მიმეღრცა სახე. მე უმსგავსოს, იმის მაგიერ, რომ სულის ცხონებაზე მეფიქრა, კუჭის ამოყორვას ვლამობდი. მთელი მარხვა ისე შევიხანხე, რომ აღსარება-ზიარება კი არადა, ეკლესიაშიც არ შევესვივარ, ვითომცდა, საყდარში წასავლელად ხელი არ მენყობა- მეთქი. თუმცა, როგორც კი ჯერი გახსნილებაზე მიდგა, არაფერი დამზარებია. ნიშნისმომგები იყო, როგორც ჩემი სიზარმაცე და სულსწრაფობა, ასევე ცხვრის საქციელი და ზარების რეკვა. დაბნეული და გაოგნებული გულის ძახილს მივეყვი და ვადავწყვიტე, იმ ეკლესიაში ავსულიყავი, სადაც ზარებს რეკავდნენ.

- თქვენ წადით. მე დავრჩები და ეკლესიაში ავალ.
- რომელ ეკლესიაში?
- ზარების ხმა ვერ გაიგეთ?
- ჰო, მერე.
- რაღა მერე, სადღაც აქვე, ზევით საყდარია, სადაც ლოცვა მიმდინარეობს.
- მერე იქ რა გინდა?
- რა ვიცი, იქნებ მოძღვარი ვნახო და აღსარება მაინც ვთქვა, თორემ ხომ ხედავ, არ გამოდის "დიდი გახსნილების" ამბავი. აშკარად რაღაცაშია საქმე და მგონი, ახლა ვხვდები, რაშიც. იმის ნაცვლად, რომ თუნდაც დღეს მაინც ეკლესიაში ვმდგარიყავი და ლოცვა მომესმინა, ავერ დავრბივარ პირველყოფილითი ქვით ხელში და სანყალ ცხვარს დავსდეე მოსაკლავად.
- კარგი ახლა, მორჩი ეგუიებს. პროსტო, ცხვარი გავგეცქა და არ გინდა ეგ რელიგიური ზახოდები ნიშნებზე და განცებაზე. რომელი რჩეული შეიღ შენა ხარ, ამდენი რაღაც მხოლოდ იმისთვის მოხდეს, რომ შენ ეზიარო. ხიბლში ნუ ვარდები ბიჭო.
- რა შუაშია ხიბლი? მე მაინც ვცდი ჩემსას.
- და სახლში როგორ მოხვალ?
- გამოვყვები რამეს, ხომ დადის ტრანსპორტი?
- როგორც გინდა.
- კარგი, თქვენ მიდით, ადით და ჩემებსაც უთხარით, რომ ცოტა დამავკიანდება.
- კი აბა, შენ იცი. ოღონდ ნელა ქენი, რომ ფრთები არ ამოგივიდეს.

ისინი ნაყიდნენ და მე დავრჩი მარტო ჩემს

ცრემლად მომდგარ სინანულთან ერთად. სველი მთისური გადავიცი და ნელი ნაბიჯით გავეყუცი ზევით მიმავალ ბილიკს. ფიქრი არ მეკარებოდა და მეც მხოლოდ ჩემს სუნთქვას ვუგდებდი ყურს. სულ რაღაც ათ წუთში, მთის წვერზე აღმართული საყდარიც გამოჩნდა და თითქოს, რაღაცნაირად გულს მომეფოვნა. მართალია, ძალიან მიჭირდა ვათანგულსა და მწყურვალს აღმართზე სიარული, მაგრამ მომხდარიან შემდეგ, მტკიცედ მიქონდა ვადაწყვეტილი, მამაოს ნახვა და აღსარების თქმა. მით უმეტეს, რომ ჩემი მოძღვრისგან კურთხევა მიქონდა აღებული, ქალაქგარეთ ყოფინასას სხვა მღვდელთან მისვლაზე. ოც წუთში, შემადლებულ ადგილზე ავგულე ეკლესიამდეც მივალნივ და მის ძირში შევეჩერდი. რკინის დიდი ჭიშკარი შევალე და მინაში გამოკვეთილ კიბეებს ავეყუცი. ზედ მთის წვერზე ულამაზესი პატარა საყდრის იყო აღმართული, რომელსაც ოთხივ მხრივ შესანიშნავი ხედი ერტყა. ეკლესია ახლად აშენებული იყო, მაგრამ ეტყობა, ძველი საყდრის ადგილას, რადგან კედლებში იმავე ძველი საყდრის ქვები შექონდა დატანებული. ის იმდენად მცირე აღმოჩნდა, რომ მრევლის ნახევარი გარეთ, მზის გულზე იდგა და ღია კარიდან უსმენდა ლოცვებს. მეც იმათ მივეკედლე, ისე რომ ეკლესიაში შესულა არც კი მიცდია, რადგან თავიდან ბოლომდე სველი ვიყავი. ვცადე ყურადღება მომეკრიბა, რათა მამაოს სიტყვები უკეთ გამეჩრია. ძალიან მიჭირდა იქ დგომა და ლოცვის მოსმენა, რადგან საშინლად მცხებოდა და სახეზე შეუჩერებელივ ოფლი მადგებოდა. მერე ვივად ღვთისნიერმა ქალმა წყალი ჩამოხტარა და ერთი ჭიქა მეც მერგო. ცივმა წყალმა ცოტათი გამომაკეთა და ვცადე გონებაში ჩემი ცოდვების ნუსხა ჩამომენერა. იმ დღით მომხდარი ამბის შემდეგ, სხვა რამეზე ფიქრი არ გამომდგოდა და თვალნინ სულ დილანდელი სურათები მდგა. ისე გავერთე ამ ფიქრებთ, რომ ვერც კი შევნიშნე, როგორ გამეოვდა მამაო გარეთ და აღსარებების მიღება დაიწყო. ის საყდრის ერთ-ერთ კუთხეში დადგა და მრევლიც, ზედმეტი ჩოჩქოლის გარეშე, მის წინ ჩამსკრივდა. ესეც, ალბათ, იმიტომ მოხდა ასე, რომ იმ დღეს აღმსარებლები ცოტანი იყვნენ და ძალიან ცხებოდა, თორემ დარწმუნებული ვარ, აქაც დაალურჯებდნენ ერთმანეთს მუჯლუგუნების რტყმით, რიგში წინ ჩასადგომად. მალე ჩემი ჯერიც დადგა და მეც გაუბედავი ნაბიჯით მივუახლოვდი მოძღვარს. ძალიან ვნერვიულობდი, რადგან არ ვიცოდი, როგორ მომეყოლა ჩემი ამბავი და თქვენ წარ-

მოიდგინეთ, როგორ დავიბენი, როდესაც მის სახეზე სუსტი ღიმილი შევნიშნე. ადგილზე გავეკავი და გონება დაეძაბე. უმალ გამახსენდა მისი სახე, რადგან წარსულში კარგად ვიცნობდი. ადრე, როდესაც მონასტერში ვიყავი, ის მაშინ იქ ცხოვრობდა. ახალგაზრდა კაცი იყო, ბერობას შემდგარი და წინამძღვარს ეხმარებოდა წირვა-ლოცვის აღმღვინაში. მსახურებისას ძირითადად ფსალმუნებს კითხულობდა, ხოლო ტრაპეზიასას კი — წმინდანთა ცხოვრებას. მახსოვს, ძალიან მკაცრი იყო, ალბათ, ნანილობრივ, იქაური ტიპიკონიდან გამომდინარე და მუდამ შენიშვნებს მაძღვედა ჩემი დაუდევარი ქმედებებისთვის. ერთხელ, ლამის სახლშიც კი გამიშვა, როდესაც მონასტრის გარეთ შემეჩინა, სივარეტს როგორ ვწვდი. გვერდზე გამიხმო და ბავშვივით დამტყუა. შემპირდა, რომ კიდევ ერთხელ თუ შემამჩნევდა ამგვარ საქციელს, აუცილებლად გამაძევებდა მონასტრიდან. ახლა, ეტყობა, მღვდლად ეკურთხებიანო და აქ გავმსენებინათ წინამძღვარი. ერთი პირი გული გადამიქანდა, როდესაც წარმოვიდგინე, ეს იქ რეებს მივებოდა და აქ რომ ჩემს აღსარებას მოისმენს, მერე რაღას მიზამს-მეთქი?! თუმცა კი, ჩემდაც გასაოცრად, ძალიან თბილად შემხვდა. რუდუნებით გადამეხვია და მხარზე შემეხვია. მომიკითხა და გულისყურით მოისმინა ჩემი ამბავი. მერე აღსარებაც მათქმევინა და ბოლოს, იმითაც დამამიშვა, სხვად დღითი მოდი და ზიარებისთვის მოემზადეო. ამხელა მაღლს ნამდვილად არ მოველოდი და ძალიან დავიბენი. ერთი მხრივ, მიხაროდა, რომ ზიარების საშუალება მექლოდა, მაგრამ მეორე მხრივ, მწინდა, რომ უნებურადექვი შევიტანე ღვთის მსახურის დიდულოკენებაში. ის კი იდგა და სათნოდ ილიმებოდა. დიდება უფალს და დიდი მადლობა თქვენ-მეთქი მამაო, შევლალადე მოძღვარს და გასასველელისკენ დავექვი. უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი იმ ამბით, რომ აღსარების თქმასთან ერთად, მე უბადრუკს, ზიარების უფლებაც მომიცა. საუცხოო სულიერი სისავსე ვიგრძენი და გული იმდენი ამეკსო. ესე იგი, არ მომხდარა დღევანდელი ამბავი ტყუილად და უფლის ნება ყოფილა, რომ მე ამ მარხვაში უზიარებელი არ დავრჩენილიყავი. აბა, ის ცხვარი რომ არ გამქცევოდა და ეკლესიასთან არ მივეყვანიე, ალბათ, ახლაც სადმე ვირბენდი ტარზუნიანი ქვაბებით და არც კი ვიფიქრებდი ღვთის მადლის მიღებაზე-მეთქი. თითქოს ბოლომდე ვერც კი ვიარებდი მოვლენათა იმ დიდ ჯაჭვს, რომელმაც საბოლოოდ მე ეკლესიაში მიმიყვანა.

თანაც, ეს ყველაფერი, სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც აღარანაირი იმედი აღარ მქონდა, რომ აღსარების თქმას მაინც შევძლებდი მარიამობის მარხვაში. თავში ვერ ვალაგებდი ამდენ ერთდროულ დამთხვევასა თუ განგების ნიშნებს და ყოველ ჯერზე ფიქრებში ვიკარგებოდი: ცხერის გაქცევა, შემდეგ მისი ავარიებში მოყოლა და გადარჩენა, მერე იმისი სირბილი ისე, რომ მე არ ჩამოვრჩენილიყავი და ბოლოს, ზედ საყდრის ბილიკთან გაქრობა. ნარმოუდგენელია, არა? თანაც ეს ამბავი გვირგვინდებოდა ჩემს თავზე დარეკილი სინანულის ზარებითა და ზიარების მიღების უფლებით. გაოგნებულმა გადავიჩინე პირ-ჯვარი, ღმერთო, შენ შემინყალე-მეთქი და გახალისებული ვაკემურე სახლისკენ.

რალა თქმა უნდა, მეორე დღეს, დილაადრიან ვეახელი ჩემი სულის მხსნელს. სრულად დავესწარი წირვასა და პარაკლისს. სახარებაც მოვისმინე და ღვთის უფიდეცი მაღლი – ზიარებაც მივიღე. ძალიან კმაყოფილი ვიყავი, რომ ყველაფერი ასე ლამაზად დასრულდა. აბა, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ამბის შემდეგ, როგორ "საჩაქაფულედ" ავეითებოდი?! ვიფიქრე, ახლა კი ნამდვილად ღირს ვარ კარგი ქამა-სმის-მეთქი და ორ საათში, საერთოდ ყველაფერი მოვაგვარე "დიდი გახსნილებისთვის". ეკლესიიდან პირდაპირ ქალაქში დავემეი და კიდევ ერთი ბატკანი ვიყავი. მერე ის გზისპირა სამწვადის ყასაბს მივგვარე და იქვე, ბუნებაში საქეიფო ადგილიც შევარჩიე. ბოლოს, დავრანზე ოჯახობა-სამეგობრო და მოსალამოებულს ქეიფიც გაჩაღდა. მინდა ვითხრათ, რომ ჩაქაფულიც დიდებული გამოვიდა და ბატკნის მწვადიც. ისე კარგად შევირგეთ ყველაფერი, რომ თქვენი მონონებული. ამ ყოველივეს კი გასწავთრებით სასიამოვნოს ის ამბავი

ხდიდა, რომ მე გულში ხინჯი აღარ მქონდა და აღარ განვიცდიდი სინდისის ქენჯნას. ანუ ყველაფერი წესის მიხედვით ხდებოდა. დიდი ზიარების შემდეგ, დგებოდა დიდი გახსნილების ჯერი და იყო ამბი რალაც ღვთისაგან კურთხეული.

გაიშალა სუფრა და დაიწყო ღვთის დროსტარება და ცეკვა-თამაში. ისმოდა სიმღერა და საუცხოო სადღეგრძელოები. მაგრამ რატომღაც, დამსწრე საზოგადოება, ყველაზე მეტად, მაინც ჩემი გაქილიკებით ერთობოდა. განსაკუთრებით კი მოსწონდათ ხუმრობა იმაზე, მოყვიე, აბა, ერთი ის ამბავი როგორ იყო, გასაშვებად შეწირული ცხერის ყიდვა რომ დაგვენანა და საზიარო ვაკექცა და მაინც გაყიდნა კიდევ ერთი ბატკანიო. მე კი ვაბადრული სახით ვუსმენდი მათ და ისევე ჩემსას ვიმეორებდი ვიუტად, ვერე არ იყო ეგ ამბავი, ეს ყველაფერი ასე სწორედ იმიტომ მოხდა, რომ მე ღვთის მაღლი არ დამეკარვა დამარიამობის მარხვაში ვზიარებოდი-მეთქი. მერე კი ყველანი გულიანად ვიცინოდით. ვიცინოდით კი იმიტომ, რომ ყველაფერს ორი მხარე აქვს და ამ ორ მხარეს ყველა იმ მხრიდან უყურებს, რომელიც უშუალოდ მას მოსწონს.

უფლის წყალობა განუსაზღვრელია და მე უმეცარს, რომ მეგონა, მეტი რალა მოწყალეობა უნდა მოიღოს ჩემზე უზენაესმა-მეთქი, აღმოჩნდა, რომ საქმე მთლად ასეც არ იყო და მე ნამდვილად ვერასოდეს განვსაზღვრავდი ღვთის წყალობასა და სიდიადეს. ამას კი, კიდევ ერთხელ სწორედ მაშინ მივხვდი, როდესაც ერთი წლის შემდეგ, ზემოთ აღწერილი ამბიდან, მარიამობა დღესასწაულს, მეორე ვაჟი, პატარა კონსტანტინე შემეძინა.

დიდება შენდა, უფალაო!





ვერიცო ზამთარაძე

მიდი, დალიე... ჩამოასხი ღვინო დოქიდან,
ჭიქას ხომ მაინც შეეჩვია ჩემი ბაგენი
მარტოობასთან შეყრა ისევ მიჭირს

ლოგინთან

გათენებულა მე კი დილას ვერ მივაგენი...
დალიე-მეთქი, ღვინო არა, არყის სიმწარე-
ღვინო ხომ მაინც

მოგონებით დაბადავდება

დავლიო უნდა,

ეს ქარღვები გამომიცვალეთ

გარდაცვალება იყოს ჩემი

ბედის თავდებად.

გაცვიოთ ნერვი...

ჩამოშალეთ ნაოჭის კალთა

სიტყვებს ფერები გაუშრებათ

უმალ ბოლმისგან

და ბედისნერა შუბლზე

ბოლო ძარღვივით გასკდა

მერე ლოდინი მნახველივით

მოვა ლოგინთან

დამისხით ეხლა,

სანამ სინდისს ძუძუს ვანოვებ

სანამ ბაღლაში

ბებერ ჯიქნებს არ შეუსუნთქაეთ

დამისხით, თორე

ეს ქუჩები გვანან მათხოვრებს

დღეებს ლუკმებად იზოგავენ

ჩამოყრილს მუქთად

მიდრდალიე... სანამ სიციხე ვაიჭაჭება...

მელავერდუ ახლა ჩემთან არყის ბოთლია
მინას შყიდიან საქართველოს

კვართის ნაჭრებად...-

ბედს კი ქართველნი

დღეებივით დაუხოცია.

უსასრულოა ოცნების ჯვარცმა
სადღაც დაიმსხვრა ცოლ-ქმრობის ფიცი

ნეტა იცოდა სულელმა კაცმა

ლექსებში შენი აწმყო რომ იწვის

და როგორც რითმა, გაგიცვდა ნერვიც

სხეულზე დარდი გიქემსავს ნაოჭს

ალარ შემოგრჩა გზა გადამრჩენი

და შენში ბოლმა ლოცვასთან დაობს

ახლა სიზმრებიც ალარ გწადაი,

თურმე ლალატი იქაც თავს გესხმის

რჩები ცრემლების ბებერ გადაიად

და გეშინია ლექსთან დარჩენის

შენთვის წყველაა ბედი პოეტის

ფოთლებთან ბაას ქალის სუნი აქვს

ყველა სტრიქონში ბოზის პორტრეტით

შენი ჯიქნები დაუსურია

ახლა ეჭვებით სარეცელს იზელ

როგორც ნაკურებს სხეულზე ბოლმის

მოვალეობით ჯვარს გადაიწერ

და შენში კვდება ყოველლამ ცოლი

მერე კი ვილაც მქაფი მოგწერს

პოეტი თურმე არის გენია

რომ ის ლექსებით წარმოთქვამს ლოცვებს

ბოლმისგან რომ ვერ შეგიმჩნევია

თურმე ძალაა მუხები მისთვის

ჯვარი რომ ზიდოს მუხლჩაუყრელმა

მისთვის ფურცელი არის კრნანისი

და სტრიქონ-სტრიქონ ხმლით ჩაუყვება

მეთულეობა ვალია მხოლოდ

შენი კი არა, ღმერთის ნინამე

და გვერდით მყოფი ყოველლამ გლოვობს

შენით დაქარგულ მუზის მირაჟებს

ო, როგორ გწადა მისთვის ვახშამი

და საუბარი ბებრულ კილოზე

ლექსებს ყელსაც კი გამოლადრავდი

ის კი ტკივილებს მუხით იხორცებს...

გვირილას პასუხი

ნუ მწამებ ვიყო გვირილა

ნუ დამკრფ როგორც ყვავილს

მე ევას ცოდვის შვილი ვარ

კაცის ტვირთი რომ არ ღლის

შენ მარცვალ-მარცვალ დამთვალე

დამწერე როგორც მტევანი ჩემს სულს კი ლექსში ნანავლებს გადაუარე მერანით შენ ნუ დამიკრევ სინორჩეს ნუ დამანელებ დარდით წაღი და შენთვის ვილოცებ კუნელის დაგდევს ლანდი მე კი დამტოვე ველ-მინდვრად ვიქვე ქარების სატრფოდ მერე წვიმა რომ შემირთავს დაგცერემლები დაგთოვ ახლა კი კუნელს მოკითხვით გამოვუგზავნი ბარათს ძვირფასო დიდი ბოდიში რომ არ უყვარხარ ქალად კუნელი ნუ იბარჯლები ნუ იფხორები ბრაზით შენ — სოფლის ტურფად დარჩები მე კი გვირილად ფრანზის...

ახლა სიზმარეთს მივდივარ შეილო, შენს სანახაგად დღეებს მოეყვები წარსული მაინც თავისას ცდილობს სხეულს მიქოლავს მძიმე ფლოქვებით ჩაენურებათ სველი ნაფური კლდეებად დაყრილ ნაოხრალ ლაგებს შენ მუდამ უნდა იყო კაცური პაპის პაპათა ამაგი გმართებს. იცოდე როცა დღე გვიბოლდება და ლამეს ძაძად სხეულზე გვაცვამს ჩვენ საფლავებზე ვრჩებით ლოდებად თავს არ გვანებებს დღეების ჯვარცმა ჩვენ არც იქა ვართ შეილო მარტონი ეს მონატრება მიგაქვს სამყოფად იქ შენი ცრემლი თუ მიპატრონებს და გამახარებს შენი კაცობა მე ამ ლამეებს შენთან მოეყვები სიზმარში ისევ მოგინახულებ ნუ გისველდება ჩუმად ლოყები როცა ეხები ქალის საყურეს იცოდე იქაც შენთვის ვდარაჯობ ქარებს და წამთა უცხო ბორილს შეილო სამშობლოს არ უღალატო ამ ქვეყანაზე დედა ორია.

მუზის ბედისწერა

მარადისობამ დაფერფლა მწუხრი აკვამლებული დღე მაქვს ნაფაზად დამა-გულს ლექსში მდებლად თავს ვუხრი ცოდვა ასე რომ გამოიმამაზა წვიმის რეფრენი ცხოვრების სონეტს ასდევნებია ცოლის ცრემლივით

ხარჭად კი მუზა ჰყოლია პოეტს ქარების მხრებზე გადანეწილი მერე წვიმები ისე ნამდება როგორც სახეზე სიბერის ხარკი ქმარს ცოლი სატრფოდ მოელანდება და ლექსსაც სუნი აუფა არყის და რექვიემი იქნება ლოცვა მუზა შერჩება ოლარს პატიმრად ქარმა ჯერ მთები მკერდზე დაკოცნა მერე ბავშვივით დიდხანს ატირა ახლა დაფერფლილ მწუხრს ეწანლება საათი წლების უცვლელი ხარჭა დამა-გულს უხმეს მეფისნაცვლებმა მუზა კი მხოლოდ ლექსებში დარჩა.

საფერფლეს ახრჩობდა თითები ნამწვავი და თითქოს ბაგესთან ტიროდა სიგარეტი... ვიყავი ბედიც და სიკვდილიც ამ წამს და მერე ბოლივით თავიდან ვტრიალებდი. მინდა, მოგიძიო ვით ანწყო ხვალისდელის, სიგარეტს ცოდივლი სხეული ეწვოდა, ენებებს აერიათ მგონი ამინდები შემთხვევით შეჩერდნენ

სიკვდილის სეზონთან ჩაიწვა ეს ღერიც, პაემანს ვასრულებ, სიძველე ემჩნევით ჟამის დამა-ქალებს... მე და სიგარეტი დავბერდით წარსულზე, ნამები ტყვიებად დღესვე დამახალეთ....

გავდივარ... კარს კი ნუ ჩამირაზავ კვლავ დაბრუნების შიში არ მტოვებს განგებ არ წყდება ცრემლი მინასაც და ეს წვიმები გვანან მათხოვრებს დაგესესხები ზიზლის განწყობას რომ მერე ბედა ისევ დამწყევლოს რა ექნა ალაღად თუკი ვბრაზობ და თუკი დარდისგან ველარ ვქართველომ კარი დახურეთ მივდივარ შორით და ახლა ზამთრის სუსხით ვივსები როგორც მევალეს ვალად გაქვს ცოლი ჯვარდანერილი ავბედისნერით დალუქულ კართან ვსვამთ შესანდობარს მე და ეს ჭიჭი ვიყოფთ განწყობებს ბოლოს ჭიჭამაც მგონი მაჯობა ახლა კი მხოლოდ დარდი მაცოცხლებს სად არის სტროფი ლამაზ ბავშვობის სად ჩამოვცალე ნეტა ანცობა დიახ, გესმოდეთ უკვე დავბერდი და წლები მიმყავს ჩამოსახრჩობად შენ ნუ წამოხვალ ტყვია მაქმარე და აღესილი სიტყვით დამკოდე

აღარ მადარდებს მოკლული ხვალე
არც ჩამომხრჩვალნი ხსოვნა ანმყოფდე
ნადი და ნულარ შემობრუნდები
მე უკვე ჩემი დარდები მიხმობს
თავს მხოლოდ ახლა გამოუვტყდები
თურმე ძვირფასო თქვენ არც კი გიცნობთ.

*** ე...ს

დაგნებდი?!
არა, სხეულს განვიჩ ჩემსას ნყალივით,
აჰა, დამოღი, ამოცალე ნუთი ხვალამდე...
უნდა დაგნებდე,
სანამ ისევ ესუნთქავ დაღლილი
და მერე უხზოდ
შენს სხეულში უნდა დავმთავრდე!
ნუ სუნთქავ, დროო,
გულისცემა შენი მაშინებს,
ძარღვებში ალბათ გიდულს სისხლი
ნამით მოთხერილი
მე ახლა მხოლოდ
ამ ქაოსით უნდა დავმშვიდდე
ბედნიერებას დავეკარგო ავადმყოფივით!
სათქმელი არ მაქვს,
ხმა ცრემლით და დარდით ამივსეს
მავრამ ვერა და ვერ გამსგავსე
ნაღველი ბოღმას
ო, როგორა ჰგავს ეს ნუთები
ნუხილს ხვალინდელს
დღეს მიმატოვებ,
ხვალ კი ისევ თავიდან მოხვალ!

*** ე...ს


ჩაეძინება ღამეს სისხამზე
ლოდინი მერე ნუთებად დამთვლის
და მერე დუელს გამომიცხადებს
და შეიხიზნებს ჩემს სიკვდილს სახლი
მხოლოდ სიცოცხლე გავა შინიდან
აქ კი შინაურ სტუმრებს დატოვებს
ღამენათევი დღეც გაირინდა
ნუთები ხურდად ერგათ მათხოვრებს
დაგვძებ სტუმრად ხო არ მოსულხარ
ხოშ არ მოყვევი უცნობ ტკივილებს
ნუხელი ღამე იყო ორსულად
და ღამემ მშობა როგორც შვილი მე
იქნებ შენა ხარ ჭირისუფალი
მოვალ და უნდა მოგისამძიმრო
შეიყუჩება ღამე ბუხარში
გარეთ აისი ისევ ნადირობს
ნუხელი თავი გარდამეცვალა
და თურმე ნუხელ შენც კი მომიკვი
მერგო ცრემლი და დარდი ნეტარად
ანი სიკვდილიც აღარ მომიცდის
ვისლა სცალია საპანაშვიდოდ

3

ღამე განთიადს ეწვია სტუმრად
ცრემლებო, ნადით არ დამამშვიდოთ
შემიყვარა და თან შემიძულა
მიყურებ როგორც ბებერ ოცნებას
ბავშვობაში რომ სიზმრად გადაგზდა
ეხლა ცრემლებიც დაგვხოცება
მთვარე ლოდინით შერჩა სამარხთან
ნუთუ გიყვარვარ? მინდა მჯეროდეს
ჩამოყრილ სიტყვებს მარცვლებად ვკენკავ
მე ბავშვობიდან შენ მოგელოდი
სიზმრებს ყოველთვის მოგყავდი შენთან
აჰა დაგსრულდით როგორც ზღაპარი
(და მაინც ზღაპრის ბოლო ვერ ვჰპოვე)
მე სიზმარივით შენში დავმთავრდი
და ალიონზე გამოგეთხოვე...

აქ ზღვის ტალღებში ღამე ჩაიხრჩო
მე კი სარეცელს ისევ ვანვალუბ
ნლებს დაუტოვოვ კარები ღრიჭოდ
ნუგუშის ნაცვლად
ღიმილს მძარცვავენ
ზღვა მეზიდება შიშველ მკლავებით
დარცხენილები წყვდიადს ვიფარებთ
და უცაბედად ღია კარებში
ღილა აბოლებს ნისლად სიგარეტს
ნალალატევი შენი ცოლივით
დგას და ცრემლებით
ეჭვებს გვიმარცვლავს
მოვიდა სიზმრით გამოწყობილი
და ჩემს თვალებში ჩამოინაცვლა
აქ ზღვის ტალღებმა მზე გამორიყეს
თავი დაიხრჩო თურმე ეჭვებით
ზღვა ისევ ნანლობს და თანაც იქვე
თითებს ცოდვებად ადევთ ბეჭდები...

განწყობებს ვიცვლი ვით გველი პერანგს
და დარაბები შემოვიღეღე
ქუჩები ნეიმის წინდებს იკერავს
მერე დარდისგან ლექსი იყვფებს
მე კი ვზივარ და მწირად გამსაზინძლობ
დღეებად მოსულ ჟამი ამქარებს
მგონი გენვია დედი სასიძო
ქუჩაში ქართან ერთად ქაქანებს
აჰა ვთხოვდები დედი ბოლოჯერ
შენს ნანატრ უღელს ახლა დავიდგამ
ვნებით ფურცელზე მხოლოდ ომობდენ
სისხლით ღებავდენ თურმე პალიტრას
ახლა სხვასავით უნდა ვიკვლო
ღამის ბედი და წერას ატანა
დღეს ჩემთვის მხოლოდ
სიკვდილი ქმარობს
მოლოდინში რომ ხასად მატარა...



ნობელიზი პერიოდი

უსსო მხელახი

ისტორიული მოთხრობა

მძიმე საავდრო ღრუბელი დასწლოდა ერუშეთის ქედს. შორს, არტაანისაკენ ყრუდ იქექა მებმა. ცოტა წამოწვიმა. აპრილის იმ დღეებში ადიდებულ, ჯოჯოხეთად ქცეულ მტკვრის პირას, გაშლილ ველზე ლეკ-ოსმალე ორმხრივ დაეცათ ბანაკი. ღამით ერეკლე მეფის ბრძანებით ქართველთა მცირე გუნდს ხიდზე მყოფი დარაჯები დაეხოცათ და ის ერთადერთი ხის ხიდი ისე დაეზიანებინათ, რომ გაღმა მყოფ ოსმალთ დარჩენილი ჯარისათვის საბოლოოდ მოესპოთ გამოღმა გამოსასვლელი ერთადერთი გზა. ბრძოლის დაწყების წინა დღისით მეფე ერეკლემ ლაშისხევთან და დამალასთან დაბანაკებული გიორგი ბატონიშვილი და დავით ორბელიანი მოინახულა. რჩევა მისცა. მერე მცირერიცხოვან ხევსურთა რაზმით ფარულად კობტას ხევით ხვილიძის ეკლესიასთან დაქვეითდა. დიდხანს ილოცა მეფემ. ერეკლე და ზეზვა ნიკლაური იმ დაქცეულ ძველისძველ გუმბათჩამოქცეულ ეკლესიაში აღმართულ

ქვაჯვარს რამდენჯერმე მუხლმოდრეკილნი ეამბორნენ, პირჯვრის წერით შეავედრეს ქართველთა გამარჯვება წმინდა გიორგის.

მთელი ღამე ბორგავდა ზეზვა. ვერ მოისვენა, ვერ იყო და ანყურთან, დელიბაშთან შეტაკებაში დაჩლუნგებულ გორდას დაუწყო ლესვა, მერე იქვე, ახლოს, პატარა მდინარის პირს ჩაიყვანა ქორისა. მოსართავეები მოუშვა. ოფლიან გავაზე წინდის ნაქერი გადაუსვა, გაამშრალა.

— ხვალ დიდი ბრძოლა გველის, ჩემო ქორისა, წყეული ოსმალო აქეთ ნაპირს გადმოსულა, გზის შეეკრა უნდათ. ერეკლე, ალბათ, რალასაც იზამს, გზას გაეკაფავთ, ერევანთანაც უფრო უარესი დღე გვედგა. დიდება და საუკუნო განსვენება ერეკლეს გამჩენსა. ხომ დავაშარცხეთ ურჯულო სპარსნი? — ეწურჩულებოდა როგორც მეგობარს და მოფერებით უსვამდა ხელს.

ქორისასი დიდი იმედი ჰქონდა ზეზვას. რამდენ მარბიელ ლეკს დასწევია ქორისა. რამდენი სპარსისა და ლეკის დედა აატირა ზეზვას მოქნეულმა გორდამ. ადიდებულ არაგვსაც ბევრჯერ შებმინა პირისპირ.

თეორი ფერის იყო ქორისა, წინ ჰქონდა გაშვებული მწვეარივით კისერი, ხოლო ფეხებზე ხევსურული წინდების მსგავსი ზოლები გასდევდა. თავს ერჩია ქორისა. ხევისბერ გოდერძის ნაჩუქარი კვიცი ბავშვივით ჰგავდა გაზრდილი.

ზევიდან ამოშავალ ღამის ბინდში საზისა და სიმღერის ხმა შემოესმა. კოცონის გარშემო შემომსდარ ქართველ მოლაშქრეთა შორის ჭალარანვერიანი, შავვოხიანი, ახოვანი კაცი იჯდა და მღეროდა:

"ვია, შენ, ჩემო საქართველო, თავლიავ და ფეხშიშველო, ნარსულ საქმეს რა უშველიო..."

ზეზვამ მომღერალში ჯავახელი ნიკოლოზ ბერიძე შეიცნო, ქართველთა ჯარის მეგზური. რამდენიმე დღის წინ რომ ეახლა მეფეს, თავის ორ ვაჟთან ერთად ჩამოსულიყო კოთელიიდან ანყურს. თრიალეთზე გაველით, მოკლე გზით, ქართლისკენ მიჰყავდა ქართველთა ლაშქარი.

მღეროდა ჯავახელი გლეხვაცი თავდავინწყებით, მოაგონებდა თანამოძმეთ მესხთა თავზე დატეხილ უბედურებას. შველას ითხოვდა ბედკრული საქართველოს ბედკრული შვილი.

თვალბეზე ცრემლი მოსდგომოდათ ქართველ მოლაშქრეებს. დათვის ტორის მსგავსი ვეებერთელა მარჯვენა ჩაველო ზეზვა ნიკ-

ლაურს გორდას ტარისათვის, მასაც, უნებ-ლიეთ, ცრემლი მოსდგოჭოდა თვალზე.

კაბადონზე, სამხრეთით, ნახევრად მოღ-რუბლულ ცას განება კუშტად, ცის მოჭე-დლო, მოციმციმე ვარსკვლავთა შორის, ში-ვად მზირალ სამცხის მათა თაგზე, ნამგალა მთვარე დაკიდებულიყო...

— ჰაი, დედასა, რა დღეში ვართ!

დაიბუბუნა და ფიქრებში გართული ნა-ბადზე მინვა. — ხეალ დიდი ბრძოლა გველის, ღმერთო, შენ დაიფარე მეფე ერეკლე და სა-ქართველო! — ერთხელ კიდევ გადაიწერა პირჯვარი და ძლივს მიღულა თვალი.

განთიადისას, ბუკის და სამცხის ზევის ბოლოს ატეხილმა თოფის ხმამ ერთბაშად წამოშალა ქართველთა ჯარი... 20 აპრილის სისხლიანი დღე თენდებოდა. კობტას ციხის აღმოსავლეთით, წამომართული ტყიან მთის თაგზე, მზე ამოდიოდა. მისი მიმქრალი იის-ფერი პირველი სხივები ნელ-ნელა, ქურდუ-ლად ეპარებოდნენ ასპინძის ველზე დაცე-მულ ლეკ-ოსმალთა ბანაკს, სადაც მალე ღე-თის რისხვად ქცეულ კაცთა მოდგმისათვის გარდუვალი ბედისწერა ცალკერძ იარაღით და ცალკერძ ქარბორბალად ქცეული ბუნე-ბის სტიქია ერთდროულად შთანთქავდა მუს-ლიმანად თუ ქრისტიანად შერაცხულ ასობით ადამიანთა სიცოცხლეს.

გაზაფხულის იმ დღეს ახლადამწვანებულ ტირიფთა შორის უბედურების მოლოდინში, მტკვრის ხეობაში მოჭიკჭიკე ფრინველთაც თითქოს ეგრძნოთ მთახლოებულ სიკვდი-ლის საფრთხე და სადღაც შორს, მთებს იქით გადაკარგულიყვნენ.

ოსმალთ ბანაკიდან ჩრდილოეთით, ხევის თავს წამომართულ ბექობზე ცხენზე ამხედ-რებული, ხმალშემართული ერეკლე იდგა. მი-სი ომანიანი ხმა ფარავდა გარშემორტყმულ ქართველთა ლაშქარს: "გულოვანნო, მხნე-ნო ქართველნო, ეს ამისთანა გაჭირვებული ომი ჩვენს თავზე პირველი არ არის... ქარ-თველებო, მეც ხომ აქა ვარ, თქვენ გენაცვა-ლოთ თქვენი ერეკლე!" — თქვა და ხმალშე-მართულმა მოსხლიტა ცხენი. მიჰყვნენ ქარ-თველნიც. ყიჟინით შემოეგებნენ სამცხის ხევის ბოლოს გაშლილ ვაკეზე ლეკ-ოსმალ-თა მენიანეები. პირველი დამხდურნი აკაფეს ქართველებმა. გულდაგულ მიყვინენ უკუქცე-ულიებს.

იმ ოსმალო მხედარს ზეზვამ პირველად ასპინძის ციხის ძირას, ბაღებთან გამავალ საურმე გზაზე მოჰკრა თვალი. თეთრ ცხენზე იჯდა იენიჩარი. ახოვანებით სხეებისგან გა-მოირჩეოდა. დელიბაშის შემართებაც ეტყო-

ბოდა. ოსმალ მხედართა უკან მიაქროლებდა ბედაურს, მალიმალ მობრუნდებოდა, თოფს დაახლიდა მადევართ, რალაცას შეუძახებდა და გარბოდა.

ბაღების ბოლოს, ნამებარ კაკლის ხესთან, ერთხელ კიდევ შედგა იენიჩარი, რალაც შეუ-ძახა კიდევ თავისიანებს და მისმა წასროლმა ტყვიამ ბერდია არაბული — ზეზვას ძმად-ნაფიცი დასცა დაბლა. თვალთ დაუბნელდა ზეზვას, გადაირია. ასე უსახელოდ, ასე უეც-რად, ხმლის მოუქნევლად არ ელოდა ბერდი-ას სიკვდილს. კაი ვაჟკაცი იყო ბერდია არა-ბული. მთელ მთაში განთქმული. ერეკლეს-თანაც ბევრჯერ უბრძოლია მხარდაზმარ... მაგრამ, ეშ, აღბათ, იქ, იმ კაკლის ხესთან, იმ იენიჩარის წასროლი ტყვიით უნდა მომკვდა-რიყო ბერდია, იქნებ ეს იყო მისი ბედისწერა.

— არ შეგარჩენ ბერდიას სიკვდილს, ურ-ჯულოვ! — დასჭყვილა ზეზვამ და იენიჩარს ცხენდაცხენ, ხმალშემართული მიეტიცა.

წამიერ უკუქცეულთა და მადევართა ავარდნილ ფეხის მტკვრისა და ერთბაშად მომწყდარ მხედართა აგორებულმა ქარბორ-ბალამ წამიერ შთანთქა იენიჩარი.

მტკვრის პირისკენ მიიწევა სასიკვდი-ლოდ ქცეული გრიგალი, არც თუ ისე შორს, კი, გაშლილ ველზე ჩაქცეულ ხიდიან, თოფის გრიალსა და ხმლის ფლარულში, ერთმანეთს სამკედრო-სასიცოცხლოდ შებმოდნენ მორ-წმუნენი და ურწმუნონი.

მზე საშუაღლეოზე იყო გადახრილი. უცებ, ოსმალთა ცენტრში მდგარ ლეკთა ჯარს, რალაც ავისმომასხანებებელმა ხმამ გა-დაუარა...

— მალაჩილა მოკლეს, მალაჩილა!..

მერე ქართველთა ლაშქარსაც გამარჯვე-ბულთა შეძახილმაც გადაუარა.

— მეფე ერეკლეს მოუკლავს მალაჩილა! ეგრემც გაუბარჯოს ჩვენსა მეფესა! სიკვდი-ლი ნუნეკლებსა!

უკვე პანიკით შეპყრობილი ოსმალთმხედ-რობა, იმ პატარა, ჩაქცეულ ხიდისკენ მიხეთ-ქებულნი, ამაოდ ეძებდნენ ხსნის ერთადერთ იმედს, მაგრამ ის იმედო ათასობით ადამიანის სიცოცხლის ხსნის ხიდიან უკვე არარაობად ქცეულიყო. წყლის გაღმა მდგომი ოსმალნი, გამოლმა მდინარის პირს მომწყდარნი, ხმლე-ბის ქნევითა და თოფის სროლით რალაცას ანიშნებდნენ. ეს უკანასკნელნი კი ჯგუფ-ჯგუფად შებმოდნენ ქართველთა გულდებს, ზოგი უკანათა მოწოლით წყალში ცვიოდა, ვინ კიდევ, გადარჩენის იმედით, უფრო გაბე-დულნი, პირდაპირ, გულდაგულ, შებმოდნენ ჯოჯოხეთად ქცეულ მდინარეს, რომელიც

ადამიანთა ამ თავებდობას თითქოს უფრო მეტად გაეხელებინა და გაცოფებულნი სტიქიის ჩქერები, კლდეთა ძირს წარმოქმნილი ქორები ისე იხვევდა განწირულ ცხენთა და კაცთა ჯგროს, როგორც ნისბეილის ქვა მარცვალს, ხოლო უკვე სიკვდილს დანებებულნი, უსავნო სხეულად ქცეულნი, ცხენკაცთა გვამებს სადღაც უკუსუნთად ქცეულ ხილულთა ჯოჯოხეთისაკენ მიაქანებდა.

ამ ქაოსს არიდებულ მცირეოდენ, გუნდ-გუნდად შეკრულ ოსმალ მხედრობას გეზი მდინარის აღმა აელო, მაგრამ აქაც, გორის თავზე, ჩასაფრებულ მეთოფეთა შიშით დაშფოთბადნი, ისევ სიკვდილის ველისკენ გარბოდნენ: ზოგ-ზოგნი კი, თოფ-იარაღ-დაყრილნი, ცხენებიდან დაქვეითებულნი, უსასოოდ მდგარნი, გამარჯვებულ ქართველ მხედართა წინ დაჩოქილიყვნენ. სისხლისაგან დაწრტილ სიკვდილის ველზე ხმაღმემართული ზეზვა კვლავ თეთრცხენიან იენიჩარს დაეძებდა, მაგრამ არსად არ ჩანდა იგი. ვინ იცის, იქნებ მტკვარმაც შთანთქა. არა, გვე-ბის... ასე უბრალოდ არ გახსნიარავდა თავს, მხოლოდ სიკვდილს ნაჭრულნი ვაბედავდნენ მტკვართან შერკინებას. იქნებ რომელიმე ქართველმა მოკლა კიდეც...

აგერ, თითქოს სადღაც, როგორც მოჩვენებამ, ისე გაიღვია იმ თეთრცხენიანმა, ხმაღმემართულმა იენიჩარმა. ზეზვას კერძია, მკვდარსაც და ცოცხალსაც მონახავს.

— ის არის, ის! — შესძახა სიხარულით, მაგრამ მხედართა ახალმა ტალღამ კვლავ ხორს გასტყორცნა ზეზვა, — უნდა მოვნახო, სისხლის აღება მმართველს! მარჯვენას მოეჭრი, ხევისურეთს ავიტან და ბერძენს კერიანზე ჩამოვკიდებ. ჩურჩულებდა და ისევ ბრძოლის ველისკენ მიიწევდა.

— აწყურთან იმ წუნკალ დელიბაშს ხომ ვაწყველინე გაჩენის დღე, არც მავას შევარჩენ ბერძენთა სიკვდილს!

მხედართა ახალმა წყებამ თოფის სროლითა და ხმლის ქნევით ჩაუქროლა. და, უცებ, შორიახლოს, მტკვარსა და კვამლში კვლავ იმ იენიჩარს მოპკრა თვალი. იდუმალისაგან მიშქროდა იენიჩარი. გული შეუქანდა. ქორისას უმოწყალოდ პკრა დეზი. ფეხდაფეხ მიჰყვა.

წამით, მტკვარის პირს, ბეკობზე შედგა იენიჩარი, ზვიადად გადახედა მდინარეს. მერე კი სადღაც, მტკვარის ხეობაში გაუჩინარდა.

— ახლა კი ვერსად წამივია!

შედა ზეზვაც, ნაპირს დახედა. მდინარის პირას იდგა იგი.

აღბათ, ფონს ეძებს, ურჯულო, ახლა ვერსად წამივია.

— თუ ვაჟკაცი ხარ, დამიდექ, თურქო! — დასჭყვილა ზეზვამ და თოფი შემართა. მდინარის ხმაურში თოფის ხმა არ გაუგონია იენიჩარს, უკან მობრუნებულმა მხოლოდ ხმაღმემართულ ზეზვურს ჰკიდა თვალი, მერე ლაჯებშია მომაკვდავი ბედაურის ჭიხვილის ნმაც მისწვდა მის გონებას. ცხენიან ძლივსა მასწარო გადმოხტა. ფერდობიდან დაქვეითდა ხევისურის დანახვაზე მყის ხმალი ძირო. დაქვეითებულ ზეზვას ქორისაც ტირიფნართან მიეგდო. უხმოდ შეიბნენ. ღამაზი პირისახე ჰქონდა იენიჩარს, მის ქორისებრ ცხვირს კობხდა ამრეხილი უღვამები უმწვენებდა. მარჯვენა ლოყის გასწვრივ ნაჭრილობები აწნდა. მკლავმაგარი ჩანდა იენიჩარი, ხმლის ყოველ მოქნევაზე ოსტატურად ახვედრებდა თურქულ გორდას.

— დამიდექ, ურჯულო, დამიდექ! — ერთხელ კიდეც დასჭყვილა და გაგულისებული მიეცია. ფრთხილობდა იენიჩარი. გორდას ნეერს მკერდში უმიზნებდა ზეზვას. ფართი მკერდდაფარულ ხევისურულ ჩოხასთან რამდენჯერმე მახვილის ცივი ნეერის შევხაც იგრძნო, მაგრამ რკინის ფარასხლეტილმა გორდამ მხოლოდ მხეკელას მოქარგული ჩოხა ჩაუხია. წამით იენიჩარის მარჯვენა მხარისკენ გაეცქა თვალი. სისხლი სდიოდა.

— დაუკოდე, დაუკოდე, კვიც მენ, ურჯულო! — სიხარულის ხმა აღმოხდა და მაღლიდან წამოსულ მოქნეულ ხმაღს ფარი შეაგება.

ისევ მიეცია. ახლად კვირტაყრილ ტირიფებში ელაგდნენ ხმლები. რიყის ქვებთან კიდევაც ნაბობრძია იენიჩარმა. ისევ მძიმე დარტყმა იგრძნო მკერდთან. მთლად გადაბრია ზეზვა. აღარ ხუმრობდა იენიჩარი.


— მოსისხლეს თავში უმიზნე ცრუ მოძრობით და ფეხებს შემოპკარ მახვილი! — კვლავ გაახსენდა ხევისურ გოფერძის დარბევა. კარგი ვაჟკაცი ჩანდა იენიჩარი.

ჰი, ნეტავ სის მოქნეული ხმლით მომკვდარიყო ბერდია. ვაჟკაცის მოკვლა თოფით ხომ დიაცხაც შეუძლია, თოფის სროლის დროს თვალთა ძლიერი და არა მკლავი, ხმლის ქნევისას კი ორივეა საჭირო, ორივე — მკლავიც და თვალიც უჭირდა იენიჩარს.

მდინარის პირს იწევდა იენიჩარი. ფრთხილობდა. ცოტაც და, აღბათ, მდინარისკენ გადაუძახებდა.

უცებ, მის ფეხებთან, რიყის ქვაზე, რალაცამ შემზარავად დაიწკრილა. ხელში უნებლიედ სიმუხუბუქე იგრძნო ზეზვამ. მარჯვენას დახედა და...

ჰაი, დედასა! გადატყვილი ხმლის ვადალა შერჩნეოდა ხელში. რა დროს გაუწყრა წმინდა გიორგი, რა დროს?!



ზე აღემართა იენიჩარს ხევსურის თავზე მოლაპლაპე მახვილი. საცაა, მის თავზე დაეშვება და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი. მკვდრისფერი დაელო ზეზვას. გაქვავდა.

რა უსახელოდ უნდა მოკვდეს. ნამიერ იენიჩარის გაბადრულ სახეს ჰკიდა თვალი. ქორივით დაჰყურებდა იგი. მხოლოდ ერთი ხმლის მოქნევა და... უცებ, ზეზვას დახშულ გონებას სადღაც, სულ ახლოს, წმინდა ქართული ხმა შემოესმა.

— უიარაღო ვაჟკაცის მოკვლა დიდი ცოდვაა ხევსურო, ღმერთი არ გვაბატებს, ქართველთ კი არ გვეჩვევია მუხთლობა!..

გაძრა, გაქვავდა ზეზვა. თურქი მეგონა და ქართველი ყოფილა, ქართველი!

მერე ყველაფერი სიზმარივით დაამახსოვრდა. ტირიფნარისკენ უკან დაიხია იენიჩარმა. მერე იქვე, მტკვრის პირს გადახრილი ვეებერთელა ტირიფის ხესთან ქორისაზე ამხედრებულს შეავლო თვალი. ქორისას საცდდავი ჭიხვინის ხმაც გაიგონა. ყალყზე შემდგარი ქორისა თითქოს ზეზვას ნიშანს და ელოდა... მერე კი ჯოჯოხეთად ქცეულმა მტკვარმა ორივე ერთად შთანთქა.

ბეჭობზე აიჭრა ზეზვა. იქიდან უფრო კარგად ჩანდა მდინარის ხეობა. უამრავ დამხრეულ კაცთა და ცხენთა შორის სტიქიას შეტმოდნენ იენიჩარი და ქორისა. აგერ ჩქერალმა ორივე ერთად დააქანა კლდის ძირს, მორევისაკენ, რალაც არაბუნებრივად დაბზრიალა და უძიროდ ქცეულმა მორევა ერთბაშად შთანთქა. ცოტა ხნის შემდეგ, ზემოთ, ჩქერალთან, კიდევ გამოჩნდნენ. მხარულით მიაპობდა მდინარის ზვირთებს იენიჩარი, გვერდით კი, აზვირთებულ ტალღებში, ქორისას თავი ჩანდა. გული საგულეში არ ეტეოდა ზეზვას. პირფვარი გადაინერა.

— ღმერთო, ყოველნი სალოცავნი ხატნიო საქართველოსანიო, შენ დაეხმარე... — ისედაც გაგიჟებული მდინარე თითქოს მათ თავხედობას მეტად გადაერია და უშველებელი მორი ჩქერალის საპირისპირო ტოტიდან დააძგერა. მან ხელის რალაც სასწაულებრივი მოძრაობით აშკარა სასიკვდილო საფრთხე აიცილა, ჯერ ქორისას ჰკრა ხელი, მერე დაეჯახებულ ხეს ჩაეჭიდა... იენიჩარი მავრად ჩასჭიდებოდა მორს. გვერდით ქორისა მიაპობდა ტალღებს...

— გადარჩნენ, გადარჩნენ!- სიხარულის ხმა აღმოხდა ზეზვას, მავრამ, იქ, სადღაც, კიდევ ერთხელ ჩაითრია მორივემა. წყლის ზედაპირზე მხოლოდ ის ხის მორი ტრიალებდა...

— დაიხრჩნენ, დაიხრჩნენ,— აღმოხდა უნებლიეთ, რამდენიმე წუთის შემდეგ წყლის

თავზე ორი მოძრავი ნერტილი კვლავ გამოჩნდა. ის ორი ნერტილი გაღმა, მდინარის მეორე მხარეს მინარცხებული, ჩქერალის ვასწერივ, ამაოდ ცდილობდა ნაპირზე ასვლას. რამდენ ხანს გაგრძელდა ყოველივე ეს, არც ახსოვს.

მხოლოდ დაბლა ჩამოქცეული მენყერის ვასწერივ, იქ, სადაც მდინარეს რალაც უცნაური საგუბარი შეეჭმნა და თითქოს სტიქიაც ერთგვარად დამშვიდებულიყო, შედგნენ. მერე ორივეს ერთად მოჰკრა თვალი, ისინი უკვე ნაპირზე იდგნენ. იენიჩარი გამარჯვებული თვალით იყურებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ კი ქორისაზე ამხედრებულს საბოლოოდ შეავლო თვალი. იგი მაღლა სერებს მიჰყვებოდა და ცოტა ხანში ვინო ხეობის მიღმა გაუჩინარდა.

მტკვრის პირას, მაღალ ბორცვთან გაოგნებული იდგა ზეზვა.

— ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილა, ნამდვილი ვაჟკაცი. ალალი იყოს შენზე ქორისა, შეგჩნეს ბერდიას აუღებელი სისხლიც. ღმერთო, შენ აბატე და შეუნდე ყოველ ქართველს ბრძოლის ველზე ქართველთაგან უნებლიედ დაღვრილი ქართველის სისხლი...

ბუტბუტებდა ზეზვა და მტკვარ გაღმა, ვინო ხეობის იქით, გაუჩინარებულ, ოსმალოდ ქცეულ ქართველის გზას გაჰყურებდა...

ამ ამბის შემდეგ მრავალი ნელი გავიდა.

„1785 წელს ხუნძახის ბატონი ომარ-ხანი აიშალა და 20000-იანი ლაშქრით საქართველოსკენ დაიძრა. ერეკლე II-მ ვერ შესძლო საჭირო რაოდენობის ჯარის შეკრება, რადგან ამ დროს ახალციხის მხრიდან მოსალოდნელი იყო ლეკოსმალთა შემოსევაც. რუსთა ორი ბატალიონი და ქართველთა მცირერიცხოვანი ჯარით შეუძლებელი იყო ომარ-ხანთან პირისპირ შეება.“

ომარ-ხანმა ალაზანი და იორი, შემდეგ მტკვარი ისე გადალაზა, რომ თითქმის წინააღმდეგობა არ შეხვედროს. აშკვა დებედის ხეობას, აიღო ბორჩალის ციხე, გაძარცვა და განადგურა ახტალის მადნები, ააოხრა ლორე და ახალციხეში გადავიდა“.

თავზეხელაღებული ქართველთა მცირე გუნდი, რომელსაც ზეზვა ნიკლაური მეთაურობდა, ფეხდაფეხ მისდევდა ომარ-ხანს. მისმა მოუსვენარმა თავდასხმებმა ისე შეაწუხა ომარ-ხანი, რომ 1000 კაცი გამოყო მათ გასანადგურებლად.

ტაბანყურთან დახვდნენ ჩასაფრებული ლეკები ქართველებს. ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელდებოდა. ალყაში მოქცეული უსასოოდ შეაწყდნენ მტერს ისე, რომ არც ერთს ბრძოლის ველიდან გაქცევა არ უცდია.

ზეზეა ნიკლაური კი...

— ემ, ნეტავ დადუბულიყო!..

უკანასკნელ ნუთს რამდენიმე ლეკი აპკაფა კიდევ. ბრძოლით გართულს არ მოუხედავს ზურგისკენ და მუხანათურად სწორედ ზურგიდან დასცეს.

გონდაკარგულს არც კი გაუგია როგორ შებორკეს. ხოლო გვიან, გონმოსულმა, თვალელები რომ გაახილა, მხოლოდ მაშინ მიხვდა თურა უბედურება დატყდომოდა: ათიოდე ლეკი წამოსდგომოდა თავს. ურმის ბორბალზე მიბმულს, უიარაღოს.

ერთი მწარედ ამოიგინა:

— ჰი დედასა, ნიკლაურო, რა უბედური დღე გაგიტენდა, რა უბედურ დღეში ჩაგაგდეს ურჯულყოებმა!

ცოტა გაიწია და ურმის ბორბალიც გვერდზე გადაიხარა. რალაც არაადამიანურად დაიდუმულა. ბაწარი ისე წაეჭირათ, სუნთქვა უჭირდა. კიდევ ერთხელ გაიწია. ამ განევამ და ბაბორკიობმა სხეულმა კიდევ ერთი ახალი ტკივილი მიაყენა ისედაც დაბუფებულ და ნაგვებ სხეულს.

— ო, ღმერთო! ისეთი რა შეგცოდე, რომ ასე გამწირე, ო, სალოცავნო ყოველთა საქართველოსანო: გვედრებით, მომკალით, ან მიხსენით ამ უბედურებისაგან. — წაიდუღუნა უნებლიედ და თვალელები მილულა.

— არა, ეს სიზმარია, ნამდვილი სიზმარი, თორემ ასე ხმლის მოუქნევლად პირისპირ ბრძოლაში არ დანებდებოდა მტერს. სადაა ჩემი ხმალ-ხანჯალი, ჩემი ცხენი?!

— შეხე, შავი, არ ისვენებს ეს გიაური, ლამის ურეში გადაგვიბრუნოს! შეხედე, ნამდვილი დათვია, რა ძალა აქვს, ეერა ხედავ? — ჩაიქირქილა თავსმდგომმა ცალთვალა ლეკმა და ფეხი გაჰკრა ზეზეას.

— გაჩერდი, მე შენ გეუბნები!

— იბრაგიმს რომ არ ემარჯვა და ზურგიდან არ დასხმოდა თავს, ყველას დაგვობცავდა ეს გადარეული!

— გადარეულიო? განა ჩვენ მაგაზე ნაკლები გადარეულები ვართ, — საიდან სად ვართ მოსულები. მასეთები ბევრი მინახავს, ბევრი მონირჯულებია კიდევ, ალბათ არ მიცნობს, ჯერ არ გაუგია ჩემი ალიყურის ძალა, თორემ ამდენს არ იწრიალებდა. გაჩერდი გიაური, გაჩერდი-მეთქი!

ნიკლაურმა გვერდზე გაიწია და ზიზღით შეხედა.

— თავი დაანებე მურად, თავისი გაჭირვება ეყოფა. ვერ ხედავ, ეს ურმწუნო, ნამდვილი ჯიგიტია. მთავარი კი ახლა ჩვენთვის ფულთა. რამდენად გავეყიდოთ?!

— ჩემზე რომ დარჩეს, ურიგო ფასი არ ექნება. მომავალში თუ თავს გამოიჩენს და ალაპის რჯული აღიარა, იქნებ იენიწარობას ან ბეგობასაც გამოჰკრას ხელი, მაშელუკად ეს არ ივარჯებს, ხნოვანია, მერე კი, ვინ იცის, იქნებ კეთილადაც მოგვიხსენიოს!

— იქნება პატრონები მოვნახოთ და ცხვარ-ძროხაზე გაცეცალოთ, მთიელი ჩანს, ვერ ხედავ, ჩოხაზე რამდენი ჯვარი აქვს ამოქარჯული. ვგონებ, ხეესური უნდა იყოს, ალბად ვერდობას მინახავს ეგ ხალხი, თავს არ დაზოგავს თემი მაგის გამოსასყიდად!

— რა დროს გამოსყიდვას! — გაჯავრდა ჩოფურა. — მე ნაღდი ფული მინდა, ამხელა დათვის თრევა წაღმა-უქულმა, სიკეთეს არ მოგიტანს. შეიძლება გაგვექცეს კიდევ, მერე, წაღ და სდიე!

ის იმ სიზმრადქცეულ განთიადისას წამოაგდეს. უკვე მონადეცეული, მთვარეულივით მიაბიჯებდა მშობლიურ მინაზე უბედური ქვეყნის უბედური შვილი.

მის თვალში მკვედრისფერს გავდა აღმოსავლეთიდან ამომავალი მზე და თრიალეთის ეს ლამაზი მთებიც, რომელთა სიღამაზეს ერთ დროს აგრერიგად ეთავყავებოდა.

— არა, ნიკლაურო, ეს სიზმარია, მალე გამოიღვიძებ ან გამოგალვიძებენ! — ჩასძახოდა რალაც იდუმალი ხმა. მალე გამოვა ამ სიზმრიდან და პირველ რიგში იმ გმრტაცხვირა ლეკს გაუსწორებს ანგარიშს, რომელსაც მისი ქამარ-ხანჯალი და ხმალი ჰქონდა, მერე იმ ჩოფურას, და ყველა იმათ, ვინც ფულზე და საქონელზე უპირებს გაყიდვას.


ნიკლაურს ეს გზაც და ან სიზმრადქცეული დღის ყოველი წამი და წუთი რალაც დაუსრულელად ეჩვენებოდა...

— აი, ესეც ახალციხე! — წამოიძახა საღამო ხანს წინ მიმავალმა ლეკმა და მთაზე გადამდგარმა ქალაქს გადახედა.

ტყვეთა ასეთი სიიაფე არ ახსოვდათ ახალციხელებს.

ომარ-ხანს გვარიანად დაელაშქრა აღმოსავლეთ საქართველო. ჯერი დასავლეთ საქართველოზე მიმდგარიყო.

ტყვეთა ბაზარზე მედიდურად მოსიერნე ოსმალები, როგორც პატრონი ამ ქვეყნისა დაკვირვებული მუშტრის თვალთ ათვალიერებდნენ ცოცხალ საქონელს; აქ, ამ ცოდვის ბაზარზე, ღმერთისგან უკვე დავიწყებულ ქართველ ტყვეთა ტირილისა და გო-



დების ხმა ზარავდა არემარეს. ათასი ფურის ხალხი ირეოდა ირგვლივ. მხოლოდ მცირედ ჩანდა აქ ადგილობრივი ქართველობა: ცალკერძ, ოსმალთ შიშით, ცალკერძ, მოყვასთა სიყვარულით, ვითარცა ქირისფულები, ისე მოსთქვამდნენ და თანაუგრძნობდნენ მონადეტყულ თანამომძებებს. ვინ აღმოსავლეთ ქართველობაში თავისიანებს დაეძებდა, ვინ კი სიბრაღის გრძნობით, ხორავით სასვე ხონჩებს აწვდიდა დამძულ ტყვეებს.

იქვე, ბორკილდადებულ ზეზვა ნიკლაურის სიახლოვეს მდგომი ახალციხელი ქართველობა, აუგად მოიხსენიებდა სულეიმან ჯაყელს, რომელმაც ომარ-ხანს ახალციხეში შემოსვლის ნება დართო.

— ტყვეების მოღალატეა სულეიმანი, ოქროსმოყვარე, მესხეთში შემოსვლის სანაცვლოდ ომარ-ხანისგან დიდძალი ფეშქაში აუღია! — ამბობდნენ ერთნი.

— სულეიმანი აქ არაფერ შუაშია, თვით ერეკლეზე შემომწყრალ სულთანს, რომელიც საქართველოში რუსებს ეპატიჟება, საგანგებოდ უბრძანებია ომართან თანადგომა! — ამბობდნენ მეორენი.

— სულთანს სულთანია, მაგრამ, განა ვერ ხედავს სულეიმანი, რა დღეში ჩავყვარა მისმა თანადგომამ?! —

— განა ადრე არ იყო, როგორ ნაგვიხდინეს ლეკებმა თორისა და სამცხის ხეობები. მთელი ქვეყანა ოსმალთა და ლეკთა სათარეშოდაა ქცეული. ყველაფერი სულთანს ეკუთვნის — ბაღები, ვენახები, ტყეები. გადასახადებით ლაშის სული ამოგვხადონ, ლაშის პაერსაც დაადონ გადასახადი.

— ხმა ამოვიღოთ, ხმა! აქ, აგერ, ჩვენს თვალწინ, დღისით, მზისით ჩვენს სისხლს და ხორცს ყიდვიან.

— ჰმ, შეილოსა, რისი ხმის ამომღები ვართ, ხმალ-ხანჯლის ტარების უფლებაც ნაგვართვის. ცხენი რაა, ცხენითაც ვერ გაგვივლია, თათრის შიშით სოფლიდან სოფელში ვერ გადავსულვართ მოკეთების სანახავად. ახლა სარწმუნეობრივ გადასახადს არ იტყვიოთ რამდენს ვიხდით?! —

— ე, ასე თუ გაგრძელდა, ყველას გაგვათათრებენ!

— ჩემმა ძმამ, თედორემ, რაც მუსლიმანობა მიიღო, ძლივს მოითქვა სული, აქეთ ახლომდებარე გვეხმარება ხანდახან!

— ჩემო გიორგი, ერთი რამ იცოდე, წინაპართა სარწმუნოების უარყოფელს, ღმერთი ჯოჯოხეთში მიუჩნის ბინას.

— მერე რა, რომ ვერ ვცხოვრობ, ქართველობა და მამაპაპური რჯული არ დამიკარ-

გავს, მართალია ლატაკი ვარ, მაგრამ ღმრთის წინაშე პირნათლად მაინც წარვსდგები.

— მოიცადე, კაცო, რას კამათობთ, რწმენის გამოცვლა კაცის გადაჯიშებას როდის ნიშნავს. ის რაც მამაპაპათაგან სისხლსა და ხორცში გვაქვს გამჯდარი, იმას ვერავინ შეგვიცვლის. მთავარია ქართული სული არ დაეკარგოთ!

— ჰასან-ბეგ აბაშიძეს ხომ ყველა იცნობთ, განა ქართველობაში წინ დაუდგება ვინმე?! მართალია მამაპაპათაგან, მაგრამ, რამდენი ვარგი საქმე გააკეთა. რამდენი კაცი იხსნა ტყვეობიდან, რამდენი დაუბრუნა ოჯახს. იმასაც ამბობენ, ჩუმად ქრისტეს რჯულსაც ეთავყვანებაო.

— განა ხერთვისელი იბრაჰიმ-ბეგ ვაჩნაძე არ გახსოვთ, ასპინძის ომის შემდეგ გუჯარეთში რომ ჩავიდა, ახლო ნათესავ ციციშვილებთან, მათი მეშვეობით ერეკლე მეფესთან მოლაპარაკება რომ გამართა. ვაჩნაძე ხერთვისის მთელ სანჯაყს დაბრუნდა?! —

— მისი წყალობით 3000 მეციხოვნე რომ ჩადგა ხერთვისს. ისიც გემახსოვრებათ, შემდეგ უკან დაიხია. აი მაშინ, ერეკლეს რომ არ დაეთმო და ჩვენც გვერდში ამოვდგომოდით, ხონთქარს კუდით ქვას ვასროლინდით ახალციხიდან!

— ომარ ხანი მოდის, ომარ-ხანი! — დაიძახა ამ დროს ვიღაცამ და ეს ზღვა ხალხი ერთბაშად გაყურდა. ათასობით ადამიანმა თვალი ბაზრის იმ მხარეს მიაპყრო, საიდანაც ცხენებზე ამხედრებული მხედრები გამოჩნდნენ. მათ შორის ორი იენიჩარი გამოირჩეოდა.

მხედრებს წინ თეთრწოხიანი, ხანში შესული, თეთრწვერიანი კაცი მოუძღოდა. ეს ომარ-ხანი გახლდათ.

ზეზვას წინ მდგომი ერთი ლეკთაგანი მუხლებზე დაეცა.

— დიდება და დღეგრძელობა ხუნძახის ბატონს!

— ალაპი ფვარავდეს, ომარ!

— კეთილი იყოს შენი მობრძანება ახალციხეში! — ისმოდა აქეთ-იქიდან. ეს შეძახილები უცებ ქალის შემზარავმა კივილმა დაფარა:

— წყეულიმც იყავ, ომარ-ხანო, ისე დაგექცეს ოჯახი, როგორც ჩვენ დაგვიქციე!

— ღმერთო, გვიხსენი ამ განსაცდელისაგანი!

ქალის კვილის შოლის ავადმომასწავლებელი ზუზუნის ხმაც მოჰყვა.

ზეზვა ნიკლაურმა ჯიქურ გახედა ხუნძახის ბატონს, მისგან, სულ რაღაც ათიოდე ნა-

ბიჯზე მოდიოდა ომარ-ხანი, საქართველოს დამაქცევარი.

ერთი ნახტომი და გულს გაუპობდა ხუნძახის ბატონს.

— ჩემი გორდა, ჩემი ხანჯალი სადაა, სად?!

ვაგლახად გაინია. მასთან მიმზული ტყვეები ომარისკენ გაქაჩა, მერე უილაჯოდ ამოიგმინა და უსასოდ ჩამოყარა დაბორკილი ხელები.

ზეზვამ უნებლიედ ომარის სიახლოვეს მომავალ იენიჩარს მოჰკრა თვალი და ადგილზე გაშშდა.

— ზომ არ მერვენება, ეს ქორისებური ცხვირი, ეს ნაჭრილობევი სახე სადღაც მინახავს?!

ღმერთო, ნუთუ ის არის!

იენიჩარმა, თითქოს იგრძნო ტყვის დაფინებული მზერა, ნამიერად მისკენ გაექცა თვალი, გაექცა და თითქოს იენიჩარიც ამ შეხედვამ გააოგნა... მის თვალებში სიბრალულიც კი შეიგრძნო ზეზვამ. ისე განვლო ტყვეთა პირველი მსჯერი იენიჩარს მისთვის თვალი არ მოუცლებია.

— ის არის, ის, მიცნო ვგონებ! — აღმოხდა მისიდა უნებურად და უტეც მის არეულ და დაბინდებულ გუნებაში ნამიერად რაღაც შორულმა და მიუნვდომელმა იმედის ნაპერწკალმა იელვა. მერე კი, ისე იმავე გონების ძალამ, ლეკთა და ოსმალთა შიმართა ზიზღმა ის ნაპერწკალიც ჩააქრო:

— ომარ-ხანის თანამდგომნი ყველა ძალლია!

არ გასულა დიდი დრო და იმ მხარეს, საითაც ომარ-ხანი და მისი მცირე მხედრობა მიეღარა, ის სახენიათი იენიჩარი გამოჩნდა.

ამჯერად ცხენიდან დაქვეითებული, ნელი ნაბიჯით მოუძლოდა თავის ლაფშას. თან დაკვირვებით ათვალთვრებდა ტყვეებს, თითქოს ვიღაცას ეძებოს.

მერე იქით წავიდა, სადაც ხელბორკილიანი, ის უცხო კაცი ეგულეობდა და... ზეზვას წინ შედგა.

ისევე დაკვირვებით ახედ-დახედა ტყვეს. თითქოს თვალებით შეჭმას უპირებსო.

— ასპინძაში ომობდი?! — ჰკითხა.

— დიხ!

— მიცანი?

ზეზვამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

იენიჩარმა ზეზვას პატრონ ლეკს რაღაც გასძახა. მერე ზეზვას თვალწინ ქისა გახსნა, თითქმის არც შევაჭრებია, ისე გადაუთვალა ოქროს ფული.

— მომყევით! — ნახევრად ბრძანებლურად გაისმა იმავე იენიჩარის ხმა და ბორკილშეხსნილი მგლური ნაბიჯებით გაჰყვა მის წინ მიმავალს...

ციხის რაბათის უბანი ისე განვლეს, იენიჩარს ხევსურისაკენ არც მოუხედავს. როგორც მიჩვეული ცხვარი მწყემსს, ისე მისდევდა. გამველულ-გამომღვლენი ინტერესით ათვალთვრებდნენ უცნაურად ჩაცმულ კაცს, რომლის ტანსაცმელი ამ ისედაც აჭრელებულ ქალაქში განსაკუთრებულად გამოირჩეოდა.

ქალაქს გასცდნენ და ტყიან საცალფებო გზას შეუდგნენ, რომ წინ მიმავალი იენიჩარი ნამიერად შედგა, უკან მობრუნდა და ზეზვას თვალით ანიშნა, გვერდით გამოემყეო.

ხევსური დანიხარდა. ცხენის გვერდით ამოუდგა იენიჩარს და უთქმელად გაჰყვა. დაფიქრებული და სევდიანი ჩანდა იენიჩარი.

— ნეტავ რას მოიპრებს, სამტროდ მიყვანარ თუ სამოყვროდ?! სამტრო პირი არ უჩანს იენიჩარს. მტრობა რომ სდომებოდა, რისთვის გამომისყიდდა. ნეტავი რა აქვს გუნებაში. იქნებ ისევე მონად უნდა მაცქიოს, რომ ნამეზით მომიღოს ბოლო. არა, ამას ვერ შევგუება ნიკლაური. ან შეაკვდება ან თავს მოიკლავს. ჯაბან სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნია, სიკვდილი!

მღუმარედ განვლეს კიდეც მცირე გზა. დაბურული ტყის შუაგულისკენ მიიწევა ბილიკი. სადღაც ხევში, ასწლოვანი მუხის ძირში გამოთვალა წყაროსთან შეჩერდა იენიჩარი. ლაფშა იქვე გუბურასთან მიუშვა, ჩაღმა მოიხადა და ჩაიმუხლა. გაოფლილ სახეზე და კისერზე წყალი შეისხურა. მოსვა. ზეზვასაც ანიშნა, დალიეო.

როგორც მოწყურებული ხარი ისე დაენაფა წყალს ზეზვა. უნებლიედ არხოტის წყლის გემო შეიგრძნო. წყურვილი რომ მოიკლა, წყალიც შეისხურა სახეზე. ნანამ-ნაგვემი სხეული თითქოს დაუამდა. ერთბაშად შეება იგრძნო და იქვე გამოშვერილი მუხის ფესვზე ჩამოჯდა.

ფიქრებში წასულ ხევსურს იენიჩარმა მღუმარედ გახედა. ამ გამოხედვაში ყოფილი ტყვის მიმართ თანაგრძნობა და სიბრალული იგრძნობოდა.

— მძინარე შეგიპყრეს, ლეკებმა?! — ჰკითხა ზეზვას.

— არა!

— ხმალმა გიმტყუნა?!

— არა!

— აბა, როგორ დაგძლიეს?!

— ზურგიდან, ქურდულად დამეხსენ თავს!

— მიპარვა და ქურდულად თავდასხმა ლეტა ნესია!

— ბევრჯერ მიომია, მაგრამ ერთის ათთან ბრძოლაც ძალზე ძნელი ყოფილა!

— პო, ძნელია. მეც გამომიცდია ეგვიპტე-სა და ერაყში. ცოლშვილი თუ გყავს?!

— მყავს. ხუთი ვაჟი და სამი ქალიშვილი. ორი ვაჟი უკვე ერეკლეს ახლავს თან!

იენიჩარს სახეზე სევდამ გადაუარა. მის თვალეში თითქოს ცრემლიც შენიშნა წიკლაურმა.

— ალბათ, გამოგიტირებს კიდევ!

— გამომიტირებდნენ, აბა რას იზამდნენ. იქ, ტაბანყურთან, ჩემს გარდა ყველა თანამებრძოლი დაიღუპა. მეც დაღუპულად ჩამთვლიდნენ. ამბავი აუცილებლად ავიდოდა მთაში.

ნამიერად ზეზვას ძაძით მოსილი მზექალა და ობლად დარჩენილი ბავშვები წარმოუდგა თვალნინ. სადღაც, შორიდან გოდების ხმაც ჩავსმა ყურში, სწორედ ისეთი, ქვეყნისათვის დაღუპულ გმირებს რომ დასტირია ხევსურეთში. გული დაუმიძიდა, დანალვლიანებულმა ჩაქინდრა თავი.

უკვე ბინდებოდა, როდესაც ტყის მოპირდაპირე მხარეს, მოტიტვებული მთის ფერდობზე, ტერასებად გაშენებულ სოფელში რომ შევიდნენ.

ბანზე გადმომდგარი სოფლელები ინტერესით ათვალეირებდნენ უცხო სტუმრებს.

უკანასკნელი მზის სხივით განათებული სოფლის თავში მდგომ ეკლესიას ნამიერად ჰკიდა თვალი ზეზვამ.

— ქრისტიანები ყოფილან, ქრისტიანები! — გაიფიქრა და გახარებულმა პირვეარი გადაიწერა.

იმედის ნაპერკკალმა კიდევ ერთხელ ააფორიაქა და ისევ გახედა ეკლესიას. ღმერთო, დამიფარე! — ჩაიბუბუნა თავისთვის და უნებლიედ თვალზე მომდგარი ცრემლი მალულად მოიწინა.

იენიჩარმა სოფლის განაპირას მდებარე

რე ოდა-სახლისაკენ გადაუხვია. ქვის ყორეს მიუახლოვდა თუ არა, როგორც შინაურებს სჩვევიათ, ისე გასძახა მასპინძელს:

— გიორგი, გიორგი. გამოგვხედე! — ცოტა ხნის შემდეგ სახლის კარებმა ყრუდ დაიჭრიალა. კარს იქიდან ჯერ ათი-თერთმეტოდე წლის ბიჭი გამოჩნდა, მერე პირხმელი, სამოციოდე წლის კაცი. იენიჩარის დანახვაზე სახე გაებადრა.

— ეს შენ ხარ?!

— მე ვარ, გიორგი, სტუმარი მოგიყვანე!

— სტუმარი ღვთისაა, ღმერთი გფარავდეო. — თქვა და მისულეებს ოდისაკენ გაუძღვა.

ორი თვის შემდეგ ახალციხის ტყვეობიდან თავდახსნილ ქართველთა მცირე ჯგუფს ზეზვა ნიკლაურიც მიჰყვებოდა.

ლუკ გამცილებელთა შორის ის იენიჩარიც იყო. ისინი მხოლოდ ოსმალთა საქართველოს საზღვართან — ტაშისკართან შედგნენ და სანამ გამომშვიდობებისას ზეზვა რაიმეს თქმას მოასწრებდა, იენიჩარი მოულოდნელად ცხენიდან ვადმოხტა:

— ეს ცხენი ჩემგან საჩუქრად მიიღე, ხევსურო, ასპინძასთან წართმეული ცხენის სანაცვლოდ. შენი ცხენი ერაყში ქურთებთან შეტაკებისას მომიკლეს. საოცარი ბედაური იყო, ძლივს შევიჩვიე. იმ ნახაბში კი შენი ხმალ-ხანჯალია გახვეული ლეკებისაგან გამოვისყიდე.

გაძრა ზეზვა, გახედა.

— შენს ძმად მიგულე! — თქვა და ამ სიტყვებს თითქოს გულიც ამოაყოლა.

მერე კი ცხენზე ამხედრებულმა უკანასკნელად მოიხედა ტაშისკარისკენ. ცრემლიანი თვალეებით გახედა ქვეითად მიმავალ იენიჩარს.


კიდევ ნახავდა თუ არა, ეს ღმერთმა უწყის...

მერმისს კი, ვინ იცის, სად დაიღვრებოდა ძმათნაფიც იენიჩარის სისხლი?!

ტაშისკარის იქით კი ოსმალთა საქართველო გმინავდა...



ნ ა წ ი ლ ი მ ე თ რ ე



ოქტომბერი

თქმა მახთონისა...

/პიესა ორ ნაწილად/

მოქმედნი:

1. დედა.
2. ბენიამინ /ბენო/ — თანამდებობის პირი.
3. ლალა — ცოლი მისი.
4. ცეცო — მდივანი გოგო.
5. ყუბუ — მძღოლი.
6. მოხუცი ქალი — მთხოვნელი.
7. გამომძიებელი.

პირველი სურათის დეკორაცია. გვიანი ლამა. ნათდება მხოლოდ ბენოს საწოლი. გვერდით ლალას სძინავს. ბენო ძილ-ღვიძილშია, ბრუნავს ხენემის, ოხრავს, წვალობს. წამოიწევა, იდაყვით ბალიშს ეყრდნობა. ნათდება ძველმოდური ტახტი. ტახტზე შავოსანი მოხუცი ქალი ზის. ბენოს გაუხარდება. ყველაფერი ისე ხდება. თითქოს არავითარი სიზმრები და მოჩვენებები. დიალოგი მიდის როგორც საუბარი თავის თავთან.

ბენო — დედა, დედაჩემო...

დედა — მე ვარ, შვილო, ბედდამწვარი დედაშენი.

ბენო — დედა, როგორ მომენატრე.

დედა — შვილო, ამ ბოლო დროს, კარგა ხანია შენ ჩემთვის არ გეცალა.

ბენო — დედა, როდის იყო რომ მე შენ დაგივინყე?

დედა — შენ ჩემზე ფიქრის დრო არ გქონდა.

ბენო — დედა, შენ ყოველთვის ქვეყანას მერჩიე და მიჩვენებ. დედა მე უშენოდ...

დედა — ვიცი, შენი ცოლიც მაგას გსაყვედურობს. მაგასაც თავისებურად უყვარხარ, არავისთვის არ ემეტები და ვერ შეეგუა ჩვენს დიდ სიყვარულს. ჩვენ ხომ მარტო დედა-შვილი არ ვიყავით...

ბენო — ჩვენ უგულუთადასი მეგობრებიც ვიყავით...

დედა — ვიყავით, შვილო, როცა მამაშენი ომში დაიღუპა და მერე შენი დაიაც — თეთრი შროშანი, ხელიდან გამოგვეცალა, მერე მე შენს მეტი არავინ გამაჩნდა სანამ პირში სული მედგა და ახლაც, მიწის ზევით, შენი ფასი არავინ დამიდის.

ბენო — დედა, მე ვინ მყავს შენი ფასი?! რატომ გგონია, რომ ამ ბოლო დროს კი არაა, რაც დრო გადის, კი არ მშორდები, მიახლოვდები. სულ ჩემთან ხარ.

დედა — არ გგონია, შვილო. მე არაფერი გგონია და არც რაიმე მეეჭვება. ახლა მე ყველაფერს ისე ვხედავ, როგორც არის. ყოველგვარი ეჭვი, პატივმოყვარეობა და სისუსტე მანდ დატოვე... ვაი, რომ ამას ცოცხალი ადამიანი ვერ ახერხებს!

ბენო — შენ სიცოცხლემიც სიმართლითა და სიკეთით ცხოვრობდი, დედა... შენ მუდამ

ჩემი შეუმცდარი გზამკვლევი იყავი და ხარ. შენ შვილის სიყვარული ვერ გაბრმავენბდა...

დედა — ვცდილობდი, შვილო, ვცდილობდი, მაგრამ სანამ ვცოცხლობდი, მეც ადამიანი ვიყავი, გულში მეც მანვალბებდა ცდუნება...

ბენო — დედა, შენ და ცდუნება?!

დედა — რატომ გგონია, რომ დედაშენი მოკვდავი არ იყო, მისთვის ძეხორციელის შური და მტრობა უცხო იყო.

ბენო — მაშინ, მე შენ კიდევ არ მცნობიხარ, ჩემო ერთადერთო. ვისი გშურდა და ვის მტრობდი.

დედა — ბევრის, შვილო, ბევრისა მშურდა... მიჭირდა, ცხოვრებას თავს ვერ ვართმევი და მშურდა. მე ქალი ვიყავი, სუსტი, არას მკონებელი და მშურდა ქალებისა, ვისაც ქმრები თავზე ადგათ, ვისაც ლუკმა პური არ ენატრებოდა, ვისაც ვცვა და ეხურა, ვინც უყვარდათ და უყვარდა. ქალი სიყვარულისთვისაა გაჩენილი.

ბენო — დედა... და, ამის გარდა, როგორ დავიჯერო, რომ შენ შეგძლო შური და გულისწყვეტა, როცა ჩვენში სიმართლითა და უანგარობით ვერაფერს მიაღწევდი. ჩვენ რაც გვქონდა...

დედა — ახლა ვამაყობ, მაგრამ მაშინ...

ბენო — მაშინ არ ამაყობდი?!

დედა — მაშინაც... მაგრამ გულში მშურდა... მშურდა, მით უმეტეს, მათი, ვინც ქმარ-შვილი ხარობდა, ვისზეც მტერ-მოყვარეს თვალი რჩებოდა. ვისაც სიქვრივე და შვილის დაღუპვის სიმწარე არ სტანჯავდა. მე ჯერ ქმარი დავკარგე, მერე შენი დაია — თეთრი შროშანი. ამის მერე სიხარული რა იყო, აღარ ვიცოდი. დარდმა, შიშმა და შურმა დამჭავრა. ჩემი ქალობა ჩაკვდა, ჩემი დედობა დაითალბა.

ბენო — მე, დედა, მე ხომ გყავდი...

დედა — შენ მყავდი, მაგრამ აღარც ეს მჯეროდა. მეგონა ბედა ისე გამწირა, შენს თავსაც არ შემარჩენდა. მთელი დღე თვალიდან არ გემორებდი, ღამე გულში ჩაკრული მყავდი. მეშინობდა, მეჩვენებოდა, მესიზმრებოდა, რომ ხელიდან მეცლებოდი... მთელი ღამე ყური მქონდა მიდებული შენს ცხვირზე და ვისმენდი, რომ სუნთქავდი. გვიან ღამე თითქოს მეძინა, მაგრამ სუნთქვა რომ შეგვეწლებინა, ან აგჩქარებოდა, არ გამომეპარებოდა. შენ სიზმრებს მეც ვხედავდი, შენი ფიქრებით ვცხოვრობდი. ჩემი აღარაფერი გამაჩნდა, მე შენით ვარსებობდი. სიცხეს თუ მოგცემდა, მე აღმური მეკიდა. შენ რომ ნამოგახველებდა, მე ყული მიშრებოდა და ნერ-

წყვის გადაყლაპვა მიჭირდა. შენ რომ სურდო შეგეყრებოდა, მე ანთება ნამეკიდებოდა.

ბენო — მასსოვს, დედა, მე რომ სიზმრებში დავფრინავდი.

დედა — იზრდებოდი, შვილო.

ბენო — მაგრამ, თუ მაღლიდან ვვარდებოდი და უფსკრულში რუნდა ჩავჩენილიყავი, ძილშიაც ვიცოდი, რომ იმ უფსკრულის თავზე შენ ხელემაზმონვდილი დამხვდებოდი, დამიჭერდი. მე ვიღვიძებდი და ყელზე გეხვეოდი, გეკიდებოდი, რაკი ქვევით ჩავარდნისა მეშინოდა. ორივეს გვაკანკალბებდა.

დედა — ეს იყო გაუცნობიერებელი, ცხოველური შიში. მე შენ, საკუთარ სიზმრებთან და ფიქრებთანაც მარტო ვერ გტოვებდი, მაგრამ ბავშვობა კი არ ნამირთმევი, მე დავკარგე ქალობა და შენს შენში ვადმოვსახლდი, შენთან ერთად, ხელახლა ვავიზარდე და დამაზურავდა, თუ შენში რაიმეს აღმოვაჩენდა, რაზეც მე არ მეოცნებობდა და ჩვენთვის უცხო იქნებოდა. ეს შეუცვლელია იყო. მე შენ შვილად და უახლოეს ადამიანად კი არა — სულად, ფიქრად, ზნეობად, მისწრაფებად, თვით სუნთქვად და სულიერ სიამის ტყუპის ცალად გაქციე.

ბენო — დედა, ვიცი, შენ ვერც ჩემ მეგობრებთან მტოვებდი დიდხანს.

დედა — ვერა, შვილო, მეშინოდა, მათ შენში ისეთი რამ არ გავჩინათ, რაც მე არ მეცოდინებოდა, ან ვერ გავიგებდი. მე საკუთარი ყველაფერი დავკარგე და მხოლოდ შენი გავისადა არსებობდა. მე ჩემი გავიმეტე, მაგრამ შენსას ველარ შეველიე.

ბენო — მეც ხომ, დედა... მეც ხომ...

დედა — მერე, შენც, შვილო, სანამ ბუნებათ თვისი არ ჰქნა...

ბენო — ლალა... თავიდან არც შენ გძულდა...

დედა — როგორ შემეძლო მძულებოდა ის, ვინც შენ გეყვარებოდა, მაგრამ, ლალა იქნებოდა, იამზე თუ მზევინარი, ის არ გვაბატეებდა. და, მშურდა შენი ცოლის, მშურდა შენი საქმის, შენი მოყვრებისა და მეგობრების, რაკი ისინი შენ თავს მართმევდნენ და შენ მათზე ჩემს ნამალავად ფიქრობდი...

ბენო — ვინ, დედა, ვანა ჩვენს შორის ვინმეს შეეძლო...

დედა — არა, ჩვენ ერთმანეთად დავფრით, დედა-შვილიანად, მაგრამ მე შენს აწრდილად ვიქციე, რაკი ჩვენ გავგაკეთეს, სიამის ტყუპები ტყუპის ცალად გვაქციეს. შენ შეგძლო უჩემოდ სხვასთან დავგეძინა, უჩემოდ გველო ცოლთან და მეგობრებთან, მთელი დღე უჩემოდ ყოფილიყავი სამსახურში, საზოგადოე-

ბაში... შენ შეგეძლო უჩემოდ არსებობა, მე არ შეგეძლო...

ბენო — არა, დედა, რა იყო, როდის იყო...
დედა — ეს სხვანაირად არც შეიძლებოდა, მაგრამ რასაც გონება ხედავს, გულსაც შეუძლია დაინახოს? თუნდაც ის, რომ ამ ოთახში, სადაც ახლა ვართ, მე სიცოცხლეში არ შეგეძლო ყოველთვის აქ შემოსვლა. დედისთვის სულ უმნიშვნელოც კი ბევრია. ისიც კი, რაც შეილებსთვის ისე წვრილმანია, რომ ვერც კი მაჩვენებენ. შეილებს დედა მაშინ უყვართ, როცა უჭირთ. „დედას ვუყვარვართ შეილები, დედას არ გვახსოვს შეილებსა...“

ბენო — დედა, ყოველთვის, მართალია როცა გვიჭირს, ცვერიით: „გაი დედაო“, მაგრამ როცა სიმართლეს ვაშობობთ, დედას ვიფიცავთ. ყველაფერს წმინდასა და ძვირფასს დედის სახელი ჰქვია.

დედა — კი, შეილო, მაგრამ როცა შეილები ტყუიან, მაშინ თუ, თუ ახსოვთ დედა...
/დგება, მიდის, ბენოს თვალებში უყურებს. ბენო სანოლიდან წამოიწევა./
ბენო — /ხმამალლა/ დედა!.. /წამოყვირების ხმაზე ზღაღას გაელვებდა./

ლალა — ბენო შენ ხარ! /ბენო ხმას არ ცემს/ კაცო, რა დაგემართა, ვის ელაპარაკები... თუ, მე მომიჩვენა.

დედა — უთხარი, შეილო, რაიმე, დაამშვიდე...

ბენო — რა დაგეამშვიდო, მაგას ვინ დაამშვიდებს.

ლალა — რატომ ხმას არ მცემს?!
დედა — თავის მხრივ ესეც მართალია. ადამიანია, რატომ უნდა იტანჯოს.

ბენო — რა ტანჯავს... მართალია, რომ ჩემ მდივან გოგოს გადაეკიდა? დედა, შენ ეს ხომ კარგად იცი...

დედა — ვიცი, ახლა მე ყველაფერი ვიცი...

ლალა — რა დაგემართა, რატომ ხმას არ იღებ /ღამის ნათურა აანთო, ქმარს დახედა/ არ გძინავს, რა დაგემართა, რა გჭირს, ვისზე ფიქრობ?

დედა — სიმართლე უთხარი.

ბენო — რა ვუთხრა? ასჯერ არ ვუთხარი, რომ ის საცოდავი გოგო ცაიმდე მართალია.

დედა — უთხარი, რომ ის გოგო იმ ბიჭისაგან ფეხმძიმედა და შენს გამო, შენი დანაშაულისთვის რომ ციხეში არ ჩაესვათ...

ბენო — /ხმამალლა/ დედა!..

ლალა — დედა აბოლებს... იმ ქალმა, ცოცხალმაც და მკვდარმაც დამიტანჯა... /აქრობს ღამის ნათურას და საბანში ეხვევა./

ბენო — ახლაც მართალია... ესეც მართალია?

დედა — მართალია, შეილო, მას უნდა მხოლოდ მისი სახელი გაბოდედეს და მხოლოდ მასზე ფიქრობდე.

ბენო — ნება არ მაქვს დედა მიყვარდეს? ვინც მინდა მიყვარდე? სხვა საფიქრალიც მქონდეს?

დედა — მან ხომ არ იცის შენ რა დანაშაული განევს.

ბენო — დედა, მე ხომ არავითარი... შენ მაინც უნდა იცოდე...

დედა — მე უკვე ყველაფერი ვიცი.

ბენო — მერედა, რომ იცი, მე ხომ სხვანაირად არ შეგეძლო... მე, რაც შეგეძლო არ გავაკეთე?

დედა — კი, შენ ყველაფერი გააკეთე...

ბენო — ჰო, ჰო, ყველაფერი შენ იცი, დედა, მე სასამართლოზეც კი გამოვედი და მთლად ანგელოზად წარმოვადგინე.

დედა — როგორ არ ვიცი, ეს დღეს მოხდა... და მან შეიღო წლით პატიმრობა მიიღო.

ბენო — რომ მე არა...

დედა — რომ შენ არა, ის არაფერს მიიღებდა და ამ დღეებში შეირთავდა იმ გოგოს, რომელიც მისი ბიძის გარდაცვალების გამო გადაიღო, და ის უბედური ქვეყანაში არ გამოჭენდებოდა...

ბენო — მე იმ გოგოსაც დავეხმარები... ყველაფერს გავაკეთებ... ვამოვა ის ბიჭი და ისევ ვარგ ოჯახს შექმნიან. შვიდი წელიც არ დაავიანდება...

დედა — შეილო, რატომ დაიუიწყე, მე შენ რა იმედებით გზრდიდი.

ბენო — დედა, ყველა დედა ასე ზრდის შვილს.

დედა — რა თქმა უნდა, შეილო, მაგრამ მაინც მეტ-ნაკლებად. სხვებს სხვა იმედებიცა აქვთ, ჩემი იმედი და რწმენა მხოლოდ შენ იყავი. სხვებს სხვა სიხარულიც აქვთ. ჩემი ერთადერთი იმედი და ნუგეში შენა ხარ.

ბენო — ვიცი, დედა, ვიცი, მაგრამ მეტი რა შეგეძლო?

დედა — დიდი არაფერი... ის, რაც მე ჩემი სიცოცხლის მანძილზე შევქელი — სიმართლე! ხომ იცი შენ, მე როგორ მიჭირდა...

ბენო — დედა, სიმართლე... როგორი სიმართლე!.. მე ხომ ბოროტგანმზრახველი არა ვარ, მე რომ, შენ ხომ იცი, უდანაშაულო ვარ.

დედა — მე რომ ვიცი, იმიტომ გუუბნები: დანაშაუვ ხარ, ბოროტმზრახველი ხარ!..

ბენო — /წამოყვირა/ დედა!
/ლალას გამოვლევდა, სანოლზე ჩამოჯდა./

ლალა — ბენო! ბენო, არ გესმის, ადამიანი!

დედა — დავლაპარაკე, დამშვიდე. /შიდის, ტახტზე ჯდება/

ლალა — /ლამის ნათურა ანთო ისევ/ რა გჭირს, რომ გეკითხები, გეყურება?!

ბენო — /ლალას/ დანუქი, დაიძინე!

ლალა — სად დავსწე, როგორ დავიძინო, გაგიჟდი მგონია და დავიძინო?!

ბენო — რატომაც არა. შენ მუდამ გეძინა და ახლა ვითომ რა შეიცვალა.

დედა — ნუ ეუბნები, შვილო, ასე!

ლალა — შენ რა უსაშველო გაგირინეს... ასეთი რამ როდის გჭირდა!..

ბენო — შენ ეს არასოდეს არ გინდოდა გცოდნოდა.

ლალა — რა მცოდნოდა!.. რომ მდომებოდა მეტყოდი? მართალს მეტყოდი? ან რად მინდა ისეთი სიმართლე, რომელიც სიცოცხლეს გამიმზარებს... რად მინდა შენ იქნებ იწვობს ბარემ სათქმელი ითქვას, რომ გვიწნის შორის ყველაფერი დამთავრდეს, რაკი მე სიმართლე მეცოდინება, სხვა რაღა დამჩრენია, უნდა ავდეგ და გავცვალო, გზა დაგილოცო. /გაანჩხლებული/ არ მინდა ასეთი სიმართლე, გაიგე, არ მინდა!.. მე ქალი ვარ და ოჯახი მინდა, შვილი მყავს, გულის მანკიანი ბავშვი, უნიათო და მამა უნდა. პატრონი უნდა! რომ მომავალი ექნეს. მე ძმები მყავს და დედა-მამა მაყავს, მტერ-მოყვარი... არ მინდა ასეთი სიმართლე, არ შემოიძლია!.. /ატირებული ბალიშზე დავმხობა, საბანს ცავაიფარებს./

ბენო — /ლამის ნათურას ჩააქრობს/ ხომ ხედავ, დედა, როგორ შემეძლო მეთქვა სიმართლე. ეს მარტო ჩემს სინდისზე ხომ არ იყო. მე ხომ საზოგადოებაში ისეთი ადგილი მიჭირავს, ხომ არავინ მაპატიებდა. რომ მეთქვა, მაპატიებდა ვინმე?

დედა — არა. ან რატომ უნდა ეპატიებიოთ.

ბენო — და ყველაფერი დამეკარგა?!

დედა — ის რაც გამართული და ნამდვილი არაა, ის არცა გაქვს, შვილო!

ბენო — /ხნამალლა/ დედა!..

ლალა — /ნამოვარდება/ შენ დედალამ რომ გაბოდებს დედაშენის სახელი, ჩემი თუ არ გჯერა, მისი ხომ გჯერა და განამს? ხომ იცი რაა დედა? დედაშენმა ხომ ყველაფერი შენ შემოგნირა, მეც დედა ვარ და შვილისთვის ყველაფერი უნდა გვაკეთო. უნდა ავიტანო ამდენი შეურაცხყოფა და ღალატო, თავსლავდასხმა, ჯავრი და უძილობაც... როცა აქა ხარ, მაშინაც მასთან ხარ... ახლა გინდა რომ ყველაფერი მითხრა? მითხრა სიმარ-

თლე, ამიხილო თვალები, რომ დამთხარო, მაიძულო დამანახო სინათლე რომ დამაბრძაო!.. /მომხობა სანოლზე./

ბენო — დედა, რას იტყვი, ახლაც მართალია?..

დედა — ადამიანია, რა ქნას. რაც შეეხება შეილს, მართალია, მაგრამ თავის პატივმოყვარობას რომ მალავ, ეს არაა მართალი. რომ ასეთი გავლენიანი ქმრის ცოლია და მთელი მისი ნათესაობა, თუ კუთხე-მეზობელი, თვალელებში შესცივინებს და გუნდრუკს უკმევს... არაა მართალი, რაკი ეს პატივი თავისი კაი ქალობით არ დაუმსახურებია... მისიანები ამყობენ, რომ ასეთი გავლენიანი სიძე ჰყავთ.

ბენო — მაგრამ შენ, დედა, ხომ იცი, რომ მე ამას არ მოვიტოვებ. მე არასოდეს ავყვები ცოლის ქარაფშუტობას და მის სიტყვაზე ისეთს არაფერს ჩავიდენ...

დედა — არა, შვილო, შენ შენი დანაშაული გეყოფა... ეს შენი ბრალი იქნებ არაა, რაკი ყველაფერი თავისთავად ხდება. შენ ვერავის დაავალდებულებ შენს ცოლს უდიერად მოექცეს, ან, თუნდაც, რისი ღირსიცაა...

ბენო — მოექცნენ ისე, როგორც სხვებს, რასაც იმსახურებს...

დედა — შო, მაგრამ საუბედუროდ ეს ასე რომ არ ხდება. მაგისი ახლა ბამბაც ჩხრიალებს. მერე კაკალიც ჩქამს არ გაიღებს. იცის ეს და ვერ ელევია... იცის, მისი ძმა რომ დაინიანურეს და შენ რომ ხელი არ გაგინძრევი, გგონია მართლა უკეთესი არავინ მოიძებნებოდა იმ დანესებულებამ? ჩემი გულმანკიანი შვილიშვილი რომ ფრიალზე ამთავრებს სკოლას, დედამ არ იცის, რომ წარჩინებული შვილი არა ჰყავს? არა, იქნებ არც სხვას ჩაგრავენ, მაგრამ ჩემი შვილიშვილის ერთიორად რომ ჩანს, ესეც ხომ ასეთი.

ბენო — ახლა დედა, ავადმყოფი ბავშვია და, ცოტა შეღავათი ხომ უნდა გაეწიოს.

დედა — და გაენევა, შვილო, სანამ შენ შენს ადგილზე იქნები, გაენევა. შენს ცოლს რომ საავადმყოფოს მთავარ ექიმად უპირებდნენ...

ბენო — მერე, მე ხომ არ ვქენი.

დედა — კი, შვილო, შენ არა, მაგრამ მართალი ხომ არ გგონია, რომ ამ არემარეზე მაგაზე უკეთესი მკურნალი არ მოიძებნება.

ბენო — არა, დედა, რავა გგონია?

დედა — ვიცი, შენ ყველაზე უკეთესად იცი, რაცაა და ვინცაა, მაგრამ, არც სხვაზე უარესია. რაც სხვაა, ესეც ისაა. მაგათ ავადმყოფზე მეტად თავისი თავი და ჯიბე უყვარი. საავადმყოფოში ამომხედა სული და მაგი არ ვიცი? მაგრამ ჩემი შვილიშვილი რომ

ნელს უმაღლესში უნდა მოეწყოს და ისიც სამედიცინოზე...

ბენო — დედა, მე იქ სულ არ გამოვჩნდები.

დედა — არც გინდა, მთებს შორიდანაც ხედავენ...

ბენო — მაშინ რა უნდა ვქნა, დედა? სამსახურის თავი დავანებო და შინ დავჯდებ?

დედა — არა, ახლა შენ იქ უნდა დაჯდე, სადაც საჭიროა.

ბენო — /ზმამალლა/ დედა!

/ლალამ წამოჰყო თავი/

დედა — ნუ ყვირი, შვილო, გუნებაში იქონიე. მე ხომ შენი ფიქრი ვარ და მესმის? ამ ქალს ყვირილითაც რომ არ ეყურება, არ უნდა გაგონება და გაგება, ან რად გინდა, შენ ვერაფერს გიმეველის და ქვეყანას კი ერთი უბედური მიემატება.

ლალა — /წყნარად/ ბენო...

ბენო — მე ახლა ამის ახსნა-განმარტების თავი მაქვს?!

დედა — ახლა, როცა ყველაფერი ვიცი და ყველაფერს ვხედავ, მეც მიჭირს რაიმე სასარგებლო რჩევა მოგცე... რაკი სიმართლის გზა უარყავი.

ბენო — დედა!

ლალა — /მშვიდად/ ბენო...

ბენო — ვინ თქვა, რომ უარყავი... მაგრამ ეს, ან ვინმე სიმართლეს ვაივებს?

ლალა — ბენო, ახლა მომავონდა, სამსახურიდან... საღამოს რომ დაბრუნდი, ვახშამი ქამე?

ბენო — ხომ ხედავ, დედა, ამან ისიც კი არ იცის ვივახშმე თუ არა. ამის თავის მეტი...

დედა — და შვილის...

ბენო — შვილი... ჰო შვილი კი...

დედა — იმიტომ რომ შვილი თვითონაა. ამიტომ ბავშვს უჯდა და ამეცადინებდა... მუსიკისთვის რომ არ გაენვალეხინა, მაგრამ მას უნდოდა...

ბენო — დედა, ამან რა იცის მუსიკის.

დედა — შვილო, შენ, რაც არ იცი, იმისთვის რომ ხელი არ გეხლო...

ბენო — /ცოლს/ ვივახშმე!

დედა — ასე კი არა, წყნარად, დამაჯერებლად, ლმობიერად... რატომ გინდა კიდეკ ერთი ადამიანი მეტი იყოს ქვეყნად უბედურნი.

ბენო — მე, დედა?! რად მინდა, რა ჯანდაბად მინდა. იძინოს, რაც უნდა ის ჰქნას...

დედა — ნუ გმურს, შვილო, სხვისი უდარდელობა. უშენოდ მაგაც მალე ელის უძილობა და უბედურება...

ბენო — რა ელის, დედა?!

დედა — უშენობა.

ბენო — /წამოვარდება/ უჩემობა!..

ლალა — ბენო, იქნებ რაიმემ გაწყინა და დვიძლი გტყვივა. მართლა, გული როგორ გაქვს?..

ბენო — ნამეტანი ცუდად.

ლალა — მაჯა მომეცი /ბენოს ხელი აიღო, მაღვიძარა წინ დაადგა და ითვლის/.

დედა — რატომ ეუბნები, რომ უსაშველო გჭირს? რომ გული ვახეთქეზე გაქვს?

ბენო — აბა კარგად მაქვს? აბა, კარგად ვარ?!

დედა — ცუდად ხარ, შვილო, მაგრამ არც თანაგრძნობა და არც წამალი შენ არ გიმეველის.

ბენო — აბა, ყველაფერი, ყველაფერი დალუბულია?!

დედა — კი!

ბენო — /ზმადებალა/ დედა!

ლალა — რა იყო, ძალიან განუხებს?.. ნავალ ბავშვის ოთახში და წამალს გამოგიტან.

ბენო — არ მინდა, წამალი მიშველის!

ლალა — კვდები თუ რა დაგემართა.

დედა — ნუ გაუარჩადები, მოგიტანოს, ეგონება რომ დაგეხმარა, გაგიგო, გინამლა და მერე უფრო მშვიდად დაიძინებს.

ბენო — /ლალას/ კარგი, ჯანდაბას, მომიტანე. ოღონდ ბავშვი არ გააღვიძო.

დედა — კი, მაგრამ ახლა ეს რა საჭირო იყო?!

ლალა — კი, მაგრამ, როდის იყო ბავშვს ძილს ვურთხოვდი, არ ვაძინებდი და ნერვებს ვუგლეჯდი... რატომ ვარ ასე უბედური ქალი! რატომაა, რომ ჩემი ზრუნვა და სიკეთე უკუღმა ეჩვენება? მთელი ღამეები ძილი მიტყდებოდა, ყოველ ამის სუნთქვასა და ნუხილს ვაყურადებ. აგერ წამალზე გავერბივარ... და, „ბავშვი არ გააღვიძოო“. კი, მაგრამ, რატომ უნდა გაავლივო ბავშვი... იმ ბავშვისთვისაა რასაც მე შენს ხელში ვიტან, იმ ბავშვისთვისაა რა ვოჯოხეთშიც ვიხარებდი და...

ბენო — გაჩერდი, კარგი, არ მინდა, ისედაც გამიარა.

ლალა — ახლა ჩემი მიზიდებული წამალიც არ უნდა! როგორ ვქნა, რა ვქნა, რა ნყალიმ გადავევადე?!

ბენო — არ მინდა, ადამიანო, არ მჭირდება წამალი... ნუთუ არ შეიძლება მოემჯობინდე და არაფერი მჭირდებოდეს..

ლალა — კი, მაგრამ, იმ გომბიომ რომ მოგიტანოს, მაშინ ხომ გინდა...

ბენო — არავის მოტანელი არ მინდა,

ლალა — თუმცა იმასთან გული ისედაც კარგად გქენება. ეს ჩემთანაა, რომ ცუდად

ხდები და უკვე შეიძინე, მთელი ღამეები მოსვენება მთლიანად დაკარგე... დღეს მთლად გავიწყდა!

ბენო — ა-აი, დედამეო... ხომ ხედავ.

დედა — ჩააქვრე სინათლე და თავი მოიშინარე.

ლალა — რა გჭირს, რა ღმერთი გავიწყრა... ბოლოს და ბოლოს, ადრე არ კარგავდი ასე ჭკუას... თუ ის რომ ჩავარდა, ვისზეც ხელის შეხოცვა შეიძლებოდა, ამან ნავიხდინათ გუნება. მთელი ქვეყანა ცოდვით იწვება, ის გოგო არ გადარჩებაო. ლოგინადაა ჩავარდნილი, მუცელი მოწყდა...

ბენო — მუცელი მოწყდა?!

ლალა — რაო, მართლა შენი ხომ არ იყო, მოწყდა თუ მოიშალა... ესეც შენ უნდა იცოდე?!

ბენო — დედა!

დედა — აბა, შვილო, რა ექნა, საქმრო რომ ციხეში ჩაუყინე... შვილო, ცოდვა რომ ფეხს გაიდგამს...

ლალა — /დედის ნათქვამს ედება/ აბა, შენს შვილად ხომ არ უნდა გამოგვცხადებინა?!

ბენო — დამანებე თავი, არ ვიცი, რა უნდა მექნა, არ ვიცი რა უნდა მეკეთებინა, მომეშვი, ნუ წამოჭირე ვისერში ხელი! დედა, ხომ გესმის?

დედა — აცალე, თავის მხრივ ესეც მართალია.

ბენო — რაა მართალი, დედა!

ლალა — მაგ საკენკი, შენ და შენმა გომბიომ, თქვენს მლიქვნელებს დაუყარეთ. მე რომ გაჩუმებული ვარ...

ბენო — შენ ხარ გაჩუმებული?!.. /თავზე საბანს ნაიხურავს/

ლალა — /ისიც წვება, ღამის ნათურას აქრობს/ რა გახდა, ბოლოს და ბოლოს, ქვეყანა ხომ არ უნდა გადააყოლოს იმ გაუბედურებულს... /ნაიხურავს საბანს/

ბენო — ხომ გუბნები, დედა, სიმართლე კიდევ რომ უთხრა, არ უნდა...

დედა — არ უნდა, შვილო, ადამიანს, უბედურების მომტან სიმართლეს, ბედნიერების მაუნყებელი ტყუილი ურჩევია... ეს ყველას ასე ენართება და შენც, შვილო, მაგრამ ყველას რომ ეპატიოს, შენ არ გეპატიება. შენ ხალხის ბედი გაბარია. მსაჯულს რომ შიმშილის გრძნობა აქვს, ის მსაჯული არაა.

ბენო — დედა, მე შენ ველარ გცნობ.

დედა — ვიცი, შვილო, შენ მე კეთილი, მომთმენი და დამთმობი ვახსოვარ... მართალიცაა, მე ასეთი ვიყავი ჩემს სიცოცხლეში... ასევე ადამიანი... განა შენი ცოლი დამთმობი

არაა, როცა ამბობს, რომ არ მინდა სიმართლე?

ბენო — დედა, შენ ხომ იცი, რომ ის გოგო ცამდე მართალია, ჩემგან ხელდაუკარებელი და ეს თუ სიმართლეს გაიგებს, უკეთესია, ცილისწამებას გადარჩება ერთი უდანაშაულო ადამიანი.

დედა — კი, ეს მართალია, შვილო, მაგრამ იმ გოგოს გარდა ის ბიჭიც ხომ მართალია?

ბენო — ჰო, მართალია, დედა... მაგრამ იმ გოგოსთან მე, ხომ იცი...

დედა — მოიცა. ეს მაშინ, როცა შენს მდივანზე ლაპარაკობ, რაკი მასთან სულიან-ხორციანად უბინო ხარ, მაგრამ...

ბენო — დედა, რა მაგრამ... /წამოიყვირა/ ცამდე მართალი ვარ!

ლალა — /თავი ნამოსწია/ ღმერთო, სულ შეიშალა... ბენო!... მე არ გადანაშაულებ... რაც იყო, დაძმედი... ბენო, დაიფიქრე ყველაფერი. იფიქრე ოჯახზე, ცოლსა და შვილზე... შენი შვილი, ჩვენი ავადმყოფი შვილი არ გეგბრალდება? ბენო, შენ მამა ხარ, ჩვენ ჩვენი თავი არ გვეუთვნის... ბენო!... დაიძინე, დაიფიქრე ყველაფერი და ... ნერვები დაიწყნარე.

ბენო — დედა, ხომ გესმის, მე მუღლუ ვარ, მე მამა ვარ, ჩემი თავი არ შეუთვნის და ყოველთვის ჩემზე და ჩემს სიმართლეზეც არაა დამოკიდებული... მე ხალხი მისმენს, მენდობა და ისეთი უნდა ვიყო... ან უნდა მოვაჩვენო თავი, როგორც მათ გონიათ, ან უნდათ რომ ვიყო...

დედა — ისეთი უნდა იყო სინამდვილეში და არა ის, რომ თავი მოაჩვენო. რატომაა, რომ სადაც მართალი ხარ, დაბეჯითებით იმეორებ? იმეორებ, რომ შენი მდივანი შენგან ხელდაუკარებელია, მაგრამ არ ახსენებ...

ბენო — /მამამალა/ დედა!

ლალა — დავიღუპე, გადაირევა... დამეცევა ოჯახი... ბავშვს რა ვუყო... რა მიქნა ეს, იმ ვიგინდარა გომბიომ...

დედა — არ უთხრა, რომ მართალი ხარ...

ბენო — მართალი ვარ, ეს ცილისწამება!

დედა — ცილისწამება იმ გოგოს მიმართ, მაგრამ არა შენს მიმართ. ის თუ არა, „სხვა“ ხომაა...

ბენო — დედა ვინ „სხვა“?!

დედა — „ის“ ის „სხვა“.

ბენო — დედა, ის „სხვა“ სხვაა...

დედა — ის „სხვა“ სხვაა, მაგრამ არის...

ბენო — არის? „ის“ ამნაირად არის? დედა

ის ხომ ისაა რაც უნდა იყოს და სხვა არ არის... დედა, ის ხომ... უსიყვარულო ადამიანი, ხმელი ხეა, უდაბნოს ბალახი!.. ის ხომ საჩრდილობელია...

დედა — და არის...

ბენო — არის „სხვა“. შენ იცი, ის ხომ... როგორ ვითხრა დედა... უთავშესაფროს თავ-შესაფარია, თავსხმა დელეგაში მუხამრიდი.

დედა — ახლა მე ხომ ყველაფერი ისე ვიცი, როგორც შენ და ყველას რომ თვალი აუხვიე, საკუთარ თავს ვერ მოაბყუებ...

ბენო — არა დედა... არა, მაგრამ უსიყვარულოდ...

დედა — უსიყვარულოდ... ადამიანი სიყვარულისთვისაა გაჩენილი...

ბენო — სიყვარულისთვის, სიყვარულისთვის...

დედა — და მეც მიყვარდა...

ბენო — დედა!..

დედა — მაგრამ მამაშენი...

ბენო — მამაჩემი?! ქმარი?!..

დედა — ჩვენ, მე და მამაშენი მისმა სიფრთხილემ და ადრე დაღუპვამ გვიხსნა. ჩვენ ვერ მოვასწარით ერთმანეთით განზილება და გაორგულება, ვერ მოვასწარით სიახლოვით დაშორება, და ამან მათერთულებინა მისთვისაც და შენთვისაც.

ბენო — დედა!... და მე? მე ხომ არ შემეძლო... არ შემეძლო უერთგულოდ... უნამდვილოდ... უგულისგულოდ...

დედა — და ის ეს არის თუ არა, ის გამონაგონია თუ არა არის.

ბენო — კარგი... ვთქვათ... მაგრამ /ცოლ-ზე/ ამან ხომ „იმიხა“ არაფერი იცის... და ეს მაინც არაა მართალი.

დედა — მართალია!.. მან იცის... ეს უბედური გრძნობს, რომ... ამას ყველა ქალი გრძნობს. ამისთვის დედა ქუჩა და სიმართლე არაა საჭირო, რომ იეჭვიანონ, სხვაზე ფიქრობენ თუ არა მათი ქმრები. ეს საცოდავი ამდენად მართალია, მართალია, მაგრამ, ცდება ერთ რამეში, მისამართი ეძლევა. შენ ეს გირჩევნია, რაკი ის ხელს ადებს იმას, ვინც არაფერ შეუძია, მაგრამ ეს ხომ სინდისის წინაშე მართალი არაა.

ბენო — დედა, მაშინ ისიც უნდა იცოდე, რომ მე ადამიანი ვარ და ასე ცხოვრება შეუძლებელია...

დედა — ვიცი, შეილო, შენ დაგლალა ამ ქალის ავადმყოფ შეილზე ზრუნვამ, თავის თავზე, დედამამივილზე და მშობელზე ფიქრმა... მისმა პატივმოყვარეობამ და ოჯახის მორთვამ და მოწყობამ, და ეჭვებმა, პირდაპირ გულისგამაწყალებელმა ეჭვებმა. მას შენთვის დრო არ რჩება და შენ გჭირდება ის, რომ თავი გადაიჩინო.

ბენო — ჰო, დედა, სულიერი მეგობარი, მე ხომ არავითარი სხვა...

დედა — კი, შეილო, მაგრამ ხომ არსებობს, ხომ ფიქრობ მასზე. და იმ დამესაც, ქორწილში რომ გეგულეობდა, ამიტომ იყო...

ბენო — რატომ მხოლოდ ის? მე სხვა დროსაც... სხვაგან ვყოფილვარ... დამიღვია კიდეც და მომიღვინია კიდეც.

დედა — კი, სხვა დროს, სხვაგან... მაგრამ იმ დამეს, თუ სხვა არაფერი, თამადა მაინც არ იქნებოდი, შეგეძლო უარი გეთქვა, მით უმეტეს, ყველამ იცის ღვიძლი განუხებეს. შენ შემოგთავაზებდნენ, აბა რა ექნათ, თორემ სათამადო კაცი იქვე იჯდა, რომელიც საგანგებოდ ჰყავდათ მოწვეული, მაგრამ შენ დათანხმდი, რაკი „ის“ იქ გეგულეობდა.

ბენო — მე რედა, სუფრა ცუდად არ ნარმიმართავს და უკმაყოფილო არავინ...

დედა — არა, ეს ხომ არაა მთავარი, შოფერიც ხომ იმიტომ გამოუშვი, „არ დაავადებულე“ ძილი გატეხოდა, რაკი გეგონა...

ბენო — არაფერი მეგონა, მე ხომ ვიცი, იგი მანქანაში ხალხის დასანახად არ ჩამიჯდება.

დედა — იცი, ხალხის დასანახად არა. მან ზედმიწევნით კარგად იცის, რა დროს რა სჯობს. შენ მდგომარეობას შენ ისე უფრთხილდები, როგორც ის. იგი ბნელში შავი კატის ნაბიჯებით დადის.

ბენო — მაგრამ ხომ არაფერი, დედა, ის თავისი გზით ნავიდა, მე ჩემი...

დედა — ქორწილიდან... ქორწილიდან წადით თქვენ თქვენი გზით...

ბენო — და არავის აზრად არ მოსვლია...

დედა — კი, ამიტომაცაა, რომ შენი მეუღლე თავზე მეხად ატყდება იმას, ვინც მართლა უდანაშაულოა და შენ თავი ქუდში გაქვს გგონია.

ბენო — მე იმ დამეს შოფერი მარტო ამისთვის არ გაუშვი, მართლა არ მინდოდა მთელი დამე გამენვალებინა ის ბიჭი.

დედა — ესეც მართალია, ღმერთმა ნუქნას, რომ შენ უგულო და უგრძნობელი გამეზარდე, მით უმეტეს როცა შენ გეგონა, რომ შეგეძლო თვითონ მოგემართა მანქანა და ამისთვის სხვას მთელი დამე რატომ უნდა ეტეხა. მაგრამ, ისიც ხომ მართალია, რომ გინდოდა იმ შენს „სულიერ მეგობარს“ დაენახა შენ რა კეთილი და დიდსულოვანი ხარ. თუმც ეს ასეცაა, ჩემი გაჭედილი ხატის ამბავი ხომ ვიცი.

ბენო — დედა, რა უნდა დაენახა... იგი, სანამ სუფრა დაიშლებოდა, ერთი საათით ადრე ნავიდა.

დედა — მაგრამ ეს ხომ შენ წინდანინ არ იცოდი. ეს მან იცის როდის ნავიდეს და სად

დაგელოდოს, რომ არავინ არაფერი იეჭვოს. ამას ვარდა, შენ ხომ ისიც იცოდი, რომ მანქანა მთელი ღამე იქვე ეზომი იდგა.

ბენო — ეს, რა თქმა უნდა.

დედა — შენ ხომ შეგეძლო მისუღიყავი, ოჯახისთვის პატივი გეცა და ადრე წამოსულიყავი. შენ ვერავინ მოგახვევდა თავზე სუფურის ადთა-ნესებს. თქვენ ქართულ სუფურაზე რომ ნეფეც და გლეხიც თანასწორი იყო, ეს დიდი ხანია დაივიწყეთ.

ბენო — დედა, რაც დრომ და ჟამმა თვითონ უარყო, ამას მართო მე ვერ დავაბრუნებ.

დედა — ეს არავის აუკრძალავს, მაგრამ თქვენ აკეთებთ, იმას რასაც ინებებთ. ახლა ხვალ რომ ისევ სუფურაზე მოხვიდე, ვინმემ მოინდომოს, რომ სუფურის ყველა ნევრი თანასწორუფლებიანი იყოს და ერთმანეთს მხოლოდ სიძარტლე უთხრან, შენ არ ინდომებ.

ბენო — რატომ, დედა, მე თანასწორობისა და სიძარტლის წინააღმდეგი ვიქნები?!

დედა — შენ უკვე ეს გააკეთე და ანი სულ უფრო უარესსა და უარესს ჩაიდენ, რაკი ჯოჯობეთს კარი გაუღე.

ბენო — პირიქით, დედა, მე დღეიდან უფრო ფრთხილი და წინდახედული ვიქნები, მეტად გავიგებ სხვის გაჭირვებას და სიძარტლეს დავიცავ.

დედა — ვერ დაიცავ. შენ ამის უფლება დაჰქარგე. შენ რომ ხალხს სიძარტლე ათქმევინო, გეტყვიან, რომ მკვლელი ხარ.

ბენო — /ხმამალა/ დედა!

დედა — რომ შენი დანაშაულისთვის სხვა დაისჯა.

ბენო — /წამოიყვირა/ სადღაც გადავვარდები და თავს მოვიკლავ!

ლალა — /სანოლზე წამოჯდა, სინათლე აანთო/ რაღა მეშველება... ჭკუაზე აღარაა, შეირყა. /აბს აწვდის/ ბენო, მოიხედე, ბენო! აი ეს გადაყლაპე... თუმცა სულ გამოუმტერი, წყალს მოგიტან... /დგება, პერანგის ამარა, გადის/.

ბენო — დედა, ეს არაა მართალი და, ამას გარდა, ვინ იცის, რომ...

დედა — კიდევ არავინ იცოდეს, ამით რა იმე იცვლება?

ბენო — სხვამ თუ არა, მძლოლმა ხომ იცის... მანაც რომ არ იცოდეს, გგონია რაიმე დაიმალება? ბოროტებას რომ დიდი დღე ჰქონდეს, ყველა ბრძენი ბოროტმოქმედი იქნებოდა და ჭეშმარიტებით თავს არ დაიტანჯავდა. რამდენად ბოროტებაზე ხელი ადვილად მიუწვდება ადამიანს, იმდენად ძნელია ჭეშმარიტების ხილვა, მაგრამ რამდენად

ჭკვიანია ადამიანი და დიდსულოვანი, იმდენად იმ ძნელ გზას ირჩევს. ხომ არ გგონია, რომ ვინც გზამართალს, დადის უჭკუობით ეწმარტება. /შემოდის ლალა, შემოაქვს ჭიქა წყალი/

ბენო — /ტახტზე ჩამოძვდარ დედას უცქერის/ არა, დედა, როგორ არა... ეს როგორ არ მიფიქრია.

ლალა — ბენო, მომისმინე! აი, ეს აბი... ორი ცალი გადაყლაპე, მაშინვე დაგეძინება.

ბენო — დედა!..

ლალა — გამიგონე, ბენო...

ბენო — /ლალას/ რა აბი, რის აბი. აბი მიშველის?!

დედა — მოუსმინე, შეილო, არ გიშველის, მაგრამ დალიე.

ლალა — გამიგონე, ადამიანო, ჩემი რომ ყველაფერი უკულმა გეჩვენება, ჩემი მოგონილი წამალი კი არაა, დალიე და იფიქრე ძილზე... გაითვალე ერთი, ორი, სამი... მოემში იმ უკულმართსა და უბედურებაზე თავის-მტერებსა და ითვალე. ითვალე, ოოოთხი, ხუხუ-ხუთი, სანამ არ დაგეძინოს.

დედა — გაუგონე, შეილო!

ბენო — მოიტა /ართმევის აბებს, პირში იყრის და ბალიშზე ებზობა/.

ლალა — წყალი, წყალი მიაყოლე.

ბენო — არ მინდა წყალი, თავი დამანებე!

ლალა — წყალი დალიე-მეთქი, სანამლავს ხომ არ გასმევ, რატომ ვარ ასე უბედური, ვინ გადაგიყვანა ჭკუიდან ისე, რომ ჩემი მონოდებული წამალი სანამლავად გეჩვენება?!

ბენო — ხომ დავლიე, მომეშვი ახლა, მომასვენე, ნუ დამტანჯე, ჯვარს ნუ მაცვი!

ლალა — /აღშფოთებული/ მე არ გასვენებ? მე გტანჯავ? ვინ ვის სტანჯავს და ვინ ვის უნამლავს სიცოცხლეს... ჯვარცმული ვინაა!.. რა შეიქნა ეს გომბიო, რა გახდა ასეთი ეს კახა, რომ ყველაფერი... ცოლი, შეილი, მოვალეობა, სამსახური, მტერი და მოყვარე, ყველა და ყველაფერი რაღა უნდა ანაცვალო?!

ბენო — მომშორდი!.. დამანებე თავი, საცაა ჭკუაზე შევიშლები...

დედა — პირიქით, უთხარი, რომ უკვე მშვიდდები, წამალმა გარგო, აღარაფერი განუხებს.

ლალა — ჭკუაზე იშლები?! ვისთვის?.. ვინაა, რომ ჭკუა დაგაკარგვინა... ვინაა!..

ბენო — თუმცა არა, ცოტა გულზე მომეშვა... ჰო, თითქოს უკეთა ვარ, თვალეები მეხუჭება, რული მურევა. /თავს იმძინარებს/.

ლალა — /წვება/ ქვეყანაში გამოვაჭენებ, სახალხოვ ვათრევ ბაღნიო!.. არა, კმარა, მე

ყველაფრის უფლება მაქვს, მე დედა ვარ, ავადმყოფი შვილის დედა... შვილის, რომლისთვისაც ახლა მამა უფრო საჭიროა, ვინემ მე და ვერაეის მივცემ ნებას ჩემ გულმანკიან გოგოს მამა ნაართვას... ვერა, არაეის აქვს ამის უფლება! .. /ღამის ნათურას აქრობს/.

დედა — /თავზე დაადგება ბენოს/ ვერა, შვილო, შენ ვერ დაიძინებ... ბედნიერია ის, ვისაც მშვიდი ძილის უფლება აქვს.

ბენო — არ მძინავს, დედა... მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მე ბორბოტმოქმედი ვარ... მე, რაც ჩემზე იყო დამოკიდებული... რაც შეემძღლო, ყველაფერი გავაკეთებ.

დედა — აი, ეს რომ მართალი იყოს...

ბენო — მართალია, დედა, მე ხომ... ხომ იცი, რომ წინ მანქანა შემომეფეთა, ხომ იცი ის თავზეხელაღებული... ისინიც ხომ გამოაშკარავედა, მათი უკუღმართი საქმიანობაც დამტკიცდა, ღირსეული სასჯელი მიეზღოთ...

დედა — ის გორამაღალიდან ფეხით ჩამოსული დედა რომ გვეცდრებოდა, სული გადამიჩინო...

ბენო — მე სხვა რა შეემძღლო, დამნაშავეები იყვნენ და პასუხიც ავცს.

დედა — რა თქმა უნდა, დედამისიც უფრო გულდამშვიდებული უნდა იყოს; დედისთვის სჯობდა შვილი ამ გზას არ დახდგომოდა, უდამნაშაულო ყოფილიყო და შავი პური ეჭამა. შვილს გროში არ დაეტოვებინა და ეპიშინლა, ოღონდ პატიოსანი შვილის დედა ყოფილიყო, მაგრამ რაკი ასე მოხდა... იგი დედა და ხორციელად დაიტანჯება, მაგრამ სული არ გაანაშენებს ისე, როგორც ჩემი. ჩემი სული ვერ ისვენებს, ჩემი სული ტანჯულია.

ბენო — /ხმამაღლა/ დედა!..

დედა — ახლა შენი ცოლი გაიღვიძებს და /ლაღამ ისევ ნამოსნია თავი/ არაფერი უპასუხო, ვითომ ძილში გაბოდებს.

ლალა — /ბენო თავს იმძინარებს/ ბენო... რა მეშველება... რა გზას დავადგე?!. იქნებ, ამდენი რომ ვითმინე, ამდენი რომ ვიტანჯე, უარესი ექვნი. იქნებ მაშინვე რომ არ გამოვაჭნე ქვეყანაში უკვე ყველაფერი დაეკლუპე... დაეკვანე...

დედა — /ერთმანეთზე ედება დიალოგი/ დანაშაული იმითაცაა უბედურება, რომ გარდა ნამდვილი დამნაშავეისა, ბევრ სხვასაც სტანჯავს, თუმცა მე ახლა არ ვაპირებ თავის მართლებას, ეს, ალბათ, სიცოცხლეში დამემართებოდა.

ბენო — შენ რა ბრალი გადაეცხ, დედა.

დედა — შვილის დანაშაულში, თუ ეს უნებური არაა, დედა თანამოაზრეა. მობოღმა

რაც დათესა, შვილი იმას იმკის.

ბენო — დედა, შენ რა დათესე სიკეთისა და სიმწრის მეტი?

ლალა — /დედისა და ბენოს დიალოგს ედება/ მე, ალბათ, ასე ყველაფერს დავკარგე ქმარსაც, შვილსაც და ჩემს თავსაც. იქნებ ისიც მართალია აჰ!.. იქნებ არც ისაა ჭორი, რომ... არა, არა, ღმერთმა დამიფაროს... როგორ შეიძლება... ეს რომ ვინმემ გაიგოს... არა, არა, ეს მეც არ უნდა ვიცოდე... არა, არა, არ ვიცი, არაფერი ვიცი. მე მოვიგონე, მე მოეჩმახე... ღმერთო დამიფარე! /ბენოს დახედეს/ სძინავს... მგონი სძინავს... არა, არა, ეს იმათ მოუგონეს, ათასი მტერი შვაეს, ათასი ორგული. ღმერთო მიშველე! /ნვება. საბანს თავზე იხურავს/.

დედა — ასე მეგონა, სანამ პირში სული მედგა, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ჩემმა ადამიანურმა შურმა და მტრობამ...

ბენო — შენ როდის იყო, რომ შურსა და მტრობას მასწავლიდი...

დედა — არა, შვილო, არც ერთი დედა, თვითონაც რომ მართლა ბოროტი იყოს, შვილს მაინც სიკეთის გზაზე არ დააყენებს, მაგრამ შენ გგონია, რომ ამას მარტო სურვილი შეეღის? შვილი მშობლებიდან იმას უფრო სწავლობს, რაზეც არ ლაპარაკობენ, რასაც მალავენ, რისი ვამბელობაც ცოდვად მიაჩნიათ.

ბენო — შენ რა ცოდვა ჩავიდინია, დედა.

დედა — თითქოს არაფერი, მაგრამ ალბათ შემთხვევა რომ მომცემოდა, ჩავიდინდი...

ბენო — /ხმამაღლა/ ტყუილია! /ლაღამ საბანს გადაიძობო და ღია თვალებით ჭერს მიაშტერდა/.

დედა — მაშინ შენ რატომ ჩაიღინე?

ბენო — არა, დედა, მე რა ჩავიდინე, მე ხომ... ეს უბედური შემთხვევა იყო...

დედა — მაშინ რატომ სიმართლე არ აღიარე?..

ბენო — ხომ გითხარი, მე ხომ... ეს არ შეიძლებოდა, მარტო მე არ მეკუთვნის ჩემი თავი...

დედა — რაო, შენ უნდა გეკუთვნოდეს შენი თავი, რომ სიმართლე თქვა? სოროში გამოკეტილი უნდა იყო, რომ პატიოსანი იყო?... შენ რომ მარტო შენთვის იყო კარგამოკეტილი, ვნებასაც ნაკლებს მოუტანდი ადამიანებს. სიმართლე თუ ვინმეს ჭირდება, შენ გჭირდება...

ბენო — მე არ ვამბობ, რომ არა, მარამ იმ უბედურს ამით რა ეშველება, ან...

დედა — ვის არ ეშველება, ვის რა ეშველება... შენ რომ მანქანას ისე მართავდე, რო-

გორც შენი ცამდე მართალი მოყვერი, ეს მოხდება?

ბენო — ვინ იცის, დედა... მე ხომ წინ ვეღარ ვხედავდი, გზა გადმომიჭრეს და, რომ არ ამეცილებინა, იმ მანქანას შევასკდებოდი და შეიძლება მსხვერპლი მეტი ყოფილიყო... მართალია ისინი დაშინაშეგებები გამოდგენ, მაგრამ სასჯელს მოხდებიან და ადამიანები იქნებიან.

დედა — მანამდე? შემოფეთებამდე სად გქონდა გულისყური.

ბენო — დედა, დედა გვერდით ხომ არ მეჯდა... საჭე ორივე ხელით მეჭირა.

დედა — უკან გეჯდა შენს ზურგს ამოფარებული, რომ ბნელშიაც არავის დაელანდა.

ბენო — როგორც იცის, იმ დიდი სიფრთხილითა და წინდახედულებით.

დედა — კი, როგორც იცის, შენი ცოლივით, გაურცხავ საცველებს აივანზე არ გადმოყვინდა.

ბენო — და, მე ხომ გზას თვალს არ ვაშორებდი.

დედა — მართალია, მაგრამ მერე, მანქანას რომ აცდი და წინ ადამიანი შემოგეფეთათა?

ბენო — დედა, ვინ ელოდა იმ დროს... ისიც შუა გზაზე... რა უნდოდა იმ ჩემი ცოდვით სასეს... იმ ხნის ქალს...

დედა — ცოდვას ცოდვა არ დაამატო, შელო... რა უნდა ნდომებოდა მიხრწნილ დედაბერს ნაშუალამებს ქუჩაში სანაწნალოდ, რავე საჭურდლად მიდიოდა თუ საყვარელთან მიეჩქარებოდა... გაჭირვება, შვილო... რა უნდოდა იმ გორმალაღელ დედაბერს? ისიც ხომ წინა ღამეს ჩამოვიდა, ოცი ვერსი გზა გამოიარა, როცა სანოლიდან კერიამდე მისვლა უჭირს. გაჭირვება!... რა მინდა მე, ორი წლის წინ გარდაცვლილს, რომ ჩემი სული დაძრწის და სიმართლეს ეძებს...

ბენო — /სანოლიდან ნამოვარდება/ დედა! განამებულ დედა!..

ლალა — /ისიც წამოიჭრება, ეხვევა, აწვევს, ამძვილებს/ ბენო, ბენო... დამიგდე ყური, დამშვიდდი, ბენო... ნუ გადამრევ, ბენო... ბავშვი გაიღვიძებს და გული წაუვა... ბენო, მეც შევიძლები და არ ვიცი რას ჩავიდენ, ბენო. გონს მოდი, ბენო!

დედა — შენ დაიბენი, რაკი მანქანა, როგორც საჭიროა, არ იცი. შენს შოფერს ამაზე უარეს შემთხვევიდან დაუღწევია თავი. შენ ხელი მოკიდე იმას, რაც ისე არ იცავდი, როგორც საჭირო იყო და რაც იცოდი ისიც ზურგს უკან გადაგიცივებდა, ყველაფერი კი... ყველაფერი სხვას დაბრალდა.

ბენო — მაგრამ რაკი ეს ასე მოხდა, ისიც ხომ დაისჯებოდა. მანქანა მასზე... მძღოლი ისაა და რაკი მე, უნებართვო კაცს გადმომცა საჭე... კანონი ასეთია...

დედა — ის შენ ვერ დაგიშლიდა ამას, ეს ყველამ იცის, მაგრამ კანონმა არ იცის.

ბენო — /უნება/.

ლალა — /საბანს ახურავს/ შო, რა იყო, რა მოხდა, რა უბედურებაა ჩვენი თავს. ნუ გეშინია... კაცი არა ხარ?.. რამ გადაგარია!..

დედა — არა, ეს მაინც შემთხვევა იყო. აქ, მაინც, სინდისის წინაშე ბრალი არ გედება...

ბენო — /წყნარდება/ შო, დედა, არა, არ მედება. ეს ხომ მაინც შემთხვევაა. მართალია შევცდი, რომ ქორნილში იმდენხანს დავჩრი, ისიც, რომ არ უნდა დავმჯდარიყავი მანქანაზე... და ისიც, რომ იმდენ ხანს მელოდა, უნდა ნამომეყვანა... ისიც მართალია, მაგრამ... /თანდათან მშვიდდება/. მაინც უნებურად... მაინც... უბედურე შემთხვევა.

ლალა — /ედება ქმრის დიალოგს/ კარგი... კარგი, დამშვიდდი, დაწყნარდი ხვალამდე... დილაამდე... საცაბა გათენდება. შევბულება აიღე... შევბულება რად გინდა, ბიულეტენზე გადი და სადმე ზღვისპირზე წავიდეთ, ბავშვიც წავიყვანოთ... დისკვნებ... მოშორდები აქაურობას, მოშორდები იმ გარყვნილ გომბიოს...

ბენო — კი, დედა, თუ არ ვიცოდი, დანაშაულია? ვიცოდი და მაინც ჩავიდინე? უკეთესად შემეძლო და არ ვქენი?!

დედა — მთურალი, მთვრალი იყავი, შვილო და უგულისყურო, სხვაგან ჰქროდა შენი გონება.

ბენო — არც ეს... იმიტომ ხომ არა, რომ მერე ვინმე... ვინმესთვის რაიმე უბედურება ამეტეხა... შო, დედა, ეს შეცდომა იყო და არა დანაშაული... /მშვიდება/.

ლალა — ეს აღარ გადარჩება და ჭკუაზე შეიშლება. დავილუპე... დამელუპა შვილი, დედა—მამა და დედამამიშვილები... დავილუპე!..

დედა — /ედება ლალას დიალოგს/ კი აქაც შეიძლება მოიძებნოს გამართლება იმდენად, რომ სინდისმა კისერში ხელი არ წაგიჭიროს.

ბენო — შო, დედა, მკვლელი, რომ მითხარი... შენ არ იცი შენი სასოებით გაზრდილი შვილის ამბავი? ხომ თქვი, დედა შვილის დანაშაულის თანამონაწილეაო? შენ, დედა, მკვლელი ხარ? სიკეთითა და სასოებით საცსე...

დედა — მე ახლა, შვილო, სული ვარ.

ბენო — სული ხარ. ადამიანი სულია... სუ-

ლი უნდა იყოს მართალი და წმინდა... სულია ადამიანი, აბა რა, სხვა რა ვართ...

დედა — შერედა, ჩვენს სულს რა ეშველეთა, შეილო.

ბენო — დედა, ხომ ვთქვით, რომ ეს უბედურში შემთხვევაა და არა ბოროტი განზრახვა...

დედა — ეს, რაც აქამდე მოხდა...

ბენო — მაგრამ ის, რომ ის ბიჭი... ისიც ხომ სასჯელს ვერ აცდებოდა...

დედა — ის უდანაშაულო იყო, მაგრამ თუ მაინც სასჯელს მიიღებდა, თავის სასჯელს მიიღებდა და არა შენსას.

ბენო — ჩემი დასჯა იმას მაინც ვერ დაიხსნია.

დედა — მაგრამ შენ დაგისხნიდა!..

ბენო — მე?.. მე კი, მე კი, დედა. მართალია, მასე მერჩია... როგორც ახლა ვხედავ, ასე მერჩია... არა, მაშინაც...

დედა — მაშინ არა...

ბენო — მე ამაზე, დედა, მაშინ არც მიფიქრია...

დედა — მაშინ არც ვიფიქრია. შენ ისე გაერთე იმ გადაბრალება-გადმობრალებით. იმდენი ჭკუა და ფიქრი დაგჭირდა, შენი სისხლიანი ზელები სხვისთვის შეგვხოცა, სულ დაგაიწყდა რა მოგელოდა.

ბენო — /წამოიყვირა/ სისხლიანი ზელები არა, დედა!

ლალა — სისხლს ახსენებს... დავილუპე, რაღაცა იმაზე დიდი უბედურებაა ამის თავს, ვინმე მე ვიცი. ღმერთო, დიდებული...

დედა — კი, შენ გაერთე როგორ მოგეხებებინა თავის დაძვრენა და მერე ამ თამამმა გაგიტაცა. გუშინდლამდე მარტო ამაზე ფიქრობდი: რა მოხდებოდა, ხომ არ გამოჩნდებოდა ვინმე, ან რაიმე ვინც ამ აკონინებულ „სიმართლეს“ დაგინგრევდა... და მთავარი დაგაიწყდა...

ბენო — არა, დედა...

დედა — ან თუ არ დაგაიწყდა, სინდისისთვის მაინც ვერ მოიცალე, მაგრამ რომც გუშინ ყველაფერი დამთავრდა, მეც მოგაკითხე და გულებზე შენ, შეილო, ბოროტმოქმედი ხარ!

ბენო — /წყნარად/ დედა, შენ მაინც ძველი ქალი ხარ და ამწვავებ. ვინმეს ან რაიმეს გადაბრალება მკვლელობა არაა, ეს დანაშაულია, მაგრამ მკვლელობა არა. მე დანაშაუმი ვარ, მაგრამ მკვლელი არ ვარ.

დედა — მკვლელი ხარ! და, ამას გარდა, მე არავითარი ძველი ქალი აღარა ვარ. ეს მაშინ იყო, როცა მე ცოცხალი იყავი. ახლა მე ძველიცა ვარ და ახალიც. მე მუდამ ასეთი ვი-

ყავი და ასეთი ვიქნები, მაშინაც, როცა შენ მთავრეზე აგარაკს აიშენებ.

ბენო — და მაინც ამბობ, რომ მე ბოროტ-განმზრახველი ვარ?

დედა — მე კი არ ვამბობ, შენ რაც ჩაიდინე, ის ამბობს. შენი დანაშაული ამბობს.

ბენო — რა იყო, კიდევ იყო რაიმე?

დედა — აბა ეს რა იმასთან, რაც შენ კისერზე გაქვს. შენ კი არა, მე მანვეს. მე შენზე დიდი დანაშაუმი ვარ.

ბენო — შენ, დედა?! დედაჩემო! /წამოვირდებოდა ისევ/

ლალა — არიქა, დავილუპე, /ცეცმა, ამავრებს ლოგინზე/ შეიშალა, მიშველეთ!..

დედა — მე, მე სულწაყმედელს, შეილო...

ბენო — /ყვირის/ მითხარი, ყველაფერი მითხარი, ნულარაფერს დამიმალე... ან იყველაფერი სულ ერთია, მითხარი!

ლალა — რატომბა სულ ერთი, რატომბა... ვაიმე, მიშველეთ!

დედა — შენ დედაბერი დაამტკრიე და მიატოვე...

ბენო — /ხმამალა იცინის/ ხა-ხა-ხა-ხა! დედაჩემო, ხა-ხა-ხა! აი, აქ შეცდი, აი, აქ არა ხარ მართალი. ის ხომ, თურმე, მაშინვე მოკვდა... არა, გარდაიცვალა, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს!..

ლალა — ვაიმე, დავილუპე, შეიშალა... გაგიტაცა!..

დედა — ეს შენ, შეილო, მეორე დღეს გაიგე! შენ არ იცოდი ის თუ მკვდარი იყო, მაგრამ მიატოვე.. სულ ერთი იყო ცოცხალი იყო თუ მიცვალბული, იქაურობას უნდა გაცლოდი. გაცლოდი და ვინც, ვინც ზურგით გყავდა მოკიდებული იქაურობისთვის გაგერიდებინა... ისიც თანამონანილეა...

ბენო — დედა, ისიც?!

დედა — ისიც...

ბენო — /ერთბაზად წყნარდება/ მართალია, იქაურობა მივატოვე... /ლალას/ მართალია, მე ის მივატოვე და არ ვიცოდი მკვდარი იყო თუ არა. კაცმა რომ სიმართლე თქვას, არც კი შეგონა, რომ მკვდარი იყო, არ მინდოდა, რომ საავადმყოფოში მიმეყვანა და გადაერჩინათ...

ლალა — ვაიმე, მართალი ყოფილა!

ბენო — მართალია, ყველაფერი მართალია!

დედა — შენ კი გეგონა, შეილო, რომ არავინ არაფერი იცოდა. ტყუილად ჰგონია, ვინაც ჰგონია, რომ ბოროტება ჩავიდინე და გადავჩინე, არავის არაფერი გაუგიაო. ბოროტების ხე დარგო და მალავს, ზედ ნაკელსა და

ნებს აყრის და არ იცის, რომ ამით ავკაცობის ნიადაგს ანოციერებს, რომ ფესვი გაიფას და ერთი ასად მეტი ეკალი და შხამი დაისხას.
/ტაბტთან მიდის, ჯდება/.

ბენო — /ლალას/ კი, კი, ყველაფერი ილუპება... ერთად ილუპება.

ლალა — ბენო, რას ამბობ, ბენო... რა ილუპება, რაო, მართალია, რომ შენ... შენ... არა, ტყუილია! შენ არ იცი რა გჭირს, მთელი ღამე... არ იცი რას ამბობ... ბენო, გონს მოდი! /მივარდება, ფარდებს ეცემა, ჩამოგლეჯს, დედა ქრება, ოთახში დილის სინათლე შემოდის/.

ბენო — მართალია.

ლალა — ჭორია, სიცრუება, ბენო!

ბენო — მართალია /მარვაღადაადებულ სკამს მისწვდა/.

ლალა — ბენო, რას აპირებ, ამ დილაუთენია რატომ დგები, მთელი ღამე თვალი არ მოგიხუჭავს /მარვალს ხელიდან გლეჯს/ სად მიხვალ, ხეირიანად არც გათენებულა, რას აპირებ?!

ბენო — დიდს არაფერს... იმას, რაც ყველას შეუძლია გააკეთოს, თურმე... გამბედაობა უნდა თორემ... მერე ეტყობა ადვილია...

ლალა — რაა, ბენო, რაა ადვილი...

ბენო — საქმე ის იყო, რაც მე გავაკეთე, ჩემი დანაშაული რომ სხვას თავზე გადაევიცი, ეს იყო ძნელი, თორემ სიმართლეს ყველა მოახერხებს...

ლალა — რა სიმართლეს?

ბენო — სიმართლეს. ამისთვის არც დიდი ჭკუის მჭყლეტვაა საჭირო, არც ვინმეს გატანჯვა, არც აზღენი დავიდარაბა. რა ხანია ეს ძიება გრძელდება, იმიტომ რომ სიმართლის გზას ავაცდინე, თორემ მაშინვე დამთავრდებოდა...

ლალა — მერე ხომ... ახლა ყველაფერი დამთავრდა.

ბენო — ყველაფერი ახლა იწყება.

ლალა — ბენო, შენ გაგიჟდი?!

ბენო — რაო, სიმართლეს, შენი ჭკუით, მხოლოდ გიუები ამბობენ?

ლალა — აბა რად გინდა ეს სიმართლე, გგონია თავზე ხელს გადაგისვამენ?

ბენო — თუ არ ვიტყვი?

ლალა — თუ არ იტყვი კი არა, არ იტყვი და იქნები იქ, სადაც ხარ, ან უკეთეს ადგილზე.

ბენო — თუ ტყუილს ვიტყვი... ტყუილი კი არა... ერთ დიდ დანაშაულს კიდევ ჩავიდენ, ვიქნები იქ, სადაც ვარ. შეიძლება დამანინაურონ კიდევ. შენ საავადმყოფოს გამგედ გადაგიყვანენ, შენს ძმას კიდევ უფრო წინ წას-

წვევენ, ჩვენი ქალიშვილი უნივერსიტეტში ჩარიცხება...

ლალა — /გაანჩხლებული. აბა რას აპირებ. ილუპავ თავს, ლუპავ კარიერას, მლუპავ მე, ჩემს ნათესაობას, შენზე მზე და მთვარე რომ ამოსდით. მათ ხომ არ იცინა, რომ შენ იმ გომბობი გზა და კვალა აგირია, და ლუპავ შეილს?... ისედაც ავადმყოფს და დალუპულს, ლუპავ დედისა და მამის სსოვნას, მამისას, რომელიც სახელოვნად დაილუპა?

ბენო — მე სწორედ იმათი სახელი უნდა გადავზარჩინო. თავი უნდა გადავიზარჩინო, გადავზარჩინო შეილი და შენც კი...

ლალა — და ისიც, მუცელი რომ მოეშალა და უკანასკნელ დღეშია?.. შენ გგონია მე სიმართლე არ ვიცი? ვიცი, ყველაფერი ვიცი, მაგრამ არ მინდა ასეთი სიმართლე...

ბენო — ყველა... თუ ასე არ მოვიტყევი, კიდევ ბევრი ვინმე დაილუპება და სიმართლე მაინც არ დაიმალება... სიმართლე თუ გინდა იცოდე...

ლალა — არ მინდა! არ მინდა! ისეთი მართლად, რომელიც დამაქცევს და მინასთან გამასწორებს! არ მინდა, არ მითხრა, თუ ის ქალი მართალია და სხვაა დამნაშავე. მეც ვიცოდი, რომ ის შოფერთან დადიოდა, მაგრამ ვილადა რომ იყო ისიც ვიცოდი. არ მიძებნია, არ მინადოდა სიმართლე. მე რომ იმ ვოგოს ვედავებოდი, ასე მერჩია, გულს ვიოხებდი, მაგრამ საძინელ სიმართლეს, რომელიც ყველაფერს თავზე დამანგრევედა, ვემალებოდი. არ მინდა ის, ვინც მართლა იყო... ვინც მართლა!

ბენო — /მარვალს ხელიდან გამოგლეჯს, იცვამს/ ამდენი უდანაშაულო უნდა გადავზარჩინო.

ლალა — არაფერი დაიმალება, ახლაც ლაპარაკობენ. მაშინვე გაჩნდა ეჭვები, როცა ის დედაბერი გაკვეთეს, ამდენხანს მიცვალეული სად იყოო, რატომ მაშინვე არ მოიყვანესო?! იმ შენს მძლოლს რომ ენა ჩავარდნია... ვერ დაარიგე რა უნდა ეთქვა, მაგრამ ამ შენ რა იცოდი... ახლა რაღა გაეწყობა, სხვანაირად რა უნდა გექნა.

ბენო — რაც ყველას შეეძლო ექნა, რაც ძალიან იოლია — სიმართლე...

ლალა — სიმართლე რომ თქვა, და შენ რომ არ იქნები, მეც მაშინვე შენ გზას გამომიყენებენ.

ბენო — ეს კიდევ რაღა უბედურებაა?!

ლალა — რა და, შენ გგონია იმ ოპერაციის საქმე რომ მიჩუმათადა...

ბენო — რა ოპერაციის?!.. თავი დამანებე... /მიდის. ლალა ორივე ხელით ჩააფრინდება/.

ლალა — /ვივის/ იცი შენ, იცი!..

ბენო — ხმა რომ გავარდა ავადმყოფის მუცელში პირსახოცი ჩატოვებს და დაღუპესო?

ლალა — ჰო, შენ გგონია სიმართლე იყო?

ბენო — მერე, სად იყავი, რატომ აქამდე არაფერი თქვი.

ლალა — რა უნდა მეთქვა. რაფა, მკვდარს რაიმე ეშველებოდა?

ბენო — მკვდარს არა, მაგრამ სიმართლეს ეშველებოდა.

ლალა — სიმართლეს რა... განგებ კი არავის ჩაუტოვებია, მოხდა გაუთვალისწინებელი... ჩვენ გვინდოდა ჩარჩა და კარგად დამთავრებულიყო. რა გვექნა რომ პირიქით მოხდა.

ბენო — /მოავონდა/ მაგრამ ამისთვის ხომ დაისაჯა ვინც საჭირო იყო?.. კი, კი დაისაჯა.

ლალა — დაისაჯა... მაგრამ მარტო მან იდგა თავზე, რაკი სასჯელი მანაც ელოდა და მასთან მეც რომ დავსჯილიყავ და კიდევ სხვები, ამით არაფერი იცვლებოდა. როგორ გგონია, შენ რომ ნახვიდე და სიმართლე აღიარო, ჭოკაძეს პასუხი არ მოეთხოვება?

ბენო — არა, რატომ?

ლალა — საჭესთან ვინ უნდა მუდარიყო?

ბენო — არ ვიტყვი, რომ მან იცოდა ამის თაობაზე. ვიტყვი, რომ მე ნამოვიყვანე. ჭოკაძემ არაფერი იცოდა.

ლალა — მაგრამ, ეს სიმართლე არ იქნება?!

ბენო — სიმართლე იქნება, რაკი ჭოკაძეს კიდევ რომ მოენდომებია, მე იგი მანქანის საჭესთან ჯდომას ვერ ამიკრძალავდა... ეს რომ გაებედა, იცოდა მეორე დღეს ულუკმაპურად დარჩებოდა.

ლალა — ვერც ამით უშველი. შენ რომ მანქანა ნამოვიყვანე და ჭოკაძემ ეს არ იცოდა, ამას ვინ დაგიმტკიცებს. თუ შენ გგონია ამდენ ხანს რაც შენ გინდოდა, იმას რომ ადასტურებდი, ამის მერეც ასე იქნება... იციან, რომ ჭოკაძემ მიგიყვანა იქ და მანქანა დაგიტოვა. და, ამას გარდა, ჭოკაძემ რომ აიღო და შენი დანაშაული თავს იდო ამისთვის, ამისთვის კიდევ დაემატება.

ბენო — /ხელს ამგებინებს/ რა გაენყობა! /მიდის. ლალა გადაუდგება/.

ლალა — ბენო, ხომ ხედავ!

ბენო — ვხედავ! /კარს მიაწყდა/.

ლალა — ხომ გითხარი, ამით არაფერი შეიცვლება... ხალხის ნუ გედარდება. ილაპარაკებენ, ილაპარაკებენ, დაილლებიან და გაჩერდებიან.

ბენო — შენც გამოდი, და გამიშვი!

ლალა — ბენო, მე მლუპავ, მაგრამ შვილს,

შვილს რას უშვები? უდანაშაულო, ავადმყოფი ფი ბავშვი მანაც შეიბრალებ!

/ჩაემხობა აქვითინდება/.

ბენო — /კარს გამოალებს/. უნდა ვიჩქარო, ვიგვიანებ. გამიშვით!..

ლალა — სად, სად გავიშვა?!

ბენო — სიმართლესთან.

ლალა — და ჩვენ აღარც ერთი აღარ ვიარსებებთ.

ბენო — სიმართლე, სიმართლე იარსებებს.

ლალა — და ჩვენ აღარც ერთი, აღარც ერთი და... /ენა დაებმება/ და... და აღარც „ის“.

ბენო — ვინ... ვინ „ის“.

ლალა — ის, ის, ის ვინცაა.

ბენო — ის შენ არ იცი..

ლალა — რომ არ იცი და არავინ არ იცის, ეს სიმართლეა?

ბენო — სიმართლე!..

ლალა — ჰო, არის და ისე სტყუა, თვალებს ისე გვიხვევს და გვაბრმავებს, არავინ იცის რომ არის...

ბენო — /ინევს/ სიმართლემ „ისიც“ უნდა იცოდეს.

ლალა — სად მიხვალ? თუ იმასთან მიღიხარ და სიმართლეს იტყვით, იმასაც დაკარგავ, სიმართლით არსებობა რომ შეიძლებოდა, ბოროტებას ბოროტიც არ ინდომებდა.

ბენო — ვიჩქარო, თორემ ყველაფერს და ყველას ვლუპავ, რაკი სიმართლე დავკარგე! და რამდენსაც ვაგვიანებ, იმდენად იზრდება და მრავლდება დანაშაული. იზრდება ბოროტების ხე, ყვავილობს, ეკალსა და შხამს ისხამს. უნდა მოიჭრას ბოროტების ხე და ცეცხლს დაედოს. ბოროტს უნდა სძლიოს კეთილმა.

ლალა — სად არის მერე ის ძლევა, აღარ უნდა დააყენოს საშველი თუ მძლეველია? /მოისმის გაბმული ნივთი: დედა, დედა, მამა მიშველეთ! გული მიმდის!/
ბენო — ჯერჯერობით ჩვენ გულმანკიანი შვილია, შვილი უდანაშაულო და თუ არ ვიჩქარეთ, ისე გაიდა ფესვი სიცრუემ და უსამართლობამ, მალე ჩვენს გულმანკიან მომავალსაც მისწვდება!..

/ისმის ისევ ბავშვის ბლავილი: მი-ი-იშველეთ! ორივე გვერდითა ოთახის კარს შეაღებენ და გაცვივდებიან./

ფარდა



გიორგი გოგოლაძე
შენსად

ს ს 3 1

1

შენსიაში გასულიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ცოლი გარდაეცვალა. კიბო ჰქონდა. ოპერაციაც დაგვიანებული იყო და მკურნალობაც. ამიტომ სახლში უვლიდა. როცა აღესრულა და მის საკვებზე, ბუნებრივ მოთხოვნებზე და დაუძღვრებულ, ნაწილებიან სხეულზე ზრუნვა აღარ სჭირდებოდა, დაკრძალვაზე, ანგარიშების გასწორებასა და დაზღვევაზე უნდა ეზრუნა, კიდევ იმაზე, შვილებს ის მიეღოთ, რაც მათთვის იყო განკუთვნილი. ცოლის ტანსაცმელი გაანმენდინა, თეთრეული გაარეცხვინა, ფეხსაცმელები გააპირიალებინა და ყველაფერი მუყაოს ყუთებში ჩაალაგა. ცოლის საუკეთესო მეგობარმა ქალმა Secondhand-ის მაღაზიის მფლობელმა ნაილო ყუთები; დაპირებია, შენს კეთილმო-

ბილ გარდერობს მხოლოდ ლამაზი ქალები ჩაიცვამენო.

როცა ყველაფერი ამასთან ერთად სახლში ფუსფუსებდა, რაც მისთვის უჩვეულო, მაგრამ მაინც ასე ნაცნობი იყო, და ავადმყოფის ოთახიდან ჩამი-ჩუმიც აღარ ისმოდა, ფიქრობდა, ახლა კიბეს ავირბენ, კარს შევუღებ, ორიოდე სიტყვით, მოკლე ინფორმაციით, ან რაიმე კითხვით საწოლთან ჩამოვუჯდებიო. თუმც შემდეგ გონს მოგებოდა, ცოცხალი აღარ არისო და მეხი დაეცემოდა. ხშირად ტელეფონზე ლაპარაკის დროსაც ასე ემართებოდა. ტელეფონის გვერდით, სამზარეულოსა და მისაღებ ოთახს შორის კედელზე მიყრდნობილი სრულიად ნორმალურად, ჩვეულებრივ, ნორმალურ თემაზე საუბრობდა, ნორმალურად გრძნობდა თავს, მაგრამ გაახსენდებოდა, რომ ის მკვდარი იყო, საუბრის გაგრძელებას ველარ ახერხებდა და ყურმილს ჰკიდებდა.

ერთ დღეს ყველაფერი მოგვარდა. ისე გრძნობდა თავს, თითქოს თოკი გადაიჭრა, ტვირთი ჩამოეხსნა და ქარი მიერეკებო. არავის ნახულობდა, არავინ ენატრებოდა. ქალიშვილმა, ასევე ვაჟიშვილმაც დაპატიჟეს, რამდენიმე ხანი ჩველთან იცხოვრეო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ შვილები და შვილიშვილები უყვარდა, ამის წარმოდგენაც კი აუტანელი იყო. არ სურდა იმ რეალობაში ეცხოვრა, რომელიც მას არ ეკუთვნოდა.

ცუდად ეძინა, ადრე დგებოდა, დაღუფდა ჩაის, ცოტას პიანინოზე დაუკრავდა, რამდენიმე საჭადრაკო ამოცანას გადაწყვეტდა და იმ სტატიის მონახაზს უბრუნდებოდა, რომლის თემაზეც პროფესიული მოღვაწეობის უკანასკნელ წლებში დააინტერესა და რომელიც სულ თან სდევდა, თუმც ბოლომდე ვერასდროს მოეცალა მისთვის. სმას გვიან ნაშუადღევს იწყებდა. ჭიქა შამპანურს მიიტანდა პიანინოსთან, თუ ჭადრაკის დაფასთან; ვახშმოხისას წვნიანს, ან რამდენიმე ნაჭერ პურს ერთ ბოთლ შამპანურს დააყოლებდა, გახსნიდა ერთ ბოთლ წითელ ღვინოს და მასაც მონახაზის გაკეთების, ან ნიგნის კითხვისას დააცარიელებდა.

ქუჩებში დასეირნობდა, ხშირად დათოვლილი ტყეებისა და მდინარის გასწვრივ, რომლის კიდეები ხანდახან გაყინული იყო. ლამითაც გადიოდა სახლიდან, თავდაპირველად ბარბაცით, აქა-იქ ნაიბორძიკებად ხოლმე, ღობეს ან გალავანს ჩაებღაუჭებოდა, თუმცა მალე გამოფხიზლდებოდა და მტკიცე ნაბიჯებით აგრძელებდა გზას. სიამოვნებით გაემგზავრებოდა ზღვაზე, საათობით ირბენდა

ნაპირზე, მაგრამ სახლის, მისი ცხოვრების ამ ბუდის მიტოვება ვერ გადაინყვიტა.

2

მისი ცოლი კეკელუცი არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, მას არ ეჩვენებოდა მაინცდამაინც კეკელუცად. ლამაზია, დიახ, ლამაზად მიაჩნდა. ამის შესახებ უთქვამს მისთვის და სიხარულიც გამოუხატავს მისი სილამაზის გამო. ქალი აგრძნობინებდა, რომ ქმრის სიხარული ახარებდა – აგრძნობინებდა ცქერით, ჟესტით, ღიმილით. ემზიანი იყო ეს მზერა და ჟესტი, ეს ღიმილი და მანერა, რომლითაც იგი საკუთარ გამოსახულებას ათვალერებდა სარკეში, მაგრამ კეკელუცი არ ყოფილა.

და მაინც კეკელუცობამ იმსხვერპლა. როცა ექიმმა მარჯვენა ძუძუსი კვანძები აღმოუჩინა და ოპერაცია ურჩია, შეშინდა, მკერდს მომკვეთენო და აღარ მისულა მასთან. არადა, არასდროს უნამაყია თავისი მალალი, სახეც, მკვრივი მკერდით და დაჩივლებითაც არ დაუჩივლია, როცა ბოლო თვეებში, სიკვდილის წინ დადნა და მკერდი შარვლის ცარიელი ჯიბეებივით დაეკიდა, რომელსაც იმის საჩვენებლად ამოატრიალებენ, არაფერია შიგო. ქალი ყოველთვის ისეთ შთაბეჭდილებას უქმნიდა მას, თითქოს ნორმალურ დამოკიდებულებაში იყო საკუთარ სხეულთან, ჯანმრთელი ჰქონდა იგი, თუ ავადმყოფი. მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ, როცა ექიმისგან შეიტყო, რომ ცოლმა უარი თქვა ოპერაციაზე, გაიფიქრა, რაც ნორმალურ დამოკიდებულებად მიაჩნდა, ხომ არ იყო დიდი ხნის განმავლობაში განვიდვრებული, ბოლოს კი ბედისაღმიე მორჩილი დამოკიდებულებაო.

თავის თავს საყვედურებდა, როცა ოპერაცია დადგა დღის წესრიგში, რატომ ვერაფერი შევამჩნიე, რატომ არ ისურვა ცოლმა ჩემთან ლაპარაკი, რატომ არ გამიზიარა შიშში, უჩემოდ რატომ მიიღო გადაწყვეტილებაო. მაშინ – სპონტანურად არ გაუხსენებია ის დრო, ქალს რომ კვანძი აღმოაჩინდა და ოპერაცია გახდა საჭირო. ნაწილ-ნაწილ უკავშირებდა ერთმანეთს მოგონებებს, თუმც თვალში საცემს ვერაფერს პოულობდა. ძველებური სიახლოვე ჰქონდათ. სამსახურში არ იყო დატვირთული, არც ბევრი მოგზაურობა უსწევდა. ცოლიც ჩვეულებრივ მუშაობდა – მევიოლინე იყო ქალაქის ორკესტრში, მეორე ყვილიანი, პირველი პულტი, თან მონაფეები ჰყავდა. ისიც გაახსენდა, კორელის სონატა „La folia“ რომ შეასრულეს ბოლოს და ბოლოს ერთად, მრავალი წლის სურვილი.

თვითსაყვედურებმა ადგილი დაუთმო უსიამოვნო გრძნობას, რომელიც მასსა და ცოლს შორის არსებულ ინტიმურბუნს შეეხებოდა. რაღაც შეეშალა? ისე ახლოს სულაც არ იყვნენ ერთმანეთთან? რამე დააკლო? ცული ცხოვრება ჰქონდათ? სარეცელი ხომ ავადმყოფობის დამძიმებამდე, უფრო მეტი, სიკვდილამდეც არ გაუყვიათ.

უსიამოვნო გრძნობაც გაქრა. დარჩა მხოლოდ სიცარიელე, თუმც თვითონაც არ იცოდა, რისი. მართალია, წარმოუდგენლად ეჩვენებოდა შემონძება, მაგრამ მაინც არ ასვენებდა კითხვები: ცოლი აკლდა, თუ უბრალოდ თბილი სხეული სანოლში? ვინმე, ვისაც ერთი-ორი სიტყვით გამოელაპარაკებოდა, ვინც ამ სიტყვებს ასატანად მიიჩნევდა და ვისი მოსმენაც ასატანი იქნებოდა; დროგამოშვებით რომ თავისი სამუშაო ენატრებოდა, ნებისმიერი სოციალური კონტაქტის და იმ როლის მონატრება ხომ არ იყო, რომლის თამაში ასე კარგად ეხერხებოდა? იცოდა, რომ ნელი იყო აღქმსა და გადამუშავებაში, ნელი, როგორც კონტაქტის დამყარებაში, ასევე მის განყვეტაში.

ხანდახან ეჩვენებოდა, ცხოვრებიდან გადმოვვარდი და ისევე ვაგრძელებ ვარდნას, მალე ფსკერამდე ჩავალწე და ისევე თავიდან შევძლებ დაწყებას, სულ მცირედით, მაგრამ თავიდანო.

3

ერთ დღეს ცოლის სახელზე მოვიდა წერილი, რომლის გამომგზავნსაც არ იცნობდა. ქალს ისევე მოსდოდა ფოსტა: ჟურნალ-გაზეთები, საწვეროს ანგარიშები, მიზატიყება ვერნისასუზე, ერთხელ ყოფილი კოლეგის გარდაცვალების ცნობა მოუვიდა, კიდევ მეგობრის წერილი, რომლისთვისაც მისი სიკვდილი არ შეუტყობინებიათ.

უცნობის წერილი მოკლე იყო, გაკრული ხელით ნაწერი.

საყვარელო ლიზა,

ვიცი, შენ ფიქრობ, ისე არ უნდა დამეძიებინე მაშინ. არ გეთანხმები, დღესაც არ გეთანხმები. და მაინც, მაშინ ვერ ვხვდებოდი, დღეს კი ვხვდები – ორივე დავაშავეთ. რა უსიყვარულოდ მოვექვეითე ჩვენს სიყვარულს, მოვანრჩვეთ იგი. შენ შენი შიშით, მე – ჩემი მოთხოვნებით. არადა, შეგვეძლო მისი გაზრდა და აყვავება.

არსებობს ცოდვა არნაცხოვრები

ცხოვრებისა, უსიყვარულო სიყვარულისა. იცი, რომ ერთად ჩადენილი ცოდვა ცოდვის ჩამდენთ სამარადისოდ აერთიანებს?

რამდენიმე წლის წინ გიხილე, შენი ორკესტრის ვასტროლებისას ჩვენს ქალაქში. ასაკი დაგტყობია. დავინახე შენი ნაოჭები, შენი ხესულის დაღლილობა; შენი გამყინვივი ხმაც გამახსენდა, შიშის და თავდაცვის დროს რომ გაქვს. მაგრამ რას იზამ. განგება რომ იწებებდეს, კვლავ ჩავჯდებოდი შენთან ერთად მანქანაში, ან მატარებელში, ისე, უბრალოდ, და გავემგზავრებოდი. კვლავ გავატარებდი ღამეებს და დღეებს შენთან ერთად სანოლში.

შეიძლება არად გიღირდეს ჩემი ფიქრები, მაგრამ ვის გავუზიარო იგი, თუ არა შენ?

როლფი.

მისამართიდან შეიტყო, რომ წერილი სამხრეთის ერთი დიდი ქალაქიდან იყო გამოგზავნილი. წაკითხვისთანავე ქალაქის გეგმა მოიტანა და ქუჩას დაუწყო ძებნა. ერთ-ერთ პარკთან იპოვნა. წარმოიდგინა წერილის დამწერი, სანერ მაგიდასთან, პარკისკენ მიპყრობილი მზერით. თვითონ სახლის წინ ქუჩაზე მდგარ ჯერ კიდევ შიშველ ხის კენწეროებს გასცქეროდა. ცოლის გამყინვივი ხმა უცხო იყო მისთვის. დღეები და ღამეები არ გაუტარებია მასთან ერთად სანოლში. არც მანქანაში და მატარებელში ჩამსხდარან ასე უბრალოდ და გამგზავრებულან. ჯერ გავგინდა, შემდეგ მოტყუებულად და გაქურდულად იგრძნო თავი. ცოლმა მოტყუებით წაართვა რაღაც, რაც ეკუთვნოდა და რასაც იმსახურებდა, და სხვამ კი მოპარა. ეჭვიანობამ შეიპყრო.

მარტო იმაზე კი არ ეჭვიანობდა, მისი ცოლი სხვასთან რომ იყოფდა იმას, რაც მისთვის უცნობი იყო. როგორ გაეგო, იყო თუ არა ღიზა იმ სხვასთან ისეთივე, როგორიც მასთან. როცა კონცერტზე საყვარელი პიესის მოსმენისას ხელებს ჩასჭიდებდნენ ერთმანეთს, როცა დილის რუსალების დროს მაკიაჟის დადებისას შესცქეროდა ცოლს, ის გადმოხედავდა, გაუღიშებდა და ისევე თავის გამოსახულებას დაუბრუნებოდა სარკეში, როცა გაღვიძებული ჩაეხუტებოდა, შემდეგ გაიზმორებოდა და გაიჭიმებოდა, როცა თავის სამსახურებრივ პრობლემებზე უყვებოდა ქალს, იგი კი თითქოს არც უსმენდა, მაგრამ რამდენიმე საათის ან დღის შემდეგ თავისი შენიშვნებით ისეთ ყურადღებას და თანაგრძნობას ამჟღავნებდა, გააოგნებდა – ასეთ

სიტუაციებში მათი ერთობლივი ცხოვრების სიახლოვე აშკარა იყო. ეს ექსკლუზიური სიახლოვე იყო. და თავისთავად გასაგები. მაგრამ ახლა აღარაფერი იყო თავისთავად გასაგები. რატომ არ უნდა ყოფილიყვნენ მისი ცოლი და სხვა ასევე ახლოს ერთმანეთთან? რატომ არ უნდა მჯდარიყო იგი კონცერტზე სხვასთან ასევე ხელჩაკიდებული, რატომ არ უნდა შეეხედა და გაეღიმა მისთვის მაკიაჟის დადებისას, რატომ არ უნდა მიხუტებოდა მას სანოლში, გაეზმორა და გაჭიმულიყო?

4

გაზაფხული დადგა. დილაობით ჩიტები აღვიძებდნენ. ყოველ დღეს ერთი და იგივე მეორდებოდა – გაახელდა თვალს, გაიკონებდა ჩიტების ჭიკჭიკს, დაინახავდა ოთახში შემოჭრილ მზის სხივს და ეგონა, სამყარო წესრიგშიაო, მაგრამ შემდეგ გაახსენდებოდა ცოლის სიკვდილი, უცნობის წერილი, მათი ყალბობა და ის, მისი ცოლი ამ ყალბობაში სულ სხვა რომ იყო, ვიდრე ისეთი, როგორსაც იცნობდა. თუმცა, ამავ დროს, შესაძლებელია, ზუსტად ისეთივე, როგორც მასთან. ყალბობა უნოდა მან, რაც წერილმა გამოაშკარა. თავის თავს ეკითხებოდა, ჰქონდა თუ არა ეჭვიანობის ორმაგი საბაბი და რწმუნდებოდა, რომ ეს ასე იყო. სხვა კითხვებიც არ ასვენებდა: რა უფრო ცუდია, თუ საყვარელი ქალი სხვასთან სხვა რომ არის, თუ ზუსტად ისეთივე, რაც შენთან. თუ ერთიც ისევე ცუდია, როგორც მეორე, რადგან, ასე თუ ისე, მაინც გაქურდული ხარ. მაინც მოგპარეს ის, რაც ეკუთვნის და რაც უნდა გეკუთვნოდეს?

იგი იყო, ავადმყოფობისას რომ არიან ხოლმე. ავადმყოფიც იღვიძებს და რაღაც დრო სჭირდება გასაცნობიერებლად, რომ ავად არის, და როგორც ავადმყოფობა გაივლის, ასე გადის სევდა და ეჭვიანობა. მან ეს იცოდა და ელოდებოდა, როდის გახდებოდა უკეთ.

გაზაფხულზე სეირნობები უფრო ხანგრძლივი და მიზნობრივი გახდა. უბრალოდ კი არ გადიოდა სახლიდან, გადაივიდა მიწვრებს და ხან წყალსარინის არხისკენ დაბლობამდე, ხან ტყით ციხე-სიმაგრისკენ მიემართებოდა. ზოგჯერ მდინარეს ან აყვებულ ხეილის ბაღებს აუყვებოდა და ერთ პატარა ქალაქამდე მიალწევდა, საიდანაც მატარებლით ბრუნდებოდა უკან. სულ უფრო და უფრო ხშირად ხდებოდა, რომ გვიან ნაშუ-

ადღევს გამოიღებდა შამპანურის ბოთლს მაცივრიდან, მაგრამ ისევ უკან დააბრუნებდა. სულ უფრო და უფრო ხშირად იჭერდა თავს იმაში, რომ მის ფიქრებს არაფერი ჰქონდა საერთო არც ცოლთან, არც იმ ვიღაც სხვასთან და არც მათ ყალბათბანდობასთან.

ერთ შაბათ დღეს ქალაქში წავიდა. უკანასკნელ თვეებში ამის საბაბი არ ჰქონია. სადაც ცხოვრობდა, საფურთუშეც იყო იქ და სასურსათო მაღაზიაც, სხვა კი არაფერი სჭირდებოდა. როცა ცენტრს მიუახლოვდა, გაცხოველებულმა მოძრაობამ, ხალხის ქედვამ და ქყლეტამ შეაწუხა. მაღაზიები მიჯრით იდგა ერთმანეთის გვერდით, ჰაერი სავსე იყო ადამიანთა ხმებით, ტრანსპორტის ხმაურით, ქუჩის მუსიკოსების მელოდიებითა და გარე მოვაჭრეთა ყვირილით. შეშინდა. შევიწროვებულად იგრძნო თავი ხალხის, მათი საქმიანობისა და ხმაურის მიერ. წიგნის მაღაზიას მიაშურა, ისიც სავსე აღმოჩნდა. თაროების, მაგიდეებისა და სალაროსკენ მიძვრებოდნენ ადამიანები. ერთხანს კართან გაჩერდა და ვერ გადაეწყვიტა, შესულიყო თუ უკან გამოსულიყო. გზას უღობავედა სხვებს, რომლებიც ევახებოდნენ და გაბრაზებულნი უხდიდნენ ბოდიშს. სახლში უნდოდა წასვლა, მაგრამ ძალა არ ჰყოფნიდა, ქუჩაში გამოსულიყო, ტრამვაიში ასულიყო ან ტაქსი მოეძებნა. უფრო მაგარი ეგონა თავი. როგორც განკურნებულს, რომლის ავადმყოფობის რეციდაივი გადავლამ გამოიწვია, მას ისევ თავიდან ხომ არ უნდა დაეწყო გამოჯანმრთლება?

როცა ბოლოს და ბოლოს ტრამვაიში ასვლა მოახერხა, ერთმა ახალგაზრდა ქალმა ადგილი დაუთმო. "შეუძლოდ ხარ? უკვე წიგნის მაღაზიაში შევნიშნე ეს". მას ქალი არ ახსოვდა წიგნის მაღაზიიდან. მადლობა გადაუხადა და დაჯდა, მაგრამ შიშმა არ გადაუარა. გამოჯანმრთელების თავიდან დაწყება იმას ნიშნავს, რომ უკვე ქვემოთამდე ჩააღწინა? სიამოვნებით ირწმუნებდა ამას, მაგრამ ისეთი გრძნობა ჰქონდა, უფრო ღრმად ვეზარდებო.

ლოგინში ჩანვა დღისით, მზისით, დაეძინა და რამდენიმე საათის შემდეგ გაეღვიძა. ჯერ კიდევ არ ბნელოდა, შიში გამქრალიყო. სანერ მაგიდასთან დაჯდა, აიღო ფურცელი და თარიღის და მიმართვის გარეშე დაწერა:

თქვენი წერილი მოვიდა, მაგრამ ადრესატამდე ვერ მიაღწია. ღიზა, რომელსაც იცნობდით, გარდაიცვალა.

ბ.

ბბ-ს ეძახდნენ ცოლი და მეგობრები კარგა ხანს, სანამ ერთხელაც ბ-დ არ იქცა იგი. ბ-შენიშვნებსა და დადგენილება-განკარგულებებს რომ აწერდა ხელს სამსახურში, მისი გვარის ბენერის პირველი ასო იყო, კერძო კორესპონდენციასზე ხელმოწერილი ბ - სახელის, ბენგტის აბრევიატურა, ხოლო შვილენ ბისადმი განკუთვნილ წერილებზე დასმული ბ - იმ დროის ვახსენება, როცა პატარები მამის ნაცვლად სიყვარულით ბაბას ეძახდნენ, დილექტის შესაბამისად. სიამოვნებდა, ერთი ბ რომ ამდენ რამეს იტყვდა.

წერილი კონვერტში ჩადო, მისამართი დაანერა, მარკები დააკრა და რამდენიმე ქუჩის მოშორებით საფოსტო ყუთში ჩააგდო.

5

სამი დღის შემდეგ პასუხი მოვიდა:

ბორენა! * აღარ გინდა ღიზა იყო, ღიზა, ასე რომ მიყვარდა, ჩემთვის მკვდარია?

რა კარგად მესმის იგი სურვილი, მიქმალბო წარსული, როცა ახი მტკივნეულად ვრცელდება ანმყოზე. მაგრამ მისი ვაჯრცელეუბა ანმყოზე მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ჯერ კიდევ ცოცხლობს. ჩვენი ერთობლივი წარსული ცოცხლობს შენთვის ისევე, როგორც ჩემთვის. რა კარგია! რა კარგია, რომ შენ ახლა მინც უპასუხე ჩემს წერილს, რომ კვლავ ჩემი ბორენა ხარ. მაშინაც კი, თუ აბრევიატურაში მალავ მას.

როლფი.

ბორენა? დიახ, მას თაფლისფერი თვალები და ნაბლისფერი კულულები ჰქონდა, მკლავებსა და ფეხებზე ნაბლისფერი ბუსუსები, რომელიც გარუჯვისას ოქროსფრად უბრწყინავდა, ასევე ბევრი ნაბლისფერი ხალი. ჩემო ლამაზო თაფლისფერთვალეებო, ხანდახან აღტაცებით უთქვამს მისთვის, მაგრამ ბორენა სულ სხვა იყო. ეს ღღერდა ლაკონურად, მბრძანებლურად, დამპყრობლურად. ბორენა - ეს იყო ულაყი, რომელსაც ნესტოებზე ეფერებოიან, მკერდზე ხელს უთათუნებენ, რათა მოახტნენ და ბარძაყებს შორის მოიმწყვდიონ.

* ბორენა (ირანული ძირი სიტყვა) - ნაბლისფერთომიანი, თაფლისფერთვალეა.

ცოლის სეკრეტერთან მივიდა, ბიდერმა-
იერის ავეჯთან. იცოდა, იქ საიდუმლო თარო
იყო. როცა ცოლის სიკვდილის შემდეგ მისი
ნივთები გადაათვალიერა, თაროს მოძებნა
მოერია. ახლა ყველა მათგანი დააცარიელა,
ყველა უფრა გამოალო და იპოვნა კედელი,
რომლის უკან უნდა ყოფილიყო თარო. ცოტა
ხნის შემდეგ თამასასაც მიაგნო და ზელი და-
აჭირა. კედელთან ერთად კუბიც შემოტრი-
აღდა ლერძის ირგვლივ და კარები გამოჩნდა.
ჩაკეტილი იყო. გატეხა.

წერილების ერთ შეკვრას ბაფთა ჰქონ-
და შემოხვეული. საფოსტო ბეჭდით მიხვდა,
ახალგაზრდობისდროინდელი სასიყვარულო
წერილები იყო. ამ სიყვარულის ამბავი ლი-
ზასგან იცოდა. აქვე იყო პოეზიის თუ სურა-
თების ალბომი ტყავის თასმებით და საკე-
ტით. მეორე, მწვანეაბიანი შეკვრაში ლიზას
მწოდებლის ხელწერა შეიცნო. იმ ვილაცის
ხელწერაც იცნო. ოთხი წერილი წერილების
დიდი სამაგრიო იყო შეკრული. ფანჯარასთან
მიიტანა და ბიდერმაიერის საკერე მაგიდას-
თან მდგარ ასევე ბიდერმაიერის მოსახერხე-
ბელ საეარქელში ჩაჯდა. ეს ავეჯი მან და ლი-
ზამ ქორნილის წინ შეიძინეს. კითხვა დაიწყო.

ლიზა,

სხვაგვარად მოხდა, ვიდრე დასაწყის-
ში წარმოგვედგინა, უფრო რთულად. ვიცო,
ხანდახან რომ ვეშინია და გაქცევა გსურს.
მაგრამ უფლება არ გაქვს, გაიქცე და არც
უნდა გაიქცე. მე შენთან ვარ მაშინაც, რო-
ცა შენთან არ ვარ.

ექვი ვეპარება ჩემს სიყვარულში, რად-
გან ვერ გადავიღებ მდგომარეობას? ეს
ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. მეც შერჩივნა,
უფრო მარტივად ყოფილიყო ყველაფერი
და ერთად და ერთმანეთისთვის შეგვძლე-
ბოდა ცხოვრება, მაგრამ სამყარო ასე არ
არის მოწყობილი. თუმცე მაინც მშვენიერია
იგი, რადგან შეგვყარა და შეგვაყვარა ერ-
თმანეთი. ვერ დატოვებ, ლიზა.

როლფი

არა, ლიზა, არა და არა. ჩვენ ეს გვექონდა
ერთი და ნახევარი წლის წინ, და შენ იცი,
რომ არ შემოძლია შენი მიტოვება. უშეშობა
არ შემოძლია. შენც არ შეგიძლია უჩემობა.
არ შეგიძლია ჩემი სიყვარულის გარეშე, იმ
სიხარულის გარეშე, რომელსაც განიჭებ.
თუ მიმატოვებ და უძირო უფსკრულში გა-
დავეშვები, შენც თან ჩავიყოლებ. აქამდე

ნუ მივიყვანთ საქმეს. დარჩი ჩემად, რო-
გორც მე ვრჩები შენად.

შენი როლფი

არ მოხვედი. გელოდე. ვინ იცის, რამ-
დენი საათი გელოდე. ჯერ ვიფიქრე, დროზე
ვერ მოახერხა-მეთქი მოსვლა, შემდეგ შეე-
შინდი. დაბარეეეე და შენი დამლაგებლის-
გან შევიტყვე, რომ ტელეფონთან მოსვლა
არ შეგიძლია. შენი დამლაგებლისგან. გა-
ნა მარტო არ მოხვედი, შენი დამლაგებლის
პირით მითხარი უარი.

განრისხებული ვარ, მაპატიე. უფლე-
ბა არ მაქვს, გაგიბრაზდე. ეს ყველაფერი
მეტისმეტე იყო შენთვის, არ შეიძლებოდა,
ასე გაგრძელებულიყო, რაღაც უნდა შეც-
ვლილიყო. შენ შეგეძლო მიგვეხვედრებინე
მხოლოდ იმით, რომ არ მოხვედი. მე უნდა
მივხვედრილიყავი.

მივხვედი, ლიზა. მოდი, ერთხანს ყვე-
ლაფერი დავივიწყოთ, რაც გვამძიმებს. მო-
მავალ კვირას ორკესტრთან ერთად კილში
იქნები - ერთი ან ორი დღე ჩვენთვის მოი-
ტოვე. და მალე შემეხმიანე.

როლფი

დამლაგებელი, დამლაგებელი! ყოველ-
დღე თქვენთანაა? ყოველ შემთხვევაში,
ყოველთვის ის იღებს ყურმილს, როცა ვრე-
კავ, ან შენი ქმარი. საღამოს ზარებით გაკ-
ვირვებული იგი მალე იკითხავს - რატომ
თიშავენ ყოველთვის ტელეფონს, როცა მე
ვპასუხობო. აჰ, ლიზა, ჩემს უშუალო რეკ-
ვაში არის რაღაც გროტესკული და სასაცი-
ლო. მოდი, ბოლო მოვუღოთ გროტესკს და
სასაცილოზე ვიცინოთ, ერთად ვიცინოთ,
სანოლში ვიცინოთ, ვეალერსოთ ერთმა-
ნეთს და ვიცინოთ და ვიცინოთ...

მომავალ კვირას აქ ვარ. გელოდები
არა მარტო დანიშნულ დღეს და საათს, ყო-
ველ ცისმარე დღეს, ყოველ დამე, ყოველ
საათს გელოდები.

როლფი

ოთხი წერილიდან არცერთს არ ესვა
რიცხვი. საფოსტო ბეჭდის თარიღი პირველ
წერილზე თორმეტი წლის წინანდელი იყო,
დანარჩენ სამზე თერთმეტის, რამდენიმე
დღეების ინტერვალით.

რა მოხდა მეოთხე წერილის შემდეგ? და-
იყოლია ლიზა? თუ მან დაყარა ფარ-ხმალი?
წერილების გამოგზავნა შეწყვიტა და ფარ-
ხმალი დაყარა?

კარგად ახსოვს თერთმეტი წლის წინანდელი დრო. არჩევნები იყო და მიუხედავად იმისა, რომ ბუნდესრატის უმრავლესობა და მთავრობის კოალიცია იგივე დარჩა, მინისტრი შეიცვალა. ახალმა მინისტრმა იგი, როგორც უპარტიო, დროებით პენსიაზე გაუშვა და მის ადგილზე პარტიული მოხელე დანიშნა. მართალია, ერთი წლის შემდეგ სახელმწიფო დაფინანსების ერთ-ერთმა ფონდმა კვლავ მიიწვია სამუშაოდ და საინტერესო დაავალებაც მისცა, მაგრამ ძალაუფლება, რომლითაც რამდენიმე წლის განმავლობაში ტკბებოდა სამინისტროში, აღარ ჰქონდა.

დაიხ, უკანასკნელ წლებში სამინისტროში მეტად დატვირთული იყო. ხშირად უწევდა მოგზაურობა და უქმე დღეებშიც კი უნდა ემუშავა დოკუმენტებზე, სამსახურში თუ არა, სახლში. მიუხედავად ამისა, ფიქრობდა, ოჯახში ყველაფერი წესრიგშია, ამის უზრუნველსაყოფად დროგამოშვებითი კონტაქტებიც საკმარისია ცოლთან და შვილებთან. მართლა ასე იყო? ახლა ეჩვენებოდა, რომ მაშინ არა მარტო ცოლა ცდილობდა, არამედ იმთავითვე იცოდა, რომ ცოლმა თავს იტყუებდა. სიტუაციებს იხსენებდა, როცა ლიზა ფიქრებში წასული ან მიუკარებელი იყო. „რა მოხდა?“ - ეკითხებოდა. „არაფერი“-პასუხობდა ცოლი. „რალაც არ უნდა იყოს წესრიგში“. „არა, ყველაფერი წესრიგშია. მხოლოდ დაღლილი ვარ“, ან „კრიტიკული დღეები მაქვს“, ან „ორკესტრზე ვფიქრობ“, ან „მოსწავლენე“. და ისიც თავს ანებებდა ცოლს.

შემდეგ, როცა სამინისტროდან გაუშვეს, ეს მოხდა მალე, უკანასკნელი წერილის შემდეგ, მისდა სამარცხვინოდ, შეინიშნა, კიდევ უფრო ნაკლები მოგონებები შემორჩა ცოლსა და ოჯახზე. თვლიდა, რომ უსამართლოდ მოექცინენ; გულნატკენი იყო, ჭრილობებს ილოკავდა და ელოდა, სამყარო, სახელმწიფო, მინისტრი, მეგობრები, ცოლი და ბავშვები როდის გამოასწორებდნენ უსამართლობას. ისე იყო დაკავებული საკუთარი თავით, ცოლის

მდგომარეობას ვერ ამჩნევდა. გაახსენდა, როგორ ებრძოდა შვილებსა და მათ მეგობრებს ხმაურის გამო. მათი ჟრიაბული ალიზიანებდა, სიმშვიდეს მირღვევენ, რომელიც ასე საჭიროა ჩემთვისო.

მოგონებებში ვერაფერი იპოვნა ისეთი, კითხვას რომ უპასუხებდა, გაგრძელდა თუ არა იმ ვილაც სხვასა და ლიზას შორის ბოლო წერილის შემდეგ ურთიერთობა.

იმ მძიმე წელს ხანდახან ლიზა ცდილობდა, აღედგინა ძველებური სიახლოვე მათ შორის, მაგრამ თავიდან იცილებდა მას, თუმცა, მიუხედავად ამისა, ქალს კიდევ უფრო უყვარდა, უყვარდა, როგორც ბავშვი. მას ამისი ახვაც სჯეროდა, სხვისი არაფრის. აბა, როგორ შეეძლო წარმოედგინა, იმას თუ ვერ შეამჩნევდა, რომ მისი ცოლი ორკესტრის გარდაც ბევრ დროს ატარებდა სახლის გარეთ, მაშინ, როცა თვითონ მუშადა სახლში იყო. საერთოდ, რას ამჩნევდა იგი იმ წელს!

დაჯდა და დაწერა:

შენი ახლანდელი წერილებიც ისეთივეა, როგორც მაშინდელი. თავს მაბეზრებენ. შენც თავს მაბეზრებ. თუ ეს არ შეიცვლება, იმის თქმა მსურს, თუ მას გააგრძელებ, აღარასოდეს შეგეხმიანები. ნუ დაუშვებ იგივე შეცდომას.

ბ.

ცუდად იგრძნო თავი, მაგრამ თვლიდა, რომ წერილის გამო არა. მაშინაც არ იქნებოდა კარგად, წერილი რომ არ დაეწერა, ან სხვარამ დაეწერა. ლიზამ ის ვილაც სხვა თავიდან მოიშორა, თუ ძველებურად დარჩა ყველაფერი. შეურიგდეს ამას? და თუ დიდხანს არ გაგრძელებულა მათი ურთიერთობა და თუ ღრმად არ შეუტოპავთ?

ვერმანულიდან თარგმნა
ბელა სურგულაძემ

გაგრძელება იქნება



ბასილ
რსაქვენიძე

ჭაბუა ამიხაჯიბის
ხომანის
"ბიოხი ბხყინვადას"
შესახებ

სატელევიზიო გამოსვლა

"ნარსულის ფესვებიდან ამონაყარი
სიტყვა, ფიქრი და აზრი"

ლევან ასათიანი

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვისაუბრო ბატონი ჭაბუას სხვა მწერლებისაგან განსხვავებულ ლიტერატურულ სტილზე და მის მიერ შექმნილი, უბრწყინვალესი რომანების თავისებურ არქიტექტონიკაზე. ამ საკითხის ირგვლივ, სრულიად ზუსტ განმარტებას თვით მწერალი იძლევა რომან "გიორგი ბრწყინვალესათვის" თანდართულ ე. წ. "ავტო-ინტერვიუში".

ამას იგი ორი ურთიერთგანსხვავებული არქიტექტურული შედეგის მცხეთის ჯვრისა და სვეტიცხოველის ურთიერთშედარების საფუძველზე ახდენს. ბატონი ჭაბუა ინტერვიუში აღნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც მცხეთის ჯვარი ზუსტი გეომეტრიული ფორმებით და მსგავსი არქიტექტურული დეტალებით არის წარმოდგენილი, სვეტიცხოველი მრავალ, ხშირად სრულიად განსხვავებულ არქიტექტურულ ვარიაციებს მოიცავს, რაც ერთ კომპოზიციაშია გამთლიანებული.

ბატონი ჭაბუა ხაზს უსვამს, რომ მსგავსად ზემოაღნიშულისა, ზოგიერთი მისი ნაწარმოებიც ფაბულასთან მეტნაკლებად დაკავშირებული ეპიზოდებისაგან შედგება, რომლებიც ერთი იდეითაა გამსჭვალული, ერთი ფსიქოლოგიური განწყობის საფუძველზეა

გავრთიანებული და კომპოზიციურად შეკრული.

ეს ისეთი მნიშვნელოვანი ავტორისეული განცხადებაა, რომ უკეთესია თვით ბატონი ჭაბუა დაეიმონმოთ. ქვემოთ მოგვაცქს მცირე ამონარიდი რომანიდან "გიორგი ბრწყინვალე". "შრავალი ნაჭრისა თუ დეტალის, ერთ კომპოზიციამო მოქცევის ცდა, ურთულეს, მაგრამ გონებამისანვდომ მშეენიერებას ქმნის", წერს ბატონი ჭაბუა და აქვე დაასკვნის, რომ დაახლოებით ასეა შექმნილი მისი რომანები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ჭაბუას მიერ, ქართულ საზეცვაკაზმულ მწერლობაში შემოტანილი თხრობის ორიგინალური სტილი უთუოდ დამკვიდრდება და მრავალ მიმდევარს გაიჩენს.

მწერლის ლიტერატურული სტილის ზემოაღნიშნული თავისებურებანი უფრო მკაფიოდ და რელიეფურად გამოიხატა, მის ახლადგამოქვეყნებულ რომანში "გიორგი ბრწყინვალე". გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ნება მომეცით ქვემოთ სწორედ ამ რომანზე ვისაუბრო.

ნიგნი იწყება მდაბიურ ტანსაცმელში გამწყობილი მეფე გიორგის საქართველოს სზვადასხვა კუთხეში მოგზაურობის აღწერით. ასეთი ტრადიცია მეფეთა ინკოგნიტოდ მოგზაურობისა, მისი სკიპტრის ქვეშ მყოფ მცხოვრებთა ჭირისა და ლხინის გასაცნობად, საქართველოში მოგესხენებათ, რომ უძველესი დროიდან არსებობდა.

ჩემთვის, პროფესიით ექიმისათვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მეფე გიორგის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ექიმთან, ქრონიტან შეხვედრები და მასთან საუბარი, ზოგჯერ კი მასთან შეკამათებაც. ქრონი ღრმად განათლებული ექიმი პროფესიონალია, ამავდროს ფილოსოფოსიც და პოლიტიკოსიც.

ექიმი ქრონის ფილოსოფიური სენტენციები და პოლიტიკური რემინისცენციები, მეფე გიორგის ღრმა პატრიოტულ გრძნობებს აღუძრავს და ყოფიერებაზე ჩააფიქრებს. ქრონი ნათელმზილველიც არის და მას არა მარტო შორეული წარსულის, არამედ მომავლის მისტიური განჭვრეტის უნარიც აქვს. იგი როგორც თანასწორი თანასწორს, ისე ეკამათება გიორგი მეფეს და ზოგჯერ წვრთნის და არიგებს კიდევც. საინტერესოა, რომ მეფის შეკითხვაზე, იგი უპასუზებს, რომ საავადმყოფო დავით მეფის მიერ არის აგებული.

ცნობილია, რომ საქართველოში, წმინდა ტაძრებთან უძველესი დროიდან არსებობდა

საავადმყოფოები, ანუ სასნეულოები. ამაზე თით "ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს. იქ აღწერილია, რომ დავით აღმაშენებელმა, გელათის ტაძრის არქიტექტორულ კომპლექსში გარდა თვით მონასტრისა, აკადემიის ქსენონისა ანუ სასნეულოს შენობაც ჩართო. "სასნეულო" დავით აღმაშენებლის მუდმივი ყურადღების ქვეშ იყო. იგი ხშირად მიდიოდა ამ დაწესებულებაში, თითოეულ ავადმყოფს ნახულობდა, ნუგეშს სცემდა და მათ ჰიგიენურ მდგომარეობაზეც ზრუნავდა. იგი თავისი ხელით ამონებდა ავადმყოფის ქვეშაგებსა და სასმელ წყალსო, მოგვითხრობს ჟამთააღმწერილი. ცნობილია, რომ ანალოგიური სახის სასნეულოები, არამარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ შექმნილ ქართულ მონასტრებთანაც არსებობდა, სადაც საექიმო საქმიანობაში დახელოვნებული ე.წ. "მესნეულე ბერები" მკურნალობდნენ ავადმყოფებს.

სულის შემძვრელია ნიგნი წარმოდგენილი ეპიზოდი, სადაც მეფის შეხვედრაა აღწერილი დიდგვაროვან ქართველ მანდილოსან დილიკასთან, რომელიც იმდენად აღმწოვრებულია მონღოლთა უღელქვეშ მყოფი ქართველების ინერტულობით და ნაკლები ბრძოლისუნარიანობით, რომ ფრიად არაორდინალურ და შეუფერებელ ქვევასაც არ ერიდება და ამით ფიქრობს სამშობლოს შევლას. აქვე აღწერილი დილიკას ტრაგიკული აღსასრული, იგი ერთ-ერთ მმართველ მონგოლს ხანჯლით მკერდს გაუზუბს და თვითონაც იღუპება.

რაც შეეხება შემდეგ ეპიზოდს, რომელიც რომანშია წარმოდგენილი, ძირითად ფაბულასთან თითქოს არავითარ შინაარსობრივ კავშირში არ არის და ვინმე ლარგველი ანანია გარსევანისძის ცხოვრების მატინანეს წარმოადგენს, მაგრამ ის, რაც ნიგნი ჩართულ ორივე ეპიზოდისათვის არის გამაერთიანებელი და გამამთლიანებელი, ესაა სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავგანწირვა.

ლარგველი ანანიას ისტორია დავით გარეჯის სავანის მონაზვნის, ვინმე მამა იონათამის მიერ არის აღწერილი. ზემოაღნიშნული ნიგნი ექიმმა ქრონმა უბოძა გიორგი ბრწყინვალეს და თან დააყოლა "ნაიღე, ეგ ფოლიანტი 100 ნელზე მეტია გელოდება... ნაიღე და მხოლოდ სათრეველად ნუ გამოიყენებ, მანდ მეფეთა ჭკუის სასწავლებელი მეტია, ჰქმენ საქმნელი და ნუ იზამ რაიც ავუნებს სამეფოს შესასა".

ლარგველი ანანია, მატინანეს მიხედვით ტიპიური ძველი ქართველი ინტელიგენცია,



კონსტანტინოპოლში და სხვა უძველეს საგანმანათლებლო კერებში აღზრდილი და განსწავლული. ამავე დროს იგი სამშობლოს მოყვარული პატრიოტია. აი როგორ ახასიათებს მას მისი ცხოვრების აღმწერი იონათამი: "ერისა და ტახტის ერთგულება იყო იმის ფიქრი, საქმე-საზრუნავი და მიზანი. შორსმჭვრეტელობა, ალღო და მიგნებულ აზრთა თავმოყრის ნიჭი ზეგარდმო ნაბოძები ჰქონდა".

ამასთან ერთად, ლარგველი ანანია არ იყო მხოლოდ სამშობლოსათვის თავდადებული პატრიოტი და მეცნიერი-ასკეტი. იგი უპირველეს ყოვლისა ადამიანი იყო და არაფერი ადამიანური არ იყო მისთვის უცხო. ამიტომ, რომ მისი ცხოვრების გაცნობის დროს მკითხველს, სრულიადაც არ უკვირს და არ შფოთავს იმის გამო, რომ ანანიამ კონსტანტინოპოლში სწავლის დროს, არისტოტელეს მეტაფიზიკის უძველესი ხელნაწერის შესყიდვისათვის სათანადო თანხა რომ არ აღმოაჩნდა, ცხენის ქურდობა იკისრა. ასევე, სრულიადაც არ უკვირს ანანიას მიერ ყოშარის თამაში.

ყოველივე ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ ცხადი გახდეს ბატონი ჭაბუას წერის მანერა, ესაა: უშუალობა, სისადავე, შეუფერადებელი

რეალიზმი და თბრობის სილაღე. ბატონი ჭაბუას წერის კიდევ ერთ თავისებურებაზე უნდა შევაჩეროთ მსმენელის ყურადღება. მისი გმირების მოქმედება ხშირად დროისა და სივრცის გათვალისწინების გარეშე ხორციელდება. ამასთან, რომანის ცალკეული პასაჟები ისეთი საოცარი ოსტატობით არის გადმოცემული, რომ მკითხველი სრულიად დასაშვებად მიიჩნევს შორეული წარსულიდან გამოხზობილი ღირსეული მამულიძელების საუბრის მოსმენას და ისიც არ უკვირს, რომ მონღოლთა მონობის ქვეშ მყოფ იავარქმინლ საქართველოს შვილებს შორეული მომავლიდან თვით ილაა ჭაგჭავაძე ევლინება და დინჯად მოძღვრავს მათ.

ვამთავრებთ რა ჩვენს სიტყვას, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჩვენ არ გვქონდა განზრახვა რომანის "გიორგი ბრწყინვალე" სხვა მრავალი მაღალმხატვრული ეპიზოდების გარჩევისა. ამას არა ერთი კრიტიკული წერილი დასჭირდება და ალბათ ჩვენზე ბევრად უფრო მაღალი დონის სპეციალისტი ლიტერატორი. ჩვენ განზახვა გვქონდა, რომ წიგნიდან მოტანილი მაგალითებით მხოლოდ ის ფაქტი დაგვედასტურებინა, რომ ქართულ ისტორიულ რომანისტიკაში სრულიად ახალი სტილი დამკვიდრდა, რომელსაც, როგორც ლიტერატურულ მიმართულებას, ბრწყინვალე მომავალი ელის.

ყურნალ "ლიტერატურა და ხელოვნების"
 საკონსულტაციო საბჭოს წევრს,
 თანამედროვე მსოფლიო მწერლობის კლასიკოსს,
 ქართული ლიტერატურის მახვშს —
 ჭაბუა ამირეჯიბს
 ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ
 ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას ქართული
 კულტურის სადიდებლად



ანდრო ბუჩხიძე

სეციხი სეჩხეა

**გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული
ლიტერატურის სახელმწიფო
მუზეუმის გამოცემა**

საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის საგამომცემლო საქმიანობა ჩვენი კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა, ვფიქრობთ, რომ მუზეუმის მიერ გამოცემული ყოველი წიგნი ნებისმიერი ქართველი ლიტერატორისთვის ან ზოგადად კულტურის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისთვის სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს.

დავინწყოთ "ლიტერატურის მატიანიტ". ეს გამოცემა გიორგი ლეონიძემ დააარსა 1940 წელს. გიორგი ლეონიძე ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი გახლდათ და სწორედ თავისი დირექტორობის პერიოდში მან "ლიტერატურის მატიანის" რამდენიმე წიგნი გამოსცა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, 1976

წელს ეს შესანიშნავი გამოცემა აღადგინა უკვე სხვა დირექტორმა, ცნობილმა პოეტმა იზა ორჯონიკიძემ.

"ლიტერატურის მატიანიტ" უაღრესად საინტერესო და მიმზიდველი, სპეციფიკური შინაარსის მქონე გამოცემაა. ეს მართლაც მატიანეა ქართული ლიტერატურისა. აქ შეიძლება წავაწყდეთ დაიწყებულ სახელებს, ცხოვრებისაგან უსამართლოდ გარიყული მწერლების ხელნაწერებს, ცნობილი პოეტების უცნობ ლექსებს, მათ სატრფიალო ისტორიებს თუ პირად მიმონერას. მაშასადამე, აქ წარმოდგენილია არა მხოლოდ მხატვრული შემოქმედების ნიმუშები, არამედ მწერალთა ცხოვრების ანალები, ბიოგრაფიული ფრაგმენტები, ცალკეული ეპიზოდები.

"მატიანიტ" ცხადყოფს, რომ XX საუკუნის ღირსეულმა ქართველმა მწერლებმა უაღრესად მკაცრი და რთული ცხოვრებით იცხოვრეს. ეს გამოცემა იმ უშეღავათო ყოფის ანარეკლია, რომელსაც მწერალთაგან ხელშეუხებელი არავინ დაუტოვებია.

გრიგოლ რობაქიძე — ამ სახელს, ბუნებრივია "ლიტერატურის მატიანის" გვიანდელ გამოცემებში ხშირად ვხვდებით. ვთქვათ, 1998 წლის გამოცემაში თვითონ მუზეუმის დირექტორმა და გამოცემათა თაოსანმა იზა ორჯონიკიძემ მოამზადა გრიგოლ რობაქიძის სახელთან დაკავშირებული პუბლიკაცია. ეს არის მწერლის ცხოვრების უაღრესად საინტერესო ფურცელი — მიმონერა უკვე ხანდაზმული კაცისა ახალგაზრდა გერმანელ მანდილოსან გრაფინია გიტა შტრახვიტცთან. ამ წერილებში გრიგოლ რობაქიძის უფაქიზესი განცდებია გამხელილი... კარგად წერს იზა ორჯონიკიძე: "უფლებას ნუ მივცემთ თავს, ვიძაგლოთ ჩვენითვის მიუწვდომელი და გაუგებარი სამყაროს შესახებ. არის ოაზისები, სადაც არ შეიძლება ყველამ დალიოს წყალი, რადგან ყველამ არ იცის ამ ოაზისებში მისასვლელი გზები!"

ამავე კრებულშია გამოქვეყნებული სიმონ ჩიქოვანის არქივიში მოძიებული მასალები. შეუძლებელია, ინტერესი არ აღძვრას მისი ნატიფი ხელით შესრულებულმა პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ალექსანდრე საჯავაის პორტრეტებმა (პუბლიკაცია მოამზადა მარინე ყიფიანმა).

კრებულს ამშვენებს გალაკტიონის ერთი უცნობი ლექსი, რომელიც მისი სათაყვანებელი მეუღლის, ოლია ოუუჯავას არქივში ინახებოდა.

აქვეა გამოქვეყნებული ნიკო სამადაშვი-

ლის ლექსები, რომლებიც მოგვიანებით მუზეუმის მიერ გამოცემულ დიდტანიან კრებულშიც შევიდა.

2005 წელს გამოცემული "ლიტერატურის მატრიანე" გიორგი ლეონიძის 100 წლის-თვის ეძღვნება. კრებული ნინასიტყვაობაში გამოცემის რედაქტორი (იზა ორჯონიკიძე) წერს: "პოეტის დაბადების 100 წლისთავზე მისი სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა საიუბილეო კრებული გამოცემა, მაგრამ არ შეიძლება, "ლიტერატურის მატრიანეშიც" არ აღვიშროთ ეს ბედნიერი დღე. ვთავაზობთ რევაზ ინანიშვილის საოცარ ესეს "ჩვენი ბებერი ბრტყენა" და გიორგი ლეონიძის გამოკვლევას "დაუდ-ფა-შა", რომლის დედანიც მუზეუმის არქივშია დაცული".

რევაზ ინანიშვილის ნაწარმოები მართლაც უაღრესად საინტერესოა. ეს არის მცირე მოცულობის, ტყეადი ესე, რომელიც გიორგი ლეონიძის მიერ უკუდავყოფილ ხეს, ოლეს ეძღვნება. ბრტყენა იგივე ოლეა. აქვე რამდენიმე მტრისხით პოეტის პორტრეტიცაა დახატული.

რევაზ ინანიშვილის ბუნებრივი თხრობა, ერთდროულად ძალზე უბრალო და ამასთანავე მდიდარი, ცოცხალი ენა, მისი დაკვირვების საოცარი უნარი, ვფიქრობ, წარუშლელ შთაბეჭდილებას უნდა ტოვებდეს მკითხველზე. ამ პუბლიკაციით ჩვენს ცნობიერებაში გიორგი ლეონიძის სახესთან ერთად თვით რევაზ ინანიშვილის პროზამაც შეიძინა ახალი მტრისხები.

ამ კრებულში გამოვყოფდი იპოლიტე ვართაგავას არქივში მოძიებული მასალების მიხედვით მომზადებულ პუბლიკაციას (მასალა მოამზადა ნატო სეიდიშვილმა). პუბლიკაციის ისტორია ასეთია: 1962 წელს კრიტიკოს იპოლიტე ვართაგავას დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. ამ ცნობას შეწევინა გამოცემას მალურ ცნობილი ქართველი ემიგრანტი მწერალი ვრიგოლ რობაქიძე. მან წერილი მოსწერა ღვანდომოსილ კრიტიკოსს. აი, ამ წერილის ბოლო ფრაზები: "დიდი ინტერესით და გულდასმით ვკითხულობთ თქვენს მოგონებებს "მნათობში". ბევრი რამ ვაგვიკეთებიათ მშობლიურ ლიტერატურაში! აქა-იქ ტყუილად იმ-დაბლებთ თავს. იყავით მხნედ! მარჯავ საქართველოს!"

შეუძლებელია, არ შეგძრას ვრიგოლ რობაქიძის სრფელმა ვამომხაურებამ. მისი ყოველი ფრაზა სამშობლოს დიდი სიყვარულით და მონატრებით არის აღბეჭდილი.

წინამდებარე კრებულში, და საერთოდ,

მუზეუმის გამოცემებში უაღრესად ფართო ადგილი ეთმობა გალაკტიონის ცხოვრებას და შემოქმედებას. 2005 წლის კრებულში რამდენიმე შესანიშნავი პუბლიკაციაა მოთავსებული გალაკტიონის თემაზე. "გალაკტიონ ტაბიძის უცნობი ფოტოსურათი" (თამარ ზურაბიელი), გალაკტიონ ტაბიძის უცნობი წერილები (ნათია დარხაბუდიძე), უცნობიონი - მკვლევარი (ნანა კობალაძე), გალაკტიონ ტაბიძის დღიური (მარინე ყიფიანი).

ლიტერატურის მუზეუმის გალაკტიონისადმი განხილული ღვაწლის დაგვირგვინება პოეტის შემოქმედების ოცდახუთტომეული. ამ აკადემიური პროექტის ცამეტი ტომი უკვე გამოცემულია. იბეჭდება XIV-XVI წიგნები. მზადდება გამოსაცემად და წლის ბოლომდე დაიბეჭდება XVII-XX ტომები. გამოცემულია აგრეთვე გალაკტიონის რჩეული ლექსების ტომი, შემდგენელი ვახლავთ თვითონ იზა ორჯონიკიძე (ყოველთვის საინტერესოა ერთი პოეტის თვალთ დანახული მეორე პოეტი). მრავალტომეულის შემდგენელი და რედაქტორიც იზა ორჯონიკიძეა, კონსულტანტები — ვახტანგ ჯავახიძე და თეიმურაზ დიანაშვილი, საარქივო გამოცემა მოამზადეს თეა თვალავაძემ, ნანა კობალაძემ და მარინე ყიფიანმა.

ლიტერატურის მუზეუმმა გამოსცა პაოლო იაშვილის ორტომეული — საიუბილეო-საარქივო გამოცემა. ეს ორი წიგნი ღირსეულად წარმოაჩინეს პაოლო იაშვილს — თავგანწირულ ვაჟაკს და ბრწყინვალე პოეტს.

მიხეილ ჯავახიშვილი ქართული მწერლობის სიამაყეა. მისი დაბადებიდან 125 წლისთავს ეძღვნება კრებული "ლეღარი". ეს წიგნი გამოცემისთანავე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. წიგნს უძღვის იზა ორჯონიკიძის წინათქმა: "მიხეილ ჯავახიშვილის პიროვნული, შინაგანი კონსტიტუცია ვახლავთ ვახი ტრაგედიის თავწყაროც და მთავარი მიზეზიც".

ვფიქრობ, რომ ლიტერატურის მუზეუმის მიერ გამოცემული ნიკო სამადაშვილის და შოთა ჩანტლადის სრული პოეტური კრებულები ისტორიულ გამოცემათა რიგს განეკუთვნება. ამ გამოცემათა მეშვეობით ორი ქართველი პოეტის სრული შემოქმედება უკვე ქართული ლიტერატურის კონტექსტში მოაზრება.

ვგროვო რობაქიძეზე უკვე ვისაუბრეთ. "ლიტერატურის მატრიანეც" მნიშვნელოვანი ნელილი შეიტანა ცალკეული პუბლიკაციებით ამ მწერლის აღდგენა-დაბრუნების საქმეში. უახლოეს ხანებში მუზეუმის საგა-

მომცემლო განყოფილება აპირებს გრიგოლ რობაქიძის სამტრომეულის გამოცემას.

რაკი ქართველ ემიგრანტულ მწერლობაზე ჩამოვარდა სიტყვა, უეჭველად უნდა ვახსენოთ შალვა ამირეჯიბის ორტომეული. მუზეუმის ამ გამოცემაში ქართველი მწერლის ნერილები და ნარკვევები შევიდა.

სულ ახლახან მუზეუმმა გამოსცა ლადო ასათიანის აქამდე გამოცემულ კრებულთაგან ყველაზე უფრო სრული, ამჯერად საარქივო, კრებული. ამ ნიგნში შესულია პოეტის სხვადასხვა ხასიათის ჩანაწერები, თარგმანები, ეპიგრამები.

არ შემიძლია, ორიოდ სიტყვა არ ვთქვა ისევე იზა ორჯონიკიძის დაარსებულ და გამოცემულ მშვენიერ სერიაზე — "უბის ნიგნაკი". ეს არის უფროსი (10-იანი წლები) და უმცროსი (სამოციანელები) თაობის მწერალთა ჩანაწერები და გამონათქვამები ლიტერატურაზე. თითოეულ ამ "ნიგნაკში" კარგად ჩანს ამა თუ იმ მწერლის პროვნული, განუმეორებელი სახე, მისი აზროვნების სტილი და ცხოვრების წესი. აქვია წარმოდგენილი შთამბეჭდავი ფოტომასალა და ავტოგრაფები. გალაკტიონი, სანდრო ცირეკიძე, სერგო კლდიაშვილი, გერონტი ქიქოძე, სიმონ ჩიქოვანი, ლევან ასათიანი, მიქელ პატარაძე — ეს უფროსი თაობა, შემდეგ სამოციანელები — ნოდარ ჩხეიძე, ედიშერ ყიფიანი, ოტია პაჭკორია, გურამ ასათიანი, არჩილ სულაკაური — აი, არასრული

სია სერიისა "უბის ნიგნაკი", რომელიც ასევე ჩემი აზრით, ყველა ქართველი ლიტერატორის მაგიდას უნდა ამშვენებდეს.

საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს, უკვე ჩამოთვლილ გამოცემებთან ერთად მუდმივად ეწყობა გამოფენები და ლიტერატურული საღამოები. უკანასკნელ ხანს მოენყო ჯერ ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიძღვნილი, მერე კი — მწერალთა ნაბატების გამოფენა, ჩატარდა ვახტანგ კოტეტიშვილისადმი, შოთა ჩანტლადისადმი, ოტია პაჭკორიასადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოები. ეს მღელვარე თეატრალიზებული საუბრები აღბეჭდილია ლიტერატურის მუზეუმის აუდიო-ვიდეო კოლექციის ფირებზე.

მდარე ლიტერატურის მომძლავრების ხანაში მუზეუმში განუხრელად იცავს მაღალმხატვრულობის პრინციპებს. ქართული კულტურის ამ შეუნაცვლებელი კერის სულისჩამდგმელია შესანიშნავი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, მუზეუმის დირექტორი — იზა ორჯონიკიძე. ყოველ ნიგნსა თუ გამოფენას, ლიტერატურულ საღამოს თუ საიუბილეო შეხვედრას მისი ნაცადი, გემოვნებიანი ხელი ატყვია. ნლეულს, ნოემბრის თვეში, ქალბატონ იზას სამოცდაათი წელი უსრულდება. კვლავაც ერის სასიკეთოდ გარჯა და მისთვის ჩვეული, მოუსვენარი შემოქმედებითი სიცოცხლე ვუსურვოთ მას.



მზე და ქაჩაშოსი

"ბვიანი ბაზაფხილი"

ბაზაფხილი!"

(მტრინები იზა ორჯონიკიძის პორტრეტისათვის)

„ლექსი ჩემი პროფესია არ გახლავთ — ეს ჩემი ბედისწერაა, ჩემი მარტოობის დღესასწაული“ — ამბობს იზა ორჯონიკიძე თავის ერთ-ერთ ინტერვიუში.

ბედისწერის ტორი მძიმეა; მხოლოდ ძლიერ სულსა და ნებას თუ შეუძლია მისი გაძლება.

ხოლო ამ სიმძიმის მსუბუქედ ტარება ერთეულთა ხვედრია.

„მარტოობის დღესასწაული“ სევდიანი დღესასწაულია.

„შენ მსაყვედურობ, რომ ნაღვლიანი მომიდის მუდამ სიტყვა, სტრიქონი, აღარ ჰყვავიან ჩემს ხელთ იანი. და სიხარულიც ვერ მოვიგონე“...

ჩვენი დღევანდელი გაუსაძლისი ყოფა „სიხარულის მოგონების“ საშუალებასაც რომ აღარ უტოვებს ადამიანს?!

არა მარტო სევდას და ნაღველს, სასონარკვეთსაც მოუტავს ნოემბრის პირქუშ თვეში გაცრეცილ-გაყვითლებულ ტყესავით გათანგული ქვეყნის სიცოცხლე.

აღარ ყვავილობს სიხარული.

ამნაირი ყოფა ლექსის წერის ხალისს კი არა, თითქოს სიცოცხლის სტიმულსაც აღარ უტოვებს შემოქმედს.

‘Im welken Walde ist ein Vogelruf, der sinnlos scheint in diesem Welken’

(„დამჭწნარ ტყეში ისმის ჩივის გალობა, ისეთი უაზრო ამ დამჭწნარ ტყეში“) — ამბობს დიდი ავსტრიელი პოეტი...

მაგრამ იზა ორჯონიკიძე ოპტიმისტია.

სწორედ ეს ოპტიმიზმი ასულდგმულებს მის რწმენას და აძლევს იმის ძალას, რომ სამშობლოსა და ადამიანის სიყვარულით გამთბარ და სულიერ ფასეულობებზე ზრუნვით გამსჭვალულ თავის ძველ, მშვენიერ ლექსებს ახალი, არანაკლებ მშვენიერი პოეტური ქმნილებები ამოუყენოს გვერდით.

მან იცის, რომ წარუვალი და უსასრულო არაფერია ამ ქვეყნად.

ამ თოშსა და ქარაბოტსაც ადრე თუ გვიან მოეღება ბოლო.

და მე მინდა მის მიერვე თარგმნილი შესანიშნავი ბერძენი პოეტის სტრიქონებით შევცხმინო ჩემს მეგობარს:

**„რაც უნდა იყოს,
რაც უნდა მოხდეს,
მზე უსათუოდ ამოვინთება
და სარკმელზე მოვიკაკუნებს.“**

ბაჩანა ბრეგვაძე

მთავარი შტრიხი, რომელიც იზა ორჯონიკიძის პიროვნულ და პოეტურ სილუეტს გამოარჩევს თანამედროვეთა ფონზე, გახლავთ შეუპოვარი გულწრფელობა — მომგებიანი მახასიათებელი შემოქმედებაში და პარლამენტში, ცხოვრებაში კი — რა მოვახსენოთ?! მაგრამ „ჩვენ უკვე ვეღარ გამოვიცვლებით და ვერც მეორედ დავიბადებით“.

როცა „სასაცილოდ დადის სიბართლე“ და „სიყვარული მარტოობის დილეგში გდია“;

როცა „ყველა აქა ვართ და არავინ არა ვართ შინა“;

როცა „ცრემლი ნაწმამს ეპოტინება“ და „ძალიან დემოკრატიულ ეკრანთან სხედან ბავშვები“;

როცა „დამთავრდა დიდი სუფთანერის გაკვეთილები“ და „მომაკვდავ დედას ვინც კი ერთი ღამე უთია, დღეს სუყველამ ანგარიში წარმოუდგინა“.

აუცილებელიც კია პოეტის სტრიქონი „სიკვდილივით პირდაპირი“ იყოს, მით უფრო იმ პოეტისა, რომელსაც „როგორც ბომბს, გამოკრული ძველმანში ჩილი, ზურგით დაჰქონდა“ თავისი ნილი საქართველო და „როგორც უეტრად გაჭრილი თითი, ყაყაჩო, ისე ტკივა ტუჩებთან“.

ხოლო როდესაც „დიდი ჭაღივით ჩაქრა იელი და უხილავმა აკრიფა სივრცე“;

როდესაც „დუმს ლარნაკში ათი მოწყენილი ვარდი“, „და შემოდგომის ფოთოლთა ყუნწით თავს იქცევს ქარი — ძველი ყაჩაღი“;

როდესაც „ამოქმულია ალაგ-ალაგ თოვლის საბანი“ და ქარი „მარტოობის ლოვინებს აგებს“;

როდესაც „ხიდის ყურესთან ეთხოვება უშვილო თუთას დღე შემოდგომის, როგორც ერთ მუნჯს — მეორე მუნჯი“ და „სევდა თუ არ აკეთებს, არც არაფერს აფუჭებს“, — ვერა და ვერ გავიზიარებთ ამ საყვედურს:

**„მე ვერც ვჭიკჭიკებ და ვერც ვლულუნებ,
ენის მოჩლექვაც ვერასდროს გკადრე,
როგორ მინდავ და სხვა საუკუნე...
ან უფრო გვიან ან უფრო ადრე.“**

ამ სტრიქონების ავტორი:

— აუცილებლად უნდა დაბადებულიყო მეოცე საუკუნის ერთ მშვენიერ დღეს თავისუფლებადიარგული საქართველოს დედაქალაქში;

— უნდა დაემთავრებინა ბოროტების იმპერიის დედაქალაქის უნივერსიტეტი;

— სამსახურიდან უნდა გაეთავისუფლები-

ნათანტისაბჭოთა ლექსის გამოქვეყნებისათვის; — უნდა მოხსნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობას და სამოქალაქო ომს;

— დამოუკიდებელი რესპუბლიკის პარლამენტის მიკროფონთან უნდა წარმოეთქვა მწარე-მწარე სიმართლეები;

— ნგრევის წლებში უნდა განეხლებინა ლიტერატურის მუზეუმის შენობა და აღმანახი ლიტერატურის მაცნინე“;

— უშიშროების კომიტეტის არქივიდან მუზეუმის საკუთრებაში (სამსუხაროდ — დროებით) მოეპოვებინა რეპრესირებულ მწერალთა უნიკალური „საქმეები“;

— მუზეუმის სალონში და დარბაზებში ჩატარებინა დაუფინსარი საღამოები და გამოფენები;

— დაებეჭდა „უბის წიგნაკის“ სერიალი, გიორგი ლეონიძის, ნიკო სამადაშვილის, შოთა ჩანტლაძის, შალვა ამირეჯიბის, ბორის პასტერნაკის წიგნები, კრებულები „ევროპა თუ აზია?“ და „ქვიფასია ავტოგრაფები“;

— ეთარგმნა ანა ახმატოვას ლექსები და ახალბერძნული პოეზია;

— დაენერა „ორი დღეკეთილი“, „ნათელი“, „ქვის სახელმძალი“, „ნეომის მოხვლამდე“, „ავტოპორტრეტი“... აგრეთვე — „მოდით, სიყვარულით დაეინწყით“;

— გადაელახა მესამე ათასწლეულის ზღურბლი და გამოეცა გალაკტიონის საარქივო ოცდახუთტომეული.

რაც შეეხება „სხვა საუკუნეს“, ყოველი საუკუნე თავის მძიმე ჯვარს ეზიდება და ჩვენ ხომ ჯერ კიდევ ვასულ საუკუნეში შევთანხმდით, ჩემო ძვირფასო ძმაქალო, რომ „გვიანი გაზაფხულიც — გაზაფხულია!“

პასტანა ჯანაძე

**ქაზი — სოსოსნი
ბანოშილა**

2003 წლის ზამთარი, მართლაც, უჩვეულო იყო იზასთვის — ცივი, მჭკუტავი სინათლით გაუნათებულ ღამეებში რამდენიმე ათეული შესანიშნავი ლექსი დაიწერა.

საღამოობით, ხშირად პირველი მსმენელის უფლებით, ვუსმენდი ამ ლექსებს და მიხაროდა — ჩემ თვალწინ ნამდვილი პოეზია იქმნებოდა!

„სატელეფონო კითხვას“ შთაბეჭდილებანი და აზრის გაზიარება ცვლიდა და მე ცოცხლად დაეინახე, რაოდენ მომთხოვნია იგი ყოველი სიტყვის, სტრიქონის, ლექსის, როგორც მთლიანობის, მიმართ. ის არამარტო „შთაგო-

ნებით დასწრებულნი“ ხელოვანია, არამედ ზედმინებით მცოდნეც იმისა, რასაც „ტექსე“ ეწოდება.

როგორც წესი, ყურადღებით ისმენს შენიშვნასა თუ სურვილს. საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულიც კი შენთან ერთად განიხილავს შესაძლებლობათა სიმრავლეს, სიტყვის საგნობრივი კონტურის, შეფერილობის, ყლერადობის, სურნელის, გემოს გათვალისწინებთაც კი. საოცარი ისაა, რომ ამ თითქოს ამომწურავ განსჯათა შემდეგ ყოველთვის პოულობს რაღაც ახალ, სხვა, მისეულ ვარიანტს, უფრო ზუსტსა და შეუცვლელს.

ძიების წინით იგი ძალიან უახლოვდება პოლ ვაგლერს პოეტურ იმპერატივს: „მე ვეძებ სიტყვას, რომელიც მდებარებითი სქესისა იქნება, ორმარცვლიანი, „პ“ ან „ბ“ ბგერით, ყრუდ მთავრდება, აღნიშნავს „ნაბზარს“ და არც მეცნიერულია და არც იშვიათი. სულ ცოტა — ექვსი პირობაა“.

ისეც მომხდარა, ჩემი სამზეროდან უხინჯო, უხადო ლექსი დაუნდობლად დაუშლია, ესთეცის რადიკალურობით უარუყვია... სიღამაზე, რათა იგი მშვენიერების სიმაღლემდე აეზიდა.

ლექსის დაბადების იდუმალ აქტთან ცოცხალმა შეხებამ უფრო გამიმახვილა აზრი, რომ არ შეიძლება იზა ორჯონიკიძის ლექსების გადაკითხვა, უბრალოდ თვალის გადავლება, რადგან გამჭირვალეების, უბრალოების, ისხადავის მიღმა შეიძლება ამოუცნობი და აუთესებელი დარჩეს რეალური ჩანაფიქრი, აზრობრივ-ემოციური ორიენტირების მრავალფეროვნება. ამით ბევრს დაკარგავს მხოლოდ მკითხველი (და არა ლექსი).

ფრანგები ამბობენ, ქალი იმდენი წლისაა, როგორც გამოიყურებაო.

მე ვამბობ: პოეტი იმდენი წლისაა, როგორ ლექსებსაც ქმნის. ამიტომ: არ შეიძლება მიულოცო პოეტს, მით უფრო პოეტ ქალს, იუბილე და წელთა სიმრავლე. მას ლექსთა მოზღვავეობა და პოეზიის დღესასწაული უნდა მიულოცო! იზა ორჯონიკიძეს აქვს უღამაზესი სტრიქონები:

**„მე და ჩემი შემოდგომა
გადაუხვევთ გზიდან,
ჩაღლილ წყლებზე მოქანავე
ხიდზე გავლა გვინდა...“**

მე კი ის მინდა, რომ იზა ორჯონიკიძეს, პოეტს და ადამიანს, არასოდეს ტოვებდეს „გზიდან გადახვევის“ ცდუნება, სურვილი „ჩაღლილ წყლებზე მოქანავე ხიდზე“ გავლისა. მინდა, დიდხანს გაგრძელდეს მისი „შემოდგომის გაზაფხული“.

თეიმურაზ დოიაშვილი



საქუან მალჩიხა

ნანი თარსნიშვილი

საქუან მალჩიხას ესსაეხი ქახთილი სიხყვის ნიალში

ცნობილი ფრანგი პოეტი სტეფან მალარ-მე (1842-1896) თავის ესსეში "არტურ რემ-ბო", წერდა: "ახალი მნიშვნელობა შეიმოსა ენაში ამ რამდენიმე მარცვალმა — არ-ტურ რემ-ბო". ეს სიტყვები თავადაც მიესადაგე-ბა მას. პოეტმა და მოაზროვნემ, რომლის სა-ხელი და გვარი სულ რაღაც ხუთიოდე მარ-ცვლისაგან შედგება, ახალი მნიშვნელობა შესძინა ფრანგულ ლიტერატურას. ახალ ხა-რისხში აიყვანა რაფინირებული ფრანგული სიტყვა. მან "გადატრიალება" მოახდინა აზ-როვნებისა და წერის სფეროში, სცადა შეექ-

მნა "ახალი ენა" თავისი ორიგინალური ლექ-სიკური ქარგით. მალარმემ სიმბოლიზმის პრინციპებს ფრთა შეახსხა თავის ლექსებსა და პროზაში. პოეტის შემოქმედებას იმთა-ვითვე მზერა მიაპყრო ქართული მწერლობის თელსაჩინო წარმომადგენლებმა, "ცისფერ-ყანწელთა" ჯგუფში გაერთიანებულმა ახალ-გაზრდა სიმბოლისტმა პოეტებმა: შალვა აფ-ხაიძემ, კოლაუ ნადირაძემ, ვალერიან გაფ-რინდაშვილმა და სანდრო ცირეკიძემ. მათ ჩინებულად თარგმნეს მალარმეს ლექსები და 1919 წელს გამოსცეს ქ. ქუთაისში, რო-მელიც იმდროინდელი ლიტერატურული სა-ქართველოს მეორე დედაქალაქი გახლდათ. "ცისფერყანწელთა" ღვანლის აღსანიშნა-ვად ის გარემოებაცაა გასათვალისწინებე-ლი, რომ მალარმეს როგორც პოეზიას, ასევე პროზასაც, სირთულის მხრივ ბადალი არ გა-აჩნია გასულ საუკუნეში — წერს მწერალი და მთარგმნელი ბატონი გასტონ ბუაჩიძე თავის წერალში "თეთრი მალარმე".

სტეფან მალარმეს აზრით, ლექსი შიშვე-ლი სიტყვებისაგან კი არ უნდა შედგებოდეს, არამედ გადაკრული სიტყვისაგან, ქარაგ-მისგან. ჟან კოკტოს მიაჩნდა, რომ "ფერე-ბითა და ჟღერადობით მდიდარი სიტყვების გამოყენება ისევე რთულია, როგორც უბ-რალო სამკაულებისა და მკვეთრი ფერები ჩაცმულობაში". მალარმე, თავისი გაგებით, ვერსიფიკაციის საკითხებში წინ უსწრებდა კოკტოს. მასთან სიტყვა — გადაკრული ნათ-ქვამი გახლდათ. ამასმა მისი პოეტური ოს-ტატობის საიდუმლო.

სიმბოლიზმის პრინციპების დახვეწის პროცესში, მალარმე მივიდა იქამდე, რომ ზოგჯერ მისი ნაწარმოებები გაუგებარი გახ-და, ზოგჯერ კი, ლექსის ალოგიზმამდეც კი მიდიოდა. მან დაარღვია ფრანგული ენის გრამატიკის ნორმები, სინტაქსური წყობა. თავადაც ამბობდა: მივაღწიე რა წმინდა პო-ეზიის ციალს, ჩვეულებრივი და უბრალო სიტყვებშიც კი გაუგებარი გახდა ჩემთანო. მალარმეს სტილი არ გამოირჩევა ზედმეტად ფერადოვნებით, მაგრამ ის ძალზე კორექ-ტულია.

ჩვენს მიზანს მალარმეს ესსეების თარ-გმნათა "გაკენწვლა" და "გაჩრეკვა" კი არ წარმოადგენს, არამედ ის, თუ როგორ გაიფ-ღერა მალარმესეულმა უადრესად ინტელექ-ტუალურმა სიტყვამ ქართულად, როგორ გა-იელვა მისმა შემოქმედებამ ქართული ლიტე-რატურული ცის კაბადონზე, როგორ შეისის-ხლბორცა და ქართულ "სამოსში" გამოაწყ-

ვეს პოეტის სიტყვა მთარგმნელებმა და თუ როგორ ბუნებრივად შეერწყა იგი ქართული სიტყვის ნიაღს.

ეროვნული მწერლობის განვითარებისა და ერის მაღალი იდეალებით განმსჭვალვისათვის, საკუთრივ ეროვნულ ლიტერატურაზე არანაკლებ მნიშვნელოვან აქვს მსოფლიო კლასიკოსთა მაღალმხატვრულ თარგმანებს. უძველესი დროიდან მოყოლებული, დღემდე ბევრი მხატვრული ნაწარმოები ითარგმნა, რომელიც შეიყვარა ქართველმა მკითხველმა და მშობლიური ლიტერატურის შემადგენელ ნაწილად იქცა, სამუდამოდ შემოიტკიცა ქართული ლიტერატურის მიწაწყალმა.

უცხო ენაზე დაწერილ ნაწარმოებსა და მკითხველს შორის მთარგმნელი დგას, ის გახლავთ შუამავალი მწერალსა და მკითხველს შორის. ჩვენს უმდიდრეს ლიტერატურას ნაზიარებ მთარგმნელს, რომელიც გაზრდილია კ. გამსახურდიას, გრ. რობაქიძის, ვიქ. ნოზაძის შემოქმედებაზე, არ უნდა გაჭირვებოდა მალარმეს წვდომა და თარგმანი, მით უფრო, რომ არსებობს უძველესი ძეგლების მაღალმხატვრული თარგმანები, არსებობს მყარი მთარგმნელობითი სკოლა, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან ივ. მაჩაბელი, გერ. ქიქოძე, თ. სახოკია; ხოლო უახლოესი დროის ჩინებული მთარგმნელები — ვ. ჭელიძე, გ. ვაჩეჩილაძე, რ. თაბუკაშვილი, გ. გოგიაშვილი, თ. ჩხენკელი, ნ. კაკაბაძე, დ. კოკიაი-ფანჯვიციძე, და მრავალი სხვანი.

აკი ჩვენმა მთარგმნელებმა (მ. ბაქრაძე, თ. კოპლატაძე, ს. გელაძე, ს. გაბუნია, ნ. იორდანიშვილი, ნ. მაჭარაშვილი, ც. ბიბილეიშვილი), თავი სასახელოდ გაართვეს მეტად საპასუხისმგებლო საქმეს — ესსეების თარგმნის შემოქმედებით პროცესს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს მალარმეს ესსეების თარგმანთა "კრიტიკის ცხავენი" გაჭარება, გვესურს თარგმანთა ხიბლზე და დადებით მხარეებზე გავამახვილოთ ყურადღება. მთარგმნელებმა მალარმეს ნერის ტექნიკა შეაგუეს ქართულ "წერასთან" — სინტაქსთან, ქართული ენის გრამატიკულ ნორმებთან ისე, რომ დედნის სტილი არ დარღვეულიყო.

მალარმესეულ იდუმალ სრულყოფას აღწევს ს. გელაძე ესსეებში, "გლოვა", "ჰამლეტი". მთარგმნელი სიტყვათა განლაგების უბაძლო მანერით აღწევს ტექსტარტივის შინაარსის გადმოცემას. მალარმეს სტილისათვის დამახასიათებელია დიდი პერიოდები

(10-15 წინადადებას შეიცავს). მთარგმნელს ასეთივე სიზუსტით გადმოაქვს იგი, ცდომლობს შეინაწუნოს დედნის სინტაქსური ნყოფა, კი არ გაამარტივოს (ეს კატეგორიულად დაუშვებელია მალარმესთან!), არამედ წინადადებას ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბუნებრივობა მიანიჭოს.

თ. კოპლატაძისა და მ. ბაქრაძის მიერ შესრულებული მალარმეს "ავტობიოგრაფიის" თარგმანი ნატიფი სტილის ნიმუშს წამოადგენს. იგრძნობა, რომ მთარგმნელთათვის მახლობელია ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილების სტილი, თხრობის დარბაზისლური ტონი და გასაკები ენა. ახლა გადახედვით თარგმნის "საშენ მასალას", ანუ ლექსიკას, ლექსიკურ ქარგას: ხშირბინდი, აკენიდან (ე.ი. ბავშვობიდან), ცხოვრების კარი, კალმის ტრფალი, სამყოფელი და დედაბოძი, უპირო და ცინცხალი, აქეთობისას, მგვანი და ცალი და მრ. სხვა — ქართული ენის ნიაღიდან წამოსული ეს სიტყვები მთარგმნელთარგმნელებმა ფრანგულს და ამით შესძინეს თარგმანს განუმეორებლობის ელფერი.

ესეი "არტურ რემპო" (მთარგმნელი ნ. იორდანიშვილი) პირველივე სტრიქონებში კავშირით "როს" („როს სადლის ჟამს...“) მთარგმნელს შემოაქვს ბარათაშვილისეული ინტონაცია. იგი იშველიებს „ტყუპ სიტყვებს": "ნიჭი-ნიჭად", "თავი და თავი ბინაა", "ნამცინც-ნამცინც". ასევე გაამდიდრა თარგმანი სინონიმებით, რომელსაც შინაარსის გაძლიერების მიზნით იშვებებს: [ქარდაკრული, დაშაშხული ხელები, მათი მგვანი და ცალი, და სხვა] მთარგმნელისათვის მახლობელია ვ. ბარნოვის მხატვრული და მოქნეული ენა. "ლოთობის უფსკრულში გადახაფვა", "ლექსის დუღუნში", "ცნობა გაკრთა გაზეთებში", "სამისდენმოდ", "ნაჭირნახულები", კავშირებით — "კია", "რაც" — სიტყვების ასეთი შერჩევით, მაღალგემოვნებით და დახვეწილი ქართული ენით თარგმნის ნ. იორდანიშვილი. მკითხველი მას მშობლიურ ენაზე გაითავისებს, რაც მთარგმნელის მაღალპროფესიონალიზმზე მეტყველებს. სხვათა სიტყვის ნაწილაკო „ო", „თქო", "მეთქი", სპეციფიური ქართული მოვლენაა. ეს ნაწილაკი ხშირად გვხვდება კლასიკური ხანის ძეგლებში და თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებებში. ნაწილაკების დროულად გამოყენებით, მთარგმნელი სპობს მოსალოდნელ ხელოვნურობას. მდიდარი ლექსიკა, ფერთა სიუხვე, სიტყვის მუსიკალურობა ნ. იორდანიშვილის თარგმანთა ნიშანთვისებას წარმოადგენს.



ესეი "მუსიკა და მწერლობა", რომლის თარგმანიც ნ. მაჭარაშვილს ეკუთვნის, გამოირჩევა მაღარმეს ღრმა ცოდნით ამ სფეროში. ფრაზის ექსპრესიულობის მიზნით, მთარგმნელი ზოგჯერ ზმნის გარეშე ტოვებს წინადადებას, ერთგულად მისდევს დედანს ("მერე კი განხეთქილება", "ქარიშხალი გამწმენდი") გაურბის თარგმანში აზრის სიცხადისთვის ჩაუმატოს ზმნა, რაც სტილს გააუბრალოებდა. მთარგმნელი იჩენს სიფრთხილეს, არ კარგავს ზომიერების გრძნობას და იცავს სალიტერატურო ნორმებს. ფრაზაში ერთი და იგივე ფორმის — თანდებულის, კავშირის გამოკრება ადუნებს ფრაზას, რასაც მთარგმნელი შეგნებულად ერიდება. "ფიქრთ გასართყელად", "იდუმალთმძღვარი", "კერა", "დუდუნი". "წუთისოფელი", "ეტრატე", "ზეგარდმო ძალა" "გულარძნილი", "ქირქილი" და ა.შ. — საკუთრივ ქართული სალიტერატურო ენის წიაღიდან მომდინარე სიტყვები ამდიდრებს ნ. მაჭარაშვილი-სეულ თარგმანს.

სტეფან მაღარმე, როგორც ხელოვნებათმცოდნე, მაღალ პროფესიულ დონეს აღწევს თავის ესეებში — "ედუარდ მანე", „1874 წლის სამხატვრო კიური და ედუარდ მანეს“. მწერალი დამკვირვებლური თვალით აფასებს მხატვრის შემოქმედებას. მან მშვენიერად უწყის მხატვრის ის მანერა, რომ მანე სხვა მხატვრებისაგან გამოირჩევა არასოდეს ცდილა და განზრახ ორიგინალობისაკენ არ ისწრაფვოდა, რომ "მისი თვალი ახლებურად აღიქვამდა საგნებს, ადამიანებს, მის უბნოდ და მიუკერძოებელ თვალს თითქოს ღმინარევი გადმოხედვის ბრწყალებში მოუქცევიყო პირველი შეხვედრის სიცხოველე და მეოცე სენასით გამოწვეულ გადაღლილობასაც არ ძალუძს წარხოცოს ამ პირველი შთაბეჭდილების კვალი". (თარგმანიც: ბიბლიოთეკის) მკითხველი თარგმანის საშუალებით შეიგრძნობს მანეს, როგორც განუმოვრებელ შემოქმედს. ედუარდ მანემ ახლებური შინაარსი ჩააქსოვა თავის ნახატებში. ბუნების სურათები მან ახლებურად გაიზიარა და აამეტყველა, ახალი სიმძაფრის ხარისხში აიყვანა ისინი. მხატვრის ტილოებში იგრძნობა, რომ შთაგონების წყარო ფრანგული ბუნების წიაღიდან ჩქეფს. სხვა ესეებთან შედარებით, ესეი "ედუარდ მანე" გამარტივებულია და ადვილად გასაგებიც, ამდენად თარგმანიც თხრობის ინტონაციით, არაზიგზაგისებურია, არ არის მასში შინაგანად "ამოზნექილი ადგილები". მთარგმნელმა

ესეი ისეთ კალაპოტში ჩააყენა, იგი მიედინება მდორედ, დინჯად და არა თავანწყევით. მთარგმნელი სწორედ აგნებს სტილისტურ გასაღებს, მისი ლექსიკაც მოზოვილ-მოქნეულია.

ესეიში "ეტოუდი ცეკვაზე — ფონი ბალეტში", რომელიც ეძღვნება მოცეკვაველი ფილერს. ესეთა შორის ფორმით ყველაზე პატარაა (მთარგმნელი კ. გაბუნია), თუმცა თარგმნის თვალსაზრისით "რიპარდ ვაგნერთან" ერთად (თარგმანი ეკუთვნის ამ სიტყვების ავტორს) სირთულით გამოირჩევა. თარგმნის სირთულე გარდა ენობრივი, სტრუქტურული და სტილისტური თვალსაზრისისა გამოიხატება თეატრისა და მუსიკის სპეციფიკით. მაღარმეზოვილი თეატრი, რომლისთვისაც ნიშანდობლივი იყო დრომოქმული ნორმები (იგულისხმება დადგმა, მიზანსცენები, მხატვრობა, დეკორაციები) ახვნიდა განახლებას. თეატრს, ბალეტს განვლურმა სიომ დაჰპერა. მთარგმნელი ერთბაშად მიჰყვება ფრანგულ ტექსტს, გაურბის ჭარბსიტყვაობას; რადგანაც ესეი თავისთავად გახლავთ თავისუფალი ფორმის ნარკვევი, რომელშიც განხილულია ლიტერატურული, ფილოსოფიური, სოციალური და სხვა საკითხები, მის ენას თავისი სპეციფიკა გვაჩინა. იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება სასაუბრო, მხატვრული ან მეცნიერული ენისაგან, თუმცა კი შეიცავს ყველა ელემენტს. ქართული ენა ჩინებულად იტანს გრძელ ფრაზას, ამის დასტურია, როგორც ძველი ისე ახალი ქართული. მთარგმნელი აზრის "გრეხილს" კი გვაწვდის, რომ წინადადების მდინარეა არ ფერხდება. აქა-იქ მარგალიტებივითაა გაბნეული ხატოვანი სიტყვები "ხატაური აბრეშუმი", "მანდილი", "ციბრუტი" და სხვა მეტ ხიბლს მატებს თარგმანს.

დაბოლოს, ცოტა რამ საკუთარ თარგმანზე. (მოკვიტვეთ სითამამე) სტეფან მაღარმეს ესეი "რიპარდ ვაგნერი" ისეთივე რთული სათარგმნი იყო, როგორც თავად კომპოზიტორის შემოქმედება. ვაგნერმა მოახდინა "გადატრიალება" ორკესტრირებაში, მაღარმე ძალზედ გატაცებული გახლდათ ვაგნერის მუსიკით, თავად კომპოზიტორებიც ყურადღებით ეკიდებოდნენ პოეტის ნათქვამ ყოველ ახალ სიტყვას. ლექსებმა "ფავნის ნაშუადღევი" შთააგონა კლოდ დებიუსი, რომელმაც 1894 წელს შექმნა "ფავნის ნაშუადღევის პრელუდია", რომელსაც მაღარმე აღფრთოვანებით გამოეხმაურა. ვაგნერმა თავის პარტიტურებში ერთმანეთთან შეა-

გუა ხმარებიდან გამოსული ხელშეუხებელი ტრადიცია იმასთან, რაც გამომდინარუობდა იდუმალებიდან. ესევებში პოეტი განიხილავს მუსიკის ნელილს თეატრში. მუსიკისა, რომელიც შექმნილია თეატრალური სახანაულის მოსახდენად.

დედნის არსის ნვდომა, ემოციური შესატყვისის მოძებნა ე.ი. შემოქმედებითი მუშაობა — აი, რა მოთხოვნას ვუყენებდით საკუთარ თავს. ჩვენი მიზანი იყო, ყურადღება მიგვექცია ენის მხატვრული ხარისხისათვის, მისი ექსპრესიული ძლიერებისათვის, რადგანაც ქართული ენა განსხვავდება ინდოევროპულ ენათა ოჯახისაგან, კერძოდ ფრანგულისაგან განსხვავებით საქმე გვექონდა სრულიად სხვა აგებულების ენასთან. ვცდილობდით ფრანგული ენის სტრუქტურული თავისებურებანი ისე გადმოგვეცა ქართულად, ამ უკანასკნელის სტრუქტურული თავისებურება შეგვენარჩუნებინა. მოვიშველიეთ ისეთი გრამატიკული შესაძლებლობანი, რაც უცხოა სათარგმნი ენისათვის. ქართული ენის ლერძი — ზმნაა. მას შეუძლია გამოხატოს ის, რაც რიგ ენებში მხოლოდ აღწერილობით ვადმოიცემა. ამიტომ, ზოგჯერ საჭიროდ მივიჩნევდით რამდენიმე თარის დამატებას. დედანში პასიური ფორმა — თარგმნაში აქტიური ფორმით არის წარმოდგენილი, რაც, ჩვენი გაგებით, ბუნებრივობის ელფერს აძლევს თარგმანს. მალარმე თითოეულ სიტყვას არჩევს, სიტყვათა დაწყვილებზე ხანგრძლივი დაფიქრების შემდეგ ჩერდება. მწერლის ლექსიკა ძალზე კორექტულია, ამდენად, თარგმნისას ვცდილობდით თავი შეგვეკავებინა სიტყვაკაპონიოზისაგან. მწერლისათვის ყოველი ფრაზა მისი ჩანაფიქრის ხორცშესხმაა, რაც თარგმნაში ადექვატურად უნდა ყოფილიყო ასახული. ესნეი ქვესათარში სიტყვა La reve-ს, რომელიც ითარგმნება როგორც სიზმარი, ოცნება

— მივუსადაგეთ სიტყვა "ზმანება", რაც პოეტურ ხილვასთან, ოცნებასთან ასოცირებს.

სტეფან მალარეს პოეზიისა და პროზის თარგმანები თავისი სტილისტური ფორმით, რაფინირებული გემოვნებით, ლექსიკის სიზუსტით და გამომსახველობით, ფერთა სიზუსვითა და ფერადობით (მუსიკალურობით), ეფექტობით ჩინებულნი საჩუქარი გახდა ფრანგულ ლიტერატურას დაწაფებული მკითხველისათვის. ენაზე, რომელზედაც აამტყვევლა შოთა რუსთაველმა თავისი უკვდავი პოემა, ტალოს, ილიას, აკაკის, ვაჟას ენაზე შესრულდა ფრანგული ცნობიერებისათვის განუმეორებელი პოეტის სტეფან მალარმეს ლექსებისა და პროზის თარგმანები. პოეტის შემოქმედება რთული იყო, თავისებურად რთული გახლდათ მისი ნააზრევისა და განცდილის მკითხველთან მიტანა, პოეტის ენის "მარად ქალწულებრივი არსის" ნვდომის შეგრძნება, განცდა და გათავისება, ქართული ენის ბუნებასთან შერწყმა, ქართულ ლიტერატურულ ნაყოფიერ ნიადაგზე დათესვა და აღმოცენება წარმოადგენდა მთარგმნელთა მიზანს. "ენა საღვთო რამ არის, — ბრძანებდა ილია ჭავჭავაძე — საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილი ხელით არ უნდა შეეხოს". (წერილები ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე. ტომი V, გვ. 26, 1924წ.).

თუ მწერალი თავისი შემოქმედებით, ნაღვანით ერის სამსახურში დგას, მთარგმნელიც იმავე შემოქმედებითი ცეცხლით იწვის, ისევე განიცდის, უხარია და სტიკია.

დროა ყველაზე მკაცრი მსაჯული. დრო მოიტანს და სტეფან მალარმეს პოეზიისა და პროზის თარგმანი ჩვენს მდიდარ ლიტერატურულ საგანძურში დაიდებს ბინას.

არსებობს ლიტერატურის ხელთუქმნელი ძეგლები, რომელთაც არასოდეს დაედებათ დაიწყების მტვერი; მათ შორისაა სტეფან მალარმეს ლექსებისა და პროზის თარგმანი.





ოლიკო უჯვანი

ოლიკო უჯვანი

ლიანას ხოშნი "იფი",
ჰაბსბურგის "ქოხი" და
სტაინბეჩის ხოშაჯი ანა
საღ იქნებაოდა
შედაქიხი?

„ცნობილი ადამიანები კავკასიაში“ – ასე
პეჭია დოკუმენტური ფილმის პროექტს,
რომელზეც ხელოვნებათმცოდნე, კინო-
დოკუმენტალისტი ოლიკო უჯვანი მუშა-
ობს. უკვე შექმნა ფილმი „კნუტ ჰამსუ-
ნის კავკასიური მისტიკები“ (2005), მალე
დასრულდება მუშაობა ორ ფილმზე,
რომლებიც აღეკსანდრე დიუმას და ჯონ
სტაინბეჩის სამოგ ზაურო ჩანაწერებს „კავ-
კასიას“ და „რუსულ დღიურს“ ეფუძნება.
პროექტის ფარგლებში ავტორმა სამ ქვე-
ყანაში იმოგ ზაურა – ნორვეგია, საფრანგე-
თი, აშერიაკ... გადაღებების პროცესში ავ-
ტორის ყურადღება სამივე მწერლის სამუ-
შაო კაბინეტების ორიგინალობაში მიიპყრო.

სამუშაო ოთახი მწერლებისთვის ერ-
თგვარი მიკროსამყაროა — „ციხე-სამიმაგ-
რე“, სადაც ამქვეყნიური ფუსფუსსა და ყო-
ფით ნვრილმანებს, ყოველდღიურობას მონყ-
ვეტილი სამი გენიალური მწერალი — დიუმა,
ჰამსუნი და სტაინბეკი სხვადასხვა ეპოქაში
თავიანთ შედეგებს ქმნიდნენ. ეს „კაბინე-
ტები“ უპირველესად, პატრონის ხასიათზე,
მის ტემპერამენტზე, გემოვნებაზე, ოცნება-
სა და ფანტაზიებზე მიანიშნებენ, ისინი მათი
ცხოვრების და შემოქმედების განუყრელ ნა-
წილად იქცა.

ამ „კაბინეტებს“ ისინი საცხოვრებელი
ადგილიდან მოშორებით, გარკვეული დის-
ტანიციით – გარემოსა და ლანდშაფტის
გათვალისწინებით იშენებდნენ. აღეკსან-
დრე დიუმას სამუშაო „კოშკი“ შედარებით
პომპეზური და დეკორატიულად მორთულ-
მოკაზმულია, და, მის ესთეტიკურ მხარეზე
მწერალმა განსაკუთრებით იზრუნა. მასთან
შედარებით ორი ნობელიანტი მწერლის —
ჰამსუნის და სტაინბეჩის „კოტეჯები“ შე-
დარებით პატარა მასშტაბის, ხაზგასმულად
მოკრძალებული და სადაა, ორივე ხისგანაა
ნაგები და თეთრი ფერით გამოირჩევა. დი-
უმამ თავისი სამუშაო ოთახი მისივე ოცნების
სახლის – შატო „მონტე-კრისტოსგან“ ოდ-
ნავ დაშორებით, პატარა გორაკზე, გუთური
სტილით ნაგებ კომპში მოიწყო; ნორვეგიელი



ქნუტ ჰამსუნი



ჰამსუნის საკუთარ მამულში — ნორჰოლმში დაბრუნდა, სადაც იგი ნობელის პრემიით დაჯილდოების შემდეგ ოჯახთან ერთად დასახლდა და იქვე გარდაიცვალა.

კეთილი, სტუმართმოყვარე და გულუხვი დიუმას „ციხე-დარბაზი“ „მონტე-კრისტო“ მუდამ ღია იყო ნებისმიერი ადამიანისთვის, თუნდაც, ის, ჩვეულებრივი მგზავრი ყოფილიყო. სასახლის სამივე სართულზე განლაგებული 15 ოთახი, „სამი მუსკეტერის“ ავტორმა, გართობისა და ფუფუნების კერად აქცია. აქ ყველას შეეძლო ღამე გაეთია, რამდენ ხანსაც სურდა დარჩენილიყო და დიუმას მიერ მომზადებული გემრიელი კერძები დაეგემოვნებინა.


სტუმართმოყვარე დიუმამ საკუთარი კაბინეტის მონყობაზე განსაკუთრებით იზრუნა — თავისი „ციხე-დარბაზისგან“ მოშორებით, გორაკზე აიშენა მინიატურული კოშკი და სახელად „იფი“ უწოდა. დღეს, ეს კოშკი ბუტაფორიულ, სათამაშო ციხე-სიმაგრეს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურს. დიუმას ბიოგრაფიის მკვლევარი ანდრე მორუა წერდა, რომ დიუმას „ციხე-დარბაზი“ და კოშკი „იფი“ „ჯუჯა დიდებულების“ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე.

კოშკის წინ, წყლის, ასევე „მინიატურული“ არხია, რომელზეც აჭურული მოაჯირით შემკული ხიდია გადებული. „იფის“ ფასადის ქვის ფილებზე დიუმას ნაწარმოებებისა და ისტორიულად ცნობილი ადამიანების სახელებია ამოკვეთილი. პირველი სართული

უკავია ერთადერთ, პატარა ოთახს — თუკი დიუმას მასიურ აღნაგობას და მის ფიზიკურ მონაცემებს გაეთვალისწინებთ, ძნელი წარმოსადგვია, რამდენად კომფორტულად გრძნობდა თავს ამ კაბინეტში მწერალი. თუმცა, დღედაღამ მაგიდას „მიჯაჭვული“ დიუმასთვის ოთახის მასშტაბს მნიშვნელობა არ ჰქონდა. სანერი მაგიდა სპეციალურად იყო მიბჯენილი სარკმელთან, საიდანაც დიუმამ, მოპირდაპირე მხარეს აღმართულ, თავის ოცნების ვილას — „მონტე კრისტოს“ უყურებდა და შემოქმედებითი ძალებით იცხებოდა. მწერლის სანერ მაგიდაზე, რომელიც დიუმას ერთ-ერთი ტაძრის სატრაპეზოდან ჰქონდა გამოტანილი, ნაწერებით აჭრებლულ სამი ფერის ქაღალდს ნახავდით: ცისფერი — რომანებისთვის, ვარდისფერი — სტატიებისთვის, და ყვითელი — ლექსებისთვის და სასიყვარულო ოდებისთვის. სპირალისებურად დახვეული კიბის საშუალებით, მოხედებით მანსარდაში — პატარა, ჩაბნელებულ სენაკში, სადაც მხოლოდ რკინის საწოლი, უბრალო ხის მაგიდა და ორი სკამი იდგა.

ფუფუნების მოყვარული დიუმასთვის ეს ადგილი მართლაც, შუასაუკუნეებრივი კელია იყო, სადაც „მონტე-კრისტოს“ დარბაზების ხმაურსა და ჟრიაშულს განრიდებული დიუმამ, „ასკეტურად“, განდევნილად ცხოვრობდა, ტიტანური ენერჯით იმუხტებოდა და მუშაობისთვის განწყობოდა; მისი თანამედროვენი იგონებდნენ, რომ მუშაობისას, დიუმამ მთელი დღეების განმავლობაში უჯდა თავის სანერ მაგიდას, მარჯვენა ხელით თავდავინყებით წერდა, მარცხენა ხელს კი, შემ-





თხვევით შემოსულ სტუმარს გაუწოდებდა, თან შატო „მონტე-კრისტოში“ ებატეებოდა. მართალია, დიუმა უბადლო გურმანი და მზარეული იყო, მაგრამ „იფის“ სამუშაო კოშკში „გამოკეტილი“, ჩვეულებრივი საკვებით იკვებებოდა, ამ დროს, მწერალი ჭამაზე ნაკლებად ფიქრობდა. კოშკი „იფი“ „სადაზვერვო“ ფუნქციასაც ასრულებდა — მისი სარკმლიდან, დიუმა პარკში მოსეირნე თავის სტუმრებს უყურებდა. ინგლისურ პარკში დიუმას ფანტაზიებით „შექმნილი“ კოშკი, თავისი უხვად შემკული დეკორატიული რელიეფებით და აჭურული აივნებით დღემდე ინვეს მნახველთა გაცეხას. ტურისტები მხოლოდ ირგვლივ უვლიან „იფის“ კოშკს, კაბინეტში შესვლის უფლება არ აქვთ. ჩვენს თხოვნაზე მუზეუმის ადმინისტრაციამ „იფის“ კაბინეტის კარი თავაზიანად გაგვიღო და ექსკლუზიური გადაღების ნებაც დაგვართო.

რეალური და ნამდვილი გრანდიოზული ციხე-კოშკი „იფი“, რომლის სახელსაც დიუმა თავისი „კაბინეტისთვის“ დაესესხა, სინამდვილეში, იფის კუნძულზე, ხმელთაშუა ზღვაში, მარსელის მახლობლად მდებარეობს. მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და თავდაპირველად, მეფე ფრანცისკ I-ის ბრძანებით, მარსელის დასაცავად ააგეს. ციხის მშენებლობა შვიდი წელი

გრძელდებოდა (1524-1531). XVI საუკუნიდან კოშკი განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა იზოლაციისთვის იყო განკუთვნილი. ამ პერიოდიდან დაერქვა მას „კოშკი იფი“, რომლის ჯურღმულებში მეამბოხე შუგენოტებს, პარიზის კომუნის ბელადებს, ანუ ყველას იმას ამყოფებდნენ, ვინც საფრანგეთს პოლიტიკურ საფრთხეს უქმნიდა. დიუმას რომანის „გრად მონტე-კრისტოს“ მთავარი გმირიც, მრავალი წლის განმავლობაში იყო „იფის“ ციხე-კოშკში დატყვევებული. 1839 წლიდან „იფის“ ციხე გაუქმდა. დიუმას რომანმა პოპულარობა იმდენად მოუხვეჭა „იფის“ ციხე-კოშკს, რომ XIX საუკუნის ბოლოდან იგი მნახველებისთვის ღიაა და დღემდე ტურისტებისთვის მიმზიდველ ადგილად რჩება — დიუმას პოპულარული რომანის „მონტე-კრისტოს“ წყალობით, „იფის“ ციხე-კოშკი მარსელის სავიზიტო ბარათად იქცა.

ფემენებელური, ორსართულიანი, გრძელი, თეთრი კოლონადებით მორთული ვილა კნუტ ჰამსუნმა საკუთარი პროექტით შექმნა. სახლის ფასადი და ინტერიერები, სახლის მეპატრონის არისტოკრატიულ სულზე და ნატივ გემოვნებაზე მეტყველებდა. საცხოვრებელი სახლისგან მოშორებით, ტყის პირას ჰამსუნმა მოიწყო სამუშაო კოტეჯი, რომელიც გლეხის ქოხს უფრო ჰგავდა, —



„მწერლის ქოხი,“ — ასე ეძახდა მას ჰამსუნი — წარმოშობით გლეხი, რომელიც ნორვეგიის ერთ-ერთ პატარა სოფელ ლომში, პატარა ხის ქოხში დაიბადა, ბავშვობა კი სოფელ ჰამსუნდში გაატარა, რომლისგანაც შემდეგ ფსევდონიმი აიღო. ბავშვობისას ჰამსუნი საქონელს მწყემსავდა ტყეში და, ბუნებაში განმარტოებული თავს ბედნიერად გრძნობდა, ნეტარების ეს განცდა მწერალს მუდამ თანსდევდა. 1920 წელს, როცა ჰამსუნმა ნობელის პრემია დაიმსახურა რომანისთვის „მინის წვენი“, მუშაობისთვის ტიპიური ხის ქოხი აიშენა, რაც მწერლის მინასთან კავშირზე და მის გლეხურ წარმომავლობაზე მიანიშნებდა. ტყე, რომლის პირას დგას ჰამსუნის „ქოხი,“ დღემდე, მწერლის ხელით დარგული ნაძვებითაა დაბურული, თუმცა, ალაგ-ალაგ უკვე ხმობა შეპარვია.

„ხის ქოხებში“ ანუ „ჯიხურებში“ გულმოდგინედ მომუშავე სპარსი გადამწერები ჰამსუნმა პირველად, თბილისში, 1899 წელს კავკასიაში მოგზაურობისას ნახა და აღფრთოვანდა. „ჯიხურებში“ მომუშავე სპარს გადამწერებს ქალაქის აზიურ უბნებში მაშინ მრავლად ნახავდით. იქნებ აქედან დაეებადა „მწერლის ქოხის“ აშენების იდეა ნორვეგიელ მწერალს? აი, რას წერს იგი თავის სამოგზაურო ჩანაწერების ნიგნში „ზღაპრული ქვეყანა“: „აქა-იქ, პატარა ჯიხურებში გადამ-

წერები სხედან და წერენ, სხვადასხვა დაკვეთას ასრულებენ... გადამწერის ხელოვნება წმინდათაწმინდაა, როგორც ის ფურცელი, რაზეც წერენ... დიდი მოკრძალებით ჩაეუარეთ ნიგნებსა და ქალაქლების ჯიხურებს. შიგ მსხდომნი ყურადღებას იქცევენ ღირსეული თავდაჭერილობით“. თბილისის აზიურ უბანში, ციცქნა დუქნებში გადამწერები სხედან და წერენ — რასაც შეუკვეთენ. მათ მიმართ პატივისცემით აღვსილებმა ჩაეუარეთ ამ ჯიხურებს და პირდაპირ მოვიხიბლეთ მათი პატრონების ღირსებით.”

ოსლოს კინოქრონიკების არქივში პირადად უნახე კინოფირი, სადაც ჰამსუნი თავის საყვარელ კაბინეტშია აღბეჭდილი — კადრებში ჩანს, თუ როგორი შემართებით და სიამაყით გაივლის იგი ტყისკენ მიმავალ საბილიკო გზას, პატარა გორაკზე ადის და თავის „სამფლობელოში“ — პატარა ხის ქოხში შედის. „ქოხში“ მომუშავე მწერალს ტყიდან ჩიტების ჭიკჭიკი ესმოდა, ამ წუთებში ჰამსუნს, ალბათ, თავისი ბავშვობა ახსენდებოდა, როცა ტყეში საქონელს მწყემსავდა და მწერლობაზე ოცნებობდა. მისი საქმიანობა ფერმერობაც იყო, თუმცა, ის ნაკლებად წარმატებული ფერმერი აღმოჩნდა — მისი სამუშაო „ქოხის“ მახლობლად ტრაქტორი მინას ხნავდა, მინდორში ძროხები ბალახობდნენ, ეზოში ქათმები კაკანებდნენ — თუმცა



ფრანკო ივანი

ეს მწერალს მუშაობაში ხელს არ უშლიდა, რადგან საკუთარ თავს იდეალურ, ჰარმონიულ სამყაროში გრძნობდა — სამყაროში, რომელიც თავის ბავშვობასთან ასოცირდებოდა. მართალია, ჰამსუნი უიღბლო და ხელშეწყობილი ფერმერი აღმოჩნდა, მაგრამ ფერმერობა მხოლოდ მისი გატაცება იყო, ხოლო უზარმაზარ ჰონორარს იმ რომანებიდან იღებდა, რომლებსაც საკუთარ „ქოხში“ ქმნიდა. ჰამსუნი ამბობდა თავისი „ქოხით“, აქ ჰქონდა პატარა ბიბლიოთეკა, რომელსაც ამშვენებდა საქართველოდან გამოგზავნილი წიგნი „ვეფხისტყაოსანი“ — ლადო გუდიაშვილის დასურათებით, და, რომელიც 1936 წელს, მწერალს თავყვანისმცემელმა — გრიგოლ ჯაფარიძემ საჩუქრად გაუგზავნა.


ამერიკელი მწერალი და ნობელიანტი ჯონ სტაინბეკი წარმოშობით კალიფორნიიდან იყო, ბავშვობა და ახალგაზრდობა წყნარი ოკეანის სანაპიროსთან, მამა-პაპისეულ სახლში — „პაციფიკ გროუს“ საზაფხულო კოტეჯში გაატარა, მოგვიანებით კი, საცხოვრებლად ნიუ-იორკში დასახლდა. გასული საუკუნის 50-იან წლებში, ნიუ-იორკის ურბანიზმისგან და მეგაპოლისის გაშმაგებული რიტმებისგან გადაღლილ მწერალს მშობლიურ კალიფორნიაზე სევდა მოეძალა — მოენატრა ოკეანე, წყლის ფრინველები

და თევზაობა, რაც ასე უყვარდა ბავშვობაში, ამიტომ მწერალმა გადაწყვიტა ნიუ-იორკთან ახლოს, საგ-პარბორში, ლონგ-აილენდზე მინის ნაკვეთი შეეძინა. სოფელი სან-პარბორი ირგვლივ წყლით იყო შემოსაზღვრული, უკვე ხანში შესულ სტაინბეკს, აქ შეეძლო ესუნთქა საყვარელი ოკეანის ჰავით და სოფლის პეიზაჟებით დამტკბარიყო. ის, პატარა, ხის ვილაში ცხოვრობდა, მუშაობით კი, სახლისგან მოშორებით, ტბის პირას, რეანახნაგა კოტეჯში მუშაობდა, რომელიც საკუთარი გემოვნებით მოიწყო (მწერლის გარდა აქ ვერავინ მოთავსდებოდა). კოტეჯში იდგა ერთი სკამი და ერთი საწერი მერხი, ის ყოველი მხრიდან შემინული იყო, ამიტომაც, მწერალს შეეძლო მუშაობის პროცესში ბუნების თავისებურებით დამტკბარიყო. წყლისპირა „კოტეჯი“ სტაინბეკს მშობლიურ კალიფორნიაზე ნოსტალგიას უქარგვებდა.

ნიგნების დახმარებით სტაინბეკმა სოფლის ადგილობრივი ფლორა და ფაუნა შეისწავლა, საკუთარი ხელით ეზოში დარგო ხეები, და როგორც წერდა, აქ დაიბრუნა მან „სიმშვიდის და ჰარმონიის განცდა“. მის თეთრ კოტეჯში დაიწერა რომანი „ზამთარი ჩვენი მღვღენარებისა“, რომლისთვისაც სტაინბეკს 1962 წელს ნობელის პრემია მიენიჭა.



სტაინბეკის კოტეჯი



ნოდარ შამქაძე

სადაზიანი აქტიუმი ფანოქანი

გონებასაც თურმე თავისი იდუმალი „ორ-ლოხები“ ჰქონია. ვერც კი წარმოიდგენ სად მოუხვევს, საით წავიყვანს. აი, ახლაც ქართული სალამურის შესახებ ფიქრმა მეორე მსოფლიო ომის ერთი ეპიზოდი ამოატივტივა და სალამურიც იმ ეპიზოდიდან დაიწყო:

კარგად აღარ მახსოვს, სახლის პატრონმა (ვისთანაც ზაფხულში ვისვენებდი) კითხვა არ იცოდა, თუ თვალთ აკლდა, მთხოვა ფრონტიდან მოსული წერილი წაშეკითხა. პატარა, სამკუთხედად ჩაკეცილი, გატრეცილი ქაღალდი ფრთხილად გავხსენი და აი, რას სწერდა ფრონტიელი ვანო დედას: „... დე, ჩემი ძმაცაი, რუსი ივანე მუღბენა, ვანია და ვანო ერთი და იგივეაო, და, რო არ არის ერთი და იგივე? ეგ სალამურიც ამ ჯოჯოხეთში რამ წამოვალეზინაო... აბა იმან რა იცის, რომ სალამურში ჩემი სულია, ტყეისაგანაც ის მიცავს... დაჭაობებული მინა, სულს რომ შემხუთავს, დაეუკრავ და ჩვენი მთები ამოიზრდებიან. შმორიანი, დუბელა წყალი რომ შემანუხებს დაეუკრავ და ჩემი სოფლის წყაროები აწურჩულდებიან. ასე მგონია, თუ მოვიწოდებ, სიკვდილსაც ვაცეკვებ. მაში-

ნაც კი, როცა გადარჩენის იმედი გვეწურება, ვუკრავ და ყველანი ვცეკვავთ...“

მართლაც, საოცრად პოეტური წერილია, თუ გნებავთ, განწყობის თეორიაც ეს გახლავთ (დ. ლუნაძე) და ვფიქრობ, ღმერთო, რამდენს იტევს თურმე პატარა სალამური. არადა, მასში განცდათა ლამაზი ბუნების მიღმა სამყაროს პარმონიის უნიკალური ცოდნაც არის დაფარული. ალბათ, ამიტომაც შორეულ წარსულში სალამურს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ: ბაძვდნენ ჩიტების ჭიკჭიკს, ეჯიბრებოდნენ ბულბულს, მოლალურს, შაშვს... სალამურზე აღმოცენებული ბგერებით ემზადებოდნენ სარიტუალო მედიტაციებისათვის, „იძახებდნენ სულებს“, სალამურზე დაკერით მკურნალობდნენ ენაბრგვილობას, ასთმას, წითელა - ბატონებსაც სალამურზე დაკრული საცეკვაო რიტმებითა და პანგებით ართობდნენ. სპეციალური სავარჯიშოებით ათანაბრებდნენ ურითმო სუნთქვას. ასწავლიდნენ სუნთქვის „მობრუნებას“, რაც ფილტვებს ანვითარებდა და ა.შ.

სხვათა შორის, ძველ ბერძნულ მითში ერთი საინტერესო დეტალიც იყო: პანის სალამურის (ფლუტა) ხმა ციური სფეროების მოძრაობის ბმოვანებად მიიჩნედათ. ამ თვალსაზრისით კი იგი მისტიკურად აქედრებდა ბერძნულ ანტიკურ და კერძოდ პლატონისეულ სფეროთა პარმონიის თეორიას (შეიდი პლანეტა - გეპტაქორდი). სალამური ბახუსის დღესასწაულების განუყრელი ინსტრუმენტი გახლდათ. თხების, ცხვრების და ძროხების მწყემსების „აღჭრვილობის“ აუცილებელ სამეულში კი შედიოდა გულდა საგზლისათვის, კომბალი და სალამური. მწყემსები სალამურის დაკერით აწესრიგებდნენ საქონლის მოძრაობას, „ებაახებოდნენ“

მთებს, ცასა და ღრუბლებს. ისინი ბუნების კომპოზიტორებიც იყვნენ. მწყემსი და სალამური შუასაუკუნეების ფრესკებშიც პოულობდა ლირიკულ მოტივს.

და მაინც, ქართველები, რის ქართველები იქნებოდნენ, რომ სალამურშიც განსაკუთრებულიობით არ გამოირჩეულიყვნენ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება უძველესი ქართული სალამური. ვარაუდობენ, რომ სამათასხუთასი წლისა უნდა იყოსო. თურმე ნუ იტყვით, ბატის ფეხისგან ყოფილა დამზადებული. ბატებმა რომ ყიყინით რომი გადაარჩინეს, ყველასათვის ცნობილია, მაგრამ ბატის ფეხი, თუ ასეთ ლამაზ ბგერებს აღმოაცენებდა, ეს მართლაც სასწაულია. საკვირველი კი ამით არ მთავრდება. სატურესთან ოდნავ მოღუნულ ჩასაბერ მილში ჩამდგარი ჰაერის სვეტი ადამიანის ყელის ხორხამდე ერთიან რეზონატორულ სივრცეს შექმნის. ეს კი უკვე თავისებური სენსაციაა, რადგან იმ უძველეს დროში ქართულს თურმე ყელი რეზონატორად შექმნილია ნარმოადგენილი. ასეთი გაგება კი ევროპაში მხოლოდ შუა საუკუნეებში დამკვიდრდა და XX საუკუნეში მეცნიერულად დადასტურდა. იქნებ ამიტომაც დიდი ქართველი ბრძენი სულხან-საბა ორბელიანი ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში გენიალურად განმარტავდა: ხორხი არის „მკერდის კერძო ნაწილი ყელისა, სადა ამოდის ხმისი სამუსიკონი“-ო.


ჩასაბერი ინსტრუმენტის სავიბრაციო ჰაერის სვეტრომ ყელის რეზონატორთან ერთიან სივრცეს ქმნის, ესეც თურმე ქართველმა იმ შორეულ წარსულში იცოდა. სწორედ ამ ერთიან სარევერბერაციო სივრცეში იქმნება პირობა კილოთა შენაცვლებისა. მაგალითად: თუ უფრო სალამურზე დაკვრისას ოდნავ ძალიან იყურებით, ბგერათა თანმიმდევრობის ძირითად რიგს ეღებულობთ. თუ ჰორიზონტალურად გიჭირავთ სალამური, მიიღებთ სხვა „დამხმარე“ ბგერათა რიგს და თუ სალამურს დაბლა დახრი, კვლავ ახალი ბგერათა რიგი აუღერდება. ევროპაში კი ინსტრუმენტისა და ყელის, როგორც ერთიანი სავერბერაციო სივრცის სამეშსრულელო ხელოვნება, მხოლოდ XX საუკუნეში გახდა ცნობილი. ერთხმან ჩასაბერ ინსტრუმენტზე ისწავლეს ორი, სამი და ზოგჯერ ოთხი ხმის ერთდროულად აღება და ისიც ობერტონული კომბინაციების გამოყენებით. ამ მოვლენის თეორიულ-აკუსტიკური დადასტურება კი ბგერითი სექტრების კომპიუტერული შესწავლით დღესაც გრძელდება.

ათეული წლის წინ, ავსტრიის ცნობილ აკუსტიკურ ცენტრში ძველი ქართული სალამურის ჩასაბერ მილზე სასტვენელი ხერხების

განლაგება შევამოწმე. ავსტრიელები გაცილებით იმ სიზუსტით, რომლითაც დაცული იყო ბგერის სავარაუდო სიმაღლისათვის საჭირო ნერტილების ადგილები და დიამეტრი. ამ სიზუსტეს კი უჩვეულოდ გონებამახვილური ქართული ტექნოლოგია განაპირობებდა.

სალამურის დამამზადებელი ხელოსანი იღებდა ორ ერთნაირი სისხოს და სიგრძის ხის მილს. ნარმოიდგინეთ, ნონიდა კიდევ, რომ მილები სავარაუდოდ ზუსტად ერთნაირი ყოფილიყვნენ. შემდეგ საქსპერიმენტო ცალს მერქანს უსველებდა და ხის ტანს აცლიდა. მერქანისაგან დამზადებულ მილს სასტვენელ ხერხს უკეთებდა და ამრობდა. მერქანგაცილი ხის ტანს — ღეროს კი ჰაერის სვეტისათვის ღარს უკეთებდა. შემდეგ კვლავ მერქანის მილს ჩამოაცმევდა და მას ღერო-მილზე ნელა ანაცვლებდა. ჰაერის სვეტისათვის განკუთვნილ არხზე მერქანის მილის გადაწველებით ჩაბერვისას აღმოცენდებოდა შიშინა, სისინა, ყრუ ბგერები, ხოლო რომელიღაც ნერტილზე ლამაზი ბგერა „გაიბრწყინებდა“, სწორედ ამ ნერტილს აღნიშნავდნენ და გადაიტანდნენ ძირითადი სალამურის ღეროზეც. ასე გრძელდებოდა ხმოვანი და ლამაზ ბგერათა ძიება, ვიდრე სალამურის შვიდივე ხერხი არ მოიძენებოდა. საქსპერიმენტო სალამურზე ნაპოვნი ხმოვანი ნერტილების ადგილმდებარეობა დიდი სიზუსტით გადაჰქონდა ოსტატს ძირითად ღეროზე. მას უკეთდებოდა ნასვრეტები და ასეთ სალამურს შეელოდა შემსრულელებილია აკლდა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქსპერიმენტო სალამურზე მოძრავი ქერქის მილი შორეულად მოგვაგონებს ტრომბონის მოძრავ „კულისას“. ევროპული ლითონის ჩასაბერი ინსტრუმენტი ტრომბონი კი მხოლოდ ჩვენი ნელათარიცხვით XVI საუკუნეში იხადებოდა.



რომელსაც უკეთდება ჩასაბერი ხერელი-ლარი. სასტვენნი ხერელები დიდი სიზუსტით გადადის ა-დან ბ-ლეროზე ასევე ზუსტდება ხერელების დიაშეტრიც.


ქართულ სალამურზე მონათხრობი არც ამ აღწერილობით მთავრდება. მე მქონდა ბედნიერება კახელ მეცხვარეებთან ორი ზაფხული გამეტყუარებინა მაღალ მთიანეთში. ალბოურ ზონებში ცხოვრების სამყაროც კი იცვლება. ურთიერთობის წესებიც სხვაა. თითქოს ბუნებასაც სხვანაირად გრძნობ და ბუნებაც სხვანაირად გესაუბრება. ასე მგონია, ჩემი მისვლა იქ ყველაზე მეტად ვიება მეცხვარის ძაღლს გაუტყვირდა. „ამ ქალაქელ ბიჭს აქ რალა უნდაო“, ალბათ ფიქრობდა. მეცხვარე ვანო ძიამ კი მიიხრა შენ „ეს“ პიანინო არ გეგონოს, ჯერ სალამურზე ისწავლე დაკერაო. სალამურს რომ ჩავებრე, ისეთი ჭყვილა ხმა გამოსცა, მე თვითონ შემემშინდა. ეს თხის სალამურიაო, მიიხრა ვანო ძიამ. მაშინ მეგონა მეხუმრებოდა. თურმე თხებისათვის ზოგჯერ სპეციალური გამყინავი ხმის სალამური მზადდება. ის ევროპულ პატარა ფლიტას „პიკოლოს“ მოგვაგონებს და მისი ხმა ადვილად სწვდება კლდეებზე, მიუვალ სიმაღლეებზე ფიხვებზე თ ასულ თხებს. ასეთ სალამურზე დაკრული საცეკვაოც ისეთი ცეცხლოვანი ხმოვანებისაა, რომ როცა მთის წვერზე ცეკვავ, ასე გგონია, ქარიც მოგეხმარება და გაფრინდება.

სულ სხვაა მეცხვარის სალამური, უკრავ და გულს აყოლებ. თითქოს ბუნებას ესაუბრები. ყველა მეცხვარე, ვინც კი სალამურზე უკრავს იმპროვიზატორი-კომპოზიტორიც არის. ზოგი კი ისე ვირტუოზულად ბაძავს ჩიტებს, რომ მგონი ფრინველებსაც „სალამურა“ თავისი მოდგმისა ჰგონიათ. მწყემსებმა რომ სალამურით ჩემი დაინტერესება ნახეს, ერთმა საიდანაც „ძროხის“ სალამურიც მოიტანა. ესეც პირველად ხუმრობა მეგონა, მაგრამ მთაში ხუმრობაც სიმართლეში იბადება. მართლაც, „ძროხის“ სალამური ოდნავ უფრო გრძელია ცხვრისაზე და თანაც თითქმის ორჯერ დიდი დიაშეტრის

ღერო აქვს. ესეც შორეულად ევროპულ დაბალი ხმოვანების ფლიტას (ალტი) ჰგავს. მას ძალიან ლულუნა დაბალი ხმოვანება აქვს და ძალიან ლამაზად ერწყმის ძროხის ზარების წკრიალს. საქონლის მწყემსები ამბობენ, ძროხებს ძალიან მოსწონთ სალამურის ხმოვანება და ზარების წკრიალი. ერთხელაც მწყემსებს ეთხოვე და სამივე სალამური ერთდროულად დავავკრევიწი. ლამის სალამურების „ორკესტრი“ გამოვიდა. იმ სალამოს იმდენი იმპროვიზაციები შეიქმნა, ნიგნად რომ აკინძულიყო, სულ ცოტა მუსიკალური ორტომული გამოვიდოდა. უენო სალამური დასაკრავად უფრო რთულია, მაგრამ მას ტემპრულ-კოლო შეფერადების მდიდარი შესაძლებლობები აქვს, ზოგჯერ კი მის რეზონანსში უნტერტონული ხმოვანებებიც ჩნდება. ენიანი სალამური ვირტუოზული შესაძლებლობებით გამოირჩევა და ალბათ, ამიტომაც აკუსტიკური რეზონატორის განვითარების ტენდენციებიც სწორედ ამ სალამურში დაისახა. ბატონი კირილე ვაშაქიძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც მოისურვა სალამურზე ევროპული ტემპერაციული წყობა გაეანგარიშებინა. გავიდა ხანი და ბრწყინვალე საშემსრულებლო ნიჭით დაჯილდოვებულმა ომარ კელაპტრიშვილმა უკვე სალამურზე მოცარტიც ააუფერა.

და მაინც, სალამურის სხვადასხვა მოდიფიკაციები ქართული სალამურის განვითარების ლამაზ ეპიზოდებად დარჩნენ. ნამდვილი ქართული წყობის სალამური კი თავისი ვერცხლისფერი ტემბრული სპექტრითა და ქართული ფენომენის ტრადიციული მახასიათებლებით არ აწყვა „ცივილიზაციათა სტერეოტიპულ“ ცდუნებებს. ეროვნულმა პოტენციამ კვლავ გაუძლო საუკუნეთა ქარტყილებს.

იქნებ ლადო ასათიანის ცეცხლის ენებად აბრიალებული სიტყვები „დაუკარით და იმღერეთ ისე მაგრად, რომ ფილტვები გვეტკინოს და დაგვებეროს“ სალამურების ხმათა წკრიალსაც გულისხმობდა და მე შეუთხოვედი განგებას, არასდროს არ განელებულიყოს თუნდაც პატარა სალამურში აფერებულ ქართული ფენომენის ცეცხლი.



დავით ანდროსიძე

"რომ ეს მიწაზე სხვა მიწაზეა..."

ანუ ჯიბსონ ხუნდაძის ავტობიოგრაფიული აბსტრაქციონიზმი

იოსებ ბროდსკი ეუფენიო მონტალესადმი მიძღვნილ ესეებში, მისი "ორმაგი კოლეგის", იტალიელი ნობელიანტის ერთგვარ ანაქრონიზმზეც წერს და, იმასაც დასძენს, მონტალეს წვლილი პოეზიაში ანაქრონიზტულად დიდიაო.

ქართულ ფერწერაში ჯიბსონ ხუნდაძის წვლილიც ანაქრონიზტულად დიდია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ნიჭიერი მხატვარიც ცხადყოფს, რომ ხელოვნების ქმნილების ერთი მიზანთაგანი — მევალეთა დაგროვებაცაა.

პარადოქსია, მაგრამ რაც უფრო მეტ ვალშია მხატვარი, მით უფრო მდიდარია იგი.

ამ გაგებით, ხუნდაძეც მდიდარი ხელოვანია; და ეს სიმდიდრე არტისტულ "ბავშვობაშივე" დააგროვა.

ის ხშირად იგონებს სეზანს, როგორც "გარდაცვლილ მამას"...

როგორც სეზანი — ლუვრში ამორჩეული

მასწავლებლების: ტინტორეტოს, რიბერას, დელაკრუასა და კურბეს ამარა მყოფი რომ იყო ჩაფლული სიუჟეტის ძიებაში, ხუნდაძეც ასევე ეძებს სიუჟეტს. ახლაც თვალწინ მიდგას თხუთმეტოდე წლის ბიჭის ორი ოპუსი, კურბესეული მარინების პარაფრაზები... და აქვე დასრულდა ყველაფერი — ვაგინალური ლანდშაფტი ველარ გამზირა...

ყოველ შემთხვევაში, კლასიკოსებმა მასზეც დიდი წნეებით იმოქმედეს. საბედნიეროდ, ამ წნევას, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, შემოქმედებითი დამბლა არ მოჰყოლია. პირიქით, ალუზიები მასთანაც, ნებისმიერი ცივილიზებული დისკურსის ბუნებრივი ელემენტის სახით "ამუშავდა"; მისგან თავისუფალი (თუ განთავისუფლებული) დისკურსი ხომ ოდენ შესტიკულაციაა?!

და მაინც, მგონი, მეცხრე ათეულში გადამდგარ მხატვარს, ჯერაც ვერ გაურკვევია, მისი არტისტული ბავშვობა — დეცორაციებია, კონინციდენციები თუ ინტერტექსტუალური რელაციები? მით უფრო, რომ არც ერთი ეს სიტყვა მის ლექსიკონში არ არსებობს (ანკი, რაში სჭირდება?!)!

სამაგალითოდ, მას ვაუგია ასეთი ცნება — "გავლენა", მაგრამ, მამარდაშვილისა არ იყოს, თუკი ყოველივე ნამდვილი თავიდან იბადება, არსებობს კი გავლენა, როგორც ასეთი?

ამჯერად, სხვა კითხვაც შეიძლება დაგვებადოს, მიუხედავად უდაო ნიჭიერებისა და თითქმის მაესტრიული ტეხნესი, იყო კი მხატვრის ბავშვობისდროინდელი ოპუსები ნამდვილი (ახლა ხომ ნამდვილია?!)!

ანდა, იქნებ ველასკები თუ პისარო, დეგა თუ რენუარი ხუნდაძისათვის პლერომები?! არადა, ესეც საეჭვოა, რადგანაც პლერომას აქციდენციები ჰკვებავს და არა დეტერმინიზმი... მაგ. პლერომაა ბალბეუქისათვის... მონტიჩელი, ადოლფ მონტიჩელი...

ასეა თუ ისე, თითქოსდა, ყმანვილობიდანვე ეძებს "სიუჟეტს" და პოულობს კიდევ თბილისური ურბანისტული პეიზაჟის სახით; და ამაში პისარომ გაუნოდა ხელი. კაპუცინების ბულვარის "რუსთაველზე" გადმოტანამ მალე თავისი ფუნქცია ამოწურა, თუმცა, აგრე იოლად ვერ შევედვი მხატვრის "ბავშვობას"... ექსტატიური ხელწერის ოსტატი — ექსტატიურობა კი მისი თვალშისაცემი "იმიჯია" — იმხნად ჯერ კიდევ ნელა წერს, მასტენინს, ფაქტობრივად, არ იყენებს, ყოყმანობს, ფრთხილად ალაგებს ტონებს, "თბილენისა" და "ცივების" ჩანაცვლებაც ტაქტიანია; და ტაქტილურაც... მოკლედ, ფიქრობს,

ადარებს, ხელახლა იწყებს... არადა, ფერადოვანი ჰარმონიის სწრაფმავალობა, ნამსაც (და ჩქამსაც) რომ ძალუძს მისი მყისიერი კომბინაციების განადგურება, ფორსირებულ ნაწერს მოითხოვს.


თავიდან, შედარებით მშრალადაც წერს, ზეთსა და ლაქსაც ნაკლებად იყენებს. სხვაფერე: მისთვის არსებითია არა იმდენად მძაფრი ქრომატული კონტრასტები, რამდენადაც გრადუალური მოდულაციებით ნაქსოვი ფერწერული ტექსტი, სურათის საერთო ტონში "ჩავდება", ფერის — ნახატთან და თემატურ-ნარატიულ შინაარსთან შეთანხმება... გემოს უსინჯავს ფერის ფუქისეულ ტექსტურას, მისი შთანთქმის თვისებრიობას, პლანიდან-პლანზე გადასვლას; აქედან: სივრცის კონტინუალობის ილუზია; სურათიც უფრო მონოქრომულია, მასში მრავალი ტონით გაწონასწორებული ქრომატული "სოლო" ბატონობს, ფერთა შორის მანძილიც უფრო მოკლეა, მთლიანობაში კი სურათი მაინც "მდიდრულადაა" ნიუანსირებული. ფერი ამჯერადაც არ ძეგს ფორმაზე — ფორმას აკონსტიტუირებს.

მხატვარს ფერი იმთავითვე "შორითი ხატის" ასაგებად სჭირდება, ვალიორების მეოხებით კი არ შლის ფერად ლაქას ტონებად, პირიქით, ტონალურად ჩანაცვლებულ "ატომებს" განშლის უნიტარულ ფერადოვან ლა-

ქად, ცდილობს, თანაბრად აითვისოს ფერის, როგორც საკუთრივი, ისე სახვითი ღირებულებები, რასაც თანდათან მასტრუქტურირებელ ღირებულებებსაც უმატებს.

ფერი მის ადრეულ "ასაკშივე" განიხილება როგორც შუქი, ოღონდ შუქი, რომელსაც ისევე და ისევე ფერი წარმოქმნის. ყოველ შემთხვევაში, ფერი-შუქი თითქოს და, პასიურადაც დევს ქრომატულ სიბრტყეზე, თანაც, ამ სიბრტყეზე "გადარბენის" ილუზიაც არ გვეტოვებს. ბოლოს და ბოლოს, ეს ორი შუქ-ფერადოვანი პოეტიკა ზავდება... ხუნდაძის პალიტრაზე ასევე ზავდებიან ვერონიეზე და სიორა...

მოკლედ, ინტერტექსტუალური თამაშების პერიოდში დამწყები მახეტროს სურათები „სხვა სურათებისაგან“ იწერება (და არა "გადა-ინერება"); და ამაში არაფერია უცნაური. ნორტროპ ფრაის მიერ ლექსებსა და რომანებზე ნათქვამის პერიფრაზით: სურათები მხოლოდ სხვა სურათებიდან შეიძლება დაიხატოს, რადგანაც მხატვრობა გარედან კი არ ყალიბდება, არამედ საკუთარ თავს თავადვე აყალიბებს. რაც შეეხება საწყის ეტაპზე გამოვლენილ ორჭოფობას — ესეც ბუნებრივია, და არა მხოლოდ ტექნიკურ-ტექნოლოგიური, არამედ მსოფლმხედველობითი ამბივალენტობაცაა.



მთავარი ისაა, რომ ჩვენი ფერწერის "კოსმიური ორკესტრობის" პიონერმა საკუთარ თავზე გამოსცადა. 50-იანი წლების ან უკვე ყველგასული "რევიოლუცია.../ მთელი სიმწარე მოვლენების / და მთელი სიტკბო"; და იქნებ, მარტოდ შთენილი, საკუთარ თავსაც შეხასენებს, „რომ ეს სტიქია უჩემოდ არ ჩატარებულა...“

სხვათა შორის, გალაკტიონისეული ჯონ რიდის ეს სტრიქონები ტყუილად არ დამომწმება. სწორედ ჯონ რიდისეული სათაური დაარქვა მხატვარმა თავის გიგანტურ ტილოს — ქართული ფსევდოსოცრეალიზმის ამ დამჭკნარ შედეგს, დიდი ლენინის ერთ დიიდი საიუბილეო თარიღს რომ მიუძღვნა რუდუნებით...

ის თავიდანვე სიუჟეტს ეძებდა-მეთქი, მაგრამ ჯერ არაფერი მითქვამს ამ "სიუჟეტის ძიების" სარჩულზე, ადგილის ძიებაში რომ მდგომარეობდა და განპირობებული იყო ერთგვარი კომპლექსით, რომელსაც "ტოპოსისადმი უნდობლობის კომპლექსს" დავარქმევდი. ამ მხრივ, მისი აგროზეციური ლანდშაფტები არა იმდენად ყბადაღებული "პეიზაჟური მოტივის" განზოგადების გამომხატველია, რამდენადაც იმ სიტუაციისა,

როდესაც ცნობიერების სტრუქტურაში, ტავტოლოგიურად თუ ვიტყვოდი, ადგილს აღარ მოეძებნება ადგილი, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში ატროფირებულია ადგილის სული, ადგილის გენია — Genius Loci, როგორც კულტურის ფუნდამენტური კატეგორია.

ასეა, ადგილის გენიას ადგილობრივი გენიოსებიც მიეღტვიან...

საკმარისია ნარმოვიდგინოთ ომისწინა და ომისდროინდელი საბჭოთა კავშირის მენტალური რუკა და დავინახავთ, რომ მასზე დატანილი იყო მხოლოდ ერთი ადგილი, ფერწერაში მრავალგზის "პორტრეტირებული" და სიმღერების აურაცხელ კრებულებში ასევე მრავალგზის "ნავალობევი" ადგილი...

ეს იყო სტალინის კაბინეტი კრემლში.

ყველა შინმოუსვლელის ადგილიც კრემლში იყო, სტალინთან ("კრემლშია, სტალინთან არის"). მოკლედ, ეს იყო ცენტრი, მის ირგვლივ — კრემლის ვარშემო კი „შავ ზღვიდან ყინულეთამდე გადაჭიმულ-გამლილი ქვეყანა", რომლის "დასახლებული პუნქტებიც", მოსკოვიდან დაშორებულობის მიხედვით ფლობდნენ შეფარდებით ღირებულებით სტატუსს. მთავარი "ადგილი" სტალინის კაბინეტში იყო აკუმულირებული. აქედან ეფი-



ნებოდა წითელი ემანაცია ყველა დანარჩენ მიკრო — უფრო ზუსტად — ანტიტოპოსებს. მოსკოვში ცენტრირებული და სტალინის სხეულეზირივ-სიმბოლურ "სხვადაყოფნად" მოვლენილი სამყაროს გვერდით ГУЛАГ-ის ანტისამყაროვ არსებობდა. ეს იყო ერთგვარი ნეომითოლოგიზებული ტარტარი. ერთი შეხედვით, ყოველდღიური ყოფიერების ელემენტების თვალსაზრისით, იგი არაფრით განსხვავდებოდა "ნორმალური" სამყაროსაგან. ასე შემოგვეპარა "ზონის" ცნება.

30-იან წლებში "ზონა" კონკრეტულ მშენებლობაზე იყო ლოკალიზებული. ისიც დეკლარირებული იყო, რომ "ზონის" ბრძმელები გამოვლენილი ადამიანს, ანუ ამ ანტისამყაროს მოზინადრეს შესაძლებლობა ეძლეოდა დაბრუნებულიყო "სამყაროში". სტალინური ეპოქის დაისისათვის კი, "ზონამ" ლამის მთლიანად შთანთქა "სამყარო". რაც შეეხება სიტყვა — "ადგილზე", მან ახალი კონტამინაცია შეიძინა — "პატიმრობის ადგილი"; და ეს "ადგილი" სულაც არ იყო მკაცრად ლოკალიზებული რაიმე გეოგრაფიულ სივრცეში; ის ყველგან შეიძლებოდა ყოფილიყო — შეუმჩნეველი ღობის მიღმაც და "ბალის კიდევებშიც"...

50-იანი წლების მინურლისათვის, ანტისამყაროდან უკან ბრუნდებიან გადაარჩენილნი, გლეხობა კი თავისუფლდება "პატიმრობის ადგილზე" ბატონყმური მიჯაჭვულობისაგან. "ადგილობრივის" რელიეფს ახალი, პარადოქსული, მშვიდობიანი საფრთხე ემუქრება. ესაა ხრუშჩოვის "საცხოვრებელი პროგრამა", ერთი მხრივ, "ისტორიისაგან ნაუბილწავი" ცარიელი სივრცეების დასახლებას, ხოლო, მეორე მხრივ, სახლების ერთმენეთზე გადაბმას, საცხოვრებელი ადგილების შემჭიდროებას და ბაღების "გადასახლებით" — სუფთა პაერის განდევნას რომ ითვალისწინებდა.

ეს სიტუაცია ა. პლატონოვის "ჩევენგურ-შიცაა" აღწერილი...

"საბჭოთა მხატვარმაც" ინტუიტურად იგრძნო "ადამიანის უადგილობის" ტოტალური სიტუაცია, რომელსაც 60-იანი წლებიდან ჩაენაცვლა Homo Sovieticus-ის ცხოვრების დამცავი — პრივატიზაციის სტრატეგია. თანდათან გაჩნდა "იზოლირებული ზონის" ტოპოსი. რაც უნდა პატარა, ვიწრო, ღარიბი და არაკომფორტული ყოფილიყო ეს ზონა, იგი მაინც გულისხმობდა მოკრეციურ პრივატულ ადგილთა ერთობლიობას. სხვათა შორის, ამგვარ "ადგილთა" ირონიული კომენტირება იღია კაბაკოვის ინსტალაცია — "კომუნალკა", სასაფილო ოთახშივე განლაგებული სამი "ღია" ფეხსალაგაით.

მოკლედ, გარეგანი, საჯარო სივრცე თანდათან განინტეგრირდა, ქალაქის ქსოვილის გარეუბნებში დაიქსელა. სივრცის სტალინური მენტალური რუკა დაირღვა, საჯარო ადგილთა უწინდელი იერარქია დაინგრა...

ამ სოციოკულტურული პროცესის იმპლიკაციები მხატვრის ადრეული ოპუსების ტოპოლოგიაშიც მეგულება.

ის ჯერ რუსთაველის პროსპექტის — კაპუცინების ბულვარის ამ თბილისური სურგატის იმპრესიონისტულ "რემორტაუს" მიმართავს, შემდეგ თანდათან „შინ“ — პრივატულ საცხოვრისში მყოფროვდება და ვან გოგისეული ოთახის მსგავსად ცდილობს, მონაცოს თავისი "ზინა"...

იგი იმთავითვე მგრძნობიარე აღმონწადა, როგორც "ადგილის ბუნების", ისე "ბუნების ადგილისადმი". ამასთან, მისთვის თავიდანვე უცხო იყო და მიუღებელი "Man"-ური (და მონური) ცნობიერების უადგილობა.

50-60-იან წლებში ადგილის დასაკავებლად გამოვლენილი ნებელობა თავისებური კულტურული აქტივ გახლდათ. კულტურა ხომ (როგორც ეს მამა პაველ ფლორენსკისაც ესმოდა), არის ბრძოლა მსოფლიო გათანაბრებასთან, ბრძოლა გარემოცვის განცდისათვის, რაც, ფაქტობრივად, ადგილთა გათანაბრებასთან ბრძოლასაც მოასწავებს.

მართლაც, უცნაური ფენომენია "ადგილი". ხელოვნურად, გარედან, ძალდატანებით ვერ შექმნი "ადგილებს" — ისინი "თავისით" უნდა დაიბადონ, თანაც, იმგვარი რაოდენობითა და ისეთი სიმკვრივით, რომ მათ შორის, სპონტანურად შეიქმნას გარემო-ურთიერთობათა ეს აუცილებელი "ციხესიმაგრე". მაგრამ, როდესაც ასეთი "ციხესიმაგრე" გარემოს სახით, ტოპოსებს შორის ბუნებრივად ვერ იქმნება, მხატვარი იძულებულია, "სიმაგრის" ხელოვნური ხატი აბსტრაქტული ლანდშაფტების სახით შექმნას, წავიდეც მთაში და მარტოსული ბერივით იქ დაეყუდოს. "ანტიადგილებში" დარჩენილებმა (თუ ჩარჩენილებმა) კი, დაე, კოლექტიურად იგალობონ "ტოტალიტარული უმისამართობის" ჰიმნი: „Мой адрес не дом и не улица, мой адрес Советский Союз“...

ნიშანდობლივია, რომ ქართველ 50-იანულთათვის "მინა", როგორც ასეთი, მეტაფორული კონსტრუქტი იყო. გავიხსენოთ ორი ქართველი საბჭოთა "ნეოპერდვეჟნიკის" უზარმაზარი სურათები: "ახალი სამგორის მინაზე და "მინა ქართული".

გოგი თოთიბაძის აგრალურ რომანტიზმს და კოკი მახარაძის აგრარულ სიმბოლიზმს

ხუნდაცმე თავისი აგრარული აბსტრაქციონიზმით აუნყო ფეხი, თანაც, სოკრატესაგან განსხვავებით, ფეხი აღარ დაუშვია მიწაზე; ამ ბრძენთა ბრძენმა (სოკრატეს ვგულისხმობ!) ხომ, (როგორც პლატონის "ფედონშია" აღწერილი), თავის უკანასკნელ დილას, მგვობრებთან, ფილოსოფიასა და სიკვდილზე საუბარი იმით დაასრულა, რომ მიწაზე დაუშვა ფეხები და ასე იჯდა საუბრის დასასრულამდე, ვიდრე არ მიიღებდა ფარმაკონს.

სამაგიეროდ, ქართველმა ფერმწერმა თავისი ახალი არტიკულური დილა მთაში გაითევნა.

ხუნდაც სწორედ იმ დროს ავიდა მთაში, როდესაც საბჭოთა საქართველოში გაჩაღებული იყო კონიუნქტურული კამპანია, დევიზით: "იხინი ჩამოვიდნენ მთიდან"; წავიდა და უკან, ქალაქში, აღარ დაბრუნებულა.

ეს იყო სულიერი ემიგრაცია უსახელო ადგილას; დაიხ, უსახელო ადგილას!

ყოველ შემთხვევაში, იმ წილს, მხატვარმა რომ შეაფარა თავი, საკუთარი სახელი არა აქვს; და არც შეიძლება ჰქონდეს. საკუთარი სახელი "ადგილს" აქვს. არადა, "ადგილისა" და "ადგილობრივის", ხოლო შესაბამისად, ინდივიდუალურის და ამდენადვე, ადამიანურის დათრგუნვის ექსპერიმენტმა, რომელმაც თაობების ექსისტენციურ გვამებზე გადაიარა, ბუნებრივად (თუკი ამასაც ბუნებრიობა ჰქვია!) და კანონზომიერად, სახელების დაფიქსებამდეც მიგვიყვანა.

არ არის ადგილი — არ არის სახელის საჭიროებაც;

არ არის დასახლებული ადგილი — ზედმეტია მისი დასახლებაც.

ამიტომ არ არქმევს მხატვარი თავის აგროაბსტრაქტულ ოპუსებს სახელს, არ ასათურებს და; თუ არქმევს — მხოლოდ კონსტრუქციული სტრუქტურის (თუ მსტივის) აღსანიშნავად.

კომპენსაციის წესით, მხატვარმა სწორედ უსახელო, ბუნებრივი ლანდშაფტების (აგრო) კულტურული სტრუქტურირება განიზრახა, იმ დროს, როდესაც კულტურული სტრუქტურირების პროცესი არსებითად Genius Loci-თაა შესაძლებელი. ყოველ შემთხვევაში, მონადინა (თუ გამოუვიდა?), ადგილის რეალობა, მისი სიცოცხლისუნარიანობა და სახელდება უსახელო ლანდშაფტებში მოეძებნა, ამ "მსოფლიო ქრონოსტოპში" ეპოვა "უადგილობისაგან" გამოთავისუფლების შანსი და ამ გზით მოეძებნა საკუთარი თავი. ადგილის ჩამნაცვლებელი სიმულაკრი კი, კულტურული სტრუქტურირების ვირტუალურ მოდე-

ლად რომ გამოადგებოდა, აღმოჩნდა ხნული; და იქნებ, ეს იყო უადგილობის გადაღების პანაცეა? აგროტექნიკა მხატვარს უკვე მმარჯვებული აქვს!

ჯობონ ხუნდაცხე დიდი გული აქვს — მინა უყვარს... მისეული ლანდშაფტი implicite გულისხმობს ადამიანის კვალს; კვალს სამყაროში. მისი რეპრეზენტაციაა მო-ხნული მიწა. მოხნული მიწა ადამიანის კვალ-დასწრებაა ყოფიერება-მოქმედების ჰორიზონტში, თავის მხრივ, ერთგვარი ფოკუსისა თუ ცენტრის დაკვალვა-დასწრებასაც რომ მოასწავებს, იმ ფოკუსისას (თუ ცენტრისას), რომელშიც ხედვიან მოციმუღი ყოფიერების კონკრეტული ხატები.

ამგვარი ხატია ხნული.

ესაა ადამიანის ენერგიული კვალი, ანუ დისკურსი, რომელშიც კონსტიტუირდება თვის ადამიანი, როგორც ენერგიული მიკროკოსმოსი, ანუ არსებული, რომლისთვისაც პრინციპულად განხორციელებადია მოვლენათა ყოველნაირი გვარი და რომელიც ყოფიერება-მოქმედებაში (ყოფიერება-დაკვალვაში) გვევლინება, როგორც დაკავშირების, Nexus-ის საწყისი.

ნებისმიერი მოვლენა, ადამიანის არსობრივ მოქმედებას ანუ ყოფიერება-დაკვალვას რომ გულისხმობს, ენერგიულ ონტოლოგიურ ჰორიზონტთა განტოტვის — ბიფურკაციის ნერტილში ხდება. ასე რომ, ადამიანის ყოფიერება-მოქმედება, საკუთარ თავში მოიცავს იმანენტური ონტოლოგიური ალტერნატივის მომენტს და შეიძლება განისაზღვროს, როგორც ყოფიერება — ბიფურკაცია.

აი, ნატურალური ლანდშაფტის ფერწერული "მოხენის", კულტივირების სტრატეგია, რომლის ნაყოფიერი რეფლექსიის წილად შეიძლება საქმე დაფიქროთ ახალი ტოპიკური მოდელის აგებასთან. ამავე მეთოდს შეიძლება დავეუკავშიროთ ფერწერული დისკურსის კარტოგრაფიის პრინციპული შეცვლა და ახალი პრობლემური გაკვეანა.

აქედანაც შეიძლება ტოპოლოგიური ხატების გადაწყობა და არა ოდენ ყოფიერების, არამედ ყოფიერების სურათის ახალი პერმენეტიკური ჰორიზონტის ძიება.

ამგვარი ფერწერული მეტყველება შეიძლება დახასიათდეს, როგორც ესენციალურ-ენერგიული დისკურსი.

მხატვრის ენერგია ხომ არსობრივი ენერგიაა; და საერთოდ, ყოველგვარი ენერგია არსობრივია; და, პირუკუ: ყოველგვარი არსი ენერგიულია.

ეს თეზისი ჯერ კიდევ ნეოპლატონიზმი-

დან მომდინარეობს. გავიხსენოთ: "ყოველი თავდაპირველი პრინციპი ენერგიულადაა მოცემული".

ამასთან, პლოტინთან ენერგია "არის საზრისისშიერი ძალთა სისავსე". ესენციალურ-ენერგიული დისკურსის პარადიგმას გვიანდელ შაიდეგერთან ვხვდებით: აქ მოვლენა მოაზრებულია, როგორც ესენციალურ-ენერგიული კონცეპტი.

დაბ, ესენციალურ-ენერგიული დისკურსის მატარებელი — მხოლოდ "საზრისისშიერი ძალისხმევით აღსავსე", "კონცეპტებით" შეიარაღებული მხატვარი შეიძლება იყოს, უენერგო, ულონო — ანდა, რაღას ველოლიავები — იმპოტენტი მხატვარი — უგნურიცაა, უგნური მხატვარი კი, მუდამ არაქათგამოცლილია და მხოლოდ გაუთავებელი ორალური დისკურსით ახდენს თვითრეპრეზენტაციას. თუმცა, ისევე გალაკტიონის „ჯონ რიდს“ თუ გავიხსენებთ, „ახლა ყველა მხნე და მამაცია.“

ყველა თავისებურად ძლიერია. უსუსურიც კი ღონიერია“.

მხატვრული სივრცის ჰომოგენურობისა თუ ჰეტეროგენურობის კონტროლერზა ფერწერაში არახალია.

ამ კონტროლერზას ვერც ჩვენი მხატვარი ასცდა.

“ნითელი მთების“ ციკლის თავდაპირველ ოპუსებში მთებისა თუ ბორცვების თითოეული მასივი ერთგვარი ცეზურიტაა გამოყოფილი და საერთო კომპოზიციაში ჩანერილი, საკუთარ მიკროსივრცეში ჩაკეტილ, დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენს.

ამ ფერწერული თხზულებების აბსტრაქტულად აგებული სივრცე ერვინ შანოფსკის ტერმინს თუ მოვიხმობ, aggregatraum უფროა, ვიდრე sistemraum. მოკლედ, კომპოზიციურ შარმონიად “ჩამოსხმის“ ჰომოგენური და ჰეტეროგენული მოდუსები ჯერ ერთმანეთში დაობენ და, ქანდაკების ჩამოსხმის ტექნიკურ



ტერმინებს თუ გამოვიყენებ, შეიძლება ასეც ვთქვა: ჩვენი მხატვარი თავიდან ე.წ. ნაჭრიან ყალიბს იყენებს, მოგვიანებით კი "უნაჭრო" ყალიბში ასხამს თავის ლანდშაფტურ კონსტრუქციებს...

ზემონსენებულ კონტროლერზას ისევ გენიალური სეზანი აწყდებოდა, სახელდობრ: ოვერის პირველ პეიზაჟებში (მაგალითად, "ექიმ გამეტის სახლი"), რომელთა "არქიტექტურადაც" ლილიან ბრიონ-გიერი IV-V საუკუნეების იტალო-ელისინსტურ მინიატურებს და სანტა-მარია მაჯორეს მოზაიკებს დასახელებს. ქრისტიანი მინიატურისტიცა და მონახისტრიც ზომ, ისევე, როგორც თხუთმეტი საუკუნის შემდეგ — სეზანი, ცდილობენ, უარი თქვან მობილური და არაირგანული სფეროვული სივრცის სპონტანურ მოდელზე. ამგვარი კომპოზიციის დაფიქსირებული ამბროზიანეს "ილიადას" მანუსკრიპტებშიც და სანტა-მარია მაჯორეს "რახილის ისტორიამაც", სადაც მინა, ზეცა და ოქროს ფარდა, მათ შორის "გათამაშებულ" სცენას რამდენიმე ეპიზოდად ჰყოფენ, თითქოსდა, თითოეული მათგანი განსხვავებულ სივრცეში მიმდინარეობდეს. ეს — რაც შეეხება ქართველი მხატვრის სივრცული კონცეფციის კომპრომისული ვარიანტის შორეულ თუ ახლობელ ტიპოლოგიურ პარალელს.

კვლავაც, იპრესიონისტულად, მარტოოდენ მომენტის ერთიანობის ძიებითა და სწრაფმავალ შუქ-ფერადოვან მოდულაციითა დაფიქსირებით რომ დაკმაყოფილებულიყო, მხატვარი საქმეს უფრო გაიადვილებდა, მაგრამ მისი მიზანი ახლა, უკვე რამდენიმე პარმონიული "კლოკავის" პოლიფონიური სინთეზა, ასე ვთქვათ, ქრომატული "კრიმანჭულის" ტიპის სინთეზი, ანუ სინთეზი ყველა წინამძავალი პარმონიისა. ამგვარი შედეგი კი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როდესაც რეკონსტრუირებული სივრცე ჭეშმარიტად sistemraum — კომპოზიციის მმარაგირი და გამაერთიანებელი სისტემური სივრცე იქნება, თუმცა, ამგვარი ჰომოგენური სივრცის აგება, სეზანსა და იმპრესიონიზმის წინამორბედად როდებულ ქრისტიან მინიატურისტებსაც უჭირდათ.

და მაინც, ჩვენი რეგიონალური პოსტსეზანისტი, ბოლოს და ბოლოს, ახერხებს ხელოვნურად "აგლომერირებული" სივრცობრივი მასების დამორჩილებას და ორგანულ-ჰომოგენურ სისტემად აქცევს, თუმცა, ხშირად, სივრცე კვლავაც დაქუცმაცებულია — თითქოსდა, გორგალითი მკვრივი მასივები ჰაერს თავის გარშემო აგროვებდნენ და აეტრონიოზურ სივრცულ ბლოკებს ქმნიდნენ...

ამ მასივების, და საზოგადოდ, სივრცული მიკროსისტემების ერთმანეთში "ჩადგმა", ცხადია, აძნელებს ატმოსფერული და კონსტრუქციული უნიტარობის ეფექტის მიღწევას. ამ ყაიდის სურათები, ზოგჯერ სინათლის ვიბრირებადი ლაქებით "დახერხებულ" ინერტულ ტილოებადაც წარმოგვიდგებიან. ასეთი, თავისთავად მომზიბლავად ვიბრირებადი და ვიტრაჟივით მოციმციმე ლაქების მოძრაობა მოგვიანო დანდშაფტურ-აბსტრაქტულ მოტივებში თანდათან სინქრონიზდება, მათი "სიჩქარეებიც" განსხვავებულია და მექანიკური საათის ბორბლების მსგავსად, ერთ სისტემაში მთლიანდება, ბორბლებისა, თითქმის შეუწინეველად, ზანტად რომ ბრუნდვენ, ოღონდ მწნარეგებულ რიტმის წყალობით, საზიარო მოძრაობას ერწყმან. როცა ეს "სიჩქარეები" აღარაა სინქრონიზებული, ყოველი ელემენტი, კვლავ "სეპარატისტული" ხდება, რიტმი — წყვეტილი (დისკრეტული), სიჩქარე — დანაწევრებული, საერთო ევოლუციის პრინციპს მონყვეტილი მოცულობები ისევ, ავტონომიურ ერთეულებად ყალიბდებიან, კომპოზიციის კი, კვლავაც პოლიტიკურ ტერმინს თუ გამოვიყენებ, "ფედერალური მონყობის პრინციპით" იგება და ხშირად მხატვარიც, ველარ აკონტროლებს სურათის მხატვრულ ტერიტორიას.

ამას თავდაც მშენივრად გრძნობს (თუ განიცდის) ესთეტიკურ "ინტრიგებში" გამობრძმედილი ოსტატი და გარკვეული კომპრომისების გამოქმნით, ისევ დაჟინებით ცდილობს მკვრივი ქრომატულ-კონსტრუქციული მასივების სინქრონიზაციას. ატმოსფეროს ურატული ფუნების ჰომოგენური რიტმიც "ძველებურად" მოქმედებს მოცულობებზე, როგორც ზღვის მიქცევა-მოქცევა, კენჭებს რომ "ხეხავს" და ამრგვალებს; დაშლილ სივრცულ ხატში კი მასიური (და მასიური) ლანდშაფტური სხეულები, კომეტისებურად გაელვებულ ციურ სხეულებს რომ მოგვაგონებენ, ხშირად ანარქიულად აფუნებენ საკუთარ პლასტიკურ მასას. მაგრამ, ეს "ანარქიაც" რაოდენ მოუნსრივებულია... პუშკინისეული "მობილიური კვამლისა" არ იყოს, ისიც, რარიც "ტკბილია და საამური"?!
მსტისლავ როსტროპოვიჩი იგონებს, შოსტაკოვიჩი ნამეტანი "ხმამალალი" ნოტების ადებტებს აქილიკებდა, თურმე, თქვენ კომპოზიტორი კი არა, მეცოფორტისტი ხართო...

სხვათა შორის, ფერწერაში, სახელდობრ, ქართულ ფერწერაშიც მოიპოვებიან მეცოფორტისტიები.

ხუნდაც შეძლებისამებრ, ასცდა, ამგვარ ბრანდებს... და ამასი კოლორისტული ნიუ-ანსონების მეტნაკლები "პიანიზმიც" ეხმარება, გაუცხოებული და ოდნავ დაძაბული პიანიზმი...

რაც შეეხება საკუთრივ ნიუს დისკურსს, აქ მხატვარი, ცოტა არ იყოს, უხერხულად გრძნობს თავს. მისი მთასავით ქალები მარკულიზური მასებით სუნთქავენ და ვადამდები ეროტიზმისა თუ ცოცხალი სხეულებრივი ვიბრაციის ნაცვლად, გამსხვილებული ფორმების მექანიკური რიტმებით უცხოვდებიან, სიშიშველ — სიტიტვლის ანდა ნატურა — ზენატიურის დისპოზიციის კვალსაც ვერ იბოუნენ მათში... ფერწერულ მოდელთან არათუ კოიტუსი, ფლირტიც კი არ გამოსდის მხატვარს.

სამაგიეროდ, მინა და მინის კოლორისტული "მოხენის" ფინი კლავს...

ამ დიდგულა მხატვრის ლანდშაფტებს თავისი მითოპოეტური საფუძვლიანობა ახლავს. ამ უკანასკნელის გასაგებად კი, ხომ არ გავვეგრძელებინა მისი ონტოლოგიური საფუძვლების რეკონსტრუქცია?! ამ შემთხვევაში, უპირიანი იქნება, ამოვიდეთ იქიდან, ჰოლდერლინი hen diapheron heato-ს ანუ საკუთარ თავში განმასხვავებელ მთლიანობას რომ უნოდებს. ესაა სპეციფიკური სტრუქტურული კონსტიტუცია, რომელიც აგროზეციურ ლანდშაფტშიც შეიძლება ამოვიცნოთ.

სხვა გზა არაა, ხხენებული კონსტიტუციის აზრობრივი რეკონსტრუქციისათვის უნდა მივმართო სამ განსხვავებულ მიდგომას: პარატაქსიკურს, ჰიპოტაქსიკურსა და სინთეზურს. პირველი პარადიგმის საექსპლიკაციოდ თვალს დავადგამდი სურათს "სოფელი ჩხიკეთა". აქ პარატაქსიკური მიდგომა მდგომარეობს კონკრეტული პეიზაჟური (და არა ლანდშაფტური) ტოპოსის დამახასიათებელ ელემენტთა ერთგვარ ფერწერულ დესკრიპციას-ჩამოთვლაში. ჰიპოტაქსიკური მიდგომა იმაში მუდგანდება, რომ პეიზაჟური მოტივი ("დილა მთაში") განზოგადებული ლანდშაფტის სახით წესრიგდება.

მხატვარი სოფლის სავარგულების გარკვეულ თანმიმდევრობას კი არა, ერთგვარ უსარგებლო მინას წარმოგვიდგენს, მინას, როგორც დაუინტერესებელი ესთეტიკური თვალით დანახულ მრავალფეროვნებას. ფერწერულად კი არ ჩამოთვლის მთებს, ბორცვებს, მდელოებს, ტყეებს... არამედ "ჩამოწერს", როგორც თითქმის ფეროშენებს და ერთიან ხილვას უმორჩილებს.

ყველაფერი მასივებადაა და-ალაგებული, თითოეული ლანდშაფტური ელემენტი საკუთარ თავში შეიცავს მომიჯნავე ელემენტს, როგორც ჰოლდერლინის ერთ ლექსშია, მდინარე ფლობს თავის ველებს და ტყეებს, საკუთარ "სულში" ატარებს მზესა და მთვარეს, ანუ მთელი კოსმოსი ამ ცენტრში აირეკლება; ანდა, როგორც ვაჟა იტყოდა, აქ "ზევი მთას შმონებს, მთა ხევსა, წყალნი ტყეს, ტყენი მდინარეს, ყველინი მიწა და მინას თავის აღზრდილთა მცინარეთ"... ესაა ბუნების იერარქიული წყობა, ფერწერულ ხილვაში გამთლიანებული...

დაბოლოს, სინთეზურად გვევლინება პრინციპი, რომლის მეოხებითაც მხატვარი ყოვლისმომცველ და ცოცხალ რეალიტეში აღწევს პარატაქსიკურ და ჰიპოტაქსიკურ წესრიგს. ამჯერად სურათი გარემოში მხატვრის ქცევის კი არა, გა-ქცევის და აქედან — სამყაროში დაბრუნების, სამყაროში მო-ქცევის, სამყაროში ყოფნის რუკად გვეცხადება. გ. ხლენიკოვისა არ იყოს, ბუნება აქ უკვე ის ისტორიული ადგილია, სადაც საგანთა იერარქია აღარ არსებობს, ანუ სადაც აბსტრაქტიზებული ლანდშაფტი აერთიანებს დასავლეთსა და აღმოსავლეთს, კერძოდ, სივრცის კონსტიტუირების დასავლურ (პრო-სპექტულ) და აღმოსავლურ (ხალიჩისებურ) მოტივებს.

ასე გვეცხადება ეს ლანდშაფტი არა კი-ფერისებულ გადაბუჯულ დედამიწად, არამედ სიცოცხლისმომცემ პირველსაწყისად და პირველშიზეზად, დანარჩენ სამ სტიქიასთან: ცეცხლთან, წყალთან და ჰაერთან კავშირში რომ ქმნის ერთგვარ ქაოსმოსურ კონტრაპუნქტს.

მეტაკრიტიკულად დეკონსტრუირებული ეს ლანდშაფტები "უშენი ადგილებია". სხვათა შორის, ტომას ელიოტის განთქმული პოემის რუსულად (და ქართულადაც) თარგმნილი სათაურიც — "უნაყოფო მინა" — დედანში "უშენ ადგილს" ნიშნავს. ხუნდაძისეული "ბერნი მინა" (ანუ იგივე "უშენი ადგილი") ლოკალიზებული კი არაა რომელიმე კონკრეტულ ტოპოსში — ყველგანაა განფენილი და სულიერი ტოპოსის სიმბოლურ კონოტაციად უფრო გვევლინება, ვიდრე რაიმე ფიზიკურ-გეოგრაფიული ლოკუსის გამოსახულებად. ესეც "ზონაა", ოღონდ "უნაყოფო მინა" აქ ნაყოფიერი ფერითაა გაჯერებული და გულისხმობს "სულიერი ნაყოფიერების ძიებას", "სულიერი უდაბნოს განაყოფიერებას".

მოკლედ, უნაყოფობა ამ შემთხვევაში ნაყოფიერების, როგორც მითოლოგიის კონტრფორმა, უფრო ზუსტად, ნეგატივია...

ეს "უნაყოფო მინა" ერთგვარი უტოპიაცაა; უტოპია, როგორც მეტაფიზიკის "ფორმოსტი"; და პეტროლოპოლიცაა, ენას რომ "აფუთქებს" და თანაბრად გვაკარგვინებს სიღრმესაც და სიმაღლესაც.

ასეთი "უნაყოფო მინა" (თუ "უშენი ადგილი") არა მხოლოდ მენტალური კონსტრუქციით, არამედ ნაყოფიერი ფერადოვნებითაც გვიპყრობს.

ასე მგონია, მხატვარი მის მიერ წარმოსახულ უშენ ადგილებს "სულის არქიტექტურის" კანონისამებრ ასენებს და მღელვარე ფერწერულ-არქიტექტონიკულ მისტიციებს ქმნის. ამასთან, "უშენი ადგილების" ქაოსს უპირისპირებს რა "არქიტექტურას" (და არქიტექტურას) თითქოსდა, მანდელშტამისა არ იყოს, სწამს, რომ "ბუნება — იგივე რომია" ("Природа-то же Рим"), თუმცა, ბუნებისაგან არასოდეს ქმნის საპარკო თუ საკურორტო ადგილებს. (ველასკისეული მედიჩების პარკის "ასლები" ადრე იყო)

მხატვარს ლანდშაფტის გრძნობას უღვიძებს არა ბუნება, არამედ ხელოვნება... და კიდევ: იგი ქმნის არა ოდენ სივრცის პეიზაჟებს, არამედ "დროის პეიზაჟებსაც", ოღონდ არა იმდენად კალენდარული დროის, რამდენადაც "მარადისობის პეიზაჟებს".

ადრეული, ქალაქური ქუჩების "დროის ხმაურს" თანდათან მეტაფიზიკური ლანდშაფტების მუსიკა ენაცვლება — "მუსიკა თვალისათვის"... დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, თავად მუსიკა როგორ ეხმარება მხატვარს, თუმცა, რატომ? ვიცი, რომ თავის დროზე ბევრი ცრემლი უღვარღვარებია ვაგნერის ოპერების მოსმენისას ("მეც ამატირა ბევრჯერ შენს თვალზე ცრემლის დენამა")... აი, ის კი ნამდვილად არ ვიცი, მალერთან როგორი დამოკიდებულება აქვს, გუსტავ მალერთან და სახელდობრ, ჩინური პოეზიით მუქუნანოვ სიმფონიასთან, (ნუმერაციით IX რომ გამოდის), საი აურით "სიმღერა მინაზე"...

პროზაიკოსის ადრესატი კონკრეტული მსმენელია, პოეტისა — პროვიდენციალური თანამოსაუბრეო... ესეც მანდელშტამია...

ხუნდაძეც თავისებური "პოეტია". მისი "მსმენელიც" პროვიდენციალური თანამოსაუბრეა, მისი სურათების აღქმა კი თანათხზვაა.

ამ სურათებში ადამიანი სტაფაჟურადაც კი არ ჩანს. თუმცა, როგორც ასე თუ ისე მოაზროვნე მხატვარს, მაინც ადამიანი და სტი-

ქიურ, კოსმიურ პროცესში მისი და-ნიშნულეობა იზიდავს; სწორედაც დანიშნულება და არა ფუნქცია... ამიტომაცაა, რომ თავის აბსტრაქტიზმულ აგროლანდშაფტებშიც "რაიმედან" ამოდის, ეს "რაიმე" კი გარე სამყაროს ობიექტია... აქედან იკვლევს გზას სუბიექტისკენ და თავისი ფერწერული რეფლექსიის საგნად სამყაროში ადამიანის ყოფნას აქცევს. ჩვეულებრივ აპლომბით შემთხვევით არ მოძღვრავდა მხატვრებს პიკასო: "აბსტრაქტული არ არსებობს, ყველამ რაიმედან უნდა დაიწყოს"...

ხუნდაძეც "რაიმედან" იწყებს... ამ "რაიმეს" მეშვეობით ახერხებს, როგორც მალევიჩი იტყვია, "მინიერი მიზიდულობის" დაძლევა. ესაა გზა არა ანალიზისა, არა ჩაკეტილ, ჰერმეტიულ სივრცეში ცქცეისა, არამედ ამ სივრციდან გაქცევისა.

მინდა ისიც დავუთვა, რომ ფერწერული ელემენტი ჩვენს აგარულ აბსტრაქციონისტთანაც სიმბოლოა, ანუ სინთეზის ჩანასახი, კორპუსკულაა, რომელშიც ისევ "დამწყველი" სამყარო, როგორც ბლეიკისეულ "ყვავილის ფიალაში"...

იგი სივრცის "მტერია" და დროის აპოლოგეტი, დროა მისეული სამყაროს საზომი (ისევ ხლებნიკოვი: „Время-мера мира“). ამასთან, ცდილობს, რაც შეიძლება დატვირთოს სივრცე ინფორმაციით, ოღონდ პ. ფილონოვიით — რუსული ავანგარდის ამ მთავარი ინფორმირებით კი არ დააქუცმაცოს, არამედ გარდღიოს იგი. მაგრამ (მძიმე) ეს სივრცე მაინც სასწაულებრივად "მძიმეა"; მძიმეა არა მხოლოდ საღებავის კორპუსული მასით და მის მატერიალური კონსისტენციით, არამედ მრავალმრიანი ფერწერული ინფორმაციით...

ხუნდაძისთვის სხვა არავითარი ამქვეყნიური სიამოვნება არ არსებობს, გარდა ფერწერისა... არც ლეინო, არც დუდუკი, არც ქალები; არც ტენისი...



ტენის და ტენის ტილოს ფერით; და მანი-აკალურად ცდილობს, სურათის თითოეული ატომიც ფერითვე დანაღმოს. ამიტომაცაა, რომ ფერები ვიბრირებენ, პულსირებენ, ფტოქაქენ; და ფტოქდებიან კიდევ, ამ "აფთქებაში" კი ძვირფასი ქვებიჯით ანათებენ, Valeur-ული მოდელირებით თუ ლისირებით მიღწეული ფორმის კრისტალიზაციის ტექნიკა მისი სურათების სივრცულ-კოსმოსურ ეფექტს, მით უფრო, დამაჯერებელს ხდის. ქართული ფერწერის ციოლკოვსკი უშვებს და უშვებს კოსმოსში თავის ხელოვნურ თანამგზავრებს, რომლებიც მინაზე აღარ ბრუნდებიან — პაერშივე იზუგებიან...

და მინც, ქართველი მხატვრის "კოსმოსური" პრობლემატიკა არასოდეს გადაიზრდება 20-იანი წლების რუსული ავანგარდის პროექტანტულ მანიამი. ტოტალური პროექტანტულობა (ისე, როგორც ნომინაციურობა), მართლაც, რუსული კულტურის არქექტივია. სამყაროსათვის შეთავაზებული პროექტი აქ უკვე განხორციელებულია!

დასავლური მოდელი სხვაგვარია — აქ მთავარია საგანი და მისი ნიშან-თვისება, იმ დროს, როდესაც რუსული კულტურისათვის ხსენებული ნომინაცია და ამ ნომინაციის პათოსი მუდამ იდეოლოგიურობას და პროექტულობას მოასწავებს, იდეოლოგიურობა-პროექტულობა კი — რაოდენობრიობას. აქედან — ტექნოლოგიის გაფუტიშება. მოკლედ, აბსტრაქციის სრული პაკეტი ხელთ არა გვაქვს!

საერთოდ, ლანდშაფტი სასურველია არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ჩართულია პასიურ ჭვრეტაში, თუგინდ, ესთეტიკურ ემ-პათიაში, რამდენადაც იმგვარ სიტუაციაში, როდესაც მისი dasain შრომის, ანუ ფერით წერის ყინით — ამ ერთგვარი „თეია მანიითაა“ შეპყრობილი.

ამ დროს ითხზება ექსტატიკური სურათები. საკუთრივ შრომის (ფერით წერის) პროცესში იხსნება მთიანი ლანდშაფტების აბსტრაქტული პორიზონტები. ფერით წერა, როგორც ქანცვამწყვეტი შრომა, ფერწერულ-ენობრივ დისკურსზე მუშაობაცაა — ესაა გარჯა, მეტიც, ტანჯვა-ნამება, მოლბერტზე ჯვარცმული მხატვარი ქრომატულ-ლინგვისტურ "კატასტროფამდე" რომ მიჰყავს.

ლანდშაფტისადმი ინტენციონალობა ფერ-წერით მუშაობასთან ერთად, აზრის დაძაბულ მუშაობასაც გულისხმობს; ჯერ კიდევ როდის ჭვრეტდა ჯონ რიოსკინი მთებში — "გონების მარადიულ მუშაობას"... გაივლის საუკუნე და მარტინ შაიდფერტი იტყვის, რომ აზრისა და წერის მუშაობა, მთიანი ადგილისადმი ხსნის სივრცეს, რაც იმას ნიშნავს, რომ აზრი იმ ადგილას "ჩამუშავდება", სადაც იგი გამყდნავდება, როგორც აზრი ყოფიერების შესახებ და ამგვარადვე მოიაზრება ყოფიერების ადგილ-სამყოფელად, ანუ ლანდშაფტად. საკუთრივ ლანდშაფტი ხსნის აზრის ადგილ-სივრცეს, გარჯის მთელი მსკლელობა კი ლანდშაფტის მო-ვლენაშია ჩაკირული; დიახ, ლანდშაფტის მოვლენაში, რაც იმას მოასწავებს, რომ აზრი ლანდშაფტთან ერთად იბადება, ხოლო ეს უკანასკნელი დამკვირვებლის წინაშე პერსპექტიულ ხატად გაყინული, ბუნებაში დანერგილ ოპტიკურ ჩარჩოს კი არა, თავად აზრის სივრცეს წარმოადგენს.

ასე ერწყმის ბუნებისეული ელემენტები — აზრობრივს და თავის ნაკვალევს ტოვებს ფილოსოფიური ნაწერის მატერიაზე.

ასევე ერწყმის ლანდშაფტური ხატები მენტალურ ხატებს და თავის კვალს აწნევენ ქრომატული ecriture-ის, როგორც ფერ-წერილის მატერიას.

ამ ლანდშაფტურ ფერ-წერილს შვარცვალდის ლანდშაფტების ვიზიონერის ერთი ონტოტექსტუალური ნარატივის დეციტაციით გავუკეთებდი "ლისირებას".

"როდესაც აისის ნათელი ეფინება მთებს...

ყოფიერების ნათელი ვერასოდეს აღწევს წყვილადმი დანთქმულ სამყარომდე. ჩვენ ღმერთებთან მივდივართ ძალიან გვიან, და ძალიან ადრე — ყოფიერებასთან, რომლის თავდაპირველი პოეზია — ადამიანია..."

აი, გალაკტიონი სულ სხვაა:
„მე არაერთხელ მქონია ფრთები
თავბრუდამხვევი სიმაღლით მქროლი,
ლურჯი ტრიალით ბრუნავდნენ მთები
და ირხეოდა ლაყვარდი ბროლი.
და არაერთხელ მიგარძენია მაშინ,
რომ ეს მინები სხვა მინებია..."



წინა პლანზე: მადეა კახიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გიორგი ციციშვილი, ლეილა მესხი.

ვისთვისაც ძვირფასია უურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთხოვთ, შეგვეწიოთ!

ყურადღება!

უურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
 სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42; ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89
 „ელვასერვისი“ იოსებძის 49 ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02 და
 „საკპრესა“ ტელ: 51-60-04; 51-57-43
 3 თვით 9ლ; 6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.
 რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დიზაინერი:

გიორგი ქადაგიშვილი

ოპერატორი:

თამარ ტყაბლაძე

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4

ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.

litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

Web: www.litandart.com.ge

უურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში



ჯადისონ ბეხსინსკი

უომპოზიცია



უომპოზიცია

620/42

